

წმიდა გრიგოლი ნოსელი

**საღმრთისმეტყველო,
ეგზეგეტიკური და
პანეგირიკული თხზულებები**

**საკითხავი, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა
გრიგოლი ნოსელისაჲ**

**წმიდისა სამებისათჳს,
რომელსა შინა მოიკსენებს აბრაჰამს**

ვითარცა-იგი შეემთხუევს ხილვისმოყუარეთა, რაჟამს-იგი მრავალფერთა ყუავილთა მიერ აღსავსეთა ველთა მიემთხუნენ, რომელთა-იგი პირად-პირადი შუენიერებაჲ და ზოგადი ჰაეროვნებაჲ (vB) ერთისა რადსმე მათგანისა განცდად არა შეუნდობს, და ესრეთ, ყოველთა მიმართ რად განავრციან ხილვისმოყუარე იგი გულისთქუმაჲ, ყოველთაგანვე სწორებით გამოეკუნინან, ესევეითარივე სახე შეემთხვა გონებასაჲ ჩემსა ყუავილოვანსა მას წერილთასა მიხედვითა, რამეთუ პირად-პირადი იგი შუენიერებაჲ ძალისა მათისაჲ სწორებით მიზიდვითა სულისაჲთა მიმოაკუეთებს სურვილსა ჩემსა და დაუდგრომელ ჰყოფს, რამეთუ სწორთა შორის არა ადვილ არს უაღრესისა პოვნაჲ.

რამეთუ იხილე-ღა, თუ ვითარ ბრწყინვენ დიდისა დავითის წინაჲს-წარმეტყუელებათა ყუავილნი! და კუალად, თუ ვითართა ყუავილთა სამოთხისათა ფეროვნებასა მოგუფენს მოციქული და ქრისტეს მიერთათა სულნელებითა აღგუავსებს! ხოლო სახარებისა ველთა ყუავილთა

ვინმცა უძლო სიტყვთ აღრაცხუვად, ანუ თუ რომელმანმცა გონება-
მან წარმოაჩინა!

ვინადაც კეთილად ვჰგონებ, რადთა ჟამსა ამას მოვიქსენო სი-
ტყუად იგი იგავთად, რომელსა გუამცნებს, რადთა მივემსგავსნეთ
ფუტკარსა, რომელი-იგი დაღაცათუ ძალითა უძლოურ არს, არამედ
სიბრძნე მისი იქების წერილთა შინა, და არასადა ვის უხილავს
(იგი, ვითარმცა ყოველივე ყუავილი სრულებით მოეკრიბა მას, და
ზურგითა აღტვრთულსა სკისა მიმართ მიეღო, არამედ წულილსა მას
და მტუერისსახესა ყუავილისა ფურცელთა შინა მდებარესა ძალსა

ფრთეთა მიერ და პირისა და ფერტთა შეკრებულსა წარიღებს, და
ესრეთ შურების სიბრძნითა სავსესა მას ნაშრომსა თვსსა; და ექუს-
კედელთა მათ და არა მართლმოზავებულთა საუნჯეთა თაფლისათა
აღჰმართებს და ფრთეთა სილბოძსა და სიწყლტოძსა მიერ მოაწრ-
ფელებს შენადგამთა მათთა და კედელთა, და შინაგან თაფლითა აღავსებს,
რომელი-იგი პატიოსან არს და საწადელ მდიდართა და გლახაკთა, და
ვიდრე მეფეთამდეცა მიიწევს პატიოსნებად სიტკბოებისა მისისაჲ,
სიტყვსაებრ სოლომონისა.

აწ უკუე, რადთა ჩუენიცა ესე გოლეული ეგრეთვე პატივ-ცემულ
იყოს, და ნუუკუე და უმეტესცა, მადლი ლოცვისაჲ თანაშემწე-ვიყოთ
და სულიერი ესე თაფლი გონიერად შევანელოთ, რადთა ყოველსა
ეკლესიასა სწორებით აღმაშენებელ ექმნეს და ჩუენ და თქუენ ზოგე-
ბით მოვიდოთ სასყიდელი, რამეთუ ზოგადი არს შესამინელი ესე. და
რაჟამს ლოცვითა თქუენითა წარემართოს სიტყუად ჩუენი, უმეტესი
მადლი თქუენ მიგენიჭების, ვითარცა-იგი ქველისსაქმისა მიმცემელსა
უაღრესი მადლი მიაქუს, ვიდრელა მიმღებელსა ქველისსაქმისასა.

წმიდაჲ უკუე სახარებაჲ ძუელთა თხიერთა ახლისა ღვინისა შთა-
სხმად აყენებს. და ნუუკუე აწინდელსადა ამას ჟამსა მოასწავებდა
იგავით, რამეთუ ახალწნეხილი ღვინო ბუნებითისა მის (359rC) ნო-
ტიობისა მდულარებითა აღსავსე არს ქართთა, და ესრეთ, დუდილისა

მიერ აღძრული, ნივთსა მას ბიწიანსა პერულად აღაფქურევს და განჰლევს. და ვითარ ჩემი სიტყუად ჰგონებს, ესე სხუად არარად არს, არამედ სწავლად და მოძღურებად სულისა წმიდისაჲ, სიტყვსაებრ სამოციქულოდსა, რამეთუ იტყვს ვითარმედ: „სულითა მდულარე იყვენით“. რომელსა-იგი დაძულებულნი და ურწმუნობითა განბძარულნი თხიერნი დატევნად ვერ შემძლებელ არიან, არამედ განსთქდებიან მაღალთა მათ მოძღურებათა სიმტკიცითა. და რაჟამს აღმატე(273rB)ბული რადმე სიღრმე სწავლათა სულისათაჲ შეესმას სასმენელთა მათთა, განიკებიან, და იგინიცა წარწყმდებიან და მადლსა მასცა სულისა წმიდისასა უკმარ ჰყოფენ, რამეთუ ბოროტისმოქმედსა სულსა სიბრძნე არა შევალს, ვითარცა წერილ არს. (vA)

და უკუეთუ გნებავს, შემინდვეთ მე მიმსგავსებად ჩუეულებასა

გლახაკთასა, რამეთუ იგინიცა ტაბლასა რად მდიდართასა მიემთხვნენ, ნეშტითა მით და ნამეტნავითა მრავალჟამ იზარდებიან. და ეგრეთვე მეცა, გუშინ მდიდრად დაგებულისა მის ტრაპეზისაგან ძალისაებრ ჩემისა სანუკვარი სიტყვსად შევჰმზადო, და დღენდელი ესე წინადაგებული მის მიერ შევანელო, და შემოკრებულთა ამათ სერი შეუმზადო.

და რად-მე იყო გუშინდელისა მის სერობისაგან ნეშტი და განუღვენელი? – ესე იგი არს, რომელი-იგი საქმისაგან მოციქულთაჲსა აღმოვიკითხეთ – ათინას მისლვად პავლესი, და ვითარ-იგი კერპთმსახურ იყო ქალაქი (vC) იგი და ბომონთა მიმართ აღბორგებულ, და ვითარ-იგი სულსა წმიდასა ნეტარისა პავლეს შორის ეძვნებოდა და განმწარდებოდა, და ვითარცა ღუარი მძაფრი, სულსა შინა მოციქულისასა შეიწრებული, ღელვიდა, რამეთუ არა ჰპოვებდა უღირსთა მათ მიმართ განსლვასა. ვინადცა სტოძსაგანთა მათ და ეპიკურელთა ფილოსოფოსთა შებმა-უყო და არიოპაგედ მივიდა, და მათისავე ჩუეულებისაგან ღმრთისმეცნიერებად მოიყვანნა, რამეთუ ბომონისა მიერ და ზედაწერილისა დასაბამი სიტყვსად მოილო.

ხოლო რადასათვის მოვივსენე წარკითხული ესე საკითხავი? – რამეთუ აწცა არიან მსგავსნი მაშინდელთა მათ ათინელთანი, რომელთა-იგი სხუად არარად მოეცალების, გარნა სიტყუად რასმე და სმენად უახლესსა, – გუშინდელნი და დღევანდელნი მზარეულთა და მეპურეთა შვილნი და სხუათა მათ შეურაცხთა ჯელოვნებათა შექცეულნი და ნუუკუე მონანიცა და განდევნილნი და ანუ თუ ლტოლვილნი მონებისაგან, თვთმოპოვნებულნი ვინმე ღმრთისმეტყუელნი და გამოუკულებელთა სიტყუათა ფილოსოფოსნი და რიტორნი. და ვჰგონებ თუ არა უმეცარ ხართ, ვიეთდა მიმართ ხედავს სიტყუად ჩემი, რამეთუ ყოველივე ესე ქალაქი ესევითართა მიერ აღვსებულ არს, და ფოლოცნი და უბანნი და სავაჭრონი და ურაკპარა კნი და მებოძირნი და ყურენი ქალაქისანი; და უკუეთუ მწულილსა გინა დანგსა იკითხვიდე, შობილისა და უშობელისათვის ფილოსოფოსობენ. და უკუეთუ დრამისათვის ჰკითხო, მოგიგებენ, ვითარმედ მამად უფროდს არს, და ვითარმედ ძე – უმრწემეს და მსახურ. და უკუეთუ ჰრქუა, ვითარმედ: „მარჯუე არიან აბანონი“, – განაჩინებენ, ვითარმედ: არაარსისაგან

არსებად მოვიდა ძე.

და არა უწყი, თუ რად სახელს-ვსდვა ამას სიბოროტესა – გონებაცთომილებად გინა სიცოფედ, ანუ თუ სხუად რაიმე ესევითართა ბოროტათაგანი, რომელი გონებასა სიბოროტილედ შესცვალებს.

და ამას ვხედვედი და ამისთვის მოვივსენე სამოციქულოდ იგი უწყებად, რამეთუ, რომელსა-იგი წერილი ათინელთათვის წარმოიტყვს, ესე აწ ამათ შორის იხილვების. და უკუეთუ ჯერ-არს თქუმად, მათსა მას – ამათი ფრიად უძვრეს არს და უბოროტეს. რამეთუ მათ კერპთა წყუდიადითა დაეშრიტნეს თუალნი სულისა მათისანი და ღმრთისმსახურებისა ნათელსა ხილვად ვერ ეძლო. გარნა ვითარცა ჯელის-აღპ(vB)-[ყრობით]ა რადთმე გონებისადათა ესე ოდენ შეუძლეს ცნობად, ვითარმედ არა ეგების მიწდომად ღმრთისად და არცა გულისსიტყუათა მიერ გამოიკულებვის აღმატებული იგი ბუნებად მისი. ამისთვისცა ჭეშ-

მარიტსა მას ღმერთსა უცნაურად სახელ-სდევს და აღიარეს, და
ბომონითა და ზედაწერილითა პატივსცეს უცნაურსა მას.

და რამეთუ ჭემმარიტსა ღმერთსა განიცდიდა გონებაჲ მათი, ეწამების
მათ მოციქული, რამეთუ ჰრქუა მათ, ვითარმედ: „მას ღმერთსა გახა-
რებ, რომელსა თქუენ პატივ-სცემთ და ჰმსახურებთ“.

და ვითარ არა უძვრეს არიან მათსა აწ მოვსენებულნი ესე ამაოე-
ბისა მზრახვალნი, რომელნი არა შეუწოდებენ ღმერთსა, რადთამცა
უზეშთაეს მიწუდომისა მათისა იყო, არამედ ესრეთ იქადიან ღმრთისა
ცნობასა, ვითარცა-იგი მან თვთ თავი თვსი იცის!

და ეჰა, ვითარმე ვინ გოდებდეს ღირსად ესევითარსა ამას სიბრმე-
სა გონებათასა, რომელნი ესევითარსა ამას ბრწყინვალეებასა შინა,
რომელსა ყოველი სოფელი დაუპყრიეს და ცხორებაჲ ჩუენი აღუვსიეს,
ესრეთ არიან დამბრმალ ღმრთისმსახურებისა მიმართ!

და ნუუკუე უმეცარ ხართ, თუ რომელსა ნათელსა ვიტყვ გარდა-
მატებულად, რომელსა-ესე ცხორებაჲ ჩუენი დაუპყრიეს. აღმირაც-
ხენით სამეუფონი ესე მნათობნი და რიცხუნი სახარებისანი, რომელთა
ყოველი სოფელი დაუპყრიეს და მშვდობისა მიერ და ღმრთისმსა-
ხურებისა ყოველსა ქუეყანასა განანათლებენ, რომლისა მომასწავე-
ბელად ყოველთა შემოქმედმან ღმერთმან პირველი იგი სოფლისა
დაბადებაჲ ნიშიან ყო. რამეთუ არა ხოლო თუ დიდი იგი მნათობი

განაწესა მგლობელად დღისა, არამედ უმრწემესიცა იგი მნათობი
შეაუღლა, რადთა, მის მიერითა მით ნათლითა განათლებული, მის
თანავე ბრწყინვიდეს. (51rA) ესევითართა უკუე კეთილთა სიმრავლე
სამოდღურებელა[დ] წინამდებარე არს, და [იგინი], ვითარცა ეშმაკისა
მიერ მოწყლულნი, თავკედობით და უსირცხვლოდ ჭემმარიტებასა
აცილობენ და წინა-აღუდგებიან, ვითარცა ათინას შინა ეპიკურელნი
იგი და სტომსა ფილოსოფოსნი, რომელთა პავლე შებმა-უყო.

და რადთა არა ჰგონოთ თუ ცილისწამებით ჰელ-ვჰყოფთ შესმენა-
სა და ბრალობასა მათსა, ამისთვისცა სიტყუანი მათნი შორის-შემო-

ვიხუნეთ და განვიხილნეთ.

სტოდა ფილოსოფოსნი იგი ნივთიერად ზღაპრობენ ღმრთე-
ებასა, და ესენი მხოლოდშობილსა მესა ღმრთისასა დაბადებუ-
ლად ჰგმობენ. და არა უმეცარ ხართ, თუ რაბამი ერთობად იხილვე-
ბის დაბადებულისად ნივთიერისა მიმართ!

და კუალად, ეპიკურელნი იტყვან, ვითარმედ არარად არს სხუად
უზეშთაესი განგებად ხილულთა [ამათ აგე]ბულებისა და განგებისა
მპყრობელი, არამედ თავით თვსით განეგებიან და იპყრობვიან. და
რადთა მოკლედ ვთქუა, უღმრთოებად დასრულდების ბილწი იგი
ცთომილება მათი და გმობად.

ვიხილოთ უკუე, უკუეთუ არა სწორ იქმნების ეპიკურელთა უღ-
მრთოებისა უღმრთოებად იგი მათი, რომელნი ძესა შეურაცხ-ჰყოფენ.
და ნუვინ იცილობვის და თავკედლობს, ვითარმედ: ეპიკურელნი არცა
თუ მამასა აღიარებენ, არცა ჰრწამს ღმერთი, და ვითარ სწორ არს
ამათი და მათი უღმრთოებად, რომელნი ღმრთეებასა მამისასა არა
უვარ-ჰყოფენ?

მცირედ უკუე მელოდე და ჰპოვნე – და უსახელონიცა ესე
ეპიკურელნი და უშჯულოებითა არა უდარესნი მათსა. რამეთუ ბრწყ-
ინვალებად დიდებისა და ხატად გუა(274rB)მოვნებისა
და ძალად ღმრთისა და სიბრძნედ ღმრთისა, და
სხუად, რაოდენიცა ესე ვითარი მაღალი და ღმრთივშუენიერი სახელი
უწოდა მოციქულმან, ძესა უწოდა, რომელთაგანი თითოეული,

ვითარცა შეერთებად რადმე და შესწორებად განუყოფელი, განთვსე-
ბულად არა მოიგონების, არამედ შეყოფილად და შეერთებულად. რამეთუ
ბრწყინვალებად და ხატი – მისი არს ბრწყინვალებად და
ხატოვნებად, რომლისად იყოს. და ვითარცა-იგი არა განბრწყინდე-
ბის ნათელი, უკუეთუ არა იყოს განმაბრწყინვებელი და პირველი
მიზეზი ბრწყინვალებისად მის, ეგრეთვე განბრწყინვებული ბუნებად
თავით თვსით არა გულისწმა-იყოფების, უკუეთუ განმაბრწყინვებელისა

მის თანა არა გულისცმა-იყოს. რამეთუ ხატი გუამოვნებასა აჩუენებს, და გუამოვნებად ხატისა მიერ იცნობების. და ეგრეთვე, ძლიერებად ღმრთისა თვნიერ ღმრთისა ხილვად შეუძლებელ არს. და ღმერთსა თვნიერ ძლიერებისა მოგონებად ბუნებად არა აქუს.

აწ უკუე, რომელი ერთსაცა ამათ შეწყობილთა და შეუღლვილთა სწორებათაგანსა უვარ-ჰყოფდეს, მის თანა დაჰქსნის ყოველსავე.

იტყვან უკუე უღმრთოებისა წინამძღუარნი, ვითარმედ: იყო ოდეს-მე, ოდეს არა იყო ძე. მაშა უკუეთუ იყო ოდესმე, ოდეს არა იყო ძე, არცა ბრწყინვალებად იყო, არცა ხატოვნებად, არცა ძლიერებად, არცა სიბრძნე; და უკუეთუ ესე არა იყვნეს, ღმერთი ვითარ იყო? რამეთუ დიდებად თვნიერ ბრწყინვალებისა არა გულისცმა-იყოფების, არცა გუამოვნებად თვნიერ ხატოვნებისა, არცა ბრძენი თვნიერ სიბრძნისა, არცა ძლიერი თვნიერ ძალისა, არცა მამად თვნიერ ძისა; ვინაძცა ცხად არს თქუმულთა ამათ მიერ, ვითარმედ, რომელი ძესა შეურაცხ-ჰყოფდეს, მის თანა შეურაცხ-ჰყოფს მამასაცა. და სადა ძე არა იდიდე-ბოდის, მუნ არცა მამად იდიდების. და სადა მამად არა იდიდებოდის, მუნ ღმრთეებად უვარ-ქმნილ არს. და ღმრთისა უვარის-ყოფად სხვსა არავისი არს, არამედ ეპიკურელთად.

ხედავა, რამეთუ ეგევიტარნი იგი მგმობარნი – ეპიკურელნი არიან და უბოროტესნიცა მათსა, ვითარცა ზემო ვიტყოდე, რომელნი იგი ძისა შეურაცხებითა პატივ-სცემენ მამასა და იტყვან, ვითარმედ იგი უხუცეს არს და უფროდს, ხოლო ესე – უმრწემეს და უმცირეს; იგი მოავლენს და ესე მოივლინების; და სიტყუასა რასმე წერილთასა განჰბძარვენ ამის პირისათვის სიცოფით და იტყვან, ვითარმედ: თვთ უფალი აღიარებს, ვითარმედ მოივლინა მამისა მიერ.

ვითარმედ მოივლინა, ესე უწყი, ხოლო რამეთუ, რომელმან-იგი

მოავლინა, მის თანა არს, – ესე არა გასმიეს, და არა გულისცმა-ჰყოფა ბრწყინვალეთა მათ მოძღურებათა, რამეთუ მო-ცა-ივლინების და არა განეშორების-ცა? მოივლინების კაცთმოყუარებისათვის, და არა

განეშორების ბუნებით განუყოფლობისათვის.

და კვალად იტყვან, ვითარმედ: თვთ მხოლოდშობილი აღიარებს, ვითარმედ უფროდ მისსა არს მამად, სიტყვსა მისთვს, რომელი თქუა უფალმან, ვითარმედ: „მამად ჩემი უფროდ ჩემსა არს“. ვინაჲცა გამოვიძიოთ, ძმანო, და შევძრწუნდეთ, რამეთუ, ვითარ ეგების ესე; ანუ ნუუკუე ტყუვა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „მე მამისა შორის და მამად ჩემ შორის“? აწ უკუე, უკუეთუ მამად უფროდ არს ძისა, ვითარ დაიტევის უფროდსი უმცირესისა შორის? (vA) და უკუეთუ ძე უმცირეს (vB) არს მამისა, ვითარ აღივსების უფროდსი უმცირესისა მიერ, რამეთუ, ვითარცა დიდსა შეიწრებად ვერ ძალ-უც უმცირესისა შორის, ეგრეთვე ვერცა მცირესა – განვრცომად გარდამატებულისა შორის. და ესრეთ საჭირო იქმნების და უღონო ნაკლულევანებად ძისად მამისა შორის და დაუტევენელობად მამისად ძისა შორის, და ტყუვა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „მე მამისა შორის და მამად ჩემ შორის“!

არამედ, უკუეთუ უმცირეს არს, ესრეთ ჯერ-იყო თქუამად, ვითარმედ: ძე კერძოსა შორის მამისასა, და მამად, – არა „ჩემ შორის“, არამედ უმჯობეს და უქეშმარიტეს იყო თქუამად, უკუეთუ მამად უფროდ არს, ვითარმედ: „კერძოდ რადმე მამისად ჩემ შორის“. ხოლო უკუეთუ ყოვლითურთ მამად ყოვლითურთ ძისა შორის, და ყოვლითურთ ძე ყოვლითურთ მამისა შორის, სადაღა არს გარდამატებული ანუ სადა არს მოკლებული?

და რად საჭმარ არს მრავლისმეტყუელებად, არამედ ჯერ-არს, რადთა ერთითა სიტყვთა ყოველივე სიცოფე მათი უკუნ-ვარღვოთ. ესე იგი არს, რამეთუ იტყვს მოციქული, ვითარმედ: „რომელი-იგი ხატი ღმრთისად იყო, არა ნატაცებად შეირაცხა, რადთა იყოს იგი სწორ ღმრთისა“. მითხარ-ღა, რაჟამს სწორებად გესმას, და არასწორებად გულისწმა-ჰყო, ვითარი არს სჯინდისი შენი?

ეჰა ახალი ესე მოძღურებად, რომელი სწორებისაგან უსწოროსა თარგმნის!

გარნა ნუუკუე სწავლისმოყუარე ვინმე კეთილითა გონებითა სწავ-
ლად ეძიებდეს და გულისჯმის-ყოფად სწადოდის, თუ ვითარ უფროდს
არს მამად ძისა, და ვითარ სწორ არს ძე მამისა, რამეთუ რეცა წი-
ნააღმდგომ არიან ესე ურთიერთას, ამისთვის დაუტეოთ წინააღმდ-
გომთა მიმართ მრისხანებით მხილება, და მამებრივითა მოწლებითა
წინამდებარისა ამის პირისათვის სიტკბოებით ვასწავოთ ძმათა.

ყოველნივე სიტყუანი სახარებისანი არა სწორ არიან, არამედ
მრჩობლი აქუს გულისჯმის-ყოფად და მრჩობლითა ძალითა გუასწავე-
ბენ საიდუმლოთა უფლისათა. რამეთუ რომელნიმე სიმაღლესა ძისა
ღმრთისა ღმრთეებისასა კმამალად ქადაგებენ და რომელნიმე სიმდ-
აბლესა თანა კაცობრივისა ბუნებისასა დამდაბლდებიან. რამეთუ რა-
ჟამს თქუას უფალმან, ვითარმედ: „მე გიბრძანებ შენ“, და ვი-
თარმედ: „მნებავს, განწმიდენი“, და ვითარმედ: „მამად ჩემ შორის
და მე მამისა შორის“, და „რომელმან მიხილა მე, იხილა მამად
ჩემი“. და „მე და მამად ერთ ვართ“. და „არავინ იცის ძე,
გარნა მამამან“ და ვითარმედ: „ყოველივე ჩემი შენი არს და შენი
ჩემი არს“, და „დიდებულ ვარ მე მათ შორის“, და რაოდენი-
ცა ესევითარი არს, ყოვლისავე არსებისა და ბუნებისა უაღრესა მას
ძლიერებასა ღმრთეებისასა ქადაგებს.

ხოლო რაჟამს ბუნებისა ჩუენისა უძღურებისა მიმართ მიდრიკოს
სიტყუად, ესევითართა იტყვს სიტყუათა, ვითარმედ: „შეწუხებულ
არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე“, და „უკუეთუ შესაძლებელ
არს, თანა-წარმკედინ სასუმელი ესე“, და ვითარმედ: „ვერ ძალ-
უც ძესა თავით თვისით ყოფად არარად“, და ვითარმედ: „მცნებად
მომიღებიეს, რად ვთქუა და რასა ვიტყოდი“, და ვითარმედ:
„წარვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, და ღმრთისა ჩემისა და
ღმრთისა თქუენისა“. და ლაზარესთვისცა ტირილი ამათვე
თანა შეჰრაცხე და გზისა სიმაშურალე და საზრდელისა მიღებად და
წყლისა თხოვად და ლელვსა მიმართ მისლვად და ნავსა

შინა ძილი. (275rB) ესე და სხუანი ყოველნი ესევითარნი არა პირველითგან ყოვილისა მის სიტყვსა პატივსა, არამედ დამდაბლებასა მისსა ხატადმდე მონებისა და ბუნებისა ჩუენისა სიგლახაკისა მიმართ გარდამოსლვასა საცნაურ ჰყოფენ.

თქუმულ არს უკუე, ვითარმედ: „რომელმან მომავლინა მე, უფროდს ჩემსა არს“.

აწ უკუე განვიცადოთ, სიტყუად ესე თუ რომელსა ბუნებასა მიეჩემების ანუ ვითარ არს, ანუ თუ, „რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო“, ვინაჲ წარმოივლინა ანუ ვითარ? – გარნა თუ ესე, რამეთუ, რომელი-იგი იყო სავსებაჲ ღმრთეებისაჲ, ხატი მონისაჲ შეიმოსა და თავი თვსი წარმოივლინა ხატადმდე მონებისა. და ვინმცა არა უწყოდა, ვითარმედ ესე ესრეთ არს. რამეთუ საღმრთოდ ძლიერებაჲ და ბუნებაჲ ყოველგანვე განფენილ არს და ყოველივე აღუვსიეს და ყოველგანვე მისწუთების და ყოველივე უპყრიეს, და არა ეგების, არცა შეჰგავს, ვითარმცა წარივლინა. რამეთუ არცა იპოვების მისგან ცალიერი ადგილი, რომელსამცა პირველ არა იყო, და ოდეს წარივლინა, მაშინ მივიდა. არამედ ყოვლისა-მპყრობელითა მით ძალითა თვსითა ყოველსავე იპყრობს და ყოველსავე განაგებს. და არა იპოვების ადგილი, ვინამცა წარვიდა, ანუ თუ რომლისამცა მიმართ მივიდა, რომელსა-იგი ყოველივე აღუვსიეს. ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ სიმდაბლისა და უძლურებისა ჩუენისა მომართ გარდამოსლვად მისა ღმრთისაჲ ნებითა მამისაჲთა მოვლინებაჲ იწოდების. და რამეთუ საღმრთოდსა მისგან ბუნებისა ცხორებისა ჩუენისა მომართ მოსლვად უფლისაჲ არა ადგილითი-ადგილად მისცვალეზს უფალსა, არამედ სიმალლისა მისგან დიდებისა – სიმდაბლისა მიმართ ჯორცთაჲსა გარდამოსლვასა აუწყებს. ვინამცა გარდამოჰდა, არამედ – არა შიშუელი სიტყუად, არამედ განკაცებული. ესე იგი არს, რამეთუ ჯორცნი შეისხნა და არა ხატი ღმრთისაჲ შეიმოსა, არამედ ხატი მონისაჲ. და ესე არს, რომლისათვს-იგი თქუა, ვითარმედ: „ვერ ძალ-მიც თავით თვსით ყოფად

რადსამე“, რამეთუ ვერშეძლება უძღურებისად არს, და ვითარცა-იგი განსწავლებს ნათელსა ბნელი და ცხორებასა სიკუდილი, ეგრეთვე ძლიერებასა – უძღურებად. ხოლო ქრისტე ძალი არს ღმრთისად, და ძალი უძღურ არა იქმნების. რამეთუ, უკ(52rA)უეთუ

ძლიერებად უძღურ იქმნეს, სადაღა იყოს ძლიერებად?

და კუალად, ოდეს წარმოაჩინოს სიტყუამან, ვითარმედ ვერ ძალუც ყოფად რადსამე, ცხად არს, რამეთუ უძღურებად იგი არა მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისა ღმრთეებასა მიეჩემების, არამედ უძღურებასა ბუნებისა ჩუენისასა შეეწამების. რამეთუ ჭეშმარიტად უძღურ არიან ჯორცნი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძღურ“.

და ესრეთ, ორკერძოვე უცთომელ არს და ჭეშმარიტ საღმრთოდ წერილი; რამეთუ უფროდობასა აღიარებს და სწორებასა არა უვარ-ჰყოფს. და რამეთუ რაჟამს კაცობრივსა ბუნებასა მიხედნეს, უფროდობასა წამებს ღმრთეებისასა, ხოლო რაჟამს ღმრთეებასა მიყვანოს გონებად, მიერთგან უქმ არს უფროდობად და უმრწემეობად, რომელნი-ესე არიან ჯორცთა შესწორებულნი შეტყუებანი, ვითარცა წამებს თავადი ჭეშმარიტებად, ვითარმედ: „მე და მამად ერთ ვართ“. ხოლო შეცვალებულთა სწორებად არა ეგების.

და ვჰგონებ თუ კმა არს ჩუენ მიერი ესე თქუმილი მწვალებელთა უფროდ-უმცროებისა წვალებასა განდევნად ღმრთისმსახურებისა სწავლათაგან.

და უკუეთუ (vB) უმრავლესთა წამებათა ეძიებთ, ვითარცა იქმან სამშჯავროთა შინა, რადთა უმრავლესთა მოწამეთა მიერ დამტკიცდეს ჭეშმარიტებად, მომეცით უკუე მეცა ჯელმწიფებად, რადთა უკუნ-ვაქციო სიტყუად ჩემი ძუელთა უწყებათა მიმართ და მოვიკსენო ერთი ვინმე გამოცდილთაგანი, რომელსა-იგი მოიკსენებს მოციქულიცა და იტყვს, ვითარმედ: „აბრაჰამს აღუთქუა ღმერთმან, და ვინადგან არავინ აქუნდა უფროდსი, რომლისამცა მიმართ ფუცა, ფუცა თავისა

მიმართ თვისა, და თქუა“, რად-იგი თქუა. ხოლო ვინადთგან მრავალთა არა უწყიან, რაოდენ შესაძლებელ იყოს, შემოკლებულად წარმოგითხრა თქუენ უწყებად იგი, რადთა ყოველთა მიერ საცნაურ იქმნეს.

წარიყვანა ღმერთმან აბრაჰამ და განაშორა ადგილისაგან თვისა და ნათესავთაგან თვსთა, ბრძანებითა და ჩუენებითა თვსითა. და უცხოთა ქუეყანასა მწირობდა მამათმთავარი მრავალ ჟამ, სასოებითა აღთქუმისადათა. და გამოსაცდელად სარწმუნოებისა მისისა განგრძელ-

და სასოებად აღთქუმისა მის აღსრულებისადა. ხოლო აღთქუმა იგი ესე იყო, რადთა იქმნეს მამა ნათესავთა მრავალთა.

და სიგრძესა მას შინა ჟამთასა ბუნებად თვსსა საქმესა იქმოდა. ესე იგი არს, რამეთუ დაბერდა, და სასოებად უმეტეს აღორძნდებოდა. და ესოდენ დაბერდა თვთ იგი და მეუღლე მისი, ვიდრეღა შვილი-იერებისა სასწაულნი სრულიად დაშრტეს მათ შორის. და ამას ურცხ-ვნელად მოასწავებს საღმრთოდ წერილი და იტყვს, ვითარმედ: მოაკ-ლდა სარრა წესსა დედათასა, რომლისა მიერ იქმნების წესი მუ-ცლად-ღებისადა. გარნა დაღაცათუ ესრეთ ჳორცნი დაძუელდეს სიბე-რითა, ხოლო ღმრთისა მიმართ სასოებად მათი დაუბერებელ იყო და განურყუნელ.

მას უკუე ჟამსა იშვა ისაკი, რადთა საცნაურ იქმნეს, ვი-თარმედ არა ბუნებისა საქმე იყო შობად მისი, არამედ განგებად საღმრთოდსა ძლიერებისადა. ვინადცა ჳეროვნად იხარებდეს მართალნი იგი შობისა მისისათვს, და ჳმადლოზდეს ღმერთსა. განჳაბუკდა უკუე მოხუცებული შვილისა მის მიერ საყუარელისა, და გარდაეცემოდეს წყარონი სმისანი ძუძუთაგან სარრადსთა, და დიოდეს ჟამსა მას სიბერისა მისისასა, და მდიდრად აწოებდა ჩჩვლსა მას თვსსა გარ-დასრული იგი დღეთადა, და განსცხრებოდა ბუნებათა უაღრესისა მის-თვს საკვრველებისა და იტყოდა, ვითარმედ: „ვინ-მე მიუთხრას აბრა-ჳამს, ვითარმედ სარრა აწოებს ყრმასა?“

და ესრეთ მცირედ-მცირედ აღორძნდებოდა ჩჩვლი იგი. და სიყრ-
მისა რად ჰასაკსა აღვიდა, იყო იგი საწადელ მხილველთა და სიტკ-
ბობა და სასურველ მშობელთა, და ყუავილ და სამკაულ მოჰასაკე-
თა. და ესრეთ, წარმატებასა თანა ჰასაკისასა წარმატებოდეს სათ-
ნობანიცა სულისა მისისანი და სიკეთე ჯორცთა მისთაჲ.

და თუ ვითარი სიხარული შეჰგვანდა მის ზედა მშობელთა მისთა,
თქუენ თვთ გონებასა შინა თქუენსა გულისწმა-ყავთ. და თუ ვითარ
იშუებს მამად, ხედვიდეს რად განცხრომასა შვილისა თვისისასა,
გინა სიმღერასა, გინა რკინობასა, გინა წურთასა და სწავლასა, ანუ
თუ ტკბილ(276rB)სა მას მოჰასაკეთა თანა ქცევასა.

და ესე რად ესრეთ წარმატებოდა, განცდაჲ და ღუაწლი საზარე-
ლი შეემთხვა მართალსა მას მამათმთავარსა, – ვინ-ძი უყუარს უმეტეს
– ღმერთი ანუ ბუნებაჲ.

ძრწის უკუე გონებაჲ ჩემი საზარელისა მისთვის შორის-შემოს-
რულისა მითხრობისა.

კუალად უკუე ეჩუენა ღმერთი და უწოდა მას სახელით. ხოლო
იგი გულსმოდგინედ ერჩდა ბრძანებასა მისსა. რამეთუ გამოცდილები-
საგან უადრესსა კეთილსა მოელოდა.

ხოლო შენ ისმინე საღმრთოდ ბრძანებაჲ, რამეთუ ჰრქუა მას,
ვითარმედ: „მომგუარე მე ძე შენი“.

წუთლა არა წყლავს გულსა მამისასა სიტყუაჲ ესე, რამეთუ,
ნუუკუე და ესე ვითარიმცა რადმე მოიგონა, ვითარმედ: ქორწილისა
მისისათვის რასმე მიბრძანებს მე და მეუღლისა და სასძლოდსა წესსა
განმიწესებს, რადთა ნათესავთა კურთხევამან სრულებაჲ მიიღოს. (vA)

არამედ ვიხილოთ შემდგომი სიტყვსაჲ მის, რამეთუ თქუა, ვი-
თარმედ: „მომგუარე მე ძე შენი საყუარელი მხოლოდშობილი“.

ხედავა საწერტელსა ამას სიტყვსასა, თუ ვითარ აღაგზებს ნა-
წლევთა მისთა, და თუ ვითარ აღსძრავს ბუნებასა და თუ ვითარ
აღატყინებს სიყუარულსა მისსა, და ძედ საყუარელად და მხო-

ლოდშობილად უწესს მას, რადთა ესევითართა ამათ სახელთა
მიერ აღადულოს მისა მიმართ სურვილი მისი?

– და ოდეს მოვიყვანო, რად ვყო, უფალო?

და ჰრქუა მას, ვითარმედ: „შეწირე იგი“.

და ნუუკუე ესევითარისა რადსმე შეჰგვანდა მოგონებად, ვითარმედ:
ნუუკუე ვინადთგან შეწირვასა მიბრძანებს, მღდელად დამადგინებს. და
არა მღდელად, არამედ მსხუერპლად და შესაწირავად, მსხუერპლისა
ამის მიერ მრგულიად დამწუარად.

და ჰრქუა მას ჳმამან საღმრთომან, ვითარმედ: „შეწირე იგი
საკურთხად მთასა ზედა, რომელი გიჩუენო შენ“.

და რად-მე არს; არა განჰკრთა გონებად თქუენი. რომელნი-ეგე
მამანი ხართ და ბუნებისა მიერ გისწავიეს სიყუარული შვილთად, და
გესმის ძალი უწყებისად ამის, და უწყით თუ ვითარ შეიწყნარებს
სასმენელი მამისად მხოლოდშობილისა მისა დაკლვასა?

და ვინმცა იყო, რომელიმცა არა განჰკრთა სიტყვსა მისთვს და

გარე-მცა-მიიქცინა სასმენელნი თვსნი და გინა თუ მო-ცა-კუდა, და
არამცა დაესამართლა მბრძანებელსა მას, თვთ თავადისა ამის ბუნე-
ბისა ჩუენისა თანაშემწეობითა, და ესრეთ ჰრქუა, ვითარმედ: რად
არს ესე, უფალო! და ამისთვს მყავა მამა შვილისა, რადთა შვილის-
მკლველად გამომაჩინო? და ამისთვს მიჩუენეა გემოდ ტკბილისა ამის
ნიჭისად, რადთა მისათხრობელ მყო ყოვლისა სოფლისა და საქიქელ,
რამეთუ მიბრძანებ მე, რადთა ჳელითა ჩემითა დაგკლა შვილი ჩემი და
სისხლი სისხლთა ჩემთად ვაპკურო წინაშე შენსა? და ჯერ-არსა,
რადთა შენ თავადი ესევითართა ამათ მსხუერპლთათვს იხარებდე?
ანუ ვითარ მოვკლა შვილი ჩემი, რომლისა მიერ შემურვასა და
დაფლვასა მოველი? და რად არს ესე; ესევითარი სასძლოდ შეუმზა-
დოა და ესევითარი სახარულევანი ქორწილი განუმზადოა და აღუნთო
მას არა სანთელი საქორწინე, არამედ ცეცხლი და საჯუმილი განმ-
ლეველი? და ესრეთ გვრგვნოსან ვყო, ვითარცა სიძე? და ესრეთ

ვიქმნეა (vB) მამა ნათესავთა, რომელსა არცა თუ შვილისა ერთისა ქონებად შემენდო?

ნუუკუე ესევითარი რამე მოიგონა აბრაჰამ, გინა იწუართა? –
ნუ იყოფინ! არამედ საღმრთოსა სიყუარულსა შეესაკუთრა და ბუნე-
ბაი თვისი სრულიად უვარ-ყო და ვნებულნი იგი სიყუარულნი სისხლთა
და ჯორცთანი, ვითარცა ტვრთი რამე მძიმე და ურგები, ესრეთ
განსთხინა, და სრულიად მისცა თავი თვისი ღმერთსა, და ბრძანებასა
მისსა მორჩილ ექმნა.

და არცა მეუღლესა თვისსა განაზრახა ამისთვის. და კეთილად ყო
ესე და გონიერად, რამეთუ არა სარწმუნოდ შეჰრაცხა საღმრთოსა
საიდუმლომსა დედაკაცისა მითხრობად, და რამეთუ არცა რა ადამს
ერგო განზრახვად იგი ევაძის, არამედ უფრომსლა წარწყმედად მოა-
ტყუა მას. და ამისთვისცა ყო ესე, რადთა, უკუეთუ ცნას ესე სარრა,
ნუუკუე და დედობრივი რამე შეემთხვოს მას ვითარცა მშობელსა,
და მჭურვალე იგი ღმრთისა მიმართ სიყუარული მისი ბიწიან ყოს.
ამისთვის დაუფარა მას საქმე ესე. რამეთუ, უკუეთუმცა ესევითარი
რამე ეცნა მას, გინა გულისკმა-ეყო, რამცა არა ექმნა, ანუ რამცა
არა ეთქუა! ანუ არამცა წიაღთა თვისთა დაემალა და სულმოკლე
ქმნილ იყო და მომკუდარ? და ანუ თუ, უკუეთუმცა დაშთომილ იყო
და არა გონებაცთომილ ქმნილ იყო, არამცა ესევითართა სიტყუათა

ეტყოდაა გოდებითა მწართა აბრაჰამს, ვითარმედ: შეიწყალე, კაცო,
ბუნებად შენი, და ნუ იქმნები უკეთურებითა მისათხრობელ ყოვლისა
ქუეყანისა. ესე ხოლო მხოლოდშობილი მივის მე; ესე ხოლო მხოლოდ
არს საღმრთობადცა შობისა ჩემისა და სიხარულიცა გულისა ჩემისა.
ესე ხოლო მხოლოდ არს პირმშობცა ჩემი, და უკუანადსკნელიცა. და
ამისსა შემდგომად ვინღა ვიხილოთ ტაბლისა ჩუენისა თანაზიარი, ანუ
ვისიღა გუესმას ტკბილი იგი ჯმად, რომელსა გუასმენს ჩუენ ნაწლე-
ვი ესე ჩუენი, რაჟამს სახელით გვწოდდეს და მამით და დედით
გუხადოდის. ანუ ვინ ჰმსახუროს სიბერესა ჩუენსა; ანუ ვინ დაჰ-

ფლნეს სამარესა შინა ჯორცნი ჩუენნი? არა ჰხედავა ყუავილსა ამას ჯორცთა მისთასა, რომელსა დაღაცათუმცა მტერსა ვინ თანა ხედვი- და, შეწყალებადვე ჯერ-იყო! არა უწყია, რამეთუ ესე არს გრძელთა მათ ლოცვათა ჩუენტა ნაყოფი და ესე არს მკვდრი, ესე არს ნემტი ნათესავობისად და ესე არს კუერთხი სიბერისა ჩუენისად? და უკუე- თუ ამისი დაკლვად გეგულების, მაშა მე მომკალ პირველ მისსა, და, ვითარცა გნებავს, დამჭარ და დამწვ ცეცხლითა, და ესრეთ ზოგადი იყავნ დაფლვად ჩუენი და ზოგადი საფლავი ჩუენი, და ერთსა ძეგლსა ზედა დაიწერენ განსაკრთომელი ესე კაცის-კლვად. და ნუმცა უხი- ლავს თუალთა სარრადსთა აბრაჰამ შვილის მკლველად და ნუცა ისაკი ჯელთა მიერ მამისათა მოკლულად!

ესემცა და ამისსა უმრავლესნი სიტყუანი ეთქუნეს სარრას უკუ- ეთუმცა ეცნა მას ყოფადი იგი განსაცდელი. (53rA)

არამედ, რადთა არარად იქმნეს დამაბრკოლებელ ჯელ-ყოფისა მის, შემად კარაულსა აჰკიდა და რაოდენნიმე მონათაგანნი თანა-წარი- ყვანნა და საღმრთოდსა ნებისა აღსრულებად მისწრაფდა და (277rB) მერმე დაუტევნა მონანი იგი, რადთა არა ექმნენ წინააღმდგომ მონებრივითა გულისსიტყვთა დაკლვისა მისთჳს ისაკისა.

და უკუეთუ ვის ენებოს, კმა არს საქმე ესე უწყებად ჰასაკსა ყრმისასა, რამეთუ უბრძანა მოკდად კარაულისად და აღტვრთვად ყრმისად. და ესრეთ ტვრთი იგი კარაულისად დასდვეს ბეჭთა ზედა ისაკისთა, რამეთუ უკუეთუმცა არა იყო განმტკიცებულ ჰა-

საკითა, ვითარმცა იტვრთა ტვრთი იგი კარაულისად?

ხოლო კუალად მოსწყლავს ნაწლევთა მამისათა ჯმად იგი ისა- კისი, რომელი-იგი არარადთ უმოლხინეს იყო ზემოთქუმულთა მათ განსაცდელთა, რამეთუ ჯმა-უყო ტკბილითა მით ჯმითა და ჰრქუა, ვითარმედ: „მამაო!“

ხოლო იგი არა დაიქსნა, არცა შეისუარა ცრემლთა მიერ, და არცა მოიგონა, ვითარმედ: მცირედ უკუანადსკნელ არღარა მესმეს

ესევეთარი ესე ვმად. არცა აღუტევა ტირილი, არცა გოდებად, არცა სულთქუმად და ტკივილი, არამედ მტკიცითა სულითა და მიუდრეკელითა გონებითა ყრმისაცა სიტყუად მიითულა და პასუხიცა მიუგო და ჰრქუა მას, ვითარმედ: „რად არს, შვილო“?

ამას ადგილსა გულისწმა-ყავ ყრმისა მის გონიერი და გულის წმის-მყოფელი სული, და თუ ვითარ ცსენებად მოიყვანებს მშობელსა თვს-სა, რეცა სახითა კითხვისადათა, ვითარმცა დაჰვიწყებოდა შეწირვად იგი მსხუერპლისადა, და არცა დავიწყებასა, არცა შესულებასა აყუედრებს მას, არამედ, ვითარმცა თვთ ენება ცნობის, ესრეთ განკრძა-ლულად მოაქსენებს მას თანაწარსრულსა მას მისდა შესაწირავსა და იტყვს, ვითარმედ: „აჰა ესერა შეშად და ცეცხლი და მახული; სადა არს ცხოვარი იგი მსხუერპლისადა?“

ხოლო მან, გინა თუ ვითარცა წინადაწარმეტყუელმან ყოფადი იგი იხილა, გინა თუ ვითარცა მეგობარმან ღმრთისამან, სასოებითა ღმრთისადათა განმტკიცებულმან, ესრეთ განაძლიერა ყრმად იგი და ჰრქუა მას, ვითარმედ: „ღმერთმან იხილოს ცხოვარი მსხუერპლისადა, შვილო“.

და ესრეთ, უმეტეს და უმეტეს განცდად იგი მამათმთავრისადა განძნდებოდა, ვიდრემდის მიიწია ჩუენებულსა მას ადგილსა და აღა-შენა მას ზედა სა კურთხეველი. ხოლო ისაკ მოუმზადებდა ნივთსა მას შენებისასა მამასა თვსსა და აღაგზნებდა ცეცხლსა.

და ესრეთ მოემზადა ყოველი. ხოლო საქმისა მის დახრწევად არღა ექმნა, ვიდრემდის უპყრა ყრმასა მას ჯელითა თვსითა აბრაჰამ და ვერ ძალ-ედვა ბუნებასა ცილობად გინა დახრწევად საქმისადა მის. ხოლო მისცა ისაკ თავი თვსი მშობელსა თვსსა და მიერჩდა მას, რადათა, ვითარცა ინებოს, იჯუმოს იგი.

და რომლისათვს ორთაგანისა უფროდს მიკვრდეს, – რომელმან-

იგი ღმრთისა სიყუარულისათვს ჯელ-ყო დაკლვად შვილისა თვსისადა, ანუ თუ მისი, რომელი-იგი ვიდრე სიკუდიდმდე მორჩილ ექმნა მამასა

თვსსა! რომელნი-იგი ურთიერთას უკლებოდეს, რამეთუ ერთი იგი ბუნებასა ერეოდა, ხოლო მეორესა მას უძვრეს სიკუდილისა შეერაცხა, უკუეთუ მშობელსა თვსსა წინა-აღუდგეს. ვინაჲცა შეკრა ყრმა იგი უწყალოდ მამამან მისმან.

მრავალგზის (vB) მიხილავს გამოხატვით დაკლვად იგი ისაკისი, და არაოდეს თანა-წარსრულ ვარ უცრემლოდ, რამეთუ განცხადებულად საანჯმნო ჰყოფს საქმისა მის ძალსა ჯელოვნებად იგი, რამეთუ მდებარე არს ისაკ საკურთხეველსა ზედა უკულმართ შეკრული, ვითარცა კრავი, მუჯლთა თვსთა ზედა, ხოლო მამად მისი მუჯლთა ზედა მოდრეკილ არს ზურგსა მისსა ზედა. და მარცხენითა ჯელითა უპყრიეს თმად თავისა მისისაჲ და პირი მისი მიუქცევიეს მის კერძო. ხოლო იგი საწყალობელად მიხედავს პირსა მამისა თვსისასა, და იგი დადრეკილ არს ახოვნებით ყრმისა მის ზედა და მარჯუენე თვსი აღუჭურავს მახვლითა და განმზადებულ არს დაკლვად, და კნინლა და შეახებს ჯორცთა ყრმისათა წუერსა მას მახვლისასა, და მაშინლა იქმნების ღმრთისა მიერ მისდა მიმართ ჯმად, და დააყენებს საქმესა მას.

აჰა ესერა ძნიად სადამე მოვიქეცით კუალად გზასა სიტყვსა ჩუენისასა, რამეთუ, მსგავსად კიცვსა ურჩისა, გზისაგან განვედით, და გაკეთა შინა და ველთა ვარბიეთ და ძნიად შეუძლეთ დაპყრობად ალაგსა სიტყვსა ჩუენისასა. რამეთუ ესე იყო წინამდებარე იგი სიტყუად მოციქულისაჲ, რომლისათვს ვიტყოდეთ, ვითარცა-იგი მისგან ვისწავეთ, ვითარმედ სწორ არიან მამად და ძე, და არა არს მათ შორის განწვალეზად. ხოლო აქა ანგელოზად უწოდა სიტყუასა ღმრთისასა საღმრთომან წერილმან და თქუა, ვითარმედ: ჯმა-უყო მას ანგელოზმან ღმრთისამან და ჰრქუა: „ამის წილ, რამეთუ ჰყავ სიტყუად ესე, და არა ჰრიდე ძესა შენსა საყუარელსა ჩემთვს, თავსა ჩემსა ვფუცავ, რამეთუ ვყო ყოველივე, რომელი-იგი აღუთქუა მას სიტყუამან“.

(vA) ვინ არს უკუე, რომელი ეჩუენა აბრაჰამს, მამად-ძე-ა? გარნა

ვინ იტყვს ანგელოზად ვისდამე მამასა, არამედ მხოლოდმოზილი

მე ღმრთისად [არს], რომლისათვის იტყვს წინაწარმეტყუელი, ვითარმედ და ჰრქვან მას სახელი დიდისა ზრახვისა ანგელოზი.

და ამისა არა უმეცარ არს პავლე, რომელმან-იგი სამოთხეს ისწავნა გამოუთქუმელნი, ვითარმედ: მისა მიერ იქმნა ფიცითი იგი აღუთქუამდ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „აბრაჰამს აღუთქუა ღმერთმან“ (ესე იგი არს მხოლოდმოზილი სიტყუად ღმრთისად და ღმერთი), ვითარმედ: „ვინადთგან არავინ აქუნდა უფროდსი, რომლისამცა მიმართ ფუცა, ფუცა თავისა მიმართ თვისისა“. და ვითარ იტყვან ესენი მამასა უფროდს მისა, ვინადთგან პავლე იტყვს მისათვის, ვითარმედ: „არავინ აქუნდა უფროდსი, რომლისამცა მიმართ ფუცა“!

ამიერითგან უკუე მოვედით და აღვიყვანოთ სიტყუად ჩუენი ახლისა მის მიმართ სახარებისა ღვინისა, რადთა სწავლისა მიერ ჩუენცა შევიწყნაროთ მდულარებად სულისა წმიდისად, და ვიქმნეთ მომზავებელ საუნჯე ესევითარისა მის ღვინისა, რადთა არცა ჩუენ განვიხეთქებოდით და არცა დაფარულსა მას ჩუენ შორის მადლსა დავსთხევდეთ.

ხოლო, ვითარ ვჰგონებ, სიტყუად იგი ფსალმუნთად ჟამისა ამის ბოროტთა, წინადაწარმეტყუელებით მოასწავებს და იტყვს, ვითარმედ: „უცხო იქმნეს ცოდვილნი საშოდთგან და შესცთეს მუცლითგან“. ღმრთისა მიერ შობილისა საშოდ ეკლესიასა იტყვს, რამეთუ ესე არს, რომელი მუცლად-იღებს თვისსა საშოსა ჩჩვლსა მას, მის მიერ აღორძინებადსა სარწმუნოებისა მიერ. არამედ ცოდვილნი მსგავსად მორყუნილთადასა უცხო (278r) იქმნეს საშოდსაგან და მუცლისაგან ჭემმარიტებისა შესცთეს. და აჰა ესერა არა ვხედავ წიაღთა შინა დედისათა განდგომილთა მათ სარწმუნოებისაგან. და ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ: ამათთვის მოასწავებს წინადაწარმეტყუელებად იგი ფსალმუნთად, რომელნი-ესე საცთურისა მიერ შეცთომილ არიან. ხოლო საშოდთგან შეცთომად ამას მოასწავებს, ვითარმედ შესცთეს

სიტყუათაგან ჭეშმარიტებისათა და იტყოდეს სიცრუვესა. და რამეთუ გულისწყრომად მათი მსგავს არს გუელისასა (ხოლო ესე სიტყუად არა თუ ლიტონად გუელსა მოასწავებს, არამედ გუელსა მას იტყვს დასაბამსა ბოროტთასა).

გარნა ჩუენ არა გუაქუს აწ მოცალეზად იგავითა გუელისადთა მხილვად წარმდებთა მათ და უაღჯროთა პირთა და მგმობართა სულისა წმიდისათა, რომელნი-იგი ჰგონებენ თუ ძალი რამდე აქუს გმობასა მათსა, რომელსა-იგი სულისა წმიდისათვს წარჰრევენ, რამეთუ იტყვან, ვითარმედ სული წმიდად ღმრთად წერილთა შინა არასადა წოდებულ არს, და ვითარმედ არა არს იგი ბუნებისაგან მამისა და ძისა, და ვითარმედ ნუუკუე და ბუნებასა შეეწამოს მოსწავებად მისი, ხოლო სახელსა – არასადა, რომელ არს ღმრთეებად.

ვინაძცა ბოროტთა მათ გმობისა მათისა შემწამებელად მიიღედ გუელი. რამეთუ ჩუენ ესევითართა მათ გარე-მივაქცევთ და შევაჩუენებთ და ესრეთ ვიტყვთ, ვითარმედ საღმრთოდსა ბუნებისა განცხადებული სახელი არა იპოვების, არამედ რაოდენიცა რად ითქუმის გინათუ კაცობრივისა ჩუეულებისა მიერ, ანუ თუ საღმრთოთა წერილთა მომასწავებელად და სახისმეტყუელეზად მისა გამოისახვის, ხოლო თვთ თავადი იგი საღმრთოდ ბუნებად ყოველთავე სახელთა და გამოთქუმათა უმაღლეს დამტკიცებულ არს, და ვჰგონებ თუ არა უჯერო არს ზრახვასა მას გუელისასა, რომლითა ეზრახა ევას, ჟამსა ამას წარმოთქუმად, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ ღმრთეებისა სახელსა მხედველობისა ძალი აქუს მომასწავებელად, და რაჟამს-იგი მცნებულისა მის ჭამასა განაზრახებდა, ურჩებისა შესაძინელად ესე აღუთქუა, ვითარმედ: „აღგეხილნენ თუალნი თქუენნი და იყვნეთ თქუენ ვითარცა ღმერთნი.“

ხედავა, რამეთუ მხედველობისა ძალი წამა მსგავსებად ღმრთეებისა, არა თუ რად-იგი არს? ვინაძცა არა თუ ბუნებასა მოასწავებს ღმრთეებისა სახელი, არამედ მხედველობისა ძალ-

სა. გარნა თუ მხედველობისაგა ძალსა დააკლებენ სულსა წმიდასა, დაკლებულნი იგი ყოველთა კეთილთაგან, რომელსა მამადცა მათი ეშმაკი აღიარებს, და მხედველობასა წამებს ღმრთეებისათვის!

ხოლო უკუეთუ არა უწყიან, დადაცათუ ნამეტნავ არს ცხადთა საქმეთათვის მრავლისმეტყუელებად, გარნა თავს-ვიდვათ ესე მათთვის, რომელთა-იგი სიწრფოებით არა უწყიან ამის პირისათვის.

რად იყო პარვად იგი ანანიადსი? ანუ რადსათვის დაისაჯა ესრეთ სასტიკად? ანუ ვითარ ცნა პეტრე პარვად იგი, რომელი ჰპარა თავსა

თვსსა ფარულად, მეუღლისა თვისისა თანა? ანუ არა სული წმიდად იყო, რომელმან პეტრეს გამოუცხადა და ანანიადს პარვად იგი იხილა? ამისთვისცა ჰრქუა მას პეტრე, ვითარმედ: „რადსათვის აღავსო სატანა გული შენი ცრუებად სულსა წმიდასა? არა ეცრუვე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა“.

და ვითარცა-იგი უკუეთუ ვინმე იტყოდის, ვითარმედ: რომელმან პირმეტყუელსა აგინოს, კაცსა აგინებს, არა ორთა მიმართ განჰყოფს გინებასა მას, არამედ ერთსა პირსა მოასწავებს, თითოსა-ხეთა ნივთთა მიერ საცნაურ-ქმნილსა. ეგრეთვე პეტრე სულსა წმიდასა, (54rA) და სულად, და ღმრთად უწოდა, ანანიადს მიერ ცრუებულად. და ორივე იგი ერთ არს ღმრთისმსახურთა წინაშე, და ერთსა პირსა მოასწავებს, რომელ არს ღმრთეებად სულისა წმიდისად, რომლისა მადლითა ღირსმცა ქმნილ ვართ ჩუენცა ხილვად უხილავთა მათ და დაფარულთა სიღრმეთა ჭემმარიტებისათა, და ზიარებასა ღმრთეებისასა და მართლმადიდებლობით დიდებასა ყოვლადწმიდისა სამებისასა, რომელი-იგი სამგუამოვნებით და ერთარსებით იდიდების, ესე იგი არს მამად და ძე და სული წმიდად, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე და ძალი და მეუფებად აწ და მარადის და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა, უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

წმიდისა მამისა ჩუენისა

გრიგოლი ნოსელისაჲ

ძიებაჲ სულისათჳს

თჳსისა დისა მაკრინაჲს თანა

ვინაჲთგან უკუე კაცობრივისა ცხორებისაგან ღმრთისა მიმართ მიიცვალა დიდი წმიდათა შორის ბასილი, და ექმნა ყოველთა ეკლესიათა მიზეზ გლოვისა, და წუთლა საწუთროსა ამას შინა იყო დაჲ ჩუენი და მოძღუარი მაკრინა, მე უკუე მოსწრაფე ვიყავ, რაჲთა ვეზიარო მას განსაცდელისათჳს ძმისა მისისა. და ელმოდა სულსა ჩემსა და ტკივნეულ იყო ესევეითარისა მისთჳს დაჭირვებისა, და ვეძიებდ ვისმე ზიარსა ცრემლთა ჩემთასა, (17vB) რომელსამცა აქუნდა სწორი ჭუვილი მწუხარებისაჲ.

და ვითარცა მივედ დისა ჩემისა და ვიხილენით (90rD) ურთიერთას, ვითარცა ვთქუ, და რამეთუ იგიცა სასიკუდინოჲთა სენითა შეპყრობილ იყო, აღვიძარ მწუხარებითა, თუალთა წინაშე მოძღურისათა, და ვილტობვოდე ცრემლითა.

ხოლო მან, კელოვანთა მათებრ კიცუთა მწურთელთა, მცირედ მიმიშუა მიყოლად სიმძაფრესა მას ვნებისასა, და ამისსა შემდგომად იწყო სიტყუათა მიერ თჳსთა, ვითარცა აღჴრთა, აღჴრ-სხმად ჩემდა და განმართებად უწესოებისა სულისასა, და სიტყუათა მათ სამოციქულოთა წარმოაჩინებდა, ვითარმედ არა ჯერ-არს გლოვაჲ და წუხილი

შესუენებულთათჳს, და ვითარმედ ესე ვნებაჲ მათი ოდენ არს, რომელთა არა აქუნდეს სასოებაჲ აღდგომისაჲ.

ხოლო მე ვარქუ მას, რამეთუ წუთლა ეტყინებოდა გული ჩემი მწუხარებითა, ვითარმედ: და ვითარ ეგების კაცთა შორის ამისი წარმართებაჲ ვინაჲთგან თითოეულსა ბუნებით აქუს სიკუდილისა

მაგებად და სიძულილი, და ვერცა ვინ ადვილად ხილვასა თავს-იდებს მკუდართასა, (vD) და რომელთა მიჰმართოს სიკუდილმან, რაოდენ-ცა ძალ-ედვას, ივლტიან მისგან. და შჯულთა შინა უკუანამსკნელად უსამართლობად და უკუანამსკნელად სატანჯველად ესე განწესებულ არს. და რამცა იყო ღონე, რამთამცა დაკლებად ცხორებისაგან არარადმცა ვის შეერაცხა, არა ხოლო თუ თვსთა და საყუარელთად ოდენ, არამედ უცხოთამცა. და აჰა ესერა ვხედავთ, რამეთუ ყოველივე (32rA) მოსწრაფებად კაცთად ესე არს, რამთა ცხო(61rC)რებასა ამას შინა ვეგნეთ. ამისთვისცა სახლნი მოპოვნებულ არიან, რამთა სიცხისაგან და სიცივისა სცვიდენ ჯორცთა ჩუნთა და იპყრობდენ. და ქუეყანისმოქმედებად და მუშაკობად სხუასა რას მოასწავებენ, გარნა ცხორებისა ჩუნისა განმზადებასა? და ზრუნვად ცხორებისათვის უეჭუელად შიშისათვის (91rD) სიკუდილისა იქმნების. და სამკურნალოდ ჯელოვნებად სხვსა რამსათვის პატივცემულ არს კაცთა შორის; ანუ არა ამისთვისა, რამეთუ რეცა ებრძვის და წინა-აღუდგების სიკუდილისა? და ჯაჭუნი და თორნენი და პირად-პირადნი იგი საჭურველნი და ზღუდენი და ბჭენი რკინისანი და საყოფელთა შეკრძალვანი რამსათვის იქმნებიან სხვსა, გარნა შიშისათვის სი კუდილისა? და ვინადთგან ბუნებით ესრეთ საშიშ არს სიკუდილი, ვითარ ვინ თავს-იდვას შეუწუხებელად სიკუდილი საყუარელისა თვისისად, და აღასრულოს მცნებად მოციქულისად!

და მოძღუარმან მომიგო, ვითარმედ: და რომელი საქმე გიჩნს სიკუდილისად შემაწუხებელად? რამეთუ არა კმა არს შემასმენელად გარეშეთა ჩუეულებად.

და მე ვარქუ მას, ვითარმედ: და რომელი საქმე არს მის თანა არა-შემაწუხებელი; რაჟამს ვიხილოთ კაი, ცხოველი და მეტყუელი, მყისსა შინა უკმოდ და უსულოდ და უძრავად და ყოველთა ბუნებითა საცნობელთაგან დაშრეტილად: სახედველთა და (18rB) სასმენელთა და სხუათა ყოველთავე, რომელთაგან გრძნობად იქმნების, რომელსა,

გინა თუ ცეცხლი ვინ მიაახლოს გინა მახვლი, ანუ თუ განჭრნეს ჯორცნი მისნი, ანუ თუ მკეტთა საჭმლად მისცნეს, ანუ თუ მიწასა შინა დაფაროს – ყოველივე სწორებით შეურაცხიეს. და ესე რად ესრეთ იხილვებოდის, ხოლო ცხოველობისა მიზეზი რადცა-იგი არს, მყისსა შინა წარვიდის და უჩინო-იქმნის და ვითარცა სანთელი დაშრტის და სრულიად განქარდის, ესევითარისა ამის შეცვალებისა შეუწუხებელად ვითარ ეგების თავს-დებად, რაჟამს განცხადებული რადმე სახე არა განამტკიცებდეს გონებასა? რამეთუ, განსლვად რად სულისად (vC) გუესმას, უსულოსა მას გუამსა ვხედავთ, ხოლო განსრულსა მას სულსა უმეცარ ვართ, თვთ მას და ბუნებასა მისსა, და თუ ვიდრე-ვიდა, გინა რად იქმნა. და არცა ქუეყანასა შინა იხილვების ძალი იგი ჯორცთაგან განსრული, არცა ჰაერსა, არცა წყალსა, არცა სხუასა რასმე შინა ნივთთაგანსა. ხოლო იგი რად განვიდის, დაშთომილი იგი მკუდარ არნ უსულო, და განსახრწნელად განმზადებულ.

და ესე რად წარმოვთქუ, დამადუმა მოძღუარმან ჯელითა და მრქუა, ვითარმედ: ესევითარი შიში ნურარად შეაშფოთებ გონებასა შენსა, ნუცა შეაურვებნ, ვითარმცა არა მარადის იყო სული, არამედ ჯორცთა განყოფასამცა თანა დადუმნებოდა.

ხოლო მე ვინადთგან წუთლა ვნებისა მისგან არლა მოგებულ ვიყავ თავსა თვსსა, ურიდად-რე მიუგებდ და არა განკრძალულად, რამეთუ ვარქუ, ვითარმედ: მძლავრთა ბრძანებათა ჰგვანან საღმრთონი ჯმანი, რომელთა მიერ უნებლიეთ ვიიძულებით რწმუნებად, ვითარმედ სამარადისოდ ჰგიეს სული, ხოლო ბრძანებულსა მას გამოცხადებით არა გუაუწყებენ, და სული ჩუენი, მსგავსად მონისა, ბრძანებულისა მის შინაგანითა შიშითა თანა-წამებად მიიზიდ(vA)ვის თქუმულთა ამათ არა ნებსით, ვინადცა უმძიმესი წუხილი შემოვალს ჩუენდა მიცვალებულთათვს, ვინადთგან გამოწულილვით არა უწყით, გინა თუ ჰგიეს თავით თვსით ცხოველობისა იგი მიზეზი, გინა თუ არა. რამეთუ ორკერძოვე სწორსა იჭუსა მოგუცემს ჩუენ ჭემმარტისა

უცნაურებად, და მრავალთა ჰგონიეს ესე, და მრავალთა – იგი. და წარმართთა შორის უმრავლესთა ფილოსოფოსთა ესე განაჩინეს და დაამტკიცეს.

და მოძღუარმან მრქუა მე: მიუშუ მეზღაპრეთა მათ და ცოფთა, რომელთა შორის მომპოვნებელმან მან ტყუილისამან სავნებელად ჭეშმარიტებისა სივერაგით ცთომილნი გულისსიტყუანი დასთესნა. ხოლო შენ ესე განიცადე, რამეთუ ესევითართა იჭუთა ქონებად სულისათვს სხუად არარად არს, არამედ სათნოებათა სიძულილი და საწუთროთა გემოთა სიყუარული და საუკუნოდსა ცხორებისა უსასოებად, რომლისათვს-იგი სათნოებანი იქმნებიან (vB); (62rC)

და მე ვარქუ, ვითარმედ: და ვითარ იქმნას ჩუენ შორის მტკიცე რადმე და უცვალებელი სიმტკიცე საქმისად ამის, ვითარმედ ჰგიეს სული? რამეთუ ვხედავ კაცთა ცხორებასა და კნინლა და უაღრესი იგი ყოველთა კეთილთად, რომელ არს სათნოებად, წარუწყმედიეს, უკუეთუ უცილობელითა რადმე დარწმუნებითა არა სარწმუნო იქმნეს საქმე ესე. რამეთუ, ვითარ წარემართოს სათნოებად საქმისათვს, რომელი საწუთროსა ამას ცხორებასა თანა დასრულდებოდის, და უმეტესი რადმე სასოებად შემდგომად ამისსა არა დაშთებოდის?

და მოძღუარმან მრქუა მე, ვითარმედ: ძიებად ჯერ-არს ამის პირისათვს, და რადთა სიტყუად ჯეროვანი ვყოთ დასაბამად ძიებისა ამის. და უკუეთუ გნებავს, შენ წინა-გვყოფდი საძიებელსა სიტყუასა, რამეთუ, ვითარ ვხედავ, შენ მიერ იქმნა დაწყებად ამათ ძიებათად. და ესრეთ, შემდგომად კითხვისა და მიგებისა გამოცხადნეს ჭეშმარიტებად.

და ვინადთგან ესე გვბრძანა, ჯმნულ-ყო თავი თვისი, რადთა არა საგონებელ იქმნეს, ვითარმედ ჭეშმარიტებით ვიცილობვით, არამედ რადთა დამტკიცნეს სიტყუად სულისად ურთიერთას წინა-აღდგომითა, უკუდავებისათვს სულისა.

და მე ვთქუ, ვითარმედ: ესრეთ იტყვს წინააღმდგომთა სიტყუად, ვითარმედ: ვინადთგან ჯორცნი აგებულნია, უეჭუელად რომელთა მიერ აღეგნეს, მათდავე მიმართ განიბნევიან, და-რად-იქსნენ, რაჟამს-იგი

ბუნებამან ნივთთამან თითოეული ნივთი თავისა მიმართ თვისისა მიიზიდის: მჭურვალემან მჭურვალე და მიწამან მიწად, და სხუათა მათ ნივთთა – თვისნი იგი და მიმსგავსებულნი მათნი ნივთნი. აწ უკუე, ესე რად ესრეთ იქმნეს, სადა დავაწესოთ სული? რამეთუ, უკუეთუ – ნივთთა

თანა, ვინ თქუას ყოფად მისი, თვისებასა მისცემს მათ თანა, რამეთუ უცხოდ უცხოთა არა შეეზავების. და უკუეთუ ესე ესრეთ იქმნეს იძულებით, მრავალსახედ საგონებელ იქმნეს იგი და შეზავებულ წინააღმდეგომთა ნივთთაგან. და მრავალსახედ მარტივ არა არს, არამედ აგებულ. და ყოველივე აგებული დაჯსნადი არს, ხოლო დაჯსნად – ხრწნილებად არს აგებულისად, და განხრწნადი უკუდავ არა არს. თუ არა, ჯორცნიცა სამე უკუდავ იწოდნენ, ვინაითგან, რომელთაგან აგებულ (vC) არს, და მათვე ნივთთა მიმართ განიზნევიან. ხოლო უკუეთუ სხუაგან სამე არს და არა ამათ შინა, სადა უკუე არს? ვინაითგან ნივ(33rA)თთა თანა შეუმსგავსებელ არს ყოფად მისი, არა მათგან შემზადებისათვის, და სხუად არარად არს სოფელსა შინა ბუნებითა მისითა, რადთამცა მას შეეყო ზიარებისათვის ბუნებისა მისისა. ხოლო რომელი არასადა არს, განაღა არცა იყოს ყოვლადვე.

ხოლო მოძღუარმან სიტყუათა ამათ ზედა ნელიად სულთ-ითქუნა და თქუა, ვითარმედ: ნუუკუე ამათ და ესევითართა სიტყუათა ეტყოდეს მოციქულსა ეპიკურელნი იგი და სტოდსა ფილოსოფოსნი, რომელნი ათინას შინა გარე-მოადგეს მას. და რამეთუ მესმის, ვითარმედ უფროდ სხუათადსა ესე ცთომად ეპიკურო შეიწყნარა, და არსთა ბუნებასა (19rB) და აგებულებასა თავით თვისით აგებულად იტყოდა და არცა ერთსა განგებულებასა გინა ძალსა, მპყრობელსა არსთასა, გულისწმა-ჰყოფდა. ვინაიცა კაცობრისა ცხორებასა წყალთა პერულსა ამსგავსებდა და ჯორცთა ჩუენთა გებასა ესრეთ იტყოდა, ვითარცა იქმნებიან ბუმტნი იგი წუეთთა და წვმათანი, ქართა რადთმე აღბერით, და მეყსეულად დაშრტებიან და უჩინო იქმნებიან. ეგრეთვე იგი სულსა და ჯორცთა ზოგადსა დაშრეტასა მიაჩემებდა, რამეთუ

არსთა ბუნებისა საზღვარად ხილვად მათი შეერაცხა და საზომად ყოველთა მიწთომისა საცნობელნი თვსნი განეწესნეს, რამეთუ თუალნი სულისანი სრულიად დაიწუხნა, და უხილავთა და უჯორცოთაგანსა ვერარას შემძლებელ იყო განცდად ყოვლადვე, ვითარცა სახლსა შინა შეწყუდეული ზეცისა საკვრველებათა ხილვისაგან უცხო არს, ვინადთგან კედელნი და სართული გარე-შეიცვენ მას და ზეცად ახილვად არა შეუნდობენ. და რამეთუ ჭეშმარიტად ხილულნი ყოველნი კედელ და

სართულ ექმნებიან უგუნურთა, რომელნი თვსისა სულმოკლებისაგან მათ შინა შეიწყუდევიან და უხილავთა ხილვისაგან თავთა თვსთა გამოაჭუებენ. და ესევეთარი იგი სხუასა ვერარას განიცდის, გარნა ქუეყანასა და წყალსა და ჰაერსა და ცეცხლსა. ხოლო თუ სადადთ არს თითოეული ამათი, ანუ ვის მიერ დაბადებულ და განგე(63rC)-ბულ, უგუნურებით ვერ აგრძნობს. და უკუეთუ სამოსელი ვინმე იხილოს, მქსოველსა მისსა მოიგონებს, და ნავისა მიერ ნავისმოქმედსა გულისწმა-ჰყოფს, და ნაშენებისა მიერ მაშენებელსა მისსა გამოჰსახავს. ხოლო რომელნი სოფელსა ამას განიცდიდენ სიბრმისათვს გულისათვის მათისა, სოფლისა დამბადებელსა და შემოქმედსა ყოველთასა ვერ მიხედვენ. ვინადცა ესევეთართა სიბრმისა სიტყუათა სიცოფითა სავსეთა წარჰრევენ და სულისა განქარვებასა დაამტკიცებენ და იტყვან, ვითარმედ – გუამი ნივთთაგან და ნივთნი ჯორცთაგან, ხოლო სული არცა თავით თვსით რად არსო, არცა ნივთთაგან, არცა ნივთთა შინა. რამეთუ, ვინადთგან არა ნივთთა თანა აგებულ არს სული, და ამისთვს ჰგონებენ მაცილობელნი იგი არა-არსებასა სულისასა. ეგევეთართა მათ ჯორცთაცა ცხორებასა უსულოდ სამე სახელ-სდვან, რამეთუ ჯორცნი სხუად არად არიან, არამედ შეზავებად ნივთთად!

აწ უკუე ნუცა მათ შორის იტყვან სულსა, რომელი-იგი თავით თვსით ცხოველ-ჰყოფს ჯორცთა. და უკუეთუ ესე ესრეთ არს, უსულოდ სამე შეურაცხია მათ ცხორებად ჩუენი. ხოლო უკუეთუ აწ ჯორცთა შინა ყოფასა სულისასა არა უვარ-ჰყოფენ, ვითარ ნივთთა

რად მიმართ განეთესოს გუამი, უჩინო-ყოფასა მისსა ჰგომობენ? და მერმე კუალად თავა(vA)დისა მისცა საღმრთოდსა ბუნებისათჳს სამე იკადრონ ესევითართავე სიტყუათა თქუმად, რამეთუ თქუან სამე უხილავისა მისთვის და საცნაურისა და სამარადისოდსა ბუნებისა, ვითარმედ: და ვითარ ეგების წყალსა და ჰაერსა და მჭურვალესა და მტკიცესა ნივთთა თანა შეყოფილი მპყრობელად გინა განმგებელად არსთა, რომელსა-იგი არცა თვსებად აქუს მათი, რომელთა-იგი შინა იხილვების. არცა რამეთუ სხუად არს ბუნებითა, შეუძლებელ არს მათ შორისცა ყოფად. აწ უკუე, გომობისაებრ მათისა, სრულიად სამე უვარ-ყონ ღმერთი, რომლისა მიერ ჰგიეს არსებად დაბადებულთად, და ყოველთა შინა იხილვების და ყოველნივე მის მიერ განეგებიან!

ხოლო მე ვარქუ მას, ვითარმედ: და ვითარ ვინ არწმუნოს და დააჯეროს წინააღმდგომთა, ვითარმედ ღმრთისა მიერ არს ყოველივე, და იგი იპყრობს (vC) არსთა? გინათუ, რამეთუ არსთა ბუნებისა უზემთაეს აღმატებულ არს ღმრთეებად?

და მან თქუა, ვითარმედ: დუმილი ჯერ-იყო ესევითართა სიტყუათათჳს და ცოფთა და უღმრთოთა ცილობათა არცა თუ პასუხისა ჯერ-იყო განცემად, ვინადთგან საღმრთოდცა სიტყუად გუეწამების ამის პირისათჳს და იტყვს ვითარმედ: „ნუ მიუგებ უგუნურსა უგუნურები-საებრ მისისა“, და რამეთუ ჭემმარიტად უგუნურ არს და ცოფ, სიტყვსაებრ წინააღმარმეტყუელისა, რომელმან თქუას, ვითარმედ: „არა არს ღმერთი“. ხოლო ვინადთგან ჯერ-არს ამისიცა თქუმად, გრქუა შენ: არცა ჩემი სიტყუად, არცა სხვსა კაცისად, რამეთუ რაოდენცა ვრცელ იყვნენ, მცირე არიან ესე და უნდო. არამედ, რომელსა-იგი არსებად დაბადებულთად საკვრველებათა მათთა მიერ დადადებს, რომელთა მსმენელ სახედველნი იქმნებიან და სიტყვსა მის ყოვლადძლიერისა სიბრძნესა საცნაურ ჰყოფენ. და რამეთუ ჭემმარიტად დადადებენ დაბადებულნი დიდებასა და მბადადებელისასა დუმილით,

უმაღლეს ყოვლისა საყვრისა, ვითარცა იტყვს წინადაწარმეტყუელი, ვითარმედ: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა“. რამეთუ, ვინ-მცა ხედვიდა ცისა და ქუეყანისა საკვრველებათა შეწყობილებასა, და თუ ვითარ ნივთნი იგი, ბუნებით წინააღმდგომნი, გამოუთქუმელითა რადთმე შეზავებითა და შეერთებითა საღმრთოდა ძალისა მიერ იპყრობენ სოფლისა ამის აგებულებასა, და არცა შეურევნელნი იგი და შეუზავებელნი განთვსებითა აგებულებისადათა განიყოფვიან ურთიერთას, და არცა, შეიზავნენ რად, ურთიერთას წინა-აღდგომითა აგებულებისა და სიპოხისადათა განიხრწნებიან. არამედ, რომელთა-იგი ბუნებად ზე-აღმაველ არს, ქუეყანად გარდამოვლენ [მზი]სა მიერ და ეთერისა ცეცხლისა, და კუალად, მძიმენი იგი ნივთნი, რომელ არს წყალი და ქვეყანად, ორთქლად დაწულილებულნი, ზე-აღმაველ იქმნებიან ჰაერთა მიერ, ქართა ზედა აღმკვედრებულნი. და არცა ქუეყანად ზეცისათაგან უცხო არს და არცა ზესკნელნი ქუეყანისათაგან. ეგრეთვე, რაჟამს წვმანი ქუეყანად გარდამოვლენ, რომელთა-იგი ბუნებად ერთ არს, ბევრეულსა (64rC) შობენ მცენარეთა განყოფილებასა, და თითო-

ეულსა თვსისაებრ წესისა აღჰზრდიან, და მსწრაფლი ესე მოქცევად ცისად და მის თანა მოქცევად სამკაულთა. მათ თვსთად, და შინაგან სამყაროდასა, წინაუკუმოდ ესე სლვად მნათობთად და წესიერი ესე დგომად და მიმოქცევად ვარსკულავთად. აწ უკუე, რომელი ამას ყოველსა განიცდიდეს, და სხუათა მათ საკვრველებათა ღმრთისათა, რომელთა სიმრავლე გამოუთქუმელ არს, გონიერთა თუალითა (34rA) სულისადათა მიხედვიდეს, ეკმარადა-მცა ეგვეითარსა მას სხუად რადმე სახე სწავლისად, მაუწყებელად საღმრთოდასა ძლიერებისა, რომელი-იგი სიბრძნით და კელოვნებით გამოჩნდების არსთა შინა, და მისწუთების ყოველსავე, და კერძოსა შეერთებს ყოველსა და ყოველსა სრულ-ჰყოფს კერძოდთა, და ყოველსავე იპყრობს თვსითა ძლიერებითა, რადთა თითოეული თვსსა წესიერებასა შინა ეგოს, და თავსა შორის თვსსა იძრვოდის, და არცა ოდეს ძრვისაგან დასცხრებოდის, და არცა თვსისა

ადგილისაგან სხუად კერძო სამე მიიკვალეზოდის?

ხოლო მე მიუგე, ვითარმედ: და ვითარ ეგების ესე, რადთამცა, ირწმუნა რად, ვითარმედ არს ღმერთი, სულისათვისმცა ირწმუნა, ვითარმედ არს სული კაცობრივი? რამეთუ არა თუ ერთი არს სული და ღმერთი, რადთამცა, ერთი რად აღიარა, ვითარმედ არს, – მეორეცამცა აღიარა.

ხოლო მან მრქუა, ვითარმედ: კაცი ბრძენთა მიერ მეორედ სოფლად წოდებულ არს, და იგივე ნივთნი იხილვებიან მის შორის, რომლითა ყოველი სოფელი სრულ-იქმნების და ვინადთგან ესე ესრეთ არს, არღარა გუეკმარების ჩუენ სხუად შემწე სიტყვსა ჩუენისად. გვსწავიეს უკუე სულისათვის, ვითარმედ არს იგი განთვსებული ბუნებად, შეცვალეზული ჯორცთა სიზრქისაგან და სიმძიმისა, და ვითარცა-იგი მის მიერ საცნობელთა ჩუენთა გონიერ-ვჰყოფთ, და ყოვლისა სოფლისა აგებულეზასა განვიცდით. და კუალად, უვადრეს ხილულთა საქმეთა და გულისჯმის-ყოფათა გულისჯმის-ყოფად წარვემართებით, და გუექმნების ჩუენ იგი თუალ და მასწავლელ და თარ(vC)გმან, ყოვლადძლიერისა მის სიბრძნისა, რომელი ყოველთა შორის იხილვების, და ესრეთ თავით თვსით ყოვლისა-მჰყრობელსა მას ბუნეზასა გუაუწყებს, ეგრეთვე ჩუენიცა ესე სოფელი რად განვიცადოთ, არა მცირეთა მიზეზთა მოვიპოვებთ ხილულთა მათგან უხილავისა მის გულისჯმის-ყოფისათვის, რამეთუ დაფარულ არს იგი თავით თვსით, ვითარცა

უცნაური და უხილავი, და ივლტის ხილულისა განცდისაგან.

და მე ვთქუ, ვითარმედ: ყოველთა აღმატებული იგი სიბრძნე ბუნეზასა შინა არსთასა ბრძენთა ამათ და მრავალჯელოვანთა საქმეთა შეწყობილეზისაგან და შემკობისა, შესამლეზელ არს გულისჯმის-ყოფად, ხოლო სულისა ცნობად ჯორცთა შინა ხილულთა საქმეთაგან და საჩინოთაგან დაფარულისა გამოკულეზად ვერვინ უძლოს.

და ქალწულმან მომიგო, ვითარმედ: სიტყვსა მისებრ ბრძენთა-სა და ფრიადცა კეთილი სახე არს ესე და ქადაგი საქმეთა სულისა-

თად, რომელთა სწადის ცნობად მისი, რამეთუ არს სული უნივთო და უკორცო, და შემსაგავსებულად ბუნებისა თვისისა იძრვის და იქმს, და ორღანოდასა მიერ ჯორცთადასა თვისსა მოძრავობასა წარმოაჩინებს, რამეთუ ორღანოსდასა მსგავსი ესე აგებულებად ჯორცთად არარადთ უნაკლულეს არს სიკუდილისა მიერ მომკუდართადასა, არამედ უძრავ და უქმ არს, უკუეთუ ძალი სულისადა არა იყოს მის შორის. ხოლო იძრვის, რაჟამს აქუნდეს გრძნობად საცნობელთა შინა, გინა თუ გრძნობისა მიერ უხილავი იგი ძალი სულისადა თვისითა მოძრავობითა აღსძრვიდეს თვისისაებრ ნებისა ორღანოსდასა მსგავსთა მათ საცნობელთა.

რად არს უკუე სული? გინა შესაძლებელ არსა ბუნებისა მისისა სიტყვთ გამოსახვად, რადთა გუექმნეს ჩუენ გამოსახვისა მის მიერ საძიებელისა ჩუენისა გულისკმის-ყოფად?

და მოძღუარმან მომიგო, ვითარმედ: სხუათა სხუებრ განაჩინეს მისთვის, და სხუათა – სხუებრ, თითოეულსა ვითარცა ენება. (vA) ხოლო ჩუენ ესრეთ ვიტყვთ მისთვის, ვითარმედ: სული არს არსებადა დაბადებული, არსებადა ცხოველი, უხილავი და გონიერი; ჯორცთა აგე(65rC)ბულებებისა და ორღანოსდასა საცნობელთა მიერ გრძნობისა და სიცხოველისა მიმცემელი, ვიდრემდის სოფელსა ამას შინა ვცხოვნდებოდით.

და ესე რად თქუა, მიჩუენა კელითა მკურნალი, რომელი-იგი კურნებად მისსა მოსრულ იყო, და თქუა, ვითარმედ: მახლობელ არს ჩუენ-და თქუმულთა ამათ მოწამე. და იტყოდა, ვითარმედ: ვითარ სცნობს ესე ძარღუთა მიერ საცნობელითა მით შეხებისადათა და თითთა დასხმითა სენთა და სიმრთელისა სასწაულთა, ვითარმცა ჯმობდა მისსა მიმართ ბუნებადა და თვისთა ვნებათა მიუთხრობდა, ვითარმედ ჭირსა შინა არს,

და ვითარმედ ამის რადსმე ნაწლევისაგან და შინაგანთა გუამისათა მიუღია სენსა მას დასაბამი საღმობისადა, და ვითარმედ ესეოდენსა ჟამსა იქმნების განგრძობად ჯურეებისადა? და კუალად, თუალთა მიერ

ისწავების, დადნობისაგან და განლევისა გუამისა და სახისაგან და ხატისა შინაგანისა საღმრთისა სიმძაფრესა, და ეგრეთვე სიყვთლესა და უფერულესა ჯორცთა და გუარი და წესი თუალთა სხუასა სახესა სენისასა აუწყებს. და კუალად, სასმენელნი კუნესისა მიერ და განჭრისა და სულთქუმისა და აღმოფშვნისა სხუასა გულისჯმის-ყოფასა ასწავებენ. და არცა თუ ყნოსად არს კელოვნისა უქმ, არამედ სული-საგან და ორთქლისა აგრძნობს ნაწლევთა შინა დაფარულსა საღმო-ბასა. აწ უკუე, უკუეთუმცა არა იყო თითოეულსა საცნობელთა ამათ-განსა შინა ძალი რადმე გონიერი, რადმცა გუასწავეს ჩუენ თავით თვსით კელმან გინა თუალმან გინა სასმენელმან გინა საყნოსელმან ანუ თუ სხუამან რომელმანცა საცნობელთაგანმან, რომელთა-იგი თავით თვსით არარად უწყიან? და ვითარცა-იგი ვინმე გარეშეთა სწავლათა სწავლულმან თქუა – ჭემმარიტ არს და უცთომელ, რამეთუ იტყო-და, ვითარმედ: გონებად არს, რომელი ხედავს, და გონებად არს, რომელსა ესმის, და უკუეთუმცა ესე არა ესრეთ იყო, შენ ვითარ იტყვ მზისათვს, ვითარცა ისწავე მოძღურისაგან, ვითარმედ არა ესეოდენ არს, ვითარცა ჩანს მრავალთა წინაშე, არამედ ფრიად უდიდეს ყოვ-ლისა ქუეყანისა. და კუალად, მოკლებისათვს და სავსებისა მთოვარისა და სრულიად დაბნელებისა და უჩინო-ყოფისა. და კუალად, მზისა მიერ განათ(vC)ლებისა მისისათვს, რომელსა-იგი განუცდელად მხედ-ველნი ჰგონებენ, ვითარმედ მთოვარისაგან არს ნათელი იგი. და რამეთუ უმაღლესსა გზასა ვალს მზე და უმდაბლესსა – მთოვარე, და რამეთუ ერთი იგი წელიწადსა შინა ერთგზის წარჰვლის ყოველთა მათ ეტლთა და ნაწილთა ცისათა, ხოლო მეორე იგი – ყოველთა თუეთა. და რადღა საჯმარ არს შეძინებად ქუეყანისზომისა კელოვნე-ბათა, რომელი-იგი საცნობელთა მიერ და საზომისა უვადრეს საცნობელთადასა გუყოფს ჩუენ; და სხუანი ბევრეულნი სახენი ესევითარნი, რომელნი თუალთა მიერ და საცნობელთა მიიღებენ ჩუენ შორის სრულესა უხილავისა მის და გონიერისა არსებისა შეზავე-ბითა, რომელ არს სული. და უკუეთუმცა იგი არა იყო, ესე ყოველი-

მცა უქმ იყო და ურგებ.

ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ: და რაი, ნუუკუე ვითარცა ხი-
ლულთა ამათ ნივთთა ბუნებისა ზოგადი არს ნივთიერობად, ხოლო
განთვსებული განყოფილებად თითოეულისა ნივთისად – მრავალი და
თითოსახე (და ეგრეთვე ძრავად მათი წინააღმდეგომ არს: რომელიმე
აღმართ აღვალს და სუბუქ არს, ხოლო რომელიმე – დამართ შთა-
ვალს და მძი(35rA)მე არს. და სახე მათი არა ერთი არს, და აგებულე-
ბად – თითოსახე), და ეგრეთვე, სხუად ეგების სულისათვს თქუმად,
ვითარმედ ძალი რადმე არს (ჯორცთა შინა არს-ქმნილი, უხილავთა
ამათ ხილვათა და აღძრვათა, ბუნებითისა თვსებისა და ძალისა მიერ
მოქმედი? და ვითარცა იხილვების ესევითარი მრავალი, ხუროთა
მიერ და მჭედელთა აღსრულებული, რომელთა ჳელოვნებითა შეიცვა-
ლების ნივთი, და მსგავსებასა მიიღებს, არა სახითა ხოლო მსგავსები-
სადთა, არამედ ძრვითაცა და ჳმითა, რომელთა შორის გონიერი რადმე
ძალი არცა არს, არცა იხილვების, არცა ძრვად, არცა სახე, არცა
ჳმად განჳქეშმარიტებული, არამედ შემზადებული ხუროებით და მიჩემე-
ბული. აწ უკუე ორღანოდცა ესე ბუნებისა ჩუენისად ამასვე სახესა
მივამსგავსოთა? რადთამცა არცა ერთი რად აქუნდა განთვსებული
ნებად გონიერი, თავსა შორის თვსსა შეზავებული, არამედ ძალი
რადმე (66rC) იყო ბუნებისა ჩუენისა ნივთთა აღმძრველი ესევითართა
ხედვათა მიმართ, ვითარნი-იგი ზემო წარმოსთქუენ, და ესე არარად
არს სხუად, არამედ მიმართებული რადმე და უსულოდ საქმეთა ცნო-
ბისა მოსწრაფებად. და უკუეთუ ესე ესრეთ არს, არარად გამოჩნდების
ამის მიერ უხილავისა მის და უჯორცოდსა სულისა ბუნებად, არს თუ
გინათუ ყოვლადვე არაარს არს?

ხოლო მან მომიგო, ვითარმედ: ესე ყოველი, რომელი წინა-გჳყავ,
არა მცირედი ძალი აქუს სიტყუათა ჩუენთა შეწევნისად. და სახისა
ამის მიერ და იგავისა თქუმულთა ჩუენთა დაამტკიცებს.

და მე ვთქუ, ვითარმედ: ვითარ იტყვ ამას?

და მან მომიგო, ვითარმედ: უსულოდსა ნივთისა ხუროებითა ეს-
რეთ შეცვალეზად ვიდრელა საგონებელ იქმნას, თუ სულიცა რამე
შთაბერილ არს მის შორის, რომლისა მიერ იძრვის და ჯმობს, და
სახესა იჩემებს ესევითართა საქმეთასა. ესე ყოველი გამომაჩინებელი
არს, ვითარმედ კაცისაცა შორის არს რამე ესევითარი, და ვითარმედ
მხედველითა მით და მომპოვნებელითა ძალითა პირველ განიცდის

თავსა შორის თვსსა, და გამოსახავს გონებითა ორღანოსა მას. და
მერმე კელითა და კელოვნებითა შეჰმზადებს და ნივთისა მიერ სრულ-
ჰყოფს საქმით, მოგონებულსა მას, ვინაცა პირველად უკუე განიცადა,
ვითარმედ გამომცემელად ჯმისა – სული საჯმარ არს. და მერმე, თუ
ვითარ მისცეს სული მანქანასა მას, განიზრახა, და ბუნებად ნივთთად
განიხილა. რამეთუ არარად არს არსთა შორის ცალიერ, არამედ
მძიმესა თანა-შესწორებითა სუბუქსა ეწოდების ცალიერ, და თვთ
მებრ ჰაერიცა თვსითა გუამოვნებითა სავსე არს და არა ცალიერ;
რამეთუ ჰურჭელსა ცალიერ ჯუმევისაგან ეწოდების, რაჟამს
წყლისაგან ცალიერ იყოს, ხოლო რომელმან უწყოდის ძალი საქმისად,
არა ცალიერ, არამედ სავსედ ჰაერთა უწოდოს; და ესე გაუწყოს
სარწყულმან წყლად გინა ტბად მიღებულმან, რამეთუ არა მყის
აღივსების წყლითა, არამედ იძულებით, ჰაერისა მისთვს, რომელი ზე-
იმჭირავნ მას, და შინაგან სარწყულისა მის დგან, და აიძულის რად
ჯელმან აღვსებად, რეცა ბრძოლად რამე იქმნის ორთა მათ ნივთთად
ყელსა შინა სარწყულისასა, რაჟამს (vC) წყალი სიმძიმისაგან აიძუ-
ლებნ და შთადინ, ხოლო შინაგან მყოფი იგი ჰაერი შეიწრებული
მიერვე პირით განვალნ, ვიდრელა ჯმად რამე და ოხრად იქმნის
ორთავე მათ მიერ ყელსა შინა სარწყულისასა. ესე უკუე განიცადა და
გულისჯმა-ყო ნივთთა ბუნებისა მიერ, თუ ვითარ მისცეს სული
ორღანოსა მას, და შემზა(vA)დებულსა მის მიერ მანქანასა. რამეთუ
მტკიცისა რამემე ნივთისაგან აღბერილად შექმნის იგი და შესავალი
და განსავალი ჰაერისად ყოვლით კერძო მოკრძალვითა დააყენის, და

მერმე, რადზომი საკმარ არნ, წყალი შთაასხის პირით მუცელსა მას
ჭურჭლისასა ცალიერსა. და მერმე დაყენებულსა მას ჰაერსა გზა-
უყვის განსავალად, და იგი, შეიწრებული, იძულებითა წყლისადათა და
სიმძაფრითა სულ-იქმნის; და სული იგი, შე-რად-ვიდის ნესტუსა შინა
გინა ებანსა, ჳმა-იქმნის და ოხრინ. ვინადაც ამის მიერ ცხად არს,
ვითარმედ არს რადმე გონებად კაცსა შორის დაფარული, რომლისა
მიერ ესევითართა ღონეთა მოიპოვებს. და მერმე ნივთისა მიერ მოგო-
ნებულსა მას ცხადად წარმოაჩინებს, რამეთუ, უკუეთუმცა შენ მიერ
კითხულისა სიტყვსაებრ, ეგებოდა-მცა ბუნებისაებრ, ნივთთადასა,
ესევითართა საქმეთა გულისკმის-ყოფად და წარმოჩინებად, თვთ თავით
თვსითმცა შეგუემზადებოდეს ჩუენ ორღანონი მანქანათანი, და არცამცა

რვალი ჰგებდა ჳელოვანსა შემზადებად ხატისა, არამედ მეყსეულად
ეგევითარიმცა წარმოდგა; და არცამცა ნესტუ მოქენე იქმნა ჰაერსა
ჳმისათვს, არამედ სამარადისოდმცა თავით თვსით ჳმობდა; და არცამცა
წყალსა ეჳმარებოდა სოლინართა შეიწრებისა მიერ, გარეშე ბუნებისა,
ჳელოვნებითა ხუროთადათა აღმართ აღყვანებად იძულებით, არამედ
თვთმცა თავით თვსით აღვიდოდა თვნიერ ღონისძიების. ხოლო უკუეთუ
ნივთთა მიერ ქმნილნი საქმენი არა თავით თვსით იქმნებიან და არცა
ბუნებისაგან მათისა, არამედ ჳელოვნებისა მიერ შეიცვალებიან, ვითარცა
ვინ (67rC) ინებოს. ხოლო ჳელოვნებად გონებად რადმე არს მტკიცე,
ნივთისა მიერ მოქმედი საქმეთად, ვინადაც მიჳმართოს. ხოლო გონებად
გულისკმის-ყოფად რადმე არს სულისადა, და აღძრვად და საქმე,
ვინადაც სიტყუათა ამათ ძალმან გამოაჩინა, ვითარმედ სხუად არს
სული და არა აგებულებად ესე ჳორცთად ვითარ-იგი შენ წინა-მიყავ
ჩუენ.

და მე ვთჳუ, ვითარმედ: ეგრეთ არს ჳემმარიტად. და არა ერთ
არიან ხილული და უხილავი, გარნა საძიებელი იგი არღა აჳსნილ
არს, რამეთუ არღა საცნაურ-ქმნილ არს ჩემდა, თუ რად ჳერ-არს
უხილავისა მისთვს სულისა მოგონებად. ესე მისწავიეს სიტყუათაგან

შენთა, ვითარმედ არა ნივთიერ არს, ხოლო წუთღა ესე არა უწყი, თუ რად ჯერ-არს მისთვის თქუმად. და მე ამისთვის გევედრები, რადთა მასწავო, არა თუ რად-იგი არა არს, არამედ რად-იგი არს.

ხოლო მან მომიგო, ვითარმედ: მრავალთა პირთა მიერ ვისწავებთ ამას საქმესა, და რაჟამს ვეძიებდით საძიებელსა რასმე არა-საჩინოდთა მით საძიებელი იგი გამოვაცხადით, და უბოროტოდ რად ვთქუთ, სახიერი და კეთილი წარმოვაჩინოთ, და ჯაბნად რად სახელ-ვსდვით, მოშიში საცნაურ-ვყვით; და ესევეთარი მრავალი არს, რომელთა მიერ კეთილთა გულისკმა-ვჰყოფთ სიბოროტისაგან განშორებითა. და ეგრეთვე, კეთილთაგან რად განვაშოროთ, ბოროტებაჲ საცნაურ-ვყვით. ეგრეთვე უკუე ამისცა სიტყუსათჳს გულისკმა-ყავ, და არა შორს იპოვო ჯეროვნისა გულისკმის-ყოფისაგან. ხოლო ვეძიებთ თუ რად (36rA) არს არსებაჲ სულისაჲ. აწ უკუე, ვითარმედ არს სული, საქმეთა მისთაგან, რომელთა იქმს ჩუენ შორის, სარწმუნო არს და უეჭუელ. ხოლო რომელი ეძიებდეს ცნობად, თუ რად არს, ესე კმა იყავნ მისსა, რამეთუ საცნობელთა მიერ არა იხილვების იგი და არცა

განიცდების, არცა ფერსა შინა, არცა სახესა, არცა სიზრქესა, არცა სიმძიმესა, არცა სიდიდესა, არცა სამ-კერძო განყოფილებასა, არცა ერთად შეწყუდევასა, არცა ნივთთა აგებულებასა, რამეთუ არარად არს ამათგანი ყოვლადვე. (vC)

და ვიდრეღა იტყოდა იგი, ვთქუ მე ესრეთ, ვითარმედ: არა უწყი, უკუეთუმცა ამათ ყოველთა, რომელნი სიტყუამან წარმოთქუნა, მისგან მიხუმასა თანა, და არამცა იგიცა წარწყმდა, რომლისათჳს ვეძიებთ, რამეთუ სხუასა რასაღა ამსგავსოს იგი გამოძეძიებელმან გონებამან, არა ვიცი; რამეთუ ყოველთავე არსთა ძიებასა შინა გულისკმის-ყოფისა და გამოძიებისა მიერ, ვითარცა ბრმანი კედლისა მიერ კარად, ესრეთ მივიწევით, ზემო თქუმულთა მათ ერთისა რომლისაგანმე, რომელნი შენ აღჰრაცხენ. რამეთუ ანუ ფერსა ვჰპოვებთ, ანუ სახესა, ანუ ვითარებასა, ანუ სხუასა რასმე ზემოქსენებულთაგანსა. ხოლო ოდეს

ამათგანი არცა ერთი რაჲ იყოს, სულმოკლებისაგან საგონებელ იქმნების, ვითარმედ ყოვლადვე არა არს.

და ვიდრელა-იგი ვიტყოდე, სულთ-ითქუნა და თქუა, ვითარმედ: ეჰა უწესობად ესე! ვითარსაღა ცთომასა მიდრკების უგუნური ესე და უგულისწმოდ არსთა ძიებისა გულისწმის-ყოფად! რამეთუ უკუეთუ ყოველი რომელი საცნობელთა მიერ არა განიცდების და არსებისაგან გამოწყუებულ არს, მაშა, რომელი ამას იტყოდის, მან უეჭუელად არცაღა ყოვლისა-მპყრობელი იგი და ყოვლისა-განმგებელი ძლიერებაჲ აღიაროს. არამედ, ისწავოს რაჲ საღმრთოჲსა მის ბუნებისათჳს, ვითარმედ უსხეულო არს და უხილავ, ესევითარისა ამის უწესობისაგან მისთჳსცა მოიგონოს, ვითარმედ ყოვლადვე არა არს. ხოლო უკუეთუ მუნ ესე არა მოიგონების, ვითარ ურწმუნო არს კაცობრივისა სულისა არსებასა, ამისთჳს, რამეთუ ნივთთა შინა არა იხილვების იგი?

ხოლო მე ვთქუ, ვითარმედ: უჯეროდსაგან სხუასა უძვრესა უჯერობასა შთავვარდებით ამათ სიტყუათა მიერ, რამეთუ ვიტყვთ, ვითარმედ: ერთ არს საღმრთოდ ბუნებაჲ და კაცობრივი სული, ვინადთგან ორივე ესე უვალრეს საცნობელთა განცდისა იპოვების.

ხოლო მოძღუარმან თქუა, ვითარმედ: ნუ ერთად იტყვ, რამეთუ უღმრთოება არს ამისი მოგონებაჲ; არამედ, ვითარცა ისწავე საღმრთოჲსა წმისაგან, მსგავსად მისსა სახელ-სდევე მას, რამეთუ ხატად მისსა დაბადებულსა უეჭუელად ყოვლით კერძო აქუს პირმშოდსა მის სახისა

მსგავსებაჲ: გონიერსა – გონიერისაჲ, და უკორცოსა – უკორცოდსაჲ; და უცხოდ ყოვლისა(ნმრც)ვე სიზრქისაგან ჰგონე იგი მსგავსად მისა და ლტოლვილად ყოვლისავე განზომისაგან და აღრიცხუვისა, მსგავსად მისსა. რამეთუ უკუეთუ ხატი თჳთ იგი იყოს ყოვლითურთ, მიერითგან არღარა მსგავსი არს მისი, არამედ იგი! არამედ, რომელთა შინა დაუბადებელი იგი ბუნებაჲ იხილვების, მათვე შინა დაბადებული ესე ბუნებაჲ გამოისახვის. და ვითარცა-იგი მცირე სარკე პირისპირ რაჲ მზისა დაიდვის, ყოველივე იგი სიმრგულე მზისაჲ თავსა შორის თჳსსა

გამოსახის; არა თუ სივრცე იგი მზისად სრულებით შემოიკრიბის, არამედ – რაოდენსა დაიტევენ სიმცირე იგი სარკისად მის. ეგრეთვე სიმცირესა შინა ბუნებისა ჩუენისასა გამოუთქუმელთა მათ ღმრთეებისა დიდებათა მსგავსებანი და ხატებანი ბრწყინვენ. ვინაჲცა ამით (vA) სახითა თანა-აც გონებასა გულისჯმის-ყოფად არსებისათჳს და სიწმიდისა სულისა, რადთა არცა ჳორციელება და სიზრქე მისი მოიგონოს, არცა კუალად სწორებად აღიყვანოს მცირე იგი და უნდოდ – უხილავისა მის და მადლისა და უხრწნელისა ბუნებისა. არამედ უხილავად შეჳრაცხოს ბუნებად მისი, ვინაჲთგან ხატი არს უხილავისა მის არსებისად, ხოლო პირმშოდ ხატად წოდებასა მისსა ნუმცა იკადრებს. რამეთუ, ვითარცა-იგი გამოუთქუმელისა მის ღმრთისა სიბრძნისა მიერ, საღმრთოჲსა ბუნებისა და ძლიერებისა, ყოველთა არსთა შორის ყოფასა და განგებასა არა იჳუეულ ვართ, რადთა არსებასა შინა ეგნენ ყოველნი. დაღათუ უკუეთუ ვინ ბუნებისა მისთჳს საღმრთოჲსა სიტყუასა ეძიებდეს, უსაზღვროდ და ფრიად განშორებულ არს თითოეულისა არსთაგანისაგან. არამედ ვითარცა-იგი არსთა შორის თჳნიერ ბუნებისა იხილვების, ეგრეთვე არარად არს ურწმუნობად, უკუეთუ არსებაჲცა სულისად სხუად რადმე არს თჳსითა არსებითა. და რადცა-იგი არს, შესაძლებელ არს ნივთთა მიმართ სოფლისათა და ხილულთა მიმართ და უხილავთა განფენად, თჳნიერ ბუნებით მათ თანა შეზავებისა. რამეთუ არცა ჳორციელთა გუამთა, რომელთა-იგი აგებულებად ნივთთაგან არს, აჳუს რადმე ჳიარებად ბუნებისა მისისა თანა, რომლისა-იგი არსებად მარტივ არს და (vC) უხილავ. გარნა, და-ღაცათუ სიზრქისაგან ჳორცთაჲსა განშორებულ არს სული, არამედ ცხოვლობისა მისისა მათ შინა ყოფად, რომელი-იგი უვალრეს არს

კაცობრივისა მიწთომისა. და საღმრთოჲთა ძალითა სრულ ქმნილ არა იჳუეულ ვართ; ეგრეთვე, განიყვნენ რად ნივთნი ჳორცთანი, ცხოველსმყოფელი იგი მათი და შემაერთებელი არა განეშორების მათგან, რომელ არს სული. რამეთუ, რომელთა-იგი ერთგზის შეეყო

გამოუთქუმელითა რადთმე შეერთებითა, შეერთებასა მას არღარა დაჰქსნის, ვითარცა ღმრთისა მიერ განწესებულსა.

ხოლო მე ვთქუ, ვითარმედ: ნივთნი ურთიერთას შეიერთებიან-ცა და განიყოფიან-ცა. და ესე არს ჯორცთა აგებულება და დაქსნად. და ესრეთ ფრიადი განყოფილება იხილვების ნივთთა შორის, ადგილითა და აგებულებითა. ვინადთგან განიყვნენ გუამისაგან და თითოეული თვისსა ბუნებასა შეეყოს. ხოლო სული რად გუამისაგან განვიდის, ვითარცა მენავესა ვისმე, რომელსა დაენთქის ნავი, ვინადთგან ესე შეუძლებელ არს, რადთამცა ყოველთა მათ ჭურჭელთა ნავისათა შეეყო, ერთსა რასმე მოეკიდის და სხუანი იგი ზღუასა და ლელვასა მიუტევის. ეგრეთვე სულსა, ვინადთგან ნივთთა განბნევასა თანა განბნევად ბუნება არა აქუს, და ამისთვისცა ჯორცთაგან განსლვად. სამნაურ უჩნს, ერთსა რასმე ნივთთაგანსა შეეყოს, ნუჟკუე და სხუათაგან განემოროს. და ამით სახითა არცა რად უკუდავებასა მისსა ევნების, რამეთუ დაღაცათუ უმრავლესთა განეყო, არამედ ერთისა თანა ცხოველ არს.

და მან მომიგო, ვითარმედ: არცა შეიწრდების, არცა განეფინების უხილავი იგი და განუყოფელი სული, რამეთუ განყოფად და შეიწრებად ჯორცთა აგებულებისად არს; ხოლო უხილავი იგი და უჯორცოდ თვისსაებრ ბუნებისა განყოფასაცა ნივთთასა გუამისაგან და შეკრებასაცა სწორებით იხილვების მათ თანა, და არცა გუამთა თანა (37rA) შეკრებასა ნივთთასა შეიწრდების და არცა განშორებასა მათსა განემორების მათგან, დაღაცათუ ფრიადი განყოფი(69rC)ლება იხილვების სუბუქისად მძიმისაგან და მჭურვალისად გრილისაგან და ნოტიისაჲ კმელისაგან. გარნა უხილავსა მას ბუნებასა სულისასა არარად შეემთხუევის შრომად, განუყოფელად თითოეულსა მათსა თანა ყოფისათვის, რომელთა-იგი ერთგზის შეეზავა. ვითარცა-ესე აწცა იხილვების კაცთა შორის, რამეთუ გონებითა ერთბამად ხედავს კაცსაცა, გინა სხუასა ნივთსა რომელსაცა. და გონებითავე განვალს კიდეთა ქუეყანისათა, და ესეოდენითა სიშორითა, არა განიკუეთების ძალი იგი და გონებითი მხედველობად სულისად.

აწ უკუე, რად შესაწუხებელი არს ამას შინა, უკუეთუ ხილულთა წილ უხილავთა კეთილთა მიიცვალეების სული, და რადსათჳს უჩნს ესრეთ სამნაურ სიკუდილი გონებასა შენსა?

ხოლო მე მიუგე, ვითარმედ: არა ხოლო თუ ჳელოვნებათა და გონებისა ხედვათა ოდენ სრულ-ჳყოფს სული ჩუენი, და არცა საცნობელთა ხოლო ბუნებითა საქმეთა მიმართ წარჳმართებს, არამედ გულის-თქუმისა მიმართცა, და გულისწყრომისა ფრიადი აქუს აღძრვად ბუნებასა ჩუენსა. და ამათგანი თითოეული მრავალფერთა საქმეთა იქმს ჩუენ შორის, და არცა ერთი არს ამათგანი ჳორციელ, არცა გულის-თქუმა და არცა გულის-წყრომა. და უკორცოდ უხილავ არს, და სულიცა ჩუენი უხილავ არს, ვითარცა სთქუ. ვინადაცა ორთა უჯერთათგან ერთი უეჭუელად წარმოიჩინების სიტყჳსა ამის მიერ. რამეთუ ანუ გულის-თქუმა და გულის-წყრომა სხუად სულად საგონებელ იქმნებიან ჩუენ შორის, და ესრეთ სიმრავლე სულთად შემოვალს ერთისა წილ. ანუ თუ გონებისა სულად თქუმა და-იქსნების, რამეთუ ვინადაცა ესე ყოველნი უხილავ არიან, ანუ ყოველთა სულად ჯერ-არს სახელის-დებად, ანუ სულისაგან განყოფად.

და მოძღუარმან მრქუა მე, ვითარმედ: უკუეთუმცა სხუათაცა არა გამოეძია ესე სიტყუად, შენცამცა არა გამოიძიე, თუ რად ჯერ-არს გულის-თქუმისა და გულის-წყრომისათჳს განჩინებად: გინა თუ პირველითგან დაბადებულ არიან სულსა თანა, ანუ თუ უკუანადასკნელ შემოსრულ, და (vC) რამეთუ სულსა თანა იხილვეებიან ესე, ყოველთა მიერ აღსაარებულ არს. ხოლო თუ ვითარ ჯერ-არს მათთჳს დამტკიცებად, არღარა საცნაურ-ქმნილ არს გამოწულილვით, რამეთუ ჩუენ გარეშეთა ფილოსოფოსთა ჳრახვასა გარე-მივაქცევთ, და არა ჳელ-გუეწიფების მსგავსად მათსა, რადცა მოვიგონოთ თქუმად, გარეშე საღმრთოთა წერილთადასა; ვინადაცა სწორებით შეურაცხ-ვჳყოფთ ყოველთა მათ საწარმართოთა ჳდაპართა, და რაოდენნიცა ცთომანი მათ შორის იხილვეებიან, და პირად სიტყჳსა ჩუენისა ღმრთივსულიერთა წიგნთა

წარმოვაჩინებთ, რომელნი-იგი დაამტკიცებენ, ვითარმედ, ყოველი რომელი საღმრთოსა ბუნებასა შინა არა იხილვების, იგი არცა სულსა აქუს. რამეთუ, რომელნი-იგი მსგავსად ღმრთისა უწოდა სულსა, ყოველივე რომელი უცხო არს ღმრთისაგან, იგი სულისაგანცა უცხო ყო, რამეთუ შეცვალებულთა შორის მსგავსებად არა დამტკიცდების. და ვინაფთვან საღმრთოსა ბუნებასა შინა ესევითარი არა იხილვების, ვერცა სულისა ვინ არსებასა მიაჩემებს. რამეთუ ვინაფთვან გულის-თქუმა და გულის-

წყრომა და პირუტყუთა და პირმეტყუელთა ბუნებასა შინა სწორებით იხილვების, ზოგადსა განთვსებულად (vA) ვერვინ უწოდს. და რომელი ბუნებისა ხატსა შინა ნამეტნავ არს და შეუწყნარებელ, მანმცა ვითარ დაჰქსნა საზღვარი სულისა?

და მე ვარქუ მოძლუარსა, ვითარმედ: რად ჯერ-არს ამისთვის დამტკიცებად, რამეთუ ფრიად შემაურვებს მე საქმე ესე, რადთამცა სული, რომელი ჩუენ შორის მკვდრ არს, შე-მცა-ვპრაცხე იგი, ვითარცა უცხო ბუნებისა ჩუენისა. და ეგრეთვე გულის-თქუმა და გულის-წყრომა.

ხოლო მან მრქუა მე, ვითარმედ: ჰხედავა, ვითარ იბრძვის გულის-სიტყუად ამის პირისათვის და ჰნებავს, რადთა თავისუფალ იქმნეს სული ამათ ვნებათაგან? და არიან-ცა ვიეთნიმე, რომელთა წარჰმართეს სათნოებად ესე, ვითარცა გუესმის მოსესთვის, ვითარმედ უაღრეს იყო იგი რისხვისა და გულის-თქუმისა. და ამას ორსავე წამებს მისთვის საღმრთოდ წერილი და იტყვს, ვითარმედ: უმშუდეს იყო უფროდს ყოველთა კაცთა; და გამოაჩენდა სიმშუდესა მისსა ურისხველობად და გულის-წყრომისა მიმართ (70rC) უცხო-ყოფად, და არა-გულის-თქუ-მასა მისსა, – რამეთუ არცა რად ვის მისტაცა მან გულის-თქუმით, რომლისათვის ვხედავთ მრავალთა გულის-მთქუმელად, რომელი-ესე არა იქმნებოდა, უკუეთუმცა ბუნებითნი იყვნეს ვნებანი ესე და არსებასამცა სულისასა მიეჩემებოდეს. რამეთუ, რომელი გარეშე და ზემთა ბუნებისა იქმნეს, იგი არსებასა შინა არა არს. ხოლო მოსე

არსებასაცა შინა იყო, და ამათ შინა არა იყო. აწ უკუე სხუად რადმე ჯერ-არს ამათი გულისწმის-ყოფად, და არა ბუნებად, რამეთუ ბუნებითი იგი არს, რომელი არსებასა შინა ბუნებისასა იხილვებოდის. ხოლო ამათგან უცხო-ყოფად ჩუენ ზედა არს, და არა თუ დაკლებად, არამედ შესაძინელადცა დიდად შერაცხილ არს ბუნებისაგან უჩინო-ყოფად ამათი. და ამის ყოვლისაგან ცხად არს, ვითარმედ გარეშე არიან ბუნებისა და არა არსებასა.

იტყვან უკუე ვიეთნიმე, ვითარმედ: გულის-წყრომად აღდუღებად არს გულითადისა მის სისხლისა; და სხუანი, – ვითარმედ: გულის-თქუმად არს შეწუხებისა მისი, რომელსა პირველ შეწუხოს. ხოლო ჩუენ ესრეთ ვიტყვთ, ვითარმედ გულის-წყრომად არს ნებად ბოროტის-ყოფისა, განმარისხებელისა მიმართ აღძრული, რომლისაგან საზღვარსა სულისასა არაა შეეხების; და ეგრეთვე გულის-თქუმად წადიერებად

არს და სურვილი გულის-თქუმით ცხორებისა, გინა თუ წუხილი, რაჟამს საწადელი რადმე არა არნ კელმწიფებასა მისსა ქუეშე, გინა თუ გემოვნებისა რადმე სიყუარული, რომლისაგან განსუენებად ვერ ძალ-უცნ. ესე და სხუად ესევითარი გულის-თქუმად იწოდებიან, გარნა საზღვარსა სულისასა ვერ შეეხებიან, და სხუად ყოველივე, რომელი მახლობლად სულისა მჯდომებით იხილვების, ვითარ: შიში და უშიშობება, პატივი და შეურაცხება, მწუხარება და გულის-თქუმა, და სხუად ესევითარი, რომელნი-ესე მახლობელ არიან გულის-თქუმისა და გულის-წყრომისა, არამედ თითოეულსა მათსა თვისი აქუს წესი და საზღვარი, რამეთუ კადნიერება და შეურაცხება გულის-წყრომისა კერძა გამოსახვიან, ხოლო მოკლებად და მოკუებად მისსა მოშიშებისა მიმართ (vC) და შიშისა ზიარება. ხოლო მწუხარებასა ორთაგანვე აქუს დასაბამი და ნივთი, რამეთუ გულისწყრომისა უძლურებად ნაცვლისა მიგებად გინა შურისგებად შემაწუხებელთა მოუძლურებული მწუხარებად შეიცვალეების და გულისსათქუმე[38rA]-ლ-თა უღონოებად და სანებელთა მოკლებად – შეჭირვება და ჭუვილ

გონებისა იქმნებიან, და გულის-თქუმა და მწუხარება – მრისხანებად და გემოთმოყუარებად განიყოფვიან, რამეთუ ამათ ორთავე ზედა გემოთ-მოყუარებად მთავრობს, და ესე ყოველი მახლობელ არს სულისა, ხოლო სულ არა არიან, არამედ ვითარცა ნივთნი რადმე და სენნი, მახლობელ გონებისა არიან, არამედ რეცა კერძოდ და ნაწილად მისსა შერაცხილ არიან, [ხოლო არსება სულისა არა არიან].

ხოლო მე მიუგე ქალწულსა და ვარქუ, ვითარმედ: არა მცირედი წარმატებად მოეტყუა ამათ მიერ მუშაკთა სათნოებისათა, რამეთუ დანიელ იქების ვითარცა კაცი გულისსათქუმელი და ფინეზ მრისხანებითა ღმერთი მოწყალე ყო. და დასაბამად სიბრძნისა შიში გვსწავიეს, და ღმრთისა მიერისა მწუხარებისა აღსასრული – ცხორებად პავლეს მიერ გუესმა, ხოლო ჭირთა მოთმინებასა და შეურაცხებასა სახარებად გუმოდღურის და შეძრწუნებისაგან არა-შეშინებასა ახოვნებად სახელ-სდებს სიბრძნე, ვინაჲცა გამოაჩინა სიტყუამან, ვითარმედ: არა ვნებანი არიან ესევითარნი ესე, რამეთუ, სათნოებისა მომატყუებელად ვითარმცა იწოდნეს ვნებანი?

და მოძღუარმან მრქუა, ვითარმედ: ვითარ ვჰგონებ, ესევითართა

ამათ გულისსიტყუათა შერევისა მე ვიქმენ მიზეზ, რამეთუ არა განვწვალე სახე და [სიტყუად მათი და], რადთამცა წესი რადმე [შემს-გა]ვსებული განმე[წესა ხე]დვისა ჩუენისაჲ. აწ უკუე, რაოდენცა შესაძლებელ იყოს, წესი განუჩინოთ გამოძიებასა ჩუენსა, რადთა ესევითართა საკითხავთა არღარა აქუნდეს ადგილი.

ვიტყვთ უკუე სულისათჳს, ვითარმედ ხედვად და განკითხვად და არსთა განცდისა ძალი თჳსნი არიან (71rC) მისნი და სა კუთარნი, და საღმრთოჲსა მსგავსებისა და ხატებისა გამომხატველნი მის შორის, ვინაჲთგან ღმერთიცა, რადცა-იგი არს ბუნებით, ამათ შინა გულისწმა-იყოფების, რომელ არს ხედვად ყოვლისაჲვე და განრჩევაჲ კეთილისა და ბოროტისაჲ, ხოლო რაოდენცა მახლობელ სულისა არს, და ორკერძო მიდრეკისა მიმართ აქუს ბუნებაჲ, რომელნი ჳუმევისაებრ და

ქმნის ანუ კეთილ იქმნებიან ანუ ბოროტ, ვითარ არს რისხვად, გინა შიში ანუ თუ სხუად რადმე ესევითარნი, რომელნი-ესე აღძრვანი არიან გონებისანი, რომელთა თვნიერ არა იხილვების კაცობრივი ბუნებად. ამათ გარეთ შემოსრულად უწესთ სულსა ზედა, ვინაფთგან პირმშოსა მას სიკეთესა თანა ესევითარი არარად იხილვების, და ამათ უკუე ესევითართათვს სიტყუად გამოსაძიებელად- შორის-შემოვილოთ, რადთა განერეს ცილისმწამებელთა სიმედგრესა.

უწყებასა შინა დაბადებისასა, შესაქმისათვს კაცისა მოგვთხრობს მოსე, ვითარმედ: პირველად დაჰბადნა ღმერთმან სხუანი იგი დაბადებულნი ქუეყანასა ზედა და პირუტყუნი, და პირველ მათსა – მცენარენი, და მერმელა კაცი. მცენარენი უკუე – აღორძინებისაგან, და პირუტყუნი – მშვნვიერობისაგან. ხოლო კაცი უკუდავისა სულისა მიერ ცხოველობასა შინა იხილვების. და ხილული ცხოვრებად თვნიერ ნივთისა არა აღეგების, არცა უხილავი ჯორცთა შინა დაემკვდრების თვნიერ საცნობელთადასა. და ამისთვს დაიბადა უკუანადასკნელ კაცი, რადთა მცენარეთა და მშვნვიერთა ცხოველობისა სახე ერთბამად აქუნდეს თავსა შორის თვსსა. რამეთუ მცენარეთა ბუნებისაგან აქუს ზრდად და აღორძინებად, რამეთუ იგინიცა საზრდელსა მოიზიდვენ ძირთა მიერ და ნამეტნავსა განსთხევენ (vA) ნაყოფთა მიერ და ფურცელთა. ხოლო საცნობელთა გრძნობითა განგებად აქუს პირუტყუთა აგებულებისაგან. ხოლო გულის-ჯმის-ყოფად და პირმეტყუელებად საკუთარი არს და განთვსებული კაცობრივისა ბუნებისად. ხოლო რაოდენიცა ვნებად ჩუენ შორის იხილვების, პირუტყუთა ბუნებისად არს, და გარეთ შემოსრული ჩუენ ზედა. და არარად არს ყოვლადვე ბუნებასა შინა ჩუენსა ბოროტი,

რომელსამცა ღმერთი აქუნდა მიზეზად დაბადებისა თვსისა. უკუეთუ არა, მასმცა მიუჩემა იგი. და რომელნიცა-იგი საგონებელ არიან ვნებად, ნებისა ჩუენისა ნებასა დამოკიდებულ არიან. ხოლო იგი არიან ძალნი სულისანი, და ჯუმევისაებრ მათისა ანუ სათნოება იქმნებიან ანუ სიბოროტე, ვითარცა ზემო ვთქუთ. ვითარცა სახედ რკინად, ვითარიცა

ინებოს ნებამან კელოვნისამან, ეგევითარიცა განჭედის - ანუ მახვლად ანუ ჭურჭლად სამუშაოდ. ხოლო სიტყუად, რომელი-იგი არს პატიოსან ბუნებასა შინა ჩუენსა, მთავრობს ყოველთა მათ გარეთ შემოსრულთა ჩუენ ზედა, ვითარცა-იგი მოასწავა წიგნმან, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მიგეც თქუენ კელმწიფებად ყოველთა ზედა პირუტყუთა. ვინადაცა ესევითარნი-იგი აღმრვანი არა გუექმნებიან ჩუენ მიზეზ ბოროტისა, არამედ კეთილისა. რამეთუ შიში მორჩილებასა გუასწავებს, ხოლო მრისხანებად - სიმცნესა, ხოლო სირცხვლი - კრძალულებასა. ხოლო გულის-თქუმად საღმრთოდსა მის და უსაზღვროდსა სიკეთისა სურვილსა მომატყუებს. ხოლო უკუეთუ სიტყუამან განყარნეს აღვრნი კრძალუ-ლებისანი, და ვითარცა მეეტლე გარდავარდეს ეტლთაგან და დაეკიდოს უკუანა კერძო მათსა, მიერთგან მიითრევენ პირუტყუთა მათ მიერ, სადაცა-იგი ჰნებავენ უგულისცმოსა მას ბუნებასა მათსა. მაშინ ძალნი იგი სათნოებისანი ვნებად შეიცვალნიან, და არარადთ უმჯობეს არს პატივცემული იგი ბუნებად კაცისად პირუტყუთა მათ უგუნურთა, რომელთა-იგი, ვინადათგან არა აქუს ძალი გულისცმის-ყოფისად, მრისხანებისა მიერ ურთიერთას განიხრწნებიან. ხოლო ზრქელნი და ძლიერნი ვერარას მოატყუებენ თავსა თვსსა კეთილსა, ძალისა მიერ და ჯორცმრავლობისა, ვინადათგან მონა პირმეტყველთა ქმნილ არიან, რომელთა-იგი გულისთქუმადაცა და გემოთმოყუარებად უნდო არს და ურგებ პირუტყუებისათვს მათისა, და ეგრეთვე სხუად ყოველივე საქმე მათი ვერარას მადალსა მოიგონებს უგულისცმოებისათვს (72rC) მათისა. ამათ უკუე მსგავს ვიქმნებით ჩუენცა, არა თუ სიტყვსა მიერ ვიმწყსებოდით და გონებისა მიერ კეთილისა ვიპყრობვოდით, არამედ ვნებანი გუმძლავრობდენ და ძალსა გონებისა ჩუენისასა დაიმონებდენ. რამეთუ ესევითარითა სახითა პირუტყუთა ბუნებასა მიემსგავსების კაცი, და ხატებისა წილ ღმრთისა - მონა ვნებათა იქმნების, და გონებისა და გულისცმის-ყოფისაგან უცხო-ქმნილი მკლველად სულისა თვსისა გამოჩნდების.

ხოლო მე სიტყუათა ამათთვს ფრიად განვიხარე და გულისავე

ვიქმენ და ვთქუ, ვითარმედ: კმა არს ყოველთათჳს, რომელთა კნინ-
ოდენიცა გონებად აქუნდეს გამოჩინებად ჭემმარიტებისა ძალი
თქუმულთად ამათ. ხოლო ვინადთგან ამის სოფლისა ჳელოვნებათა
წურთილნი დარწმუნებისა მათისა დამტკიცებად (39rA) სახისმეტყუე-
ლებასა რასმე ეძიებენ და მის მიერ გულსავსე იქმნებიან, და ჩუენდა
ყოვლისავე ჳელოვნებისა და სახისმეტყუელებისა ღმრთივსულიერთა
წიგნთა მოძღურებად უსარწმუნოეს არს. ვითარ ვჳგონებ, ამის პირისათჳს
ჯერ-არს ძიებად, უკუეთუ საღმრთოდ-ძი მოძღურებად დაამტკიცებს
თქუმულთა ამათ და თანა-ეწამების ანუ არა.

და მოძღუარმან თქუა: და ვინმცა იკადრა თქუმად, ვითარმედ არა
ესრეთ არს? რამეთუ ჭემმარიტად საღმრთოთა წიგნთა წამებად, ვითარცა
ბეჳედო, ესრეთ დაჳბეჳდავს ყოველსავე ძალსა სიტყუათასა. ვინადცა
თანაშემწედ თქუმულთა ამათ მოძღურებათაგან სახარებისათა იგავსა
მას ღუარძლისასა წარმოთქუმად არა შეუმსგავსებელ იყოს, რამეთუ
მუნ თესლი კეთილი დასთესა სახლისა უფალმან, ხოლო სახლ
უეჳუელად ჩუენ ვართ; ხოლო, ვითარცა დაიძინეს კაცთა, დასთესა
მტერმანცა იფქლსა მას თანა წმიდასა ღუარძლი იგი ჯერკუალი,
და ერთბამად აღმოსცენდეს თესლნი იგი, რამეთუ არა შესაძლებელ
იყო, რადთამცა თესლი, რომელი ერთად დაითესა, და არამცა ერთად
აღმოსცენდა. ხოლო აყენებს მსახურთა მფლობელი იგი ნამუშაკვევისად
აღმოფხურად ღუარძლისა მის, რადთა, ნუუკუე აღმოფხ(vC)ურასა
მისსა თანა აღმოჳფხურან იფქლიცა. რამეთუ ეგევითართა მათ
აღძრვათა სულისათა – თესლთა კეთილთა მიაშგავსებს სიტყუად
უფლისად, რომელთა, უკუეთუმცა თითოეული ჩუენი კეთილისა მიმართ
ხოლო იჳუმევდა, უეჳუელად სათნოებისამცა ოდენ ნაყოფნი აღმოე-
ცენებოდეს ჩუენ შორის. ხოლო ვინადთგან დაეთესა მათ შორის კეთილად
განბჳობისა და უმჯობესისა გამორჩევისა ცთომად, და ბუნებითი იგი
და ჭემმარიტი კეთილი მის თანა აღმოცენებულისა მის საცთურისა
მიერ დაბნელდა, მიერთგან გულის-თქუმისა იგი კერძოდ არღარა

ბუნებისად კეთილად, რომლისათვის დაეთესა ჩუენ შორის, აღმოსცენდა და აღორძნდა, არამედ კეთილთაგან უნახველობითა მკეცთა და პირუტყუთა ვნებად შეიცვალა, და შეცვალა ჯეჯლიცა იგი კეთილთა გულის-თქუმისად, ეგრეთვე თესლიცა გულის-წყრომისად არა ახოვნებისა მიმართ აწდო, არამედ ზიართა მიმართ ბუნებისათა ბრძოლად აღჭურა

და ძალი სიყუარულისად უხილავთა სიყუარულისაგან განაშორა და ხილულთა და ნივთიერთა სიყუარულსა, გარეშე საზომისა, უჯეროდ შეაყო, და ამითვე სახითა სხუანიცა იგი არაწმიდანი ჯეჯლნი კეთილთა მათ წილ აღაყუავილნა. ამისთვის უკუე ბრძენმან მან მუშაკთმთავარ-მან უტევა თესლსა მას თანა კეთილსა აღმოცენებული იგი ჯეჯლი განგებულებით, რადთა არა განვშიშულდეთ ჩუენ უმჯობესისაგან, რაჟამს გულის-თქუმად ყოვლითურთ უკმარსა მას ჯეჯლსა თანა აღმოიფხურას. რამეთუ, უკუეთუ ესე შეემთხვოს ბუნებასა, რადღა იყოს, რომელი აღმამაღლებდეს ჩუენ ზეცისათა შეერთებად! და უკუეთუ სიყუარული მიმელოს, რომლითაღა სახითა შევესაკუთრნეთ ღმერთსა; და უკუეთუ მრისხანებად დაშრტეს, რომელიღა საჭურველი ვიკუმითოთ მბრძოლისა მიმართ?

დაუტევენა უკუე ჯერკუალნი იგი თესლნი ჩუენ შორის უფალმან. არა თუ რადთა სამარადისოდ ეგნენ იგინი თესლთა მათ თანა პატოისანთა, არამედ რადთა ურნატი იგი გულისა ჩუენისად, რომელსა ესრეთ სახელ-ედების სახის(73rC)მეტყუელებით, მის შორის მყოფისა მისთვის ბუნებითისა ძალისა, რომელ არს გულისცმის-ყოფად, რადთა რომელნიმე ჯეჯლნი განაჰმნეს, ხოლო რომელნიმე მხიარულ და ნაყოფიერ ყვნეს. ხოლო (vA) უკუეთუ ესე არა იქმნას, ნამუშაკვევისა მის განწვალებად ცეცხლსა დაეუნჯოს.

აწ უკუე, უკუეთუ ვინმე ჯეროვნად იკმარნეს ძალნი ესე, და არა მათ მიერჩდეს, არამედ თვთ დაიმორჩილნეს, ემსგავსოს იგი მეფესა ვისმე გონიერსა, რომელმან მორჩილთა თვსთა შეწევნითა დასცნის წინააღმდეგომნი თვსნი, ხოლო უკუეთუ მათ მიერჩდეს, ემსგავსოს იგი

კაცსა ვისმე ცოფსა, რომელსა ზედა აღდგიან მონანი თვისნი და დაიმონიან იგი, და ესრეთ მიერთგან იქმნის იგი საწყალობელ, და ბუნებით დამორჩილებულნი იგი მისნი ყვნის მფლობელ მისსა, და ნებისაებრ მათისა იმპლავრებინ და მიიზიდვინ, ვიდრეცა-იგი უწესოსა მას ნებასა მათსა ენების.

და ვინამთგან ესე ესრეთ არს და სათნოებადცა და სიბოროტეცა და რაოდენნიცა აღძრვანი სულისანი არიან, თავით თვისით არარას განვაჩინებთ მათთვის, არამედ კელმწიფებასა ქუეშე მკუმეველისა მათისასა შევაყენებთ კეთილსაცა მათსა და წინააღმდეგომსაცა, გარნა რაჟამს კეთილისა მიმართ იქმნებოდის აღძრვად მათი, ნივთ ქებისა ექმნების მოქმედთა მათ, ვითარცა დანიელს – გულისსათქუმელობად, და ფინეზს

– რისხვად, და კულად, მგლოვარესა – მწუხარებად. ხოლო უკუეთუ ბოროტისა მიმართ იქმნას მიდრეკად მათი, მიერთგან ვნება იქმნებიან ძალნი ესე კეთილისანი, და ვნებად სახელ-ედების.

* ვითარ გულისკმა-ყვით სიტყუად იგი უფლისად მდიდრისათვის და ლაზარე გლახაკისა, და ჯოჯოხეთისა და ცეცხლისა, და მამათმთავრისა აბრაჰამისთვის იგავით თქუმული?

დაღაცათუ ჯორციელად და ზრქელად წარმოჩენილ არს სიტყუად იგი, არამედ მრავალნი მიზეზნი ჰქონან, წულილადათა სახეთა გამო-მსახველნი გულისკმის-მყოფელთა შორის, რამეთუ მართალთა და ცოდვილთა განმყოფელი იგი დანახეთქი და ჭირვეულის მის თითითა მოღებულისა ნაწუეთისა მოქენე-ყოფად განგრილებად სასისა, და პირველ ამათსა სიკუდილი და დაფლვად მათი, სიტყუასა მას შინა მოკსენებულნი, არა მცირედ განაშორებენ ჯორციელისა გონებისაგან, რომელი [არა] უგულისკმოდ გულისკმა-ჰყოფდეს. რამეთუ, რომელნი თუალნი აღიხილნა ჯოჯოხეთსა შინა მდიდარმან მან, ვინამთგან ჯორცთანი საფლავსა შინა წარჯდეს? ანუ ვითარ უჯორცოსა სულსა შესწუვიდა ალი იგი? ანუ თუ რომლისა ენისა განგრილებად წადიერ იყო, ვინამთგან ჯორციელი არა იყო მის თანა? ანუ თუ თითი იგი, (159rE) მომღებელი

წყლისად, ვითარ იყო? ანუ თუ წიაღნი იგი განმსუენებელნი, რომელთაგან აღდგებოდა ლაზარე, რაბამნი იყვნეს, ვინადთგან ჯორცნი მათნი საფლავსა შინა იყვნეს, ხოლო სული არა ჯორცთა შინა იყო, არცა ნივთიერ? ესე ყოველი უღონო-იქმს ჯორციულად გულისჯმის-ყოფისაგან, არა თუ ვინმე თითოეული ამათგანი სულიერად და გონიერად გულისჯმა-ყოს, რადთა დანახეთქი იგი, შეურევენელთა განმყოფელი, არა ჳნარცულად ქუეყანისა მოიგონოს; რამეთუ უხილავსა და უჯორცოსა რად შრომად შეემთხუეოდა დანახეთქისა განფრინვებად, დაღაცათუმცა ფრიადი აქუნდა სიშორე, რამეთუ უჯორცოსა ბუნებასა, სადაცა ენებოს, მეყსეულად მიიწევის.

და მე ვთქუ, ვითარმედ: და ვითარ ჯერ-არს ცეცხლისა მის და დანახეთქისა და ნეშტთა მათ საქმეთა გულისჯმის-ყოფად?

და მან მომიგო, ვითარმედ: თითოეული თქუმულთად ამათ მოძლუ-რებასა რასმე დიდსა, სულისათჯს გულისჯმისსაყოფელსა წარმოაჩინებს,

რამეთუ მდი(40rA)დრისა მისთჯს იტყჯს მამათმთავარი, ვითარმედ: ცხორებასა თჯსსა მიიღო კეთილი; და ეგრეთვე გლახაკისათჯს, ვითარმედ: მიიღო ბოროტი. და მერმე თქუა დანახეთქისათჯს. ამათ უკუე სიტყუათა მიერ დიდსა მოძლურებისა სახესა გჯჩუენებს ჩუენ წმიდად სახარებად. და ვითარ ჩუენი სიტყუად ჳგონებს, ესე არს ძალი მათი:

ერთსახე იყო დასაბამსა კაცთა ცხორებად; ხოლო ერთსახედ ამისთჯს ვიტყჯ, რამეთუ კეთილსა ხოლო შინა იხილვებოდა და ბოროტისაგან უცხო იყო, და ამას წამებს პირველი იგი საღმრთოდ შჯული, რომელმან-იგი ყოველთა კეთილთა სამოთხისათა უშურველი შუებად მისცა კაცსა და მისგან ხოლო დააყენა, რომლისა ბუნებად წინააღმდგომთაგან შეზავებულ იყო, ესე იგი არს, კეთილისა და ბოროტისა. და უკუეთუ შჯულსა საღმრთოსა გარდაჳკედენ, სიკუდილი დადვა პატიჳად, არამედ ნებსით თჯსით თჯთმფლობელითა ნებითა შეურევენელი იგი ბოროტისად ნაწილი დაუტევა კაცმან და ბოროტითა და კეთილითა შერეული ცხორებად მოიგო. გარნა ღმრთისა (vE) კაცთმო-

ყუარებამან არა დაუტევა ცთომილება ჩუენი შეუწევნელად. არამედ ვინადთგან შჯულისა საღმრთოდას გარდამავალთა მათ დაშჯილი იგი სიკუდილი უნებლიეთ შეუდგა, ორად განყო კაცობრივი ესე ცხორება – ჯორციელად, და შემდგომად მისსა – უჯორცოდ და თჯნიერ ჯორცთა; არა სწორითა საზომითა სიგრძისადათა, არამედ ერთი იგი მცირედითა და ჟამიერთა საზღვრითა შემოწერა, ხოლო ერთი იგი განაგრძო დაუსრულებელად. და ჯელმწიფებად მისცა წყალობით, რადათა, რომელიცა ვინ ინებოს, იგიცა დაიმკჯდროს, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი; ესე იგი არს, გინა თუ საწუთროდ ესე და მსწრაფლწარმავალი ცხორებად, გინა თუ დაუსრულებელნი იგი საუკუნენი, რომელთა დასასრული დაუსრულებლობად არს. და კეთილად და ბოროტად წოდებად მათი მრჩობლად გულისჯმისსაყოფელად განყო – უხილავად და ხილულად. აწ უკუე, რომელთა ხილული ესე და საცნობელთა დამატკობელი ცხორებად შეიყუარონ ცთომილითა ნებითა და კეთილისა დავიწყებითა, ეგევითარნი-იგი ნაყროვნებითა და გემოთმოყუარებითა საწუთროსა ამას ცხორებასა შინა მიიღებენ კეთილისა კერძოსა მას ნაწილსა, და არარას დაიუნჯებენ მერმისა მისთჯს საუკუნოდასა და უოხჯნოდასა ცხორებისა. ხოლო რომელთა უხილავი

იგი და გონებით სახილველი ცხორებად შეჯრაცხონ კეთილად, და გონიერთა გულისჯმის-ყოფითა და საღმრთოდათა გულისსიტჯვთა წუთსა ამას საწუთროსა, კეთილად და მოღუაწებით ცხოვნდებოდინ და საცნობელთა თჯსთა დამწარებითა და მარხვისა და სიწმიდისა მოქალაქობითა ჯმართებდინ ცხორებასა თჯსსა, მომავალსა მას და უკუდავსა ცხორებასა დაეუნჯების მათ წარუვალთა მათ კეთილთა განსუენებად, და სიგრძესა თანა დაუსრულებელთა მათ საუკუნეთასა განგრძედების ტკბილთა მათცა მოსაგებელთა მათთა სიხარული. და ვითარ ჩემი სიტყუად ჯგონებს, ესე არს დანახეთქი იგი, რომელსა არა ქუეყანისა განპებად იქმს, არამედ ცხორებისა ამის განყოფილებაც და წინა- (160rE) აღმდგომისა ნებისა მიმართ მიდრეკად, რამეთუ, რომელმან სი-

ტკბობადა ამის საწუთროდსა აღირჩიოს და ცთომილება თვისი არა განკურნოს სინანულითა, შემდგომად ამიერ განსლვისა, ადგილსა მას კეთილთასა, უვალ-ჰყოფს თავისაგან თვისისა, რამეთუ წუთი იგი და საწუთროდ განსუენებად დანახეთქ წილ-უვალ ექმნების ეგევითარსა მას.

ხოლო კეთილსა მას ნაწილსა სულისასა, რომელსა შინა მუშაკსა მას სა(vA)თნობისასა განუსუენებს სიტყუად, წიალად აბრაჰამი-სად სახელ-სდებს, რამეთუ პირველ ყოველთადასა, ამის მამათმთავრი-სათვს გუაუწყებს წერილი, ვითარმედ სასოებითა მერმისა მის განსუენებისადთა საწუთროდ ესე შეურაცხ-ყო და განშიშულდა ყოველთაგან, რომელთა შინა იყო პირველ ცხორებად მისი, და უცხო-გებასა მისცა თავი თვისი და საწუთროდთა ამით ჭირითა სასოებითი იგი და უცვალებელი განსუენებად მოივაჭრა. და ვითარცა-იგი კაცთა წესისაებრ და ჩუეულებისა მას რომელსამე უფსკრულისა სივრცესა წიალად უწესთ, ეგრეთვე განუზომელთა მათ კეთილთა სივრცესა წიალისა სახელითა წარმოაჩინებს სიტყუად, რომლისათვისცა ყოველ-თა რომელთა სათნობათა მოგებისათვის საწუთროდ ესე განსუენებად შეურაცხ-ყონ, რაჟამს ამიერ განვიდენ, ვითარცა მყუდროსა ნავთსა-ყუდელსა, კეთილსა მას წიალსა შინა შეიყვანებენ სულთა თვისთა, ხოლო სხუათა მათ უოხჰნოთა მათ კეთილთა დაჭირვებად საჯუმილ ექმნების და შესწუავს სულთა მათთა, და წუეთსა რასმე უფსკრულისა მისგან წმიდათა განმსუენებელისა და კეთილთა სივრცისა ნუგეშინის-საცემელად თვისად მოქენე არიან და ვერ მიემთხუევიან. ხოლო ენად და თუალად და თითად უჯორცოდსა სულისა – ძალსა მას

საქმეთასა უწესს, და უხილავთა მათ საცნობელთა სულისათა გამოჰსახავს. ხოლო ჯოჯოხეთი არს ადგილი რამდე სატანჯველისად, სულთა შემაწყუდეველი, მწარე და ულხინებელი, ვითარცა გუასწავებენ წმიდანი წერილნი, რომლისაგან-იგი გვკსნენინ ჩუენ უფალმან.

თქუეს უკუე ეიეთემე სახედ ჯორცთმოყუარებისა და მოლუაწებისა, და არა თუ ამისთვის, ვითარმედ უეჭუელად ესრეთ იქმნების, ნუ

იყოფინ, ვითარმედ, (160vE) ვინაფთგან ლაზარეს ჭირით და მოღუაწებით აღესრულა ცხორებად ესე, ამისთვის არცა სუროდა სულსა მისსა საქმეთა მიმართ სოფლისათა, ხოლო მდიდარი იგი, დაღაცათუ მომკუდარ იყო, არავე დაეტევა სულსა მისსა ჯორცთა და სისხლთა სიყუარული, არამედ ძმათათვის ზრუნვიდა, და ვინაფთგან თვით უღონო იყო სოფლად მიქცევასა, მათთვის ევედრებოდა აბრაჰამს, რადთა აუწყოს და არა მივიდენ მუნ.

ვინაფცა მოღუაწებით ცხორებისა მიერ და სათნოებათა მოგებისა ჯერ-არს შემკობად სულთა ჩუენთად, რადთა არა დაკორდდეს გონებად ჩუენი საწუთროთა განსუენებათა მიერ და შემდგომად სიკუდილისაცა ამაონი იგი საშუებელნი ეოცნებოდინ სულთა ჩუენთა, არამედ ვითარცა საკრველთაგან რად განიჴსნას იგი ჯორცთა ამათგან, მეყსეულად ღმრთისა მიმართ ამაღლდეს და სურვილსა მისსა შეესაკუთროს. რამეთუ ვითარცა რომელნი-იგი სულმყრალთა ადგილთა შინა მრავალჴამ იქცეოდინ, ეგევითარნი იგი დაღაცათუ სულნელთა ადგილთა განვიდენ, არა მყის განწმდებიან სიმყრალისა მისგან, რომელი მრავალჴამ შეიკრიბეს, ეგრეთვე ჯორცთმოყუარენი სიმყრალისა მისგან, რომლითა შებღალულ იქმნეს ჯორცთა შინა, არა ადვილად განთავისუფლდებიან, ჯორცთაგანცა თუ განვიდენ, და ამის მიერ უფროდსად აღორძნდების საღმობად მათი, რაჴამს სული მათი ჴსენებითა მით უჯეროდთა ჯორც იქმნას და საღმრთოდ სურვილი დაივიწყოს. ვინაფცა ესევითართა მათ ჯორცთმოყუარეთა სახესა შთაიციუმენ ეშმაკნი, და შემდგომად სიკუდილისა მათისა საფლავთა მათთა ზედა გამოჩნდე(41rA)ბიან და ოცნებათა აღასრულებენ.

ვითარ არს ძალი ამათ სიტყუათად? რამეთუ ვინაფთგან სიკუდილისა მიერ ყოველნი ვნებანი დაშრტებიან, განაღა არცაღა გულისთქუმითი კერძი დაშთომად არს, და ვინაფთგან გულისთქუმითი კერძი არა იყოს, უეჭუელად არცაღა წადილი და სურვილი იყოს უმჯობესისად,

რომელიმცა აღსძრვიდა სულსა გულის-თქუმისა მიმართ კეთილისა.

(161rE) რომელი ღმერთსა შეეყოს, არღარა მოქენე არს გულის-
თქუმისა და წადილისა, რამეთუ რომელი ბნელსა შინა შეწყუდეულ
იყოს, მას უთქუამს გული ნათლისათჳს. უკუეთუ ნათელსა შინა
შევიდეს, გულის-თქუმასა მას დაშრეტს განსუენებად იგი ნათელსა
შინა ცხორებისაჲ. ხოლო შუებად იგი და განსუენებად უქმ იქმს
წესსა გულის-თქუმისასა. ვინადცა არცა ერთი დაჭირვებად შეემთხუევის
სულსა, რაჟამს ესევითართა აღძრვათაგან განთავისუფლდეს, და თავსა
მას საწადელთასა განცხადებულად და ჭემმარიტებით შეეყოს. და
არცაღა სასოებითი აღძრვად საკმარ არს მისსა, რამეთუ სასოებად
მოლოდებადთა ხოლო საქმეთათჳს მარჯუე არს. ხოლო რომელი ვის
აქუნდეს, მისდა რადღა საკმარ არს სასოებად, სიტყვსაებრ სამოციქუ-
ლომსა! და ეგრეთვე, არცა ვსენებითი აღძრვად საკმარ არს, რამეთუ
ხილული ვსენებისა არა მოქენე არს, გარნა ხოლო სიყუარული ბუნებითი
დაშთების საყუარელისა მის და საწადელისა, საღმრთომსა ბუნებისა
შემაერთებელი და შემზავებელი. და ამასვე წამებს მოციქული, რამეთუ
ყოველთავე ჩუენ შორის მყოფთა წარმატებათა დაცხრომად გუაუწყა,
ხოლო სიყუარულისა ხოლო საზღვარი უსაზღვრო ყო. ამისთჳსცა
ყოველთა სათნოებათა და შჯულისა მცნებათა უვალრეს არს წმიდად
სიყუარული. და უკუეთუ სული ამისსა სიმალლესა აღიწიოს, მას
ყოველნივე სათნოებანი სრულ-უქმნიან. და ესე ხოლო მარტოდ
გამოაჩინებს მსგავსებისა ღმრთისა ჭემმარიტსა ხატოვნებასა თავისა
მიერ თჳსისა. და ზეცისა ცხორებად სხუადმცა რაჲ იყო, არამედ
სიყუარული, და კეთილისა უკმარ-მქმნელი სიმამლრე ვერ შეეხებისა
მას. და ვინადთგან სიყუარული ღმრთისაჲ ბუნებით აქუს სულსა,
უკუეთუ ოდენ ზრუნვათაგან სოფლისათა არა დამძიმდეს, ადვილად
შეეყოფის ღმერთსა ხატებისათჳს და მსგავსებისა მისისა. ხოლო უკუეთუ
გემოთა და გულის-თქუმათა სამშჳლულებითა ნივთიერთა ამათ ამის
სოფლისა საქმეთა სიყუარულსა შემშჳლუალოს, მიერთგან ძნელ იქმნების
ღმრთისა მიმართ ამადლება მისი და წმიდისა მის და უნივთომსა
ბუნებისა შეყოფად. (vE)

რასა მოასწავებს სიტყუად იგი მოციქულისად: „რადთა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველთა შინა“?

მრავალ და თითოსახე არიან საფელსაცა ამას შინა ღმრთისა მიერ ჩუენ ზედა ქმნილნი კეთილნი, რომელთა მიერ განვისუენებთ და ვიშუებთ, ესე იგი არს ჟამნი და წელნი, და ღამენი და დღენი, და ზამთარი და ზაფხული, და ჭამად და სუმად და მზე და მთოვარე, და ნათელი და ბნელი, და სხუანი ესევითარნი აურაცხელნი, გარნა ამათგანი არარად არს ღმერთი. ხოლო საუკუნოდ იგი ნეტარებად ამათგანისა არცა ერთისა არს მოქენე, არამედ ამის ყოვლისა წილ საღმრთოდ იგი ბუნებად ექმნების თითოეულსა მართალთაგანსა, რამეთუ ადგილ და სახლ და სამოსელ და საზრდელ და სასუმელ და ნათელ და სიმდიდრე და საშუებელ და სასუფეველ, და რაოდენიცა რად არს თქუმული და უთქუმელი განსასუენებელი დაუსრულებელთა (vA) მათ კეთილთად, ყოვლისა წილ ღმერთი ექმნების ღირს-ქმნულთა მათ ცხორებისათა. და ვინადგან ყოველსა შინა ღმერთი იყოს, სიბოროტისა და უკეთურებისა სრულიადი განქარვებად იქმნების, რამეთუ ესევითარი რადმე სრულიად უცხო არს ღმრთისაგან. და ესე არს სიტყუად იგი მოციქულისად: „რადთა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა“.

რად ჯერ-არს თქუმად სიკუდილისა განსაცდელსა ზედა სულ-მოკლეთა მიმართ?

და მოძღუარმან თქუა: ვჰრქუათ მათ, ვითარმედ: ამოდ განმწარე-ბულ ხართ და ცუდად ჰფიცხოით, რომელნი-ეგე უგუნურებით წინა-აღუდგებით და აცილობთ განგებათა ღმრთისათა, რომელი-იგი ყოველსავე ჯეროვნად განაგებს გამოუთქუმელითა მით სიბრძნითა თჳსითა, და რომელთად ჯერ-იყოს, უტევებს სოფელსა ამას შინა, და რომელთად ჯერ-იყოს, წარიყვანებს. და არა უწყით, ვითარმედ წესისაებრ და განგებისა საღმრთოთა მათ საქმეთადსა ჯერ-არს რადთა საკუთარ იქმნეს ღმრთისა კაცობრივი ესე ბუნებად, რომელი-იგი ამისთჳს დაიბადა, რადთა არა უქმად დაშთეს სიმდიდრე იგი საღმრთოთა მათ კეთილთად,

არამედ რადთა სოფელსაცა ამას შინა იშუებდეს კაცი ხილულთა ამათ
საშუებელთა მიერ, და მერმე შემდგომად სიკუდი(162rE)ლისა სრულიად
შეესაკუთროს და შეეყოს ღმერთს, და მოუგონებელთა მათ და უოხჭნოთა
კეთილთა მიერ სამარადისოდ იშუებდეს დაუსრულებელთა მათ
საუკუნეთა, რამეთუ ესევეთარი დაჰბადა ბუნებად მისი, რადთა, რაოდენცა
განმრავლდენ ნიჭნი საღმრთონი, უმეტესთა მიმართ სურვიელ იყოს.

რამეთუ ესევეთარი არს საღმრთოდ ზიარებად, და რომლისა შორის
შევიდეს, უმეტესისა შემწყნარებელ ჰყოფს. აწ უკუე ვინაფთგან
ესევეთარი არს საიდუმლოდ ჩუენი, და ბუნებად თვისსა წესსა და
გზასა განსაზღვრებულსა წარმოაჩინებს, რაისათვის იგლოვთ და
განჰმწარდებით ამოდ! რამეთუ სხვთა სახითა შეუძლებელ არს
უოხჭნოდსა მის ცხორებისა მიმთხუევად, არა თუ მძიმე ესე და
ქუედამზიდავი ნივთი და მიწისაგანი ესე ტვრთი, რომელ არიან ბრალთა
თანამდებნი ესე ჯორცნი, განყარნეს თავისა თვისისაგან სულმან. და
სიყუარული იგი, რომელი მათდა მიმართ აქუნდა სოფელსა ამას შინა,
საღმრთოდსა სიყუარულისა და მოღუაწებისა მიერ დავიწყებად მოვიდეს.
ხოლო უკუეთუ ჯორცთმოყუარე ვინმე ხარ, და შეგაწუხებს საყუარე-
ლისა შენისა სიკუდილი, ნუცა ესე მოგცემს მიზეზსა სასოწარკუეთი-
ლებისასა, რამეთუ იხილო იგი შემდგომად მცირედისა, არღარა ჯორცითა
ამით მოკუდავითა, არამედ ჯორცითა მით უკუდავითა და სულნელითა,
უცხო-ქმნილი ყოველთავე ვნებათაგან და უბრწყინვალესი მზისაჲ,
უკუეთუ ოდენ სათნოდ ღმრთისა სრულ-ექმნას ცხორებაი მისი.

ვინაფთგან ვსენებად აღდგომისაჲ შემოვიდა, ნუცა ამას თანა-
წარჰხვალ გამოუძიებელად.

და მოძღუარმან თქუა ამის პირისათვის: არა ფრიად საძიებელ არს
ჩუენ მიერ, ვინაფთგან წმიდანი წერილნი ჳმამალად მოგვთხრობენ
და ჳქმმარიტებად საქმეთაჲ უნათლეს მზისთუალისა ბრწყინავს. და
საწარმართონი იგი ზღაპარნი უქმ და საბასრობელ არიან ჩუენდა,
რომელნი-იგი სიბნელისათვის გონებისა მათისა მრავალსახედ შეჰრევენ

საქმესა სულისასა და არარაჲ არს მათ შორის ღირსი ჳსენებისაჲ,
არამედ ყოველივე (vE) საბასრობელ და საკიცხელ, და ცუდ და ამაო.

რომელთა შემოქმედი თჳსი ვერ იცნეს, მათმცა ვინაჲ ცნეს, ვითარმედ
ნებაჲ დამბადებელისაჲ საქმე იქმნების, და განზრახვაჲ ხოლო და მო-
გონებაჲ არსება (42rA)სა და გუამოვნებასა მისცემს არაარსთა.

ხოლო რომელი-იგი ზემო დაგვშთა, არა ჯერ-არს მისი თანა-
წარსლვაჲ, ესე იგი არს, ერთი უკუე იქმნების სულისა და ჳორცთა
დასაბამი არსებისაჲ საშოსა შინა დედისასა, და აღორძინებისაებრ
ჳორცთაჲსა სულისაჲცა ძალი გამოცხადნების; პირველად მუცელსა
შინა დედისასა ზრდითა და აღორძინებითა, და მერმე, ნათლად რაჲ
გამოვიდეს, საცნობელთა გრძნობისა მიცემითა, და მერმე სიტყუერობისა

ძალისა წარმოჩენითა. და ესრეთ, აღორძინებისაებრ ჳასაკისა, აღორ-
ძინებს სულიცა ღმრთისა მიერ მის შორის დამტკიცებულსა ძალსა.
ხოლო რაჟამს აღვიდეს თჳსსა სისრულესა და სავსებასა კაცობრივი
ბუნებაჲ, დასცხრეს ხრწნილებითი ესე შობაჲ და უხრწნელისა მის
ცხორებისა ბრწყინვალებამან დასაბამი მიიღოს, რომელი-იგი არცა
შობისა მოქენე არს, არცა ხრწნილებაჲ უფლებს მის ზედა.

აღდგომისა უკუე ჳეშმარიტი და უცილობელი ძალი დაფარულთა
შინა ღმრთისა სიბრძნისათა დაუნჯებულ არს, რომელი-იგი მაშინ
ხოლო გამოცხადებად არს, რაჟამს საქმით ვისწავოთ საიდუმლოდ იგი
აღდგომისაჲ, და არღარა სიტყუათაჲ იყოს ძიებაჲ, არამედ საქმენი
ღაღადებდენ ბრწყინვალებასა მისსა.

ხოლო აღდგომაჲ არს ყოველსავე წესსა ბუნებისა ჩუენისასა
კუალად-გებაჲ, რაჟამს-იგი არცა სიჩოებაჲ იყო, არცა სიბერე, არცა
სხუაჲ რაჲმე ჳორციელთა უძლურებათაგანი, რომელნი-ესე მცნებათა
ღმრთისათა გარდასლვამან მოგუატყუნა ჩუენ. ხოლო რაჟამს პირ-
ველსავე ნეტარებასა კუალად-ეგოს ბუნებაჲ ჩუენი, ამათ ყოველთაგან
თავისუფალ იქმნების იგი, რამეთუ, რაოდენიცა რაჲ პირუტყუ (163rE)-
ლთა ვნებათაგანი კაცთა ბუნებასა შემოერია, არა იყო მათგანი არცა

ერთი ჩუენ შორის, ვიდრე მცნებისა გარდასლვამდე და ვნებათა მიმართ მიდრეკისა. და ვინამთგან ვნებათაგან წმიდა იქმნას ბუნებად ჩუენი, უეჭუელად ყოველივე ვნებული საქმე მათ თანავე უჩინო იქმნას, რამეთუ არცაღა გულის-თქუმად არს, არცა შეერთებად, არცა მიდგომილებად, არცა შობად, არცა უშუერებად, არცა დედაკაცობად, არცა საზრდელი ხრწნილი, არცა ნამეტნავისა განთხევად, ანუ თუ მცირედ-მცირედ წარმატებად; გინა სიყრმე, გინა სიჭაბუკე, ანუ თუ სიბერე და ანუ თუ სხუად რამე ესევეითარი, ყოვლადვე უვალ არს მის ცხორებისაგან და უქმ.

ერთი არს შემდგომად აღდგომისა სამხილებელი და დამშჯელი და განმამართლებელი, თუ ვითარ ვინ აღასრულა ცხორებად ესე, გულის-თქუმათა შინა და გემოთმოყუარებასა, სათნობათა შინა ანუ სიბოროტესა, უბრალოდ ანუ ბრალეულად, საწყალობელად ანუ სანატრელად, რამეთუ ესე ყოველი ჟამსა საშჯელისასა გამოიძიების, და სიმრთელე და სიგონჯე, და სენი და სიბერე და სიყრმე და

სიჭაბუკე, და სიმდიდრე და სიგლახაკე, და თუ ვითარ ვინ წარვლნა ქსენებულნი ესე ჰასაკნი, კეთილად ანუ ბოროტად, და გინა თუ სიგრძე ჟამთად მიეცა, და არცა ესრეთ მოდრკა საქმედ კეთილისა, გინა თუ ყოველნი იგი ჟამნი კეთილად და სათნოდ აღასრულნა, და გინა თუ საჩჩოებასავე ჰასაკისასა განვიდა ამის ცხორებისაგან, და არცა კეთილისა ველ-ეწიფა ქმნად და არცა ბოროტისა; ხოლო შემდგომად განკითხვისა, რაჟამს პირველსა მას წესსა საწადელსა კუალად-ეგოს კაცთა ბუნებად, ჰასაკთა და ცხორებათა ძიებად (vA) არღარა არს, ხოლო კეთილთა მათთვს, ჩუენთვს განმზადებულთა, რომელნი თუალმან არა იხილნა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა აღვიდა, რომელმანმცა სიტყუამან გამოთქუნა იგი, გარნა, ვითარ ჩემი სიტყუად ჰგონებს, სხუად არარად არს, არამედ სრულიადი ღმრთისა შეზავებად და განღმრთობად, რამეთუ კეთილი, ზეშთა სმენისა და ხილვისა და გულად მოსლვისად, – ღმერთი არს, უვალრესი იგი და აღმატებული

ყოველთა კეთილთაჲ, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე, აწ და მარადის (vE) და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა, ამენ.

თარგმანებაჲ მომიჯნისაჲ,
თქუმული წმიდისა გრიგოლ ნოსელისაჲ

ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.

თავი პირველი

ვინმცა უკუე იყო შემოკრებულთა ამათ შორის ესევეთარი, რომელიმცა ღირს იყო მოწაფე-ყოფად სიტყვსა, რადთამცა აღვიდა მის თანა ქუეყანით, მდაბალთაგან და ურგებთა გონებათა, სულიერსა მას მთასა მაღალთა მათ ხედვათასა, რომლისაგან ლტოლვილ არნ ყოველივე აჩრდილი, სიბოროტისა სიმაღლეთა და ბორცუთაგან მოფენილი, და ყოვლით კერძო ჭეშმარიტისა ნათლისა (42rD) ელვარებითა ბრწყინავნ და ღმრთივშუენიერისა სიწმიდისა მყუდროებითა და სიმაღლითა ყოველსავე განიცდინ, რაოდენიცა სიბოროტისა ღელეთა შინა შეყენებულთაგან უხილავ არს და განუცდელ.

ხოლო სიმაღლისა ამისგან განცდილი და ხილული თუ ვითარი არს და რაბამი, თვთ თავადი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჰნატრის მის თანა აღსრულთა მათ, და თვსთა ბრძანებათა მიერ, ვითარცა თითითა, ესრეთ უჩუენებს ამიერ სასუფეველსა ცათასა და ზემთა ქუეყანისა დამკვდრებასა, და მერმე – წყალობასა და სიმართლესა და ნუგეშინის-ცემასა და ღმრთისა მიმართ ყოველთაჲსა თვსებასა, და დევნულებათა ნაყოფსა, რომელ არს თანამკვდრობაჲ ღმრთისაჲ. და

სხუად, რაოდენიცა (vD) ამათ თანა იხილვების, მითით-გარდამო თითით-
თა უჩუენებს სიტყუად მალლისა მისგან საებგუროდსა და თხემისა,
რომელ არს სასოებად.

ვინადთგან უკუე აღვალს მთად უფალი, რომელი ჩუენთს გარ-
დამოკდა, რადთა ჩუენ მის თანა აღგვყვანნეს, ვისმინოთ ესაიადსი,
რომელი ღაღადებს, ვითარმედ: „მოვედით, აღვიდეთ მთასა უფლისა-

სა“, და დაღაცათუ სნეულ ვართ შეცოდებათათს, განვადლიერ-
ნეთ, სიტყსაებრ წინადაწარმეტყუელისა, ჳელნი დაშთომილნი და
მუჳლნი დაჳსნილნი, რამეთუ, უკუეთუ სიმალლედ აღვიდეთ, ვპო-
ვოთ მკურნალი ყოვლისა სენისა და ყოვლისა უძლურებისად, რო-
მელმან უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენნი იტჳრთ-
ნა.

აწ უკუე აღვისწრაფოთ ჩუენცა თხე(43rd)მსა მთისა მის სასოები-
სასა იესუმს თანა, რადთა ვიხილნეთ ზემთამო კეთილნი იგი, რომელთა
[მისდა შედგომილთა მათ უჩუენებს სიტყუად მალლით-გარდამო, არამედ
აღაღენ ჩუენთსცა პირი თჳსი სიტყუამან ღმრთისამან და გუასწავენ
ჩუენ სწავლანი იგი, რომელთა] (279th) სმენად ნეტარებად არს.

იყავნ უკუე ჩუენდა თჳუმულთა ამათ ხედვისა დასაბამ დასაბამი
იგი მოძლურებისად, რამეთუ იტყჳს: ნეტარ იყვენნ გლახაკნი სული-
თა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათად.

უკუეთუ ვინმე ოჳროდს მოყუარეთა(vC)განი წერილთა მიემთხჳ-
ოს, საუნჯისა ადგილსა მაუწყებელთა, ხოლო ადგილი იგი საუნ-
ჯისად მრავალთა ოფლთა და შრომათა წარმოჩენასა აუწყებნ (vD)
მონაგებთა მოსურნესა მას, ნუუკუე ამის ძლითმცა მომედგრდაა
შრომათა მათ მიმართ და დაჳსნილობად უტკბილეს სიმდიდრისა და
შესაძინელისა შეჳრაცხა? - ნუ იყოფინ; არამედ მეგობართაცა თჳსთა
ყოველთა ჳლოცავნ ამისთჳს, და რაოდენცა მალ-ედვას, თანაშემ-
წენი განიმრავლნის და მრავალთა ჳელთა მიერ დაფარული იგი
სიმდიდრე განისაკუთრის.

ესე იგი საუნჯე არს, ძმანო, რომელსა წერილი გუაუწყებს, ხოლო სიმდიდრე მისი სიღრმისაგან დაფარულ არს.

აწ უკუე, რომელთა-ესე უხრწნელისა მის ოქროდსათვს გუსურის, არა ჩუენცა შემწე ვიყვნეთა კელნი ლოცვათა სიმრავლისანი, რადთა სი(44rD)მდიდრე იგი განცხადებულ ვყოთ და ყოველთავე სწორებით განვიყოთ და ყოველივე თითოეულმან მოვიგოთ? – რამეთუ ესევი-თარი არს სათნოებისა განყოფილებაჲ, რადთა ყოველთა რად მუშაკთა

მისთა განინაწილონ, ყოველივე თითოეულსა თანა დაადგრების და არა შემცირდების თანამონაწილეთაგან, რაოდენცა მრავალ იყვნენ.

მსოფლიოდსა უკუე ამის სიმდიდრისა განყოფასა ავნებს თანა-მონაწილესა, რომელმან უმეტესი მიიღოს, რამეთუ შეამცირებს ნაწილსა მას თანაზიარისასა, რომელმან თვისი განამრავლოს, ხოლო სულიერი სიმდიდრე მზისა მსგავს არს, რამეთუ ყოველთავე მხედველთა მისთა თავსა თვისსა განუყოფს და კაცად-კაცადსა ყოვლი-თურთ განანათლებს და თვთ ჰგიეს განუღვევნელად.(vD)

ვინაძთგან უკუე სწორი შესაძინელი მოგუეცემის თითოეულსა შრომისა ამის მიერ, სწორებით იყავნ ლოცვაჲცა ყოველთაჲ საძიებელისა ამის თანაშემწედ. ხოლო პირველად თვთ მებრ ნეტარებისათვის ვიტყვ მე, ვითარმედ ჯერ-არს გულისჯმის-ყოფად, თუ რად არს ძალი მისი.

ნეტარებაჲ უკუე არს, ვითარ ჩემი სიტყუად ჰგონებს, ყოველ-თა კეთილთა შესაკრებელი, რომლისაგან არცა ერთი რად კეთილთაგანი მოკლებულ არნ, ხოლო ძალი ნეტარებისაჲ იქმნეს ჩუენდა უმეტეს საცნაურ წინააღმდეგომისა კერძოდსაგან. წინაუკუმოდ უკუე ნეტარებისაჲ არს უბადრუკებაჲ. ხოლო უბადრუკებაჲ არს შესაწუხებელთა და უნებლიეთთა ვნებათა განსაცდელი, და (45rD) ორ-თავე ამათ პირთა წინაუკუმოდ განყოფილ არს სხუად და სხუად ძალად, რამეთუ ნეტარებისა ღირსი იხარებს და განსცხრების მისთვის განმზადებულთა მათთვის და წინამდებარეთა საშუებელთა, ხოლო უბა-

დრუკებისად ურვეულ არს და ტკივნეულ ჭირთა მათთვის, მის ზედა მოწვევულთა და მო(vB)წვევანდთა.

ჭეშმარიტი უკუე ნეტარი იგი მხოლოდ არს თავადი ღმერთი, და რამეთუ რადცა იგი არს, ნეტარებად არს: უხრწნელი იგი ცხორებად; მიუწდომელი და გამოუთქუმელი სახიერებად; მოუგონებელი იგი შუენიერებად. თვთ თავადი იგი მადლი და სიბრძნე და ძალი; ჭეშმარიტი იგი ნათელი – წყაროდ იგი ყოვლისა კეთილისად; (31rC) ყოველთა აღმატებული იგი კელმწვებად; მხოლოდ იგი საწადელი (vD) და სამარადისოდ ერთსა ზედა დამტკიცებული; მოუკლებელი იგი სიხარული, რომლისათვის რად ყოველივე რაოდენიცა ვის ძალ-ედვას და თქუას, ღირსსა მისსა ვერარას იტყვს, რამეთუ ვერცა გონებად მის-

წუთების ჭეშმარიტებასა, და დაღაცათუ მაღალთაგანსა რასმე მოგონებად შეუძლოთ მისთვის, მოგონებულისა მის სიტყვთ გამოთქუმად შეუძლებელ არს.

ხოლო ვინადთგან რომელმან-იგი შექმნა კაცი, ხატად ღმრთეებისა შექმნა იგი, მეორედ ნეტარებად სამართლად ეწოდოს მას.

ზიარებითა პირველისა მის ნეტარებისადთა ხატებისათვის და მსგავსებისა მისისა, რამეთუ ვითარცა-იგი ჯორციელისა შუენიერებისა პირ-(46rD)მშოდ შუენიერებად ცხოველსა და გუამოანსა ხატსა შინა იხილვების, ხოლო მეორე, მსგავსად მისსა გამოხატულსა ხატსა შინა საცნაურ იქმნების. ეგრეთვე კაცობრივი ბუნებად, ვითარცა ხატი აღმატებულისა მის ნეტარებისად კეთილსა მას სიკეთესა ემსგავსების, რაჟამს თავსა შორის თვისსა გამოაჩინოს ნეტართა მათ შარავანდედთა მცხინვარებისა ელვარებად.

ხოლო ვინადთგან მწიკულმან ცოდვისამან ხატებისა იგი შუენიერებად განწყუნა, მოვიდა თავადი იგი და განგუწმიდნა ჩუენ თვისითა მით წმიდითა სისხლითა და წყლითა უკუდავითა და ცხოველითა, რომელი ვალს ცხორებად საუკუნოდ, რადთა განზანილნი ბიწთაგან ცოდვისათა კუალად-ვეგნეთ პირველსა მასვე შუენიერებასა. (vD) და

ვითარცა-იგი მხატვარობისა ჯელოვნებისათვის ეტყვნ უსწავლელთა გამოცდილი და ჯელოვანი მოძღუარი, ვითარმედ იგი პირი არს კეთილ, რომელი ესევითართა სახეთაგან შემკულ იყოს, რომლისა თმად ესევითარი იყოს, და თუალთა სიგრემნე და სიმრგულე – ესევითარი, და წარბთა სიკმოდ და ღაწუთა აგებულებად, და შემდგომითი-შემდგომად თითოეული ასოდ, რომლითა სრულ იქმნების შუენიერებად პირისად, ეგრეთვე, რომელი-იგი სულისა ჩუენისა ხატსა მხოლოდსა მის ნეტარებისა მსგავსებითა გამოსწერს, თითოეულსა ნეტარებისა სახესა გამოსახავს სიტყვთა თვისთა, და იტყვს პირველად:

ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათად. (47rD) არამედ, რამცა იქმნა სარგებელი მაღალთა მათ ნიჭთაგან, უკუეთუ ძალი და სიღრმე მათი დაფარული სიტყვსა მიერ

არა გამოგუეცხადოს ჩუენ? რამეთუ სამკურნალოთაცა შინა მრავალნი და პატოსანნი და დიდფასისა წამალნი უკმრად და ურგებად შერაცხილ არიან უმეცართაგან, ვიდრემდის ისწაონ ჯელოვნებისა მიერ თითოეულისა მათისა საკმრობად და სარგებელი.

რად არს უკუე გლახაკობად სულითა, რომლისა მიერ დაიპყრობვის სასუფეველი ცათად?

ორნი სიმდიდრენი გვსწავიან (280rB) წერილისაგან: ერთი საქებელი და ერთი დასაშჯელი. საქებელ არს უკუე სათნოებათა სიმდიდრე, ხოლო საბრალობელ – ნივთიერი ესე და ქუეყანისად. (vD) რამეთუ ერთი იგი სულსა განამდიდრებს, ხოლო მეორე იგი – საცნობე(vC)ლთა დაატკობს. ვინადცა ამისსა დაუნჯებასა აყენებს უფალი, ვითარცა მდილთა შესაჭმელსა და მპარავთა წარსაპარველსა, და მაღლისა მის სიმდიდრისა მოგებად გზბრძანებს, რომელსა ხრწნილებად ვერ შეეხების. ხოლო მდილი რად და მპარავი თქუა, განმხრწნელი იგი სულისა საუნჯეთად გამოაჩინა.

აწ უკუე, ვითარცა მრჩობლ განსწვალებს სიგლახაკე სიმდიდრესა,

ეგრეთვე მსგავსად მრჩობლთა სიგლახაკეთა ვისწავებთ: ერთსა გან-საგდებელსა და ერთსა სანატრელსა. ვინაჲცა, რომელი სიწმიდისაგან გლახაკ იყოს და (48rD) სიმართლისა და სიბრძნისა და გონიერებისა ანუ თუ სხვსა რომლისამე ესევითარისა პატიოსნისა და მრავალსაყიდლისა საუნჯისა, – საწყალობელ არს იგი სიგლახაკისა მისთვის, და უბადრუკ – პატიოსანთა მათ მონაგებთა უპოვარებისათვის.

ხოლო რომელი ყოველთა სიბოროტისა სახეთაგან ნებსით გლახაკ იყოს და საეშმაკოთა მათ მონაგებთაგან არარაჲ აქუნდეს თვსთა საუნჯეთა შინა დაუნჯებულ, არამედ სულითა ცხოველ იყოს და ბოროტთაგან და ვნებათა სიგლახაკესა მისთვის იუნჯებდეს, ესევითარი იგი არს დაწესებულ სიტყვსა მიერ ნეტარსა მას სიგლახაკესა შინა, რომლისა ნაყოფ არს სასუფეველი ცათაჲ.(vD)

არამედ კუალად მივიქცეთ გამოკულებად და შრომად საუნჯისა მის და ნუმცა მოვიწყინებთ თუალთა მათ ოქროდსათა თხრად და ძიებად დაფარულისა მის სიმდიდრისა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა.

თქუმულ არს ზოგს-რადმე პირველცა ამის პირისათვის, და აწცა

ვთქუათ კუალად:

სისრულე უკუე სათნოდ ცხორებისაჲ არს მსგავსებაჲ ღმრთისაჲ, ხოლო უცოდველობაჲ და უვნებლობაჲ და უხრწნელებაჲ საღმრთოდ ივლტის ყოვლისავე კაცთა მსგავსებისაგან. რამეთუ შეუძლებელ არს ვნებულისა ბუნებისაგან უვნებელისა ბუნებისა მსგავსებაჲ. აწ უკუე, უკუეთუ მხოლოდ ღმერთი არს ნეტარი, ვითარცა მოციქული (49rD) იტყვს, ხოლო ნეტარებისა მის ზიარებაჲ ღმრთისა მსგავსებითა მომცემის კაცთა, ხოლო ღმრთისა მსგავსებაჲ შეუძლებელ არს და უღონო, მაშა უვალ არს სამე და მიუწდომელ კაცობრივისა ცხორებისაგან ნეტარებაჲ.

გარნა არა სრულიად უღონო არს საქმე ესე, არამედ არს საღმრ-თოდ განგებაჲ შესაძლებელი მიმსგავსებად, უკუეთუ ოდენ ვინ გულს-

იდგინოს.

და რად-მე უკუე არს ესე? – სულისა გლახაკობად ნებსით-სა სიმდაბლესა სახელ-სდებს სიტყუად, რომლისა სახედ ღმრთისა სიგლახაკესა გვჩუენებს ჩუენ მოციქული და იტყვს, ვითარმედ: „მდი-დარი იგი ჩუენთვის დაგლახაკნა, რადთა ჩუენ მისითა მით სიგლახაკითა განვმდიდრდეთ“.

ვინადთგან უკუე სხუად ყოველივე, რომელი საღმრთოსა ბუნებასა შინა იხილვების, (vD) აღმატებულ არს კაცობრივისა სიკნინისაგან და საზომისა, ხოლო სიმდაბლე თანანერგი არს ჩუენი და თანამკვდრი, რომელნი-ესე ქუეყანასა ზედა ვიქცევით და მიწისაგან აგებულ ვართ და მიწადვე მივი(32rC)ქცევით, აწ უკუე ბუნებითითა ამით და შესაძლებელითა წესითა ღმერთსა მივემსგავსნეთ, რადთა ესრეთ ნეტარი იგი მსგავსებად ჩუენცა შევიმოსოთ, და ნუვინ ჰგონებნ თუ მცონარებით და უჭირველად მოიგების სიმდაბლისა ესე სათნოებად, არამედ უწყოდენ, ვითარმედ ყოველთა სათნოებათა უფროდს საშრომელ არს ამისი მოგებად. და რაისათვს-მე? – ამისთვს, რამეთუ დაიძინა რად კაცმან, რომელსა-იგი თესლნი კეთილნი მიეხუნეს, თავი იგი ბოროტთა თე(50rD)სლთად, რომელ არს ღუარძლი ამპარტავანებისად, მტერისა მიერ ცხორებისა ჩუენისა დაეთესა თესლთა მათ შორის კეთილთა.

რამეთუ რომლისა-იგი მიერ მან თვთ თავი თვსი ქუეყანად დააკუეთა, მითვე სახითა უბადრუკი ესე კაცთა ნათესავი თავისა თვსისა თანა

დასცა დაცემითა მწართა. და არარად არს სხუად ესევეითარი ბოროტი ბუნებისა ჩუენისად, ვითარ ამპარტავანებისა მიერ მოწევნული დაქცევად.

და ვინადთგან ყოვლისავე კაცთა ბუნებისა ზოგად მავნებელი არს ამპარტავანებისა ვნებად, ამისთვს ამიერ იწყო ნეტარებათა დასაბამი უფალმან, რადთა, ვითარცა პირმშოდ რადმე ბოროტთად, განჯადოს ჩუეულებისა ჩუენისაგან ამპარტავანებად, და გან(vD)გუაზრახავს მიმსგავსებად ნებსით სიგლახაკისა თვსისა, რომელი-იგი არს ჭემმარტად

სანატრელ, რადთა, რომლითა-იგი ძალ-გვც, რაოდენცა შეუძლოთ, მივემსგავსნეთ მას, ნებსით დაგლახაკებითა, და ნეტარებისაცა ზიარებად მოვიგოთ.

ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ესე ზრახვად იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუმს მიერ, რომელი-იგი ხატი ღმრთისად იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად იგი სწორებად ღმრთისა, არამედ თავი თვისი დაიმდაბლა და ხატი მონისად მიიღო“.

რამცა უკუე უგლახაკეს იყო [ღმრთისათვის მონისა ხატისა! რამცა უმდაბლეს იყო] მეუფისათვის არსთამსა, ვითარ გლახაკისა ამის ბუნებისა ჩუენისა ნეფსით ზიარე(51rD)ბად მოსლვად!

მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან ხატი მონისად ნეფსით შეიმოსა; და მსაჯული ყოველთად მოხარკე მძლავრთა იქმნა; და დამბადებელი დაბადებულთად ქუაბსა შინა იშვა; და ყოვლისა-მპყრობელსა ადგილი არა ეპოვა სავანესა მას, არამედ ბაგასა პირუტყუთასა მიიწვინა; და წმიდამან მან და შეუხებელმან კაცობრივისა ბუნებისა ბიწი შეიხო; და ყოველნივე სიგლახაკენი ჩუენნი წარვლნა ვიდრე სიკუდიდმდე.

ჰხედავთა ნეფსითისა მის სიგლახაკისა საზომსა? – ცხორებამან სიკუდილისა გემოდ იხილა! მსაჯული დაშჯად წარიდგინა! არსთა ცხორებისა მფლობელი განჩინებასა სიკუდილისასა მსაჯუ(vD)ლისა მიერ მიეცა! ყოვლისავე ზეცათა მჰედრობისა მეუფე მტარვალთა

ჰელითა იგუემა! - ამას უკუე სიმდაბლისა სახესა ხედევდინ საზომი სიმდაბლისა შენისადო, – იტყვს მოციქული.

ხოლო ვითარ ვჰკონებ, კეთილ არს უშუერებასაცა და პირუტყუებასა ამპარტავანებისა ვნებისასა განცდად, რადთა ადვილ იქმნეს ჩუენ-და ნეტარებასა მას სიმდაბლისასა მოგებად. რამეთუ, ვითარცა-იგი ჰელოვანნი მკურნალნი პირველად მიზეზთა სენისათა აღმოჰფხურინან, (vC) და ესრეთ ადვილად მძლე-ექმნებიან ვნებასა, ეგრეთვე ჩუენ,

უკუეთუ სიმედგრე ამპარტავანთა გულისსიტყუათაჲ სიტყუათა მიერ დავაცხ(281rB)რვოთ, სიმდაბლისა გზად ადვილად სავალ ვყოთ (52rD) თავთა თვსთათვს.

ვინად უკუე ვინ გამოაჩინოს ამაოებაჲ ამპარტავანებისად? ვინად სხუად, არამედ რადთა ცხად ყოს ბუნებაჲ კაცობრივი, თუ რად არს. რამეთუ, რომელი თავსა თვსსა განიცდიდეს და არა უვალრეს თავისა თვსისა ხედვიდეს, ეგევითარი იგი არა ადვილად შთავარდეს ესევი-თარსა ამას ვნებასა.

რად არს უკუე კაცი?

გნებავსა, რადთა ქებულთაგან და პატიოსანთა ვიწყო მისთვის სიტყუად? – არამედ რომელი-იგი შეგუამკობს ჩუენ, და რეცა აღამაღ-ლებს კაცობრივსა აზნაურებასა, თიჯისაგან ტომის-მეტყუელებს ბუნებასა ჩუენსა, და სილაღესა და წარჩინებულებასა ამპარტავანთასა ალიზისა და თიჯისა თვსებასა მისცემს. (vD)

ხოლო უკუეთუ შემდგომითი-შემდგომად შობისა და არსად მოსლვისა ჩუენისა წარმოთქუმაჲ გნებავს, ნუ იყოფინ ესე. ნუცა იტყვ ამას, ნუცა წარმოაჩინებ, ვითარცა იტყვს შჯული, ვითარმედ: ნუ გამო-აცხადებ უშუერებასა მამისა და დედისასა, ნუცა განსთქუამ და განაქიქებ ღირსსა დაფარვისა და ღრმისა დუმილისასა.

აწ უკუე არა გრცხუენისა, თიჯისა ძეგლო, და შემდგომად მცირე-დისა – მტუერო, რომელსა-ეგე მსწრაფლ უჩინო-ყოფადი განბერვად გაქუს მსგავსად ბუშტთა მათ და პერულთა წვმისათა, ესრეთ ამპარ-ტავანებაჲ და განსივებაჲ სილაღითა და ამაოდთა ზრახვითა განცოფე-ბად გონებითა?

არა ხედავა ორ(53rD)თავე კერძოთა კაცობრივისა ცხორებისათა, და თუ ვითარ იწყებს და თუ სადა დასრულდების?

არამედ ჰზუაობ სიჭაბუკისათვს და ყუავილსა ჰასაკისსა განიცდი და იქადი შუენიერებისათვს, რამეთუ მკვრცხ არიან ჰელნი შენნი და მოძრავ და მალე და სუბუქ მიმოკუეთებაჲ და ხლდომად ფერჴნი

შენნი, და მიმოიფქურევიან ნიავთა მიერ წინამონი და თმანი შენნი, და
ლაწუთა შენთა შემოსწერს სიკშოდ წუერთად, და რამეთუ სამოსელი
შენი, ფერთა პორფირისადთა ღებული, ყუავის, და ზეზი და ჭიჭ-
ნაური პირად-პირადად ჭრელებულ არს თვთოსახეთა ოქრომკედთა
მიერ, და ბრძოლათა და მკეცთა, ანუ თუ სხუათა რათმე ძუელთა
სახეთა მიერ განკა(vD)რგულ.

და ნუუკუე და კამლთაცა და საკამრობელთა ურწყოდ სიშავითა
ელვარებასა წადიერად განიცდი, და მრავალღონედ ნემსვისა მიერ
დაწერილისა შენელებასა და შუენებასა.

ამათ უკუე განიცდი, [ხოლო თავსა შენსა არა განიცდი]. და
უკუეთუ გნებავს, გიჩუენო შენ, ვითარცა სარკითა, თუ ვინ ხარ და
რაბამ ხარ.

არა გიხილავსა სამაროანსა შინა ბუნებისა ჩუენისა საიდუმლოდ?

არა გიხილავსა ზედადსზედა დაკრებული იგი და შეყრილი (33rC)
ღუერფი ძუალთად, თავნი ჯორცთაგან განშიშულეებულნი, საზარელნი
და საძაგელნი, ღრუთა თუალითა ამოდ მხედველნი?

არა გიხილვანა პირნი განღებულნი და გრმილნი განშიშუ(54rD)ლე-
ბულნი ჯორცთაგან, და საწყინოდ აღმტკმობილნი, და ნეშტნი იგი
ასონი უშუერ და საწყინო-ქმნილნი და მიმოდათხე(vB)ულნი?

უკუეთუ იგი გიხილვან, თავი შენი გიხილავს მათ შინა!

მუნ მიჩუენენ მე აწინდელისა ამის ყუავილისა სასწაულნი:

სადა არს ფეროვნება ღაწუთად?

სადა არს ყუავილი ბაგეთად?

სადა არს თუალთა სიმკვრცხისა სიკეთე და სიგრემნე, წამთა და
წამწამთა მიერ განბრწყინვებული?

სადა არს ცხვრთა იგი წესიერად განწესებად, რომელნი შუენიერე-
ბასა მას ღაწუთასა შუვამდგომელობითა მათითა შეამკობენ?

სადა არიან თხემისა იგი დალაღანი და ბეჭთსაშუვალისა იგი
კოწოლნი ქედისანი, და მშულდის-სახენი იგი (vD) კელნი და მალიად

მორბედნი იგი ფერწნი?

სადა არს პორფირი და ბისონი და მოწეული და ოქროგანრჩუნვი-
ლი სარტყელი, და ჯამლნი და ჰუნენი და სრბა და ზახება, და
სხუად ყოველივე, რომელთა მიერ სილაღე შენი აღორძნდების?

სადა არს ესე მათ თანა, მითხარ-ლა, რომელთათვს-ეგე ჰმალლოი
და ჰზუაობ?

რომელი არს ესრეთ უარსებოდ სიზმარი? რომელი არს ესევიტა-
რი ძილისა უცნება? რომელი არს ესრეთ უძლური აჩრდილი და
შეხებისაგან მლტოლვარე, ვითარ სიჭაბუკისა სიზმარი, მეყსეულად
გამოჩინებული და გამოჩინებასავე თანა უჩინო-ქმნილი?

და ესე მითქუამს ჭაბუკთა მიმართ, ნაკლულევანებისა(55rD)თვს
ჰასაკისა და ცნობისა მიმოტაცებულთა და დაუმტკიცებელთა; ხოლო
რად ვინ თქუას ჰასაკითა სრულთათვს და მოხუცებულთა, რომელთა
ჰასაკი დამტკიცებულ არს და წარმატებულ, ხოლო გონება და
ცნობა მათი დაუდგრომელ არს, და სენი ამპარტავანებისა მათისა
აღორძნდების, და ესევიტარისა მის სენისა სახელად გონიერება
და სიბრძნე უწოდებია, და მთავრობა და ძლიერება მიზეზად
ამპარტავანებისა მოუპოვების. და ანუ მას შინა ზუაობენ, ანუ მისსა
მიმართ განემზადებიან, და ანუ მისთვს ზრახვენ! და ესრეთ, დაღაცა-
თუ დაცხრომილ იყოს სენი იგი მთავრობისმოყუარებისა, ზედამსზე-
და მოქსენებითა მისითა კუალად აღატყინებენ! (vD)

და რომელიმცა სიტყუად იპოვა ესევიტარი, რომელიმცა შევიდა
სასმენელთა მათთა, ჰმისაგან მაქებელთადას დაყოფილთა? ანუ ვინ
არწმუნოს ესევიტართა მათ, ვითარმედ მიმოსთა და ხუმართა თე-
ატროდსათა არარადთ ჰმატან იგინი. და რამეთუ იგინიცა ჰელოვნები-
თა მით ამოდთა სახესა რასმე და ხატსა ბრწყინვალესა შეიმოსენ, და
მოწეულსა და ოქროქსოილსა, და ეტლთა და ჰუნეთა ზედა აღ-
მკედრდებიან, გარნა არცა ერთი სენი ამპარ(vC)ტავანებისა შევალს
მათ შორის ესევიტართა მათ უცნებათაგან, არამედ ვითარნი იყვნინ
პირველ ხუმრობისა, ეგევიტარნივე იყვნინ შემდგომად განცხრომი-

საცა და კიცხვისა, და არცა შეწუ(55-არD)ხდიან მოძრცვსა მისთვის

სახისა და გარდასლვისათვის ეტლთადასა.

ხოლო რომელნი-იგი მთავრობისა მიერ იკიცხვიან, სამღერელსა ამას შინა სოფლისასა, არცა პირველსა ცხორებასა მოიქსენებენ, არცა უკუანადსკნელსა, არამედ ვითარცა წყლისა პერულნი და ბუშტნი, ქარისა მიერ აღბერილნი, აღიბერვიან ჳმისაგან ცუდად მაქებელთადასა, და უცხოსახესა რასმე და ხატსა და ფერსა გამოსახვენ პირსა მათსა ზედა, და ფერსა და წესსა პირისა მათისასა შე(282rB)ი-ცვალებენ განუღიმებელად და საშინელად. და ჳმასა და სიტყუასა მოიპოვებენ განმწარებულსა და უშუერსა განმაკრობელად მსმენელთა. (cD) და სახედ მწეცთა შეიცვალეზიან და განვლენ კაცობრივთა საზღვართაგან, და საღმროთოსა ძლიერებისა და ჳელმწიფებისა ფლობასა თავთა თვსთა, და ცხორებისა და სიკუდილისა უფლად გამოჩნდებიან. რამეთუ მათ მიერ განსჯილთა მათ, რომელთამე ცხორებისა განჩინებასა მისცემენ და რომელთამე სიკუდილითა დაშჯიან; და არცა ამას გულისჳმა-ჳყოფენ, თუ ვინ არს ჳემმარიტი კაცობრივისა ცხორებისა უფალი, რომელმან-იგი დასაბამი არსებისაჲ მისცა და აღსასრული განუსაზღვრა.

დადაცათუ ესე ხოლო მარტოდ შემძლეზელ იყო განფროთხოზად მედგრობისა მათისა, რამეთუ მრავალნი მთავართაგანნი უხილვან, მას მებრ მთავ(56rD)რობისა სამღერელსა შინა, საყდართაგან აღტაცებულნი შორის. სიკუდილისა მიერ, და სამარედ მიყვანებულნი, რომელთა ქებისა ჳმასა ჳმად გოდებისაჲ ენაცვლების. აწ უკუე ვითარ უფალ არს უცხოდასა ცხორებისა, რომელი თვსისაგან უცხო არს. და ესე უკუეთუ გლახაკ იყოს სულითა და ნეფსით ჩუენთვის დაგლახაკებულსა მას უფალსა ხედვიდეს, და ზიარებითა ბუნებისა[ა]თა განიცდიდეს, და ცთომილისა მის მთავრობისა სიცბილითა არცა ერთსა რას გინებასა შეამთხუევდეს ტომთა თვსთა; ნეტარ არს უკუე ჳემმარიტად, რომელმან საწუთროდას ამის სიმდაბლისა წილ ზეცათა სასუფეველი მოი-

ყიდოს.

ნუ განიშორებ, ძმაო, მეორესა მასცა სიმ(vD)დაბლისა სახესა, რომელი ზეცათა სიმდიდრისა მომატყუებელ იქმნების სიტყვსაებრ უფლისა, ვითარმედ: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, და მოვედ და

შემომიდეგ მე, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“. რამეთუ ესევე-თარი ესე სიგლახაკე არა უცხო არს, არცა განყოფილ სანატრელისა მის სიგლახაკისაგან, რომლისათვის ეტყვს უფალსა მოციქული, ვითარმედ: „აჰა ესერა ყოველივე, რაოდენი გუაქუნდა, დაუტევეთ და შეგიდეგით შენ, და რა-მე იყოს ჩუენდა?“ და რასა ეტყვს უფალი, ვითარმედ: „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

გნებავსა ცნობად, თუ ვინ არს გლახაკი სულითა? – რომელმან მოიგოს (34rC) სულიერი სიმდიდრე ჯორციელისა წილ სიმდიდრისა; (59rD) რომელი სულისათვის გლახაკ იყოს; რომელმან ქუეყანისა ესე სიმდიდრე, ვითარცა სიმძიმე რადმე უნდოდ, განაგდოს, რადთა აღტაცებული ჰაერთა აღვიდოდის, ვითარცა მოციქული იტყვს, ღრუბელთა ზედა შემთხუევად უფლისა.

მძიმე არს ოქროდ და ყოველივე ნივთი სიმდიდრისად, ხოლო სუბუქ და ზე-აღმავალ – სათნოებად. და სუბუქი და მძიმე ურთიერთას მჯდომ და წინააღმდეგომ არიან, და შეუძლებელ არს, რადთამცა სუბუქ იქმნა, რომელმან მძიმეთა მათ ნივთთა თავი თვისი შემსჭუალოს. ვინადაცა, უკუეთუ გუნებავს ზე-აღსლვად, ქუე-დამზიდავთა მათ ნივთთაგან დავგლახაკდეთ, რადთა ავმალდეთ.

ხოლო თუ რომლითა სახითა იქმნების ესე, მგა(vD)ლობელთმთავარი დავით გუასწავებს ჩუენ და იტყვს, ვითარმედ: „განაზნია და მისცა გლახაკთა, და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნითი-უკუნისამდე“, რომელი გლახაკსა მოწყალე ექმნას, (cB) ჩუენთვის დაგლახაკებულისა მის უფლისა ნაწილსა ღირს-ყოს თავი თვისი.

დაგლახაკნა უფალი; ნუ გეშინინ ნუცა შენ სიგლახაკისაგან, არამედ

სუფევს ყოველთა დაბადებულთა ზედა, რომელი ჩუნთვს დაგლახაკნა. ვინაჲცა, უკუეთუ მის თანა დაჰგლახაკნე, სუფევასაცა მისსა მის თანა ჰსუფევდე უეჭუელად, რამეთუ იტყვს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მაიო არს სასუფეველი ცათა“, რომლისა-იგი ღირსმცა ვართ ჩუნცა ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუნისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი-უკუნისამდე. ამენ. (58rD)

მისივე, თავი მეორე

ნეტარ იყვნენ მშენი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ.

რომელნი კიბეთა მიერ სიმაღლედ აღვიდოდის, რაჟამს პირველსა ხარისხსა აღვდენ, მიერ მეორესა აღვლენ, და კუალად, მეორე მესამესა აღიყვანებს და იგი – სხუასა, და სხუად – სხუასა, და ესრეთ, შემდგომითი-შემდგომად აღვალს მისგან, რომელსა ზედა დგეს, სხვსა მიმართ, და მარადის აღმაღლებითა აღიწევს ადგილსა მას, სადაცა-იგი ჰსურინ აღსლვის.

ხოლო რომლისა სახისათვს ვიწყე ამის პირისაგან? რამეთუ სახედ ხარისხთა და კიბეთა განწესებულ არს წესიერებაჲ ესე ნეტარებათაჲ, და ადვილ ჰყოფს აღსავალსა სიტყვსასა ურთიერთას შემდგომებითა, რამეთუ რომელი პირველსა ნეტარებასა აღვდეს გონებითა, შემდგომებისათვს სიტყვსა მის მეორე შეიწყნარებს, დადაცათუ განუკრძალველთა უცხოდ აღუჩნდების – შემდგომად პირველისა – მეორე ესე სიტყუად, და ნუუკუე და თქუას-ცა, რომელსა ესმოდის, ვითარმედ შეუძლებელ არს შემდგომად სასუფეველისა ცათაჲსა ქუეყანისა და-მკვდრებაჲ, სახედ ხარისხთა მოგონებაჲ, არამედ ვინაჲთგან ჯერ-იყო ბუნებასა არსთასა მიყოლაჲ სიტყვსაჲ, მაშა ცათა ქუეყანისა შემდგომად დაწესებაჲ უმახლობელეს იყო შემდგომებისა, რადთამცა ქუეყანით

ზეცად აღმიყვანებდა.

გარნა უკუეთუ ფრთოვან-ვიქმნეთ სიტყვსა მიერ და ბეჭთა ზედა ცისა კამარათასა დავდგეთ, ვპოვოთ ქუეყანა (59rD) იგი ცათა უმაღ-
ლესი სამკვდრებელად სათნოდ (vC) ცხორებულთა განმზადებული, და
არღარა საგონებელ იყოს შემდგომებად ნეტარებითა ცთომილად, პირვე-
ლად ცათად და მერმე ქუეყანისად, აღთქუმათა შინა, ღმრთისა მიერ
ჩუენდა განკუთნვილი, რამეთუ ხილული რაოდენიცა ჯორციელთა საც-
ნობელთა მიერ იხილვების, ყოველივე ურთიერთას მსგავს არს, და-
დაცათუ რომელიმე უმაღლეს საგონებელ არს სიშორითა და სიახლი-
თა ადგილისადათა, გარნა ყოველივე საცნაურისა მის ბუნებისა უმდაბ-
ლეს არს, რომლისა-იგი შეუძლებელ არს გამოკულევა გულისსიტყვ-

თა, არა თუ პირველად წარჰკედეს სიტყვსა მიერ მისაწდომელსა მას
საცნობელთა მიერ. (vD)

ხოლო უკუეთუ სახელითა ქუეყანისადათა წოდებულ არს
მაღალი იგი სამკვდრებელი, ნუ გიკვრნ, რამეთუ სიმდაბლესა თანა
სასმენელთა ჩუენთასა დამდაბლდების სიტყუაჲ, რომელი-იგი ამისთვის
გარდამოკდა ჩუენდა, რამეთუ ჩუენ მისა მიმართ ამაღლებად ვერ
შემძლებელ ვიყვენით, ამისთვისცა ჩუენ მიერ საცნაურთა სიტყუათა
მიერ და სახელთა მოგუცნა საღმრთონი საიდუმლონი ესევეითართა
სიტყუათა და ჳმათა წარმოჩინებითა, რომელნი კაცობრივისა ცხორე-
ბისა ჩუეულებასა შეუდგან. რამეთუ პირველსა მასცა აღთქუმასა შინა
გამო(283rB)უთქუმელსა მას ზეცათა ნეტარებასა სასუფეველად
სახელ-სდვა, რომელ არს სეხნაჲ ქოთნისა სუფევისაჲ, გარნა (60rD) რაჲ
იხილვების ზეცათა სასუფეველსა შინა ესევეითარი, ვითარ-იგი ქუეყა-
ნისა სუფევასა შინა? ნუუკუე გვრგვნი რამე იხილვებიან, ბრწყინ-
ვალეებითა თუალთადათა ელვარენი, და ყუავილოვანნი პორფირნი, უძლებთა
თუალთა ბრწყინვალეებისა ტკბილისა მიმფენელნი, და ეზონი და კრეტ-
საბმელნი და საყდარნი მაღალნი და მსახურთა სიმრავლე, მწყობრად-
მწყობრად განწყესებული, და სხუაჲ, რაოდენსაცა ესევეითარსა მას

შინა ცხორებისა სამღერელსა წარმოიტყვან, რომელნი-იგი ნივთსა მას მძლავრებისასა ესევითართა მათ სივერაგეთა მიერ უმეტეს აღაორძინებენ?

არამედ ვინაფთგან ყოველთავე კაცობრივთა საშურველთა უდიდეს შერაცხილ არს ცხორებასა ამას შინა პატი(vD)ვი მეფობისაჲ, ამის-თვს მოიკსენა სახელი ესე აღმატებულთა მათ კეთილთა საცნაურ-ყოფად, და უკუეთუმცა იყო კაცთა შორის სხუად რადმე უმაღლესი მეფობისაჲ, მისითამცა სახელითა ფრთოვან-ექმნა გონებაჲ მსმენელთაჲ სურვილად გამოუთქუმელთა მათ ნეტარებათა.

რამეთუ მათ კეთილთა თვისითა სახელითა გამოცხადებაჲ შეუძლებელ არს, რომელნი ზეშთა არიან კაცობრივთა საცნობელთა და ცნობათა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „არცა თუალმან იხილა, არცა ყურსა ესმა, არცა გულსა კაცისასა მოუჭდა“.

არამედ რადთა არა სრულიად თანა-წარგუჭდეს გამოუძიებელად სასოებითი იგი ნეტარებაჲ, რაოდენ ეტევის (61rD) სიმდაბლესა შინა ბუნებისა ჩუენისასა, ეგრეთ ვისმინოთ, გამოუთქუმელისა მისთვს დიდებისა, სეხნაობაჲ უკუე ქუეყანისაჲ შემდგომად ცათა, ნუმცა დაა-

მდაბლებს კუალად ზონებსა შენსა ქუენაჲსა ამის ქუეყანისა მიმართ, არამედ უკუეთუ ოდენ ამალლებულ ხარ (35rC) სიტყვსა მიერ პირველისა მის ნეტარებისა და ზეცათა სასოებად აღსრულ ხარ, იგი ქუეყანაჲ გულისწმა-ყავ, რომელსა ვერვინ დაიმკვდრებს სხუად, თვნიერ მათსა, რომელნი სიმშვდისათვს ცხორებისა მათისა ღირს იქმნენ აღთქუმულისა მის ნეტარებისა დამკვდრებად, რომლისათვს დავით ღაღად-ყო და თქუა: „ხოლო მშვდთა დაიმკვდრონ ქუეყანაჲ“, რამეთუ ესე წინადაწარმეტყუელი ჟამთა მისთა ცხორებასა ამას შინა მყოფთა ყოველთა უფროდს უმანკოდ (vD) და მშვდად იწამა საღმრთოჲსა წერილისა მიერ. ამან უკუე პირველ გულისწმა-ყო უწყებითა სულისა წმიდისაჲთა, და სასოებითი იგი, ვითარმცა აწვე დაეპყრა სარწმუნოებისა მიერ, ამისთვსცა იტყოდა, ვითარმედ, „მრწამს მე ხილვად კეთილი უფლისაჲ ქუეყანას მას ცხოველთასა“, რამეთუ ქუეყანად

ცხოველთად ამას ქუეყანასა არა უწესდა წინაღსწარმეტყუელი, რომელი ყოველსავე მოკუდავსა აღმოაცენებს, რომლისა მიმართვე მიიქცევის ყოველი მისგან გამოსრული, არამედ მას ქუეყანასა უწესს ქუეყანად ცხოველთა, რომელი უვალ არს სიკუდილისაგან, რომელსა შინა ცოდვილთა გზად არა მოიქმნა და არცა კუალი სიბოროტისაჲ შეიწყნარა, რომლისა ურნატი ვერ გან(62rD)კუეთა მთესვარმან მან ღუარძლისამან, ეკლისა და კურომსთავისაგან უცხოჲ იგი, რომელსა შინა დიან სამარადისოდ (vB) წყალნი განსუენებისანი, მავალნი ცხორებად საუკუნიოდ, სადა-იგი არს ადგილი მწუანვილოვანი და ოთხთავად გამყოფილი წყაროჲ, და ღმრთისა მიერ ყოველთაჲსა დასხმული იგი ვენაჲ, და სხუად რაოდენიცა სახისმეტყუელებით საღმრთოთა წიგნთაგან გუესმის მისთჳს.

აწ უკუე, უკუეთუ გულისჳმა-გჯყოფიეს ქუეყანად იგი მაღალი და უმაღლეს ცათა დამტკიცებული, სადა-იგი აღშენებულ არს ქალაქი მეუფისა დიდისაჲ, რომლისათჳს დიდებული ითქუა, ვითარცა იტყჳს წინაღსწარმეტყუელი, ვჰგონებ თუ არღა უცხოჲ აღგიჩნდეს შემდგომებაჲ (vD) სიტყჳსაჲ წესისაებრ თჳსისა, და ვითარცა მიეცა ქუეყანად ესე განსასუენებლად მათ, რომელნი-იგი აღტაცებად არიან ღრუბლითა ჰაერთა ზედა მემთხუევად უფლისა, რომელთა-იგი ეგულეზის მარადის უფლისა თანა ყოფად, ანუ რადღა საჳმარ არს მათდა ქუეყანად ესე, რომელთა ცხორებაჲ სასოებითა აღმაღლებულ არს,

რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „აღვიტაცნეთ ღრუბლითა მემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფოდით“. აწ უკუე, ვინადთგან ქუეყანასა დაუტევებთ, უეჭუელად მისსა მოქენე არღარა ვართ, ამისთჳს, რამეთუ ზეცას მივიცვალებით.

არამედ ვიხილოთ, თუ მაღლისა მის ქუეყანისა მჳედრობაჲ რომელთა (63rd) სათნოებათა ნიჰად მოგუეცემის, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანად“.

რად არს მშჳდი და რადსათჳს ჰნატრის სიტყუად მშჳდსა?

რამეთუ არა ვჰგონებ, თუმცა რაოდენიცა რაჲ სიმშვიდით იქმნებოდა, და ყოველიმცა სათნოებად შერაცხილ იყო, ანუ მცა მყუდროსა ხოლო და გვანსა მოასწავებდა სიტყვთა ამით? რამეთუ არცა მორბედთა შორის მალემსრბოლისა მშვიდად მავალი უმჯობეს არს, არცა მბრძოლთა შორის გვანი და მედგარი ახოვნად მოლუაწისა უწინარეს მიი(vC)ლებს გვრგვნსა, რამეთუ დაღაცათუ ვრბიოდით, გვრგვნისა მიმართ ზეცისა ჩინებისა უმეტეს გუასწრაფებს მოციქული და იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ რბიოდეთ,(vD) რაჲთა ეწინეთ“, რამეთუ თვთ იგიცა მარადის სწრაფისა მიერ წარემატებოდა და უკუ-ანასა დაივიწყებდა და წინასა მისწუთებოდა და წყობასა შინა მოლუ-აწებითა აღკუართულ იყო, რამეთუ განიცდიდა წინააღმდგომისა კუეთე-ბასა და ფერჯითაცა შეჭურვილ იყო და ჯელითაცა, და არა ამაოდ და უქმად დასთხევდა საჭურველთა, არამედ სიმცნით განაწონებდა წინააღმდგომსა და წყლულეზანი ჯორცთა შინა ეტჯრთნეს.

გნებავსა ხილვად წყობად პავლესი? – იხილენ ნაგუემნი იგი წინა-აღმდგომისანი; იხილენ ღუაწლნი იგი წინამბრძოლისანი; იხილენ სა-წერტელნი იგი ძლეულისანი, (64rD) განალა არა უმეცარ ხარ მჯდომი-სა მის, რომელი ჯორცთა მიერ სულსა ეწყვების, რომელსაცა აჭირვებს მოლუაწებისა და მარხვისა ნაგუემითა და ხუეტითა, რომლისა ასოთა მოაკუდინებს შიმშილითა და სიყმილითა და წყურილითა და სიშიშუ-ლითა, რომელსა შეჰმოსს საწერტელთა მათ უფლისათა, რომელსა სძლევეს სრბითა და უკუანა (284rB) კერძო დაიგდებს, რაჲთა არა წინა-აღუდგებოდის პირისპირ და წინა-უჯდებოდის და დააზნელებდეს.

აწ უკუე, უკუეთუ პავლე მალე არს და მოსწრაფე ღუაწლთა შინა, და დავით განავრცობს სლვათა თვსთა, რაჲთა ეწიოს მტერთა და ქებაჲ ქებათად (vD) ირემსა ამსგავსებს სიმესა სიმალისათვს, და

მთათა და ბორცუთა მოპყრობასა უწამებს, და ესევითარნი მრავალნი იპოვებიან წერილთა შინა, რომელნი სიმალისათვს და მოსწრაფებისა უფროდს მშვიდისა იქებიან, ვითარ უკუე ამას ადგილსა, ვითარცა სათ-

ნოებისათვის ჰნატრის სიტყუა მშუდსა და იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მშუდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანა“?

ხოლო იგი განაღა რომელსა კეთილნი იგი ნაყოფნი გამოჰქონან და ძელითა ცხორებისადთა შემკობილ არს და სულიერთა მადლია წყარონი დიან და ვენაჳი იგი ჭემმარიტი გარდაფენილ არს, რომლისა მუშაკ არს მამად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.

გარნა ვითარ ვჰგო(65rD)ნებ, ესევითარსა სიბრძნისმოყუარებასა გამოსახავს სიტყუად ესე, რამეთუ, ვინაფთგან ფრიად ადვილ არს სიბოროტედ მიდრეკად და მოსწრაფე არს მისსა მიმართ ბუნებად ჩუენი, ვითარცა მძიმენი იგი ნივთნი ზე-აღსლვად რადთურთით უძრავ არიან, ხოლო უკუეთუ თხემისაგან მათათადა შთაგორდენ, ესოდენ მძაფრად შთაექანებთან სიმძიმისაგან თჳსისა განფიცებულნი, ვიდრდა სიტყვთ გამოთქუამად შეუძლებელ არს სიმალისად მის, და ვინაფთგან ესევითართა საქმეთა შინა მოსწრაფებად ბოროტ არს, სანატრელ სამე იყოს უეჭუელად წინაუკუმოდ, რომელ არს სიმშუდე; და ესევითართა ბუნებისა აღძრვათა მიმართ – ძნიად მოძრავობად და სიგჳანე, (36rC; cD) ვითარცა ცეცხლსა ბუნებით აქუს ზე-აღსლვად სამარადისოდ და დამართ მიმართ უძრავ არს, ეგრეთვე სახედ სათნოებად ზეაღმავალ არს და მალე, და არაოდეს დასცხრების სწრაფისაგან, ხოლო დაყენებულ არს წინაუკუმოდსა კერძისაგან. ვინაფცა, ვინაფთგან ბუნებად ბოროტისა მიმართ მოსწრაფე არს, ესევითართა აღძრვათათვის, კეთილად ჰნატრის მყუდროსა, რამეთუ ამათ შინა მყუდროებად ზეცად მიმართ აღსლვისა მოწამე იქმნების.

და კეთილ არს, რადთა საქმეთაგანცა საჩინოთა ცხად-ვყოთ ძალი სიტყვსად ამის. თითოეულისა უკუე ნებისა მრჩობლი არს აღძრვად, და ვინაფ(66rD)თცა ვის ენებოს, ჳელმწიფედ წარემართების; სიწმიდედ და არაწმიდებად, სიმართლედ და სიცრუედ, და რომელი-ესე კერძოსა ზედა თქუმულ არს, სათნოებისათვის გინა სიბოროტისა, ესევე სახე ყოვლისავე საქმისათვის გულისჳმა-ყავ, რამეთუ განიწვალეების წინააღმდ-

ბად, სიმაღლედ და სიმდაბლედ, შურად და ქველისსაქმედ, სიძული-

ლად და სიყუარულად და მშვენიერად, არამედ ვინაფთვან კაცთა ცხორებად ნივთიერი არს და ნივთთა შინა ვნებანი მკვდრ არიან, და ყოველსავე ვნებასა მოსწრაფე და დაუპყრობელი სიფიცხლე აქუს აღსრულებად ნებისა თვისისა, (vD) რამეთუ ნივთი ვნებისად მიძიმე არს და (vB) შთამართ შთასაქანელ, ამისთვის ჰნატრის უფალი არა გარეშე ვნებისა მყოფთა, რამეთუ შეუძლებელ არს ნივთიერსა ცხორებასა შინა უვნებელისა და უნივთოდსა ცხორებისა წარმართებად, და ამისთვისცა ჯეროვანსა საზღვარსა სათნოებისასა განუჩინებს კაცთა სიმშვენიერსა, და ღირსად ნეტარებისა უწეს მშვენიერსა და კმა-ჰყოფს, და არა ეძიებს სრულიადსა უვნებლობასა კაცობრივისა ბუნებისაგან, რამეთუ არცა შეჰგავს ესე მართალსა მას შჯულისმდებლობასა მისსა, რადთამცა მას გვბრძანებდა, რომელსა ბუნებად ვერ შეიწყნარებს, რამეთუ ესევეთარი იგი მსგავს (67rD) არს, რაჟამს ვინმე წყლისა მცურვალთა ჰაერთა შინა მყოფთა ცხორებასა არწმუნებნ, ანუ თუ კუალად, ჰაერთა შინა მყოფთა წყალთა შინა ცხორებად აიძულებნ, არამედ ბუნებისაებრ და ძალისა ჯერ-არს ბრძანებად და შჯულისმდებლობად. ამისთვისცა სიმშვენიერსა და მყუდროებასა ბრძანებს ნეტარებად და არა სრულიად უვნებლობასა, რამეთუ ერთი იგი გარეშე არს ბუნებისა, ხოლო მეორე იგი საზომი არს სათნოებისად, და უკუეთუმცა სრულიადსა აღუძრველობასა ეძიებდა გულისთქუმათა მიმართ და მას წინა-გვყოფდა ნეტარებად, რომელ-ესე შეუძლებელ არს, ურგებმცა იყო და უქმარ ცხორებისა ჩუენისაგან ნეტარებად იგი (vD) და კურთხევად მისი. რამეთუ ვინმცა მისწუთა ესევეთარსა მას ჯორცთა და სისხლთა შეთხზულთაგანი?

ხოლო აწ არა მას იტყვს დასაშჯე(vC)ლად, უკუეთუ ვინმე განსაცდელისა რადსაგანმე გულის-თქუმად მიდრკეს, არამედ რომელმან წურთით მოიპოვოს ვნებად იგი, რამეთუ მიდრეკად ოდესმე ვნებისა მის მიმართ აგებულებისაგანცა ბუნებისა ჩუენისა და უძლურებისაგან

ჩუენისა უნებლიეთცა შეგუემთხუევის, ხოლო რადთა არა მსგავსად ღუარისა წარილოს ვნებისა მისგან, არამედ სიმჰნით წინა-განეწყოს და გულისსიტყუათა მიერ კეთილთა მყის განიშოროს ვნებად იგი, ესე არს საქმე სათნოებისაჲ. ნეტარ უკუე არიან ჭემმარიტად, რომელნი არა მოსწრა(68rD)ფე იყვნენ ვნებულთა მათ მიმართ აღძრვათა სული-სათა, არამედ დაწყნარებულ და დაყუდებულ სიტყუსა მიერ, რომელთა გულისსიტყუად ღმრთისმოშიში, ვითარცა აღვრი რადმე ძლიერი ეს-

რეთ იჭირვიდეს უწყესობისაგან სულიერისა.

და უფროდსა ვნებისა მისთვის მართებისა იხილო. თუ რაბამ სანატრელ არს სიმჰვდე, და უბადრუკებითა სავსე – მრისხანებაჲ, რამეთუ რაჟამს ანუ სიტყუამან, ანუ საქმემან, ანუ თუ სხუამან რომელ-მანმე ღონემან და ეჭუმან უგემურმან აღძრის ესევეთარი იგისენი და აღადუღის გულითადი იგი სისხლი, და აღადგინის სული ბოროტის-ყოფად, მეყსეულად, ვითარცა ზღაპარნი იგი საწარმართონი იტყვან, და მწამლველობისა რადსაგანმე პირუ(vD)ტყუთა სახედ შესცვალეებენ ბუნებასა, ეგრეთვე შეიცვალის კაცი და იქმნის კაცისა წილ ეშუ, გინა ძალღ, გინა ვეფხ, ანუ თუ სხუად რადმე ესევეთართა მჰვეცთაგანი მრისხანებისა მის მიერ, და არნ მიერითგან ესევეთართა უშუერებითა სავსე, რამეთუ იქმნიან თუალნი(285rB) სისხლიან, და თმანი – აღფრ-ქუელ და მოშუებულ, ჳმად – განფიცხებულ და აღმახულ სიტყუათა მიერ, ენად – დაჰსნილ ვნებისა მისგან და ვერ შემძლებელ მსახურე-ბად შინაგანთა აღძრვათა, ბაგენი – განზიცებულ და ვერ განმასრუ-ლებელ სიტყუსა და ვერცა დამმჭირველ სინედლეესა პირისა, აღძრულ-სა ვნებისა მისგან, არამედ უშუერად ჳმა(69rD)სა თანა გარდამოსცვ-ვინ პერული; ესევეთარნი იყვნინან ჳელნი, და ესევეიტარნი იყვნინან ფერჳნი და ყოველნი ასონი გუამისანი აღვსებულ ენებისა მისგან ბოროტისა.

აწ უკუე, უკუეთუ ერთი ესევეთარი იყოს, ხოლო მეორე ნეტარე-ბისა მიმართ ხედვიდეს და გულისსიტყუათა მიერ დაამჰვდებდეს სენსა

მას დაწყნარებულითა თუალითა და მყუდროდთა ჳმითა, და ვითარცა მკურნალი ვინმე ჳელოვანი ნავლიანსა გინა გონებაცთომილსა განველურებულსა ჳკურნებნ ჳელოვნებით, აწ უკუეთუ შეასწრო ესე მას, არა-მე სთქუაა შენცა, ვითარმედ: საწყალობელ არს და საძაგელ, მჳეცის მსგავსი იგი, ხოლო სანატრელ არს მშჳდ იგი, რამეთუ მოყუსისა (cD) სობოროტისათჳს არა შეცვალა შუენიერებად თჳსი. და რამეთუ ამის ვნებისა მიმართ ხედავს ძალი სიტყჳსაჲ, ცხად არს, რამეთუ შემდგომად სიმდაბლისა დაგვდებს შჯულსა მას სიმშჳდისასა, რამეთუ ერთერთსა შეუდგან, და ვითარცა დედაჲ (37rC) ესრეთ შერაცხილ არს სიმდაბლე სიმშჳდისა, ვინაჲცა უკუეთუ მოსჳო გონებისაგან ამჳარტავანებაჲ, მრისხანებისა ვნებასა ადგილი არღარა ეჳოვოს, რამეთუ გინებაჲ და შეურაცხებაჲ ექმნების ესევეითართა მიზეზ მრისხანებისა, ხოლო რომელმან სიმდაბლე ასწაოს თავსა თჳსსა,

ესევეითარსა მას შეურაცხებაჲ და გინებაჲ ვერ შეეხების. რამეთუ უკუეთუ კაცობრივისა საცთურისაგან განწმედილი ვის აქუნდეს გულისსი(70rD)ტყუაჲ, და ხედვიდეს სიკნინესა ბუნებისა თჳსისასა, რომლითა აგებულ არს. და თუ რაბამისა დასაბამისაგან აქუს არსებაჲ და თუ სადა დასრულდების, და ამის ცხორებისასა განიცდიდეს, და ჳორცთა თანა შეთხზულს ბიწსა და სიგლახაკესა ბუნებისასა, და თუ ვითარ ვერ კმა არს თავისა მიერ თჳსისა ჳყრობად თჳსისა ცხორებისა, უკუეთუ არა ჳირუტყუთა თანაშეწევნითა აღმოაგოს ნაკლულევანებაჲ თჳსი.

და ამის თანა მწუხარებათა და გლოვათა და განსაცდელთა და მრავალფერთა მათ სენთა ჳედა-მოსლვასა, რომელთადა შეყოფილ არს კაცობრივი ცხორებაჲ, რომელთაგან არავინ არს უზრუნველ და თავისუფალ, (vD) რომელი ამას ყოველსა და ამისსა უმრავლესსა განწმედილითა თუალითა სულისაჲთა განკრძალულად ხედვიდეს, ეგევი-თარი იგი მოკლებისათჳს ჳატივთაჲსა არა ადვილად განრისხნეს, უკუეთუ ოდენ არა სრულიად განცზბრებულ იყოს და განკრთომილ,

არამედ უფროდს მაცთურად შეჰრაცხოს საქმისა რომლისათვისმე მოყუსისა მიერ მისდა მიჰყრობილი იგი პატივი, ვინადთგან არა არს ბუნებასა შინა ჩუენსა ღირსი რადმე ესევეითარისა პატივისაჲ, გარნა ხოლო თუ სულისაჲ, რომლისა პატივი არა მსოფლიოთა პატივთაგან სრულ იქმნების, (vB) რამეთუ სიმდიდრისა სიქადული და მშობელთათვის ზუაობაჲ და დიდებისა გან(71rD)ცდაჲ და უმეტეს მოყუსისა შერაცხვაჲ თავისა თვისისაჲ, რომელთა მიერ კაცობრივნი პატივნი სრულ-იქმნებიან, ესე ყოველი სულიერისა პატივისა საყუედრელ და დამკსნელ იქმნების, და არცა ვინ თავს-იდებს გულისკმის-მყოფელთაგანი ესევეითარისა რადსაგანმე სიწმიდესა სულისასა შეგინებაჲ, და რომელსა ესრეთ აქუნდეს გონებაჲ თვისი, სხუასა არარას მოასწავებს, არამედ სიღრმესა სიმდაბლისასა, რომელი-იგი თუ ვინმე წარჰმართოს, არცა ერთიდა სულად შესავალი ალაგი დაუშთეს რისხვასა, და რაჟამს რისხვაჲ არა იყოს, მყუდროდ და დაწყნარებული ცხორებაჲ წარემართების, რომელი-იგი სხუად არარაჲ არს,(vD) არამედ სიმშჯდე, რომლისა ნიჭი ნეტარებაჲ არს, და ზეცათა ქუეყანისა დამკვდრებაჲ ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

მისივე, თავი მესამე

სიტყუად ესე: **ნეტარ იყვნენ მგლოვარენი, რამეთუ იგინი ნუგე-შინის-ცემულ იქმნენ.** (37vC)

არღა აღსრულ ვართ თხემსა მთისასა, არამედ წუთლა ძირსა თანა გულისკმის-ყოფისასა ვიქვევით, დაღათუ აჰა ესერა ორნი ბორცუნი წარველენით და ნეტარისა სიგლახაკისა და მისსა უმაღლეს სიმშჯდისა ნეტარებათა მიერ აღვკედით, რომელთა თანა წინა-მიყოფს ჩუენ სიტყუად შემდგომითი-შემდგომად ნეტარითა მიერ მესამესაცა სიმად-

ლესა მაღალსა და აღმატებუ(72rD)ლსა, რომლისა მიმართ თანა-გუაც გულსმოდგინედ აღსლვად, ვინადაც მცონარებად ყოველი განვიშორით და მსწრაფლ მომავალი იგი ცოდვად, ვითარცა მოციქული იტყვს, რადთა სუბუქნი და აღკუართულნი თავსა მთისასა აღვიწინეთ და ჭეშმარიტსა მას ნათელსა სიწმიდითა სულისადათა მივეახლნეთ, და ვისმინოთ, რომელსა-იგი ჳმითა მით საუფლოდთა გუასწავებს.

და რად-მე არს იგი? ესე იგი არს, ვითარმედ: ნეტარ იყვნენ მგლოვარენი, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

რომელი სოფლსადა შემშჳკალულ იყოს, უეჭუელად განჳკიც-ხავს სიტყუასა ამას და ესევეითართა სიტყათა იტყვს: უკუეთუ სანა-ტრელ არიან ცხორებასა(vD) ამას შინა განსაცდელთაგან მოცვულნი და მგლოვარენი, მაშა უბადრუკ სამე არიან, ვითარცა შემდგომებად სიტყვსად მოასწავებს, რომელთა შეუწუხებელი და შუებული და უჭირვებელი ცხორებად აქუნდეს, და ესრეთ განსაცდელთა რად სიმრავ-ლენი აღრაცხნეს, უმეტეს განამრავლებს სიცილსა, რამეთუ აღსთუა-ლავს ქურიობისა ჳირთა და სიობლისა ბოროტთა და წინა-დასდებნ დაჭირვებათა და ზღვევათა, და ზღვსა დანთქმათა და ბრძოლისა ტყუეობათა და სამშჯავროთა შინა უსამართლოთა ბჳობათა და ექსო-რიობათა და იავარის-ყოფათა და შეუ(73^ა)ცხებათა და განსაცდელთა სნეულეებისათა, და სიბრმესა და გუამისა კიდეთა [მორდომასა] და სიგონჯესა და ყოველთავე ჳორცთა წყლულეებასა, და რაოდენიცა რად

ვნებად მოიწევის კაცთა ზედა ცხორებასა ამას შინა, შემხებელი სულისა გინა ჳორცთად, ყოველთავე სიტყვთ წარმოიტყვს და ჳგონებს უგუნურე-ბით, თუ განბასროს სიტყუად იგი მნატრელი მგლოვარეთად. ხოლო ჩუენ არა გვც მათთვის საურავი, (286rB) [არცა რას] ვზრუნავთ, რომელნი უგულისჳმოდ განიცდიან საღმრთოსა გულისჳმის-ყოფასა, ვინადაც ვიჯმნათ მათგან, და რაოდენ უძლოთ, სიღრმეთა შინა მდებარისა ამის სიმდიდრისა გამოცხადებად ჳელ-ვყოთ, (vD) რადთა ესრეთ საცნაურ იქმნეს, თუ რაბამი არს ჳორციელისა და მიწისაგანისა გონებისა და

გულისწმის-ყოფისა განყოფილება მადლისა მისგან და ზეცაია გონებისა.

არს უკუე პირველი მოკლე და ადვილად გულისწმის-საყოფელი მგლოვარეთა ნეტარებისა სახე – გლოვად ცოდვათა და ბრალთათვს, მოძღურისაებრ პავლე მოციქულისა, რამეთუ იტყვს, ვითარმეს: მწუხარებისა სახე არა ერთი არს, არამედ რომელიმე მსოფლიოდ და რომელიმე ღმრთისა მიერი. (38rC) და მსოფლიოდსა მწუხარებისა საქმედ სიკუდილსა იტყვს, ხოლო ღმრთის-მიერისა ცხორებასა სინანულისა მიერ, მწუხარეთა მათთვს განმზადებულსა, და ჭემმარიტად ესევეთარი იგი გლო(74rD)ვად სულისადა არა გარეშე არს ნეტარებისა, რაჟამს გულისწმა-ყვნეს ცოდვანი თვსნი და სიბოროტესა ცხორებისა თვსისასა ჰგოდებდეს.

რამეთუ ვითარცა ჯორციელთა სენთა ზედა, რომელთა კერძოდ რადმე გუამისადა განსაცდელისა რადსაგანმე მიელოს, სასწაულ მომკუდრისა მის კერძოდსა ულმობელობადა იქმნების და უტკივარობადა, ხოლო უკუეთუ კურნებისა რადთმე ჯელოვნებითა კუალად განცოცხლდის ასოდ იგი, და იწყის გრძნობადა, ერთბამად იხარებდიან მკურნალიცა და სნეულიცა, რამეთუ გრძნობადა იგი და შეკდომად წამლისადა სიმრთელისა სასოებასა მისცემნ ასოდსა მისთვს. ეგრეთვე, ვითარცა მოციქული იტყვს, უკუეთუ ულმო(vD)ბელნი ვინმე იყვნენ და სათნოებისა ცხორებადა არა მოიგონ, ეგევეითარნი იგი მკუდარ არიან და მიღებულ სათნოდსა ცხორებისაგან. და რასა-იგი იქმან. არა აქუს მათ საქმისა მის არცადა ერთი გრძნობადა. ხოლო უკუეთუ შეახოს მათ მკურნალმან მან სიტყუამან, ვითარცა მკურვალეთა და მატკივნებელთა წამალთა მიერ, ხოლო ვიტყვ მჭმუნვარეთა მათ მერმისა მის სამმჯავროდსა საშინელებათა, და სიღრმეთა გულისათა შეუკდეს შიში იგი მოსალოდებელთა მათ სატანჯველთადა, რომელ არიან გეჰენიად იგი ულხინებელი და ცეცხლი დაუშრეტელი და მატლი დაუძინებელი და ტირილი მოუკლებელი და (75rD) ღრჰენად კბილთადა დაუსრულებელი, და ბნელი გარესკნელი და სხუანი იგი ყოველნი სატანჯ-

ველნი. და ვითარცა მკურვალენი და მატკივებელნი წამალნი შეახნეს, გემოთა მიერ და გულისთქუმათა დაბუშებულსა მას და ნახევარ მომკუდარსა გონებასა, და გულისკმის-ყოფად მოიყვანოს პირველსა მის ცხორებისა, რომელსა შინა იყო, სანატრელ იქმნების იგი ჭეშმა-რიტად, სულად შესრულისა მისთვის სადმართოდსა ტკივილისა.

და რამეთუ პავლეცა, რომელი-იგი მამისა საწოლსა ზედა განცოფ-ნა, მუნამდინ სტანჯავს, ვიდრემდის ულმპბელ იყო და უგრძნულ ცოდვისა მის, ხოლო ვინადთან შეეხო კაცსა მას შერისხვისა იგი სამკურნალოდ და სანატრელ იქმნა გლოვისა მიერ, (vD) ნუგეშინის-ცემად იწყო და თქუა, ვითარმედ: „განამტკიცეთ მის ზედა სიყუარული, რადთა არა უზომოდსა მწუხარებისაგან დაინთქას ესევეთარი იგი“.

იყავნ უკუე ზემო წარმოთქუმულიცა ესე პირი წინამდებარისა ამის ნეტარებისა განსამა(vB)რტებელ და სახედ სათნოდ ცხორებისა, არა შეუწყობელ, არცა უქმარ, ვინადთან განმრავლებულ არს კაცთა ბუნებასა შინა ცოდვად, და მისი წამალი სხუად არარად არს, არამედ გლოვად და სინანული, ვითარცა ესერა წარმოვთქუთ.

ხოლო ვითარ მე ვპგონებ, სხუასაცა უღრმესსა მალსა მოასწავებს (vC) ზემოთქუმულთასა სიტყუად ესე სამარადისოდ გლოვი-სად, რამეთუ უკუეთუმცა ცოდვათა ხოლო სინანულსა (76rD) მოასწა-ვებდა, ესრეთმცა ეთქუა, ვითარმედ: „ნეტარ იყვენ, რომელთა იგ-ლოვეს ცოდვათათვს და არა მარადის მგლოვარეთა, ვი-თარცა სახედ რომელნი სენისა რადსაგანმე განკურნებულ იყვენ, მათ ვნატრით, არა რომელნი მარადის იკურნებოდინ, რამეთუ განგრძობად კურნებისად სენისაცა განგრძობასა მოაწავებს.

და სხუთაცა სახითა კეთილად ვპგონებ, ვითარმედ არა ცოდვისა-თვის ხოლო მგლოვარეთა ოდენ ჰნატრის სიტყვად; რამეთუ მრავალთა ვპპოებთ უბრალოდთა ცხორებითა ცხორებულთა, და თვთ თავადისა მის სადმართოდსა კმისა მიერ წამებულთა, ყოვლისავე კეთილისა მო-ქმედად; რამეთუ რომელი ანგაპრებად ვინთქუას იოვანესთვის? ანუ რომელი ვინ კერპთმსახურებისად წამოს ელიადსთვის? (cD) ანუ რომელ-

სა ბრალსა, დიდსა, გინა მცირესა წამებს იობისათჳს წერილი? და

რათ? – ნუჴუე გარეშე ნეტარებისა დაუტევნესა იგი სიტყუამან, რომელნი არცა სენითა ცოდვისადთა სნეულ იქმნნეს, არცა წამალსა ცოდვათათჳს გლოვისასა მოქენე იქმნნეს, ანუ არამცა უჯერო იყოა ესევეითართა მათ გარეშე საღმრთოჲსა მის ნეტარებისა მოგონებად? და უკუეთუ ესრეთ არს, მაშა ცოდვად სამე უცოდველობისასა უპატიოსნეს იყოს, უკუეთუ მონანულთადა ხოლო განკუთნვილ არს ნუგეშის-ცემისა მადლი, რამეთუ იტყვს: ვითარმედ: ნეტარ იყვნენ მგლოვარენი, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

აწ უკუე მოვედით და, რა(77rD)ოდენცა უძლოთ, შეუდგეთ მას, რომელ-იგი აღმადლებულ არს მაღალთა ზედა, ვითარცა იტყვს ამბაკუმ, და თქუმულთა ამათ სიღრმესა შინა მყოფი ძალი გამოვიძიოთ, რადთა ვისწავოთ, თუ რომელსა გლოვასა შინა დაფარულ არს ნუგეშინის-ცემად სულისა წმადისად, განვიცადოთ უკუე კაცობრივსა ცხორებასა შინა პირველად, თუ თვთ მებრ რად არს ძალი გლოვისად ანუ რომელთა საქმეთა მიერ შემოვალს. გარნა ცხად არს ესე ყოველთადა, რამეთუ გლოვად არს მჭმუნვარე სახე სულისად, დაკლებისათჳს საწადელთაჲსა მის ზედა შემოსრული, რომელსა მხიარულად ცხორებულთა შორის ადგილი არა ეპოების, ვითარ-იგი შუებულ რად ვინ არნ ცხორებასა ამას შინა და ყოველნივე საქმენი მისნი განმარჯუებით (vD) განეგებოდინ, მეუღლისათჳს მხიარულ არნ, და შვილთათჳს განსცხრებინ, ძმათა თანა-შეწევნითა განმტკიცებინ, პატიოსან არნ უბანთა ზედა, წარჩინებულ არნ ძლიერთ შორის, საშინელ არნ წინააღმდგომთა, დაუწუნებელ თვსთა მსახურთაგან, საწადელ მეგობართა, სიმდიდრითა გარდაცემულ, მშუებელ, ტკბილ, შეუწუხებელ, ძლიერ გუამითა, და რაოდენთა რად არს პატიოსანი სოფელსა (287rB) ამას შინა, ყოვლითავე გარდაცემულ არნ, ესევეითარი იგი, უეჭუელად მხიარულეებით ცხორებნ და თითოეულისა ზემო ვსუნებულთა(39rC)განისა ზედა განსცხრებინ. ხოლო უკუეთუ დღეკეთილობასა ამას შეცვალე-

ბად რაიმე შე(78rD)ების, ანუ სიკუდილი შვილთად, ანუ დაჭირვებად მონაგებთად, ანუ განრყუნელებად რადმე ჯორცთა სიმრთელისად შემთხუევისა რადსაგანმე ბოროტისა, მიერთგან მოკლებითა სახარულევანთადთა წინააღმდეგომი კერძი შემოვიდის, რომელსა-იგი გლოვად სახელ-ვსდებთ, ვინადცა ჭეშმარიტ სამე იყო, რომელსა-იგი ვიტყოდეთ, ვითარმედ: გლოვად არს გრძნობად რადმე ტკივნეული, დაკლებითა მახარებელთადთა მოწევნული.

აწ უკუე გულისწმის-ყოფად ესე კაცობრივისა გლოვისად გუექმენინ ჩუენ უცნაურთა აქმეთა წინამძღუარ და მაუწყებელ, რადთა ცხად იქმნას, თუ რად არს სანატრელი იგი გლოვად, რომელსა შეუდგს ნუგეშინის-ცემად, (vD) რამეთუ უკუეთუ საწუთროთა ამათ კეთილთა დაკლებად გლოვასა მოგუატყუებს, და უმეცართა კეთილთა დაკლებისათვს არავინ გოდებს, პირველად ჯერ-არს ცნობა, თუ რად არს ჭეშმარიტი იგი კეთილი, რომლისაგან-იგი დავეცენით, და მერმე კაცობრივისა ბუნებისა კეთილთა მათგან გამოკუებულისად თანა-გუაც განცდად, რამეთუ ამათ საქმეთა მიერ წარგუემართების ნეტარისა მის გლოვისა მოგებად, უკუეთუ ვცნათ, რომლისაგან-იგი განვიყვენით, ვითარცა იქმნების ბნელსა შინა ცხორებულთა შორის, რაჟამს ერთი იგი შობილ იყოს ბნელსა შინა, ხოლო მეორე იგი საშუებელსა შინა ნათლისასა არზრდილ, (79rD) და განსაცდელისა რადსამე შეიწყუდიის ბნელსა მას შინა, არა სწორად შეეხების მათ განსაცდელი იგი მიწევნული, რამეთუ, რომელმან-იგი უწყინ, თუ ვითარსა კეთილსა დააკლდა, მძიმედ შეჰრაცხის მან დაჭირვებად იგი ნათლისად, ხოლო რომელსა-იგი ყოვლადვე არა ეხილვის ესევეთარი იგი მადლი შეუწუხებელად ცხორებნ ბნელსა შინა აღზრდისა მისთვს, რამეთუ არა აურევბნ მას კეთილისა მის ნათლისაგან გამოკუებად, ვინადცა ერთი იგი გულის-თქუმითა მით ნათლისადთა ყოველსა ღონესა აჩუენებნ, რადთა კულად იხილოს საშუებელი იგი ნათლისად, რომლისაგან გამოეკუა, ხოლო მეორე იგი დაბერდის წყუდიადსა მას შინა ცხორე-

ბასა, რამეთუ არა უწყინ უმჯობესი, და კეთილ ჰგონიედ, რომელსა-
იგი შინა არნ, (vD) ეგრეთვე სახედ არს ძალიცა წინამდებისა ამის
სიტყვსაჲ, რამეთუ რომელმან ჭეშმარიტისა მის კეთილისა ხილვად
შეუძლოს და მერმე სიგლახაკე ესე კაცობრივისა ბუნებისაჲ განიცა-
დოს, უეჭუელად ურვეულ იქმნას სული მისი და განსაცდელითა
აღსავსე, კეთილთა მათგან დაკლებისათჳს, და ცხორებაჲ ესე სა-
გლოველად შეჰრაცხოს, ვინაჲცა, ვითარ ვჰგონებ, არა მწუხარე-
ბასა ჰნატრის სიტყუად, არამედ ცნობასა კეთილისასა
რომლისა მიერ იქმნების ვნებაჲ იგი მწუხარებისაჲ, ამისთჳს, რამეთუ
არა იპოვების ცხორებასა ამას შინა საძიებელი იგი და საწადელი
ნათელი (vC)

ვინაჲცა გამოძიებაჲ თანაგუჲც, თუ რად არს ჭეშმარიტი იგი
ნათელი, (80rD) რომლითა წყუდიადი ესე კაცობრივისა ბუნებისა
ქუაზი (vB) არა განათლდების, ანუ თუ ნუუკუე და ურგებსა და მიუწ-
დომელსა საქმესა გული-გვთქუამს ცნობად, რამეთუ ვინმცა მომცა
ჩუენ ესე ვითარი გულისსიტყუად, რადთამცა გამოვიკულიეთ საძიებე-
ლისა მის ბუნებაჲ, ანუ რაბამიმცა სახელი და სიტყუად ვპოვეთ,
რომელმანცა ჯეროვნად გულისწმა-გვყო ჩუენ აღმატებულისა მისთჳს
ნათლისა.

ვითარი სასელი უწოდო უხილავსა; ვითარ გამოვაცხადო უნივ-
თოდ; ვითარ საცნაურ ვყო უცნაური; ვითარ შევიცვა შეუცავი და
განუზომელი და გამოუსახველი, რომლისა არცა ჟამი იპოვების, არცა
ადგილი, რომელი-იგი ყოვლისავე მოგონებისა და საზღვრისა ზემთა
იპოვების, (vD) რომლის საქმე არს ცხორებაჲ და ყოველთავე კეთილთა
არსად მოყვანებაჲ, რომელსა ჰშუენის ყოველივე მაღალი და აღმა-
ტებული სახელი: ღმრთეებაჲ, მეუფებაჲ, ძლიერებაჲ დაუსრულებე-
ლობაჲ, უხრწნელებაჲ, და სიხარული და მხიარულებაჲ, და ყოვე-
ლივე რაოდენიცა არს პატიოსან და დიდებულ, გინა თუ თქუმული,
გინა თუ უთქუმელი.

აწ უკუე ვითარ ანუ რომლთა სახითა წარმოვაჩინოთ სახილვე-
ლად ესევეთარი ესე კეთილი, ხილული და უხილავი და ყოველთა
არსთა არსებისა მიმნიჭებელი, რომელი-იგი მარადის არს, ვითარ-იგი
არს, და არსებისა არაოდეს მექენე არს, ხოლო რადთა არა ამაოდ
დიოდის სიტყუად და მიუწდომელთა მიწ(81rD)დომასა აზმნობდეს,
მაღალთა მათ და აღმატებულთა კეთილთა ბუნებად, ვითარცა მიუწ-
დომელი გამოძიებისაგან, დაუტევოთ. და ესე ოდენ შევიძინოთ გამო-
ძიებისაგან მათისა, ვითარმედ ვინაფთგან ზეშთა არიან ძიებისა, ცხად
არს, რამეთუ მაღალ და მიუწდომელ არიან. და რაოდენცა უმაღლეს
გულისწმის-ყოფისა ჩუენისა შევჰრაცხოთ ბუნებად მათი, ეგოდენცა
გოდებად და გლოვად აღვაორძინოთ, რამეთუ ესევეთარნი და ესეოდენ-
ნი არიან კეთილნი იგი, რომელთგან დაკლებულ ვართ, ვიდრელა
არცა თუ ცნობად მათი ეტევის ჩუენ შორს.

ამათ უკუე კეთილთა, რომელნი ყოვლისავე მოგონებისა და მიწ-
დომისა ძალსა აღმატებულ არიან, ზიარ ოდესმე ვიყვენით კაცნი. (vD)
და ესეიდენი იყო კეთილთა მათ სიმრავლე ბუნებასა შინა ჩუენსა,

ვიდრეთა სხუად კაცებად შერაცხილ იყო რადთურთით კაცებად ესე
ჩუენი, და პირმშოდსა მის ხატისა უტყუველსა მსგავსებასა თავსა
შორის თვსსა გამოაჩინებდა. რამეთი რაოდენსაცა აწ მისთვის სახის-
მეტყუელებით ვიტყვთ, ესე ყოველი კაცისა შორის იხილვება მა-
შინ: უხრწნელება და ნეტარება და თვთმფლობელობა და თავისუ-
ფლება და უჭირველი და უზრუნველი ცხორება და საღმრთოდ
მოქალაქობა და შიშულად და თვნიერ ყოვლისა საბურველისა სიწ-
მიდით განცდად ყოველთა კეთილთა თუალითა გონებისაფთა, და ამას
ყოველსა მცირედთა (82rD) სიტყუათა მიერ გუაუწყებს ჩუენ (40rC)
წიგნი იგი დაბადებისად, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: ხატად ღმრთისა
დაჰბადა ღმერთმან კაცი. და მისცა მას სამოთხე საცხორებელად
და ნერგი მისთა მიერ შუებად მიჰმადლა. ხოლო ნერგთა მათ
ნაყოფი ცხორებად იყო და გულისწმის-ყოფად, და რაოდენისა არს

ესევეთარი, ყოვლისავე უფალ ვიყვნით.

აწ უკუე, რომელი აწინდელსა ამას უბადრუკებასა განიცდიდეს და შეასწორებდეს მას ნეტარებასა თანა, ვითარ ეგების, უკუეთუმცა არა სულთ-ითქუმიდა და იგლოვდა განსაცდელსა ამისთვის, ჩუენ ზედა მოწევნულისა (288rB) რამეთუ მაღალი დამდაბლდა და ხატად ზეცათა მეუფისა დაბადებული მიწა იქმნა, და მეუფედ დაწესებული მონა იქმნა, და უკუ(vD)დავად დაბადებული სიკუდილითა განიხრწნა, და რომელი-იგი ფუფუნებასა შინა სამოთხისასა იშუებდა, სენიანს ამას და ტკივნეულსა სოფელსა დაისაჯა; და უვნებლობისა მის წილ, რომელი აქუნდა, ვნებული ესე და საწუთოდ ცხორება დაიმკვდრა; და თვთმფლობელი და თავისუფალი ესოდენტა და ესევეთართა ბოროტთა დაემონა, ვიდრელა არცა თუ შესაძლებელ არს მძლავრთა ჩუენტა აღრიცხუვებად, რამეთი თითოეული ვნებათა ჩუენტად რაჟამს ვის ერეოდის, მეუფე იქმნების დამონებლისა მის, და ვითარცა მძლავრმან ვინმე ციხე რად და ძნელოანი სულისად დაიპყრის, ბოროტსა უყოფს მორჩილთა თვ(83rD)სთა და აჭირვებს, რამეთუ მსახურად ნებისა თვისისა გულისსიტყუათა და ჯორცთა ჩუენტა იჭმარებს.

ესრეთ არს რისხვად, ესრეთ არს შიში, ესრეთ არს მოშიშებად, და თავკედობად, და მწუხარებისა და გულისთქუმისა ვნებად და სიძულილი და ჯდომად და მტერობად და სასტიკებად და შური და

ლიქნად და ძვრის ჯსენებად და ულმობელობად და ორგულეობად და ყოველნივე ვნებანი წინააღმდგომნი ჩუენნი, მძლავრთა თანა და უფალთა მწარეთა აღსარაცხველ არიან, რომელ მძლავრებისაებრ თვისისა, ვითარცა ტყუესა, ესრეთ დაიმონებენ სულსა.

ხოლო უკუეთუ ვინმე ჯორცთა სიკუდილისა ნაწილნი გულის-(cD) ჯმა-ყვნეს, რომელნი-იგი ბუნებისა ჩუენისადა შეთხზულ არიან, და მრავალსახენი იგი და პირად-პირადნი სალმოზანი, რომელთა პირველ გამოუცდელ იყო კაცი, უმეტეს და უფროდს აღაორძინოს ტირილი, რაჟამს კეთილთა მათ შესწორებულად იხილნეს შემაწუხე-

ბელნი ესე ბოროტნი.

ამას უკუე გუასწავებს საიდუმლოდ, რომელი-იგი ჰნატრის გლოვასა, რადთა ჭეშმარიტთა მათ კეთილთა ხედვიდეს სული და არა დაინთქმოდის საცთურთა ამათ შინა სოფლისათა, რამეთუ არა ეგების უცრემლოდ ცხორებად, უკუეთუ ოდენ ვინ გამოწულილვით გულისწმა-ჰყოფდეს ძალსა საქმეთასა, და არცა შესაძლებელ არს, თუმცა სალმო-(84rD)ბათა და მწუხარებათა, თანა-წარჰყდა, რაოდენცა ვის ფართოებით აქუნდენ გულის-თქუმანი ამის ცხორებისანი, რომელი-ე(vC)სე პირუტყვთა შორის იხილვების, რომელთა-იგი აგებულებად ბუნებისად საწყალობელ არს, რამეთუ რამცა იყო უსაწყალობელს სიტყვერობისაგან დაკლებისა! ხოლო განსაცდელისა მის გრძნობად არცა ერთი აქუს, ვინადაც გულისთქუმითა რადთმე გარდაიჭდიან იგინიცა ცხორებასა მათსა, და ცხენი მდრანჯობლობს, და კუროდ მულროდს, და ეშვ ილესავს შუვათა და თხრის მადნართა შინა და გოხინებს, და ლეკუნი იმღერიან და ჯბონი და კრავნი ხლდებიან და თითოეული პირუტყვ ნიშნითა რადთმე თვსსა გულისთქუმასა (vD) და გემოთმოყუარებასა გამოაჩინებს, რომელთა თანა, უკუეთუმცა იყო სიტყვსა-მიერი გულისწმის-ყოფად, არამცა შეერაცხა საწადელად უნდოდ იგი და უძლური ცხორებად მათი.

ეგრეთვე იხილვების კაცთა შორის, რომელთა არცა ერთი აქუს გულისწმის-ყოფად მათ კეთილთად, რომელთაგან დააკლდა ბუნებად ჩუენი, (vA) რამეთუ ესენიცა გულისთქუმით გარდაიჭდიან თვსსა ცხორებასა, და რომელნი სოფელსა ამას შინა იშუებდენ, იგინი საუკუნეთა

მათ კეთილთა არა ეძიებენ, და რომელთა ვინ არა ეძიებდეს, ვითარცა პოვნა, რომელნი-იგი მათ ოდენ მიეცემიან, რომელნი ყოვლითა გულითა მათითა ეძიებდენ!

ჰნატრის უკუე სიტყუად გლო(85rD)ვასა, არა თუ თავით თვსით შეჰრაცხს გლოვასა სანატრელად, არამედ მის მიერ მომავალისა მისთვის ნეტარებისა; და გამოაჩინებს ამას შემდგომი სიტყუად, რამეთუ

ნიჭი გლოვისად ნეტარებად არს, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი“, და არა აღასრულა სიტყუად ნეტარებასა ზედა გლოვისასა, არამედ შესძინა, ვითარმედ „რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ“.

და ვჰგონებ, ვითარმედ ესე განიცადა მაშინ დიდმან მოსე და უფროდსა მან, რომელი-იგი მის თანა ზრახვითა სიტყუად, და საიდუმლოთა მათ წესთა შინა პასექითა და სხუათა მათ დღეთა დღესასწაულისათა უფუვარისა უბრძანა ჭამად, და სანუკვარად უცომოსა მის ველისყრდელი განა(vD)წესა, რადთა ვისწავოთ ესევე-თართა მათ იგავთა მიერ, ვითარმედ საიდუმლოსა მის დღესასწაულისა სხვთა სახითა ზიარებად შეუძლებელ არს, არა თუ სიმწარენი ამის ცხორებისანი შეეზავნენ მარტივსა მას და უფუვარსა ცხორებასა. ამისათვის დიდიცა დავით დაღაცათუ ყოველთა კაცობრივთა პატივთა უმაღლესი პატივი აქუნდა მას, რომელ არს მეფობად, მდიდრად და უხუებით აღჰრევს სიმწარესა გლოვისა და გოდებისასა თვისსა ცხორებასა თანა, და სტირს განგრძობასა ჯორცთა მწირობისასა და უვადრესთა კეთილთა წადიერებითა განკვდების და იტყვს: „ვად მე, რამეთუ (86rD) განმიგრძოდა მე მწირობად ჩემი“, და ოდეს მიხედავს საღმრთოთა მათ საყოფელთა შუენიერებასა და უკუანადსკნელსა ადგილსა მათ შინა აღირჩევს და აქათა მათ პირველთასა უპატიოსნეს შეჰრაცხს. ხოლო უკუეთუ ვინ უჭემმარიტესად-რე ინებოს განცდად ძალსა სანატრელისა (41rC) ამის გლოვისასა, განიხილენ თავსა შორის თვისსა უწყებად იგი მდიდრისა და ლაზარესი, და ცხადად გულისკმაცოს სიტყუათა ამათ ძალი, რამეთუ ეტყვს აბრაჰამ მდიდარსა მას, ვითარმედ: „მიგიღიეს ლეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ეგრეთვე ლაზარეს – ბოროტი, და ამისთვის ესე ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები“. ხოლო სიტყუათა ამათ ძალი ამას გუაუწყებს: ვინადთგან (vD) კეთილისამისგან საღმრთოსა განგებისა განგუა-

შორნა ჩუენ წარმდებებამან და ბოროტად განზრახვამან, რამეთუ ღმერთ-

სა ბოროტისაგან შეურევენელად მოენიჭა ჩუენდა კეთილი, რადთა ვიშუებდეთ, და კეთილისა თანა ბოროტისა აღრევად განეგდო. ხოლო ჩუენ ნაყროვნებითა და მუცლისა მონებითა ბოროტითა აღვივსენით და მცნებათა ღმრთისათა ურჩებისა გემოდ ვიხილეთ. ამისთვის საჭირო არს და თანაწარუვალ, რადთა ორთავე სახეთა მიერ გამოიცადოს კაცობრივი ბუნებად შეწუხებულთა და მახარებელთა, რამეთუ ვითარცა ორნი ცხორებანი არიან – საწუთროდ და საუკუნოდ, და თითოეული ცხორებად თვსთა საზღვართა შინა იხილ(87rD)ვების: ეგრეთვე მრჩობლნი სიხარულნი არონ: ერთი – მსოფლიოდ, და ერთი – საუკუნოდ. ნეტარ უკუე არს ჭემმარიტად, რომელმან სახარულევანი იგი კერძოდ ჭემმარიტთა და სამარადისოთა კეთილთა შინა დაიუნჯოს, ხოლო საწუთროდ (289rB) ესე და კნინი ცხორებად მწუხარებით აღასრულოს, და დაჭირვებად შეჰრაცხოს არა საწუთროთა რათმე კეთილთა დაკლებად, არამედ უკუეთუ მათ მიერ განსუენებითა წარუვალთა მათ კეთილთაგან გამოჰუებად შეემთხვოს.

აწ უკუე, ვინაფთგან სანატრელ არს დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა სიხარულისა მიმთხუევად და ესე თვნიერ ჭირისა არა მოეცემის კაცთა ბუნებასა, არღარა ძნელ არს ძალსა ამის სიტყვასა გულისჯმის-ყოფად, (vD) თუ რადსათვს ნეტარ არიან აქა მგლოვარენი, ამისთვის, რამეთუ იგინი დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა ნუგეშინის-ცემულ იქმნენ, ხოლო ნუგეშინის-ცემად ნუგეშინისმცემელისა ზიარებითა იქმნების, რამეთუ განთვსებული საქმე არს ესე სულისა წმიდისად, რომელ არს მადლი ნუგეშინის-ცემისად, რომლისა-იგი ჩუენცამცადირს ქმნულ ვართ მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

მისივე, თავი დ

სიტყუად ესე: ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის

სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ.

სტომაქმორყუნითათვის და უჭმოთა იტყვან მკურნალთმოძღუ-
არნი, ვითარმედ ბოროტი რამე (88rD) თელგმა და გარდარეულებად
მავნებელთა ჭამადთად შეუკრბების ზემოსა სტომაქსა, და მარადის
მამღარ და აღსავსე ჰყოფს მათ, ვინადაც მარგებელთა ჭამადთაგან
სრულიად უცხო ჰყოფს და ბუნებითა გემოვნებასა და წადილსა
ჭამადთასა განწყუნითა მით სიმამღრითა დააჭნობს.

ხოლო უკუეთუ მკურნალობისა რამე მოღუაწებად იქმნას მათ-
თვის, (vC) და თელგმის მჭრელი რამე წამალი მიეცეს და შეკრე-
ბული იგი ურჩხთა შინა სტომაქისათა განითხოს და წარიღუნას,
მიერთგან არღარა აჭირვებნ მათ მავნებელი იგი და უცხო ნივთი,
არამედ მარგებელთა ჭამადთა გულის-თქუმად აღვიდის ბუნებად მათი,
(vD) და ესე არს სასწაული სიმრთელისა მათისად, რამეთუ არღარა
იძულებით, არამედ წადიერებით და გულის-თქუმით მიიღებდიან საზრ-
დელსა.

რამათვის უკუე ვიწყეთ სიტყუათა ამათგან, ვინათგან შემდგომი-
თი-შემდგომად უმაღლესთა ნეტარებათა მიმართ აღგვყვანებს ჩუენ
სიტყუად, რომელმან სიტყვსაებრ წინადაწარმეტყუელისა, აღსავალნი
კეთილნი დასხნა გულსა შინა ჩუენსა. პირველ თქუმულ მათ
შემდგომად მეოთხესა აღსავალსა ესევითარსა წინა-მიყოფს ჩუენ და
იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვენენ, რომელთა შიოდის და სწყუროდის
სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ“.

და კეთილ არს, რამათა პირველად აღსავსებად და სიმამღრე (89rD)
სულისად განვიწმიდოთ, რაოდენცა შეუძლოთ, და მერმე ესევითარისა
ამის ჭამისა და სუმისა სანატრელი წადილი მოვატყუათ თავთა თვს-
თა, რამეთუ ვერცა განძლიერებად ჰელ-ეწიფების კაცსა, არა თუ
ჯეროვანი საზრდელი განამტკიცებდეს ძალსა მისსა, და ვერცა თვნი-

ერ ჭამისა განძღების ჭამადითა, და ვერცა ჭამს თვნიერ წადილისა.

და ვინათგან კეთილ არს ცხორებასა ამას შინა ძალი, და ესე

ჯეროვნითა სიმამლრითა დაიმარხვის, და სიმამლრე ჭამისა მიერ იქმ-
ნების, და ჭამად – წადილსა მიერ და გულის-თქუმისა, სანატრელ
სამე იყოს ცხოველთა შორის წადილი, – დასაბამი იგი და მიზეზი
კაცობრივისა ძალისაჲ (vB; vD).

და ვითარცა ხილულისა ამის ჭამადისა არა ზოგადი წადილი
აქუს ყოველთა, არამედ განიყოფვის მრავალგზის სახისა მიმართცა
ჭამადთაჲსა მიმდებლთა მათ გულის-თქუმაჲ, და რომელიმე იშუებს
ტკბილთა ჭამადთათჳს, და სხუად მსუყეთა და მჯურვალეთა, და
სხუად მლაშეთა და სხუად მჟავეთა, და იქმნების ესეცა, რამეთუ
მრავალგზის არა მარგებელთა ხოლო ჭამადთა წადილი შეექმნის ვის-
მე, არამედ მავნებელთაჲცა, რამეთუ განთჳსებულთა რადთმე შეზავე-
ბითა და ვნებისა რადსმე მიმართ მიდრეკითა მიუზავებელითა მით
საზრდელითა ზრდინ საღმობასა მას მის შორის დაფარულსა, ხოლო
რომელი მარგებელსა ჭამადსა მიიღებდეს, ეგე(90rD)ვითარი იგი სიმრ-
თელით ცხორებნ, რამეთუ საზრდელი იგი ჰჰობნ და ზრდინ აგებულე-
ბასა მისსა. ეგრეთვე სახედ იქმნების სულიერთაცა საზდელთა ზედა,
რამეთუ არა ერთი გულის-თქუმაჲ აქუს ყოველთა, რამეთუ რომელ-
თამე დიდებისა გინა სიმდიდრისა ანუ თუ სხჳსა რადსმე კაცობრივისა
წარჩინებულისათჳს უთქვამს გული, და სხუათა ბრწყინვალეთა
ტაბლათა დაგებისათჳს ჰსურის, და სხუანი შურსა ვითარცა
მაკუდინებელსა რასმე საზრდელსა წადიერად მიიღებენ; და ვიეთნიმე
არიან, რომელთა ბუნებითისა კეთილისა სურვილი შეექმნების. ხოლო
ბუნებითი კეთილი (42rC) იგი არს, რომელი ყოვლადვე და
მარადის ერთსა ზედა ეგოს, რომელი არა სხჳსა რადსათჳსმე არნ
საწადელ, არამედ თჳთ (cD) თავით თჳსით აქუნ საწადელობაჲ და
არაოდეს უკმარ იქმნებინ სიმამლრითა.

ვინაჲცა ჰნატრის სიტყუად არა მარტივად მშიერთა, არამედ
რომელთა ჭეშმარიტისა სიმართლისა მიმართ აქუნდეს გულის-თქუმაჲ
და მოსწრაფებაჲ.

და რად არს სიმართლე? – რამეთუ ამისი ჯერ-არს გამოცხა-

დებად პირველად სიტყვას მიერ, რადთა სიკეთე რად მისი გამოცხად-
ნეს, უმძაფრეს აღიძრას ჩუენ შორის შუენიერებისა მისისა სურვილი,
რამეთუ არცა შესაძლებელ არს უჩინოდსა საქმისა მიმართ სურვილი,

რამეთუ უცნაურისა მიმართ უქმ არს ბუნებად ჩუენი და აღუძრველ,
არა თუ სმენისაგან ანუ ხილვისა სახე რადმე გულის-სათქუმელისაჲ
მის მიიღოს. (91rD)

იტყვან უკუე ესევითართა საქმეთა გამომეძიებელნი, ვითარმედ
სიძართლე არს წესი სულისაჲ, ღირსებისაებრ კაცად-კაცადისა
და სწორებით მიმგებელი. ესე იგი არს, უკუეთუ ვინმე საჯმართა
განყოფისა უფალ იქმნეს, რომელი სწორებით ხედვიდეს და შემს-
გავსებულად მიმღებელთა მათ ჳმარებისა და საზომისა განუყოფდეს,
ესევითარსა მას მართალ ეწოდების. და უკუეთუ ვინმე ბჭობისა
ჯელმწიფებაჲ მიიღოს და არცა მეგობრისათჳსდა არცა მტერო-
ბისა ჳყოფდეს განჩინებასა, არამედ, ბუნებისაებრ და წესისა საქმეთაჲსა,
ღირსთა ტანჯვისათა სტაკჯვიდეს და უბრალოთა განამართლებდეს
და ნეშტთა მათ საძიებელთა ჳემმარიტითა (vD) ბჭობითა განჳბჭობ-
დეს, – ამასცა მართალ ეწოდების. და რომელი ხარკთა განუ-
წესებდეს მისდა დამორჩილებულთა, რაჟამს ჯეროვნად განუწესოს –
ძალისაებრ და წესისა ხარკთაჲსა – მოხარკეთა მათ; და სახლეულთა
– სახლისა უფალი, და ქალაქსა – მთავარი, და წარმართთა – მეფე,
– რაჟამს თითოეული ამათგანი წესიერად უძლოდის მის ქუეშე დაწესე-
ბულთა მათ, და არა პირუტყულითა აღძრვითა ამაოდ რისხვად აღიძრ-
ვოდის და განლანებოდის ჳელმწიფებისა მის მიერ, (290rB) არამედ
მორჩილთა თჳსთა სიწრფოებით შჯიდეს და არა ნებისაებრ ჳელმ-
წიფებასა ქუეშე მისსა მყოფთაჲსა აღიტაცებოდის გონებითა, ყოველ-
სავე (92rD) ამას ესევითარსა სიძართლედ უწოდენ საქმეთა ამათ
გამომეძიებელნი.

ხოლო მე, მივხედნე რად სიძართლესა სარმრთოდსა მის შკულის-
მდებლობისასა, უმაღლესსა ძალსა ესევითარისა ამის სიძართლისასა

გულისწმა-ვჰყოფ, რამეთუ უკუეთუ ყოვლისავე კაცთა ბუნებისა მიმართ სწორებით არს სიტყუად ცხორებისად და ესეს ზემოცსენებულნი საქმენი არა ყოველთა ჰქონან სწორებით, რამეთუ მცირედთად არს მეფობად და მთავრობად და ბჰობადმ გინა საწმართა განყოფისა კელმწიფებად ანუ თუ სხუად რამე განგებად და მხეობად, ხოლო სიმრავლე ერისად კელმწიფებასა და განგებასა ქუეშე არს, ვითარ ვინ სა(vC)ხელ-სდვას ჰქმმარიტად სიმართლედ ეგევითარსა მას,

რომელი არა ყოვლია ბუნებისად იყოს (vD) სწორებით, რამეთუ, უკუეთუ პირი სიმართლისად, სიტყვსაებრ გარეშეთაჲსა, სწორებად არს, ხოლო კელმწიფებად უსწოროდ არს, არა სამე მართალ არს საზღვარი იგი, სიმართლისათჳს განჩინებული, რამეთუ მეყსეულად ცხორებასავე ამას შინა უსწოროებად ემხილების.

რად არს უკუე სიმართლე იგი? – ესე იგი არს, რომელი ყოველთა სწორებით მისწუთებოდის, როსლისა წადილი ყოველთადა სწორად დაგებულ იყოს, რომელნი სახარებისა ტრაპეზსა ჩინებულ არიან, გინათუ მდიდარი ვინ იყოს, გინათუ გლახაკი, გინათუ მონად, გინა უფალი, გინათუ წარჩინებული, გინათუ ვეცხლით ფრდილი, რომელთაგან არცა ერთი განსაცდელი გარე-წა(93^{FD})რჰკვდიდეს წესსა სიმართლისასა, და არცა განამრავლებდეს და არცა შეამცირებდეს. რამეთუ, უკუეთუ წარჩინებულთა ხოლო და კელმწიფებასა შინა მჰყორობელთა თანა ოდენ იპოვების სიტყუად სიმართლისად, ვითარ იწოდოს მართლად ლაზარე, რომელი-იგი ბჰეთა თანა მდიდრისათა დავრდომილ იყო, რომელსა არცა ერთი ნივთი აქუნდა ესევითარისა სიმართლსად, არცა მთავრობად, არცა კელმწიფებად, არცა სახლი, არცა ტრაპეზი და არცა სხუად რად ცხორებისა მიმართ განმზადებად, რომელთა მიერ იქმნების ზემო თქუმულისა მის სიმართლისა წამართებად, რამეთუ უკუეთუ მთავრობასა ხოლო და საწმართა განყოფასა და გინათუ სხუასა რასმე მნეობასა შინა (vD) ოდენ იპოვების სიმართლე, რომელი მათ შინა არა იყოს, უეჰუელად გარეშე სიმა-

როლისა დაშთომად არს; ვითარ უკუე ღირს იქმნას ნეტარებისა, რომელსა ამათგანი არარად აქუნდეს, რომელთა მიერ სიმართლე გამოისახვის სიტყვსაებრ მრავალთადასა.

ვინადაც საძიებელ არს ჩუენ მიერ სიმართლე იგი, რომლისათვის უკუეთუ ვისმე სუროდის, თუ ვითარ-ძი მიემთხვოს საშუებელსა მისსა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძლენ“.

მრავალნი და თითოსახენი ჭამადნი და საზრდელნი სხენან კაცთა წინაშე მისაღებლად, რომელთა მიმართ აქუს გულის-თქუმა და წადილი კაცობრივსა ბუნება(94rD)სა, და ფრიადი ჯელოვნებასა სამარ არს ჩუენდა, რადთა განვარჩიოთ ესევეითართა მათ შორის ჭამადთა და საზრდელთა – საზრდელი მარგებელი და წამალი მაკუდინებელი,

რადთა არა საზრდელად იჯუმიოს სულმან ცხორებისა წილ სიკუდილისა და ხრწნილებისა მომატყუებელი.

ვინადაც არა უქმარ არს სხვთა სახითა საძიებელსა ამას სახარებისასა გამოცხადებად, (vB) რომელი-იგი თვნიერ ხოლო ცოდვისა ყოვლითურთ მეზიარა ჩუენ და ვნებანი ჩუენნი თავს-ისხნა – შიმშილი არა შეჰრაცხა ცოდვად, არცა ვნებად მისი განიშოროს თავით თვსით გამოცდისაგან, არამედ შეიწყნარა ბუნებითი იგი წადილი ბუნებისად მიღებისათვის საზრდელისა, რამეთუ იმარხა რად ორმოცთა მათ დღეთა, უკუ(vD)ანადსკნელ შეემშია, რამეთუ ინება რად მისცა ბუნება(43rC)სა თვსისა წესისა საქმეთა აღსრულებად.

ხოლო განსაცდელთა მომპოვნებელმან მან, აგრძნა რად შიმშილი მისი, განაზრახებდა, რადთა ქვათა მიერ აღმოავსოს წადილი იგი შიმშილისა თვსისად, ესე იგი არს, რადთა შეცვალოს ბუნებითი გულის-თქუმა ჭამადთად გარეშე ბუნებისა, რამეთუ ეტყოდა, ვითარმედ: „არქუ ქვათა ამათ, რადთა პურ იქნებ“. და რად ცოდა მუშაკობამან, ანუ რომლისა ბრალისათვის სამაგელ იქმნეს თესლნი, რადთამცა შეურაცხ იქმნა მათ მიერი საზრდელი, გინა რომლისა სახისათვის

საბრალობელ იქმნა დამბადებელისა სიბრძნე, ვითარცა არა ჯეროვნად ზრდიდა კაცთა ბუნებასა (95rD) ნაყოფთა მიერ და თესლთა, და უკუ-ეთუ ქვაჲ უმჯობეს იყო საზრდელად, მაშა ჯეროვნად განგებისაგან სამე კაცობრივისა ცხორებისა შესცთა სიბრძნე ღმრთისაჲ.

„თქუ, რადთა ქვანი ესე პურ იქმნენ“ – და ვიდრე აქამომდეცა ამასვე ეტყჳს თვსთა მათ გულის-თქუმათაგან განცდილთა, და არა ხოლო თუ ეტყჳს ოდენ, არამედ არწმუნებს-ცა მორჩილთა მისთა, რადთა ქვათაგან შეიმზადონ საზრდელი, რამეთუ რაჟამს ჯეროვანთა და საჭიროთა საზღვართა საზრდელისა გულის-თქუმისათა თანა-წარ-ჰვდეს გულის-თქუმაჲ, რად არს სხუად არა საემშაკოდ განზრახვაჲ არსა ესე, რომელი ნაყოფთა მიერსა საზრდელსა განაგდებს და გარეშე ბუნებისა განიყვანებს გულისთქუმასა ჭამისასა? (vD) რამეთუ ჭემ-მარიტად ქვათა ჭამენ, რომელნი ანგაჰრებისა პურსა დაიგებენ, და რომელნი მრავალსაყიდლისა და განსივებულთა ტაბლათა უსამართ-ლოდ მონახუქთაგან განუმზადებენ თავთა თვსთა, რომელთა-იგი სე-რობად და სადილობად საბასრობელ არს და საგმობელ და გონება-ცთომილებითა და სივერაგითა მოპოვნებულ და გარეშე საჭირომსა

საჯმრისა ცხორებასა ამას შინა შემოღებულ, რამეთუ რად ზიარებაჲ აქუს საზრდელთა თანა ბუნებისათა უჭმელსა მას ნივთსა ვეცხლისასა, მძიმესა მას და ძნად მსოაპოვებელსა? ანუ რად არს ნებაჲ შიმშილ-ისაჲ, არა ნაკლულისა აღმოვსებაჲ? რამეთუ განილიის რად ძალი ჭამადთაჲ, კუალად აღმოავსის დაკლებული იგი შემსგავსებულთა და ჯეროვანთა საზრდელთა ჯუმევაჲ, (96rD) რომელ არს პური, ანუ თუ სხუად რადმე საზრდელი, საჯმარი ბუნებისაჲ.

აწ უკუე, უკუეთუ ვინმე ოქროდ შთაიდვას პირსა ნაცვალად პურისა, გან-მცა-იშორა შიმშილი იგი გინა განძლად? ვინადცა, რაჟამს უჭმელ-თა მათ ნივთთა ჭამადთა წილ ვინ იჯმარებდეს, არა ქვათა ჭამსა ეგევითარი იგი? რამეთუ ბუნებაჲ სხუასა ეძიებს და იგი სხუასა ებრძვის. ბუნებაჲ უკუე, ვითარცა ჳმითა, ღაღადებს საქმეთა მიერ და

იტყვს, ვითარმედ: მშობის და საზრდელი მეკმარების, განლეულისა მის წილ ჭამადთა ძალისა. ხოლო შენ არა ისმენ ბუნებისასა, რამეთუ არა მას მისცემ, რომელსა ითხოვს, არამედ ისწრაფი, რადთა განამრავლნე ტალანტნი ვე(vC)ცხლი(291rB)სანი, და მისთვის ზრუნავ ტრაპეზსა ზედა და ნივთისა მის (vD) მჭედელთა ეძიებ და კერპის გამომქანდაკებელთა და გამომჭედელთა გამოიკულებ, რადთა ჯელოვნად გამოქანდაკებითა ცხადად წარმოიდგენნე ვნებანი, და რადთა გულისწმა-ჰყო გულისწყრომად აღჭურვილისად, მო-რად-ემზრის მახვლი საკრავად, და საღმობად წყლულისად, რაჟამს სასიკუდინედ განგურემული რეცა ვალაღებნ და კუნესინ გამოხატვისა მის მიერ და სირბილი მონადირისად, და ველურებად მჭეცისად, და რაოდენიცა რად სხუად ესევი-თარისა მის სიჩქურისაგან ჭურჭელთა ზედა ტაბლისათა იველოვნების ამაოთა მათ მიერ.

პური გთხოვა ბუნებამან, ხოლო შენ მრავალსასყიდლისა სამფერვთა შეჰმზა(97rD)დებ და ჭიქად სარცხელთა და ტაკუკთა და კოკათა და სარწყულთა და სხუათა ბევრეულითა ესევითართა, რომელთა სამიებელისა მის საჯმრისა თანა არცა ერთი აქუნ ზიარებად. აწ უკუე არა განცხადებულად ჰმორჩილება საქმეთა მარ მიერ, რომელთა იქმ, რომელი-იგი გაწუევეს ქვათა შემშჭუალვად და ნეშტთა მათ საქმეთა ქვის მსგავსთა ამათ საზრდელთასა, ვინ-მე შეუძლოს თითოეულად წარმოთქუმად საძაგელთა მათ სახილველთა და ვნებულთა

სასმენელთა, რომელთა მიერ გზა-უყოფენ თავთა თვსთა მიმართ შესავალსა ბოროტთასა, და ცეცხლითა გულის-თქუმათადათა სერო(vD)ბათა მათ განჰზავებნ და სიძვისა არაწმიდებითა ჭამადთა მათ შეანელებნ.

ესე არს წინააღმდეგომისა ჭამადთათვს განკუთნვით განზრახვად, და ქვათა მიმართ შემშჭუალვად ჭამადთა წილ განჩინებულთა, ხოლო დამარღუეველი იგი განსაცდელთად არა ექსორია-იქმს ბუნებისაგან შიმშილსა, ვითარცა მიზეზსა ბოროტთასა, არამედ სივერაგესა ოდენ მკდომისა განზრახვათაგან შემოსრულსა განსდევნის, ხოლო ბუნებასა

თვსთა საზღვართა შინა განგებად უბრძანებს.

რამეთუ ვითარცა რომელი-იგი ღვინოსა განსწურვიდენ, არათუ შეურაცხებისა მისისათვის შთაჰყრიან მას შინა დამწურველსა მას (98rD) ნივთსა, არამედ რადთა ნამეტნავი იგი ნივთი განყონ მისგან და წმიდად იგი საშუებელად იჰუმონ. ეგრეთვე მხედველი იგი და განმწვალელებელი უცხოთად ბუნებისაგან სიტყუად წულილადთა მათ და საღმრთოთა ხედვათა მიერ, ვითარცა შემწესა ცხორებისასა, შიმშილსა არა უჩინო ჰყოფს, ხოლო მისდა შეთხზულთა მათ და უმეტესთა საწმრისათა სივერაგეთა განჰყრის და განაგდებს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: იგი არს პური ჭემმარტი, რომელი სიტყვთა ღმრთისადთა ზრდიდეს ბუნებასა.

აწ უკუე, ვინადთგან შეემშია იესუს, ნეტარ იყვნენ მშიერნი, უკუეთუ მისსა მობაძავად შეემშეოდის მათ; და უკუეთუ ვცნათ, თუ რად არს, რომლისათვის ჰშიის უფალსა, ვცნათ სამე უეჭუელად (vD) ჩუენდა წინამდებ(44rC)რისა ამისცა ნეტარებისა ძალი.

რომელი ჭამადი არს, რომლისა გულის-თქუმად უფალსა არა სირცხვლ უჩნს? რამეთუ შემდგომად სამარტელსა თანამეტყუელებისა ეტყოდა მოწაფეთა და ჰრქუა, ვითარმედ: „ჩემი ჭამადი ესე არს, რადთა ვყო ნებად მამისა ჩემისა“, რომელსა ყოველთა კაცთად ჰნებავს ცხორებად და მეცნიერებასა ჭემმარტებისასა მოსლვად, ვინადთგან უკუე მას თავადსა ჰნებავს ცხორებად ჩუენი და საზრდელ მისსა იქმნების მოქცევად ჩუენი, საცნაურ ქმნილ არს, თუ ვითარ ჯერ-არს შიმშილსა სულისასა გულისკმის-ყოფად. (vB) და რად-მე არს ესე? – რადთა გუშიოდის ჩუენცა ცხორებისა ჩუენისათვის და გუწყუროდის საღმრთოდსა ნებისა აღსრულებად, (99rD) რომელსა ჰნებავს, რადთა ვცხონდეთ ჩუენ.

და ვითარმე უკუე იქმნეს ესე ვითარისა შიმშილისად ჩუენ მიერ წარმართებად, რომელი-იგი აწ ნეტარებისაგან ვისწავეთ, რამეთუ რომელსა სიმართლისათვის საღმრთოდსა ჰსუროდის, მას უპოვნის ჭემმარი-

ტი იგი გულისსათქმელი, და ამისი წადილი არა ერთითა სახითა გულის-თქუმისადთა სრულ-ყო რადთა არა ვითარცა ჭამადისათვის ოდენ სურვიელ იქმნე სიმართლისათვის, რამეთუ ესე ვითარცა ნახევარი არს, უკუეთუ ამას ზედა ოდენ დასრულდეს წადილი შენი, ხოლო აწ კეთილი ესე სასუმელცა ყო, რადთა მკურვალეზად და მოტყინარებად გულის-თქუმისად ამის – ვნებითა მით წყურილისადთა გამოაცხადოს, რამეთუ ჟამსა წყურილისასა განკმელ და აღტყინებულ ვიქმნებით, (vD) და, ვითარცა მკურნალსა ესევეითარისა წადილისასა, გულის-თქუმით მივიღებთ სასუმელსა.

აწ უკუე, ვინაფთგან ერთ არს გულის-თქუმად ჭამისა და სუმისად, ხოლო თითოეულისა მათისა მიმართ წადილი – მრავალსახე, რადთა აღმატებული იგი კეთილისა მიმართ გულის-თქუმად სიტყუამან შჯულად განგვწესოს ჩუენ, ამისთვის მათ ჰნატრის, რომელთა ორივე ესე სიმართლისა მიმართ იკუმბიონ, რომელ არს შიმშილი და წყურილი, და კმა არს ესე მოსურნისა მისთვის, რადთა ორთავე ამათ მიმართ სწორი გულის-თქუმად მოიგოს, და სასურველი იგი ორთავე ამათ მოსურნესა მრჩობლ შეეზავების, და საზრდელ მტკიცე ექმნების მშვიერსა, (100rD) და სასუმელ – წყურიელსა.

„ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის რამეთუ იგინი განძღენ“.

და რად-მე არს ესე? რომელთა სიმართლისათვის სუროდის, იგინი-მე ხოლო არიან ნეტარ, ხოლო უკუეთუ ვისმე სიწმიდისათვის გინა სიბრძნისა გინა გონიერებისა გინა სხვსა რომლისაცა სახისა სათნოებათადას ეგრეთვე სუროდის, ეგევეითარსა მას არა-მე ჰნატრისა სიტყუად? – გარნა არა ეგევეითარი ძალი აქუს სიტყუასა ამას, რამეთუ ერთი სათნოებათაგანი არს სიმართლე; და ჩუეულებისაებრ საღმრთოდ წერილი კერძოდსა მოკსენებითა ყოველსავე მოიკსენებს, ვითარცა-იგი საღმრთოსა ძლიერებასა სახელთა (vD) რომელთამე მიერ რად თარგმნიდეს, იტყვს წინამსწარმეტყუელებად, ვითარცა პირისაგან ღმრთისა, ვითარმედ: „მე ვარ (vC) უფალი, და ესე

არს სახელი ჩემი საუკუნოდ და საკსენებელი ჩემი თესლითი-თესლად-

მდე“. და კულად სხუასა ადგილსა იტყვს: „მე ვარ, რომელი-იგი ვარ“, და კულად, ვითარმედ: „მოწყალე ვარ“. და სხუათა ბევრულთა სახელთა მიერ სიმალლესა მისსა და ღმრთივმუნეიერე-ბასა მოასწავებენ საღმრთონი წერილნი, რადთა ამის მიერ ვისწავოთ გამოწულილვით, რამეთუ რაჟამს ერთი რადმე მოიკსენოს, ყოველივე სახელთა სიმრავლე ერთისა მის თანა დუმილით მოიკსენების, რამეთუ ესე შეუძლებელ არს, რადთამცა უფალი რად ეწოდა, (101rD) და არამცა სხუანიცა იგი სახელნი ეწოდნეს მის თანა, არამედ ყოველნივე იგი ერთისა მიერ მოიკსენებიან; ვინაჲცა ცხად არს, ვითარმედ კერძოსა მიერ მრავალთა საქმეთა მოიკსენებს ღმრთივსულიერი წერილი. და ეგრეთვე აქა; სიმართლისათვს რად მშიერსა ნეტარებაჲ მისცა სიტყუამან, ერთისა მის მიერ ყოველნივე სათნობანი მოასწავნა. (292rB)

ვინაჲცა სწორებით ნეტარ არს, რომელსა-იგი გონიერებისათვს და სიმწნისა და სიწმიდისა და ყოვლისავე სათნობისათვს შიოდის, რამეთუ არცა შესაძლებელ არს, რადთამცა ერთი რადმე სახე სათნობისაჲ, სხუათაგან განყოფილი, სრულად სათნობად იწოდა; რამეთუ რომლისა თანა ყოველივე კეთილი უნაკლუ(vD)ლოდ არა იხილვებოდის, უეჭუელად წინააღმდგომი კერძი ადგილსა ჰპოვებს მის თანა; ხოლო წინა-აღუდგების სიწმიდესა არაწმიდებაჲ და გონიერებასა – უგუნურებაჲ, და ყოველსავე კეთილად საგონებელსა – წინააღმდგომი მისი უკეთურებაჲ, და უკუეთუ ყოველნივე სათნობანი სიმართლისა თანა არა იხილვებოდინ, უღონო არს, რადთამცა ნაკლული სიმართლედ შეირაცხა. რამეთუ ვინმცა თქუა უგუნურებაჲ სიმართლედ, ანუ თავკედლობაჲ, ანუ არაწმიდებაჲ, ანუ სხუად რადმე უკეთურებაჲ? და ვინაჲთგან სიტყუად სიმართლისაჲ ყოვლისავე ბოროტისაგან უცხო არს, მაშა ყოველივე სამე კეთილი თავსა შორის თვსსა შეკ(102rD)რებულად აქუს, რომელ არიან ყოველნივე სათ-

ნობანი, რომელთა-იგი კეთილად ჯეროვნად სახელ-ედების.

ვინადაც ყოველთავე სათნოებათა მწყობრსა უწესს აქა სახელითა სიმართლისათა, რომლისათვის მშიერთა და წყურიელთა ჰნატრის სიტყუად, და განძლომასა გულისსათქუმელთასა აღუთქუამს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდის და

სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძლენ“.

და ვითარ ვჰგონებ, ამას მოასწავებს სიტყუად ესე, რამეთუ ვინათგან არარად გულის-თქუმით მიღებული არა განძლებს სოფელსა ამას შინა გულის-თქუმათათვის მოსწრაფეთა მათ, არამედ ვითარცა იტყვს სიბ(vD)რძნე იგავით, ჭური არს განჭურეტილი გულის-თქუმათათვის მოცალებად, რომლისა აღმოვსებად მოსწრაფეთა დაუსრულებელი რამე და ურგები შრომად შეემთხუევის, რამეთუ მარადის შთაასხმენ უფსკრულსა მას შინა გულის-თქუმათასა, ხოლო სიმძღრედ გულის-თქუმასა თვისსა ვერ მოიყვანებენ. რამეთუ ვინ პოვა ვეცხლის-მოყუარებისა (45rC) საზღვარი და რადთამცა შეკრებისა მიერ საფასეთადასა განძლო გულის-თქუმად თვისსა! ანუ რომელი დიდებისმოყუარეთაგანი მისწუდა საძიებელსა თვისსა! და რომელმან გემოთმოყუარებად რამე, გულისთქუმითი გინა ხილვითი გინა სმენითი შთაასხა, გინათუ ნაყროვნებად, გინა არაწმიდებად (103rD) და სიბორგილე, რად სადა პოვა განსუენებისა მისგან გულის-თქუმათა მათგან დაცხრომად და განძლომად! ანუ არა ყოველი გულის-თქუმად ჯორცთა მიერ აღსრულებული, მიახლებასავე თანა და გამოჩინებასა უჩინო იქმნებისა, და არცა თუ მცირედ ჟამ არა დაადგრების მოქმედთა მათ თანა?

ვინადაც მაღალსა ამას ძალსა ვისწავებთ უფლისაგან, ვითარმედ სათნოებისა ოდენ სწრაფად არს ჩუენ შორის მტკიცე და გუამოვან, და რომელმან მაღალი რამე სათნოებად წარჰმართოს, ვითარ სიწმიდე გინა სიმდაბლე გინა ღმრთისმსახურებად ანუ თუ სხუად რამე დიდთა მათ სახარებისა მოძღურებათაგანი, არა წარმავალი რამე (vD) და დაუდგრომელი სიხარული მოიწევის მის ზედა თითოეულისა (vB) მის

სათნოებისათვის, არამედ მტკიცე და დამყარებული და ყოვლისავე ცხორებისა თანა განგრძობადი. და რადსათვისმე? – ამისთვის, რამეთუ ესე საღმრთოდას ძლიერებისა თანა-შეწევნითა სრულ-იქმნების და საღმრთოთა საქმეთა სიმაძღრე უჯგეროდ არა შეეხების, რადთამცა სიგრძემან ჟამისამან საწყინო ყო სიხარული იგი. და გინათუ სიწმიდე სთქუა, გინათუ უბიწოებად, და ყოველთავე კეთილთა აღსრულებად და ბოროტთაგან უცხო ყოფად, მარადის წარმატების, ვიდრემდის სათნოებისა მაღლითა შეიმკობვოდის და სათნოებისა მიმართ ხედვიდეს; და შრომათა მისთა თანა განგრძობილად აქუს სიხარული. (104rD)

ხოლო უჯგეროთა გულის-თქუმათა მიერ შემწუარნი, დაღაცათუ მარადის არაწმიდებისა მიმართ ხედვიდენ, არამედ სამარადისოდ შუებად არა აქუს, რამეთუ ჭამადთა ნაყროვნებასა სიმაძღრე დააცხრობს, და წყურილისა გულის-თქუმად სუმისა თანა დაშრტების. და ეგრეთვე სახედ, სხუანი იგი გემოვნებანი შემდგომად აღსრულებისა უჭმარ და უგემურ იქმნებიან, ვინადაც კუალად ჟამი რადმე საჭმარ არს, რადთა გულის-თქუმათა გარდამატებითა და სიმაძღრითა დამჭნარი იგი გემოვნებად თვისსავე წადილსა აღვიდეს.

ხოლო საქმე სათნოებათად რომელთა თანა ერთგზის დამტკიცდეს, არა ჟამ რაოდენმე იწყებს და კუალად დასცხრების, (vD) არცა წელთა მიერ აღირაცხების, არცა სიმაძღრითა შეიცვის, არამედ სამარადისოდ მუშაკთა თვისთა უაღრესსა და უახლესსა და უბრწყინვალესსა თვისთა კეთილთა გრძნობასა და სახარულსა მოატყუებს. ვინადაც რომელთა მათთვის სუროდის და შიოდის, სიტყუად ღმრთისად განძღომასა აღუთქუამს, ხოლო განძღომასა – აღმაორძინებელსა გემოვნებისასა, არა დამაბრყვლებელსა. (vC) ესე უკუე არს, რომელსა-იგი სიტყუად გუასწავებს მაღლისა მისგან მთისა გულისკმის-ყოფათადასა, და გუეტყვს, რადთა არარას ესევითარსა შევაქციოთ გულის-თქუმად ჩუენი, რომლისა მიმართ სწრაფასა არარად (105rD) აქუნდეს სარგებელი, არამედ ცუდ იყოს და უსარგებლო, ვითარცა-იგი რომელნი თვისსა აჩრდილსა

სდევდენ, ამაო არს სწრაფად მათი, რამეთუ რომელსა-იგი სდევდენ, მარადის წინა კერძო მათსა იპოვების, არამედ მუნ ჯერ-არს მიქცევაჲ გულის-თქუმისაჲ, სადა-იგი სწრაფად მონაგებ მოსწრაფებისა მის იქმნებოდის. რამეთუ რომელი სათნოებისა მოსურნე იქმნეს, საუნჯესა კეთილთასა მოუგებს თავსა თვსსა, და თავისა შორის თვსისა ხედავს, რომლისა-იგი გული-უთქუამს.

ნეტარ უკუე არს, რომელსა-იგი შიოდის სიწმიდისათჳს, რამეთუ განძღეს იგი უბიწოებითა, ხოლო განძღომაჲ იგი, ვითარცა ვთქუთ, არა განძღომასა და გარე-მიქცევასა, არამედ აღორძინებასა (vD) იქმს გულის-თქუმისასა, და სწორებით აღმატებიან ერთმანერთისა მიერ ორნივე, რამეთუ სათნოებისა გულის-თქუმასა სასურველისა მის მოგებაჲ შეუდგების; და კეთილისა მის აღსრულებაჲ, რომელ არს სათნოებაჲ, სამა(293rB)რადისოსა სიხარულსა შემოიღებს სულსა შორის, რამეთუ ესევეთარი არს ბუნებაჲ ამის კეთილისაჲ, რადთა არა მას

ოდენ ჟამსა დაატკობდეს მოქმედსა მისსა, არამედ ყოველსავე ჟამსა ახარებდეს მუშაკსა თვსსა.

და ჳსენებაჲ ხოლო სათნოდ ცხორებისაჲ ახარებს მოქმედსა თვსსა ამასცა ცხორებასა, რაჟამს სათნოდ ცხონდებოდის; და მოსაგებელთა მათცა სასოებითა, რომელი-იგი ვითარ ვჳგონებ, სხუაჲ არარაჲ არიან, არამედ სათნო(106rD)ებანი და შუენიერებანი, რომელნი-იგი საქმენიცა არიან მუშაკთა მათთანი და გვრგვნიცა. ხოლო უკუეთუ ჯერ-არს უკადნიერესად-რე თქუმაჲ, ვითარ ვჳგონებ, სათნოებისა და სიმართლისა სიტყვთა გულის-თქუმასა მსმენელთასა თავსა თვსსა წინა-უყოფს უფალი, რომელი-იგი გუექმნა ჩუენ სიბრძნე ღმრთისა მიერ და სიმართლე და სიწმიდე და გამომჳსნელ, და პურ ზეცით გარდამოსრულ და წყალ ცხოველ, რომლისა წყურილსა აღიარებს დიდიცა დავით, რომელსამე ფსალმუნსა შინა, და ვითარცა სანატრელსა და საწადელსა სულისასა ღმრთისა შესწირავს და იტყვს: „სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა“,

და ვითარმედ: „ოდესმე მივიდე და ვერუენო პირსა ღმრთისასა?“
(vD) რამეთუ ძალითა სულისა წმიდისადათა წინადაწარვე განისწავლა
მაღალთა ამათ უფლისა მოძღურებათა და ესევეითართა გულის-თქუმა-
თა სიმაძღრესა უწამებს თავსა თვსსა და იტყვს, ვითარმედ: „ხოლო
მე სიმართლითა ვერუენო პირსა შენსა და განვძღვე გამოჩინებასა დიდე-
ბისა შენისასა“; და ვითარ ჩემი სიტყუად ჰგონებს, ესე არს ჭემ-
მარიტი სათნოებად და ბოროტისა შეურევენელი კეთილი, რომლისა-
თვს ყოველივე გულისცმის-ყოფად მაღალი მოუძღურდების, რომელ
არს თავადი იგი სიტყუად ღმრთისად, რომელმან-იგი ცანი დაფარნა
შუენიერებითა, ვითარცა იტყვს (46rC) ამბაკუმ; და კეთილად და
სამართლად ნეტარ იქმნენ, რომელთა საღმრთოდსა ამის კეთილისა-
თვს სწყუროდის და შიოდის. და რამეთუ (107rD) ჭემმარიტად, რომელმან
გემოდ იხილოს უფლისად, ვითარცა მეფსალმუნე იტყვს, ესე იგი
არს, რომელმან თავსა შორის თვსსა შეიწყნაროს ღმერთი, აღსავსე
იქმნების შიმშილი მისი და წყურილი მის თავადისა აღთქუმისაებრ,
რომელი იტყვს, ვითარმედ: „მე და მამად მოვიდეთ და სავანე მის თანა
ვეოთ, რომლისა თანა სული წმიდად პირველითგანვე დამკვდრებულ
იყოს“.

და ამასვე პირსა მოასწავებს პავლე მოციქულიცა, რომელმან-იგი
გამოუთქუმელთა მათ სამოთხისა ნაყოფთა გემოდ იხილა და განძღა
და მარადის შიოდა; და სასურველისა მისგან განძღომასაცა აღიარებს
და იტყვს, ვითარმედ: „ცხოველ არს ქრისტე ჩემ შორის“; და
ვითარცა მარადის მშვიერიცა წინა კერძო მისწუთების და იტყვს:
არათუ აწვე მომიღებიეს ანუ აწვე (vD) სრულ-ქმნილ ვარ, ხოლო
ვსდევ, რადთა ვეწიო; და მომეცით ჩუენ ჳელმწიფებად სახისმე-
ტყუელებისა რადსმე თქუმად, რომელი-იგი ბუნებასა არა აქუს.

უკუეთუმცა იყო ხილულთა ამათ საზრდელთა შორის ესევეითარი
რამე ღონე, რადთამცა არარად განითხეოდა ნამეტნავად ჳამადთა
მათგანი, არამედ ყოველივემცა აღმორძინებელ ჳორცთა ჳასაკისა იქმ-

ნებოდა, ფრიადსამცა სიმაღლესა აღვიდა გუამი დღი(vB)თი-დღე მიღე-
ბითა საზრდელისაათა, ეგრეთვე სიმართლე და ყოველნივე სათნოე-
ბანი, ვინათგან იჭმებოდინ და არა განითხოვდინ ნამეტნავად, წესი-
საებრ უხილავთა საზრდელთადასა, სამარადისოდ და მოუკლებელად
უმაღლეს იქმს (108rD) მჭამელთა მათ მათთა ჰასაკთა, ვინადაცა, ვი-
ნათგან საცნაურ-ქმნილ არს ჩუენდა ნეტარი იგი შიმშილი, ყოველივე
სიმაძღრე სიბოროტისადა აღმოვაგდოთ, და გუშის-მცა სიმართლისათ-
ვის ღმრთისა, რათა სიმაძღრესაცა მისსა ღირს-ვიქმნეთ ქრისტე
იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისადა არს დიდება და სიმტ-
კიცე უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

მისივე, თავი ე

სიტყუად ესე: **ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალ-
ნენ.**

ნუუკუე და ესევითარი რაამე არს, რომლისათვის-იგი იაკობ მამათ-
მთავარი ჩუენებისა მიერ იგავით განისწავლა, რამეთუ კიბენი იხილნა,
ქუეყანით ზეცათა სიმაღლედ მიწდომილნი, და ღმერთი დამტკიცებუ-
ლი მათ ზედა, ვითარ-ესე აწ ნეტარებათა მიერ (vD) მოძღურებადა
საღმრთოდ წინა-მიყოფს ჩუენ, და უმაღლესთა გულისწმის-ყოფათა
მიერ მის მიერ აღმავალთა მარადის უფროდს აღამაღლებს! რამეთუ
იგიცა მამათმთავარსა, ვითარ ვჰგონებ, სათნოდ ცხორებასა სახითა
კიბისაათა გამოუსახვიდა, რათა მანცა ისწაოს და შემდგომთაცა
მისთა მიუთხრას.

ვინადაცა სხუებრ შეუძლებელ არს ღმრთისა მიმართ აღმალებადა,
არა თუ მარადის ზეცად მიმართ ხედვიდეს, და მაღალთა მათ ხედვა-
თა სურვილი აქუნდეს მოუკლებელი, და რათა არა კმა-იყოფდეს
წარმართებულთა მათ სათნოებათა, არამედ დაჭირვებად შეჰრაცხდეს,

უკუეთუ უმაღლესთა ა(vC)რა მისწუთეს, რამეთუ აქაცა სიმაღლე ესე შემდგომითი-შემდგომთა ამათ ნეტარებათად თავადისა ღმრთისა მიახ(109rD)ლებასა ღირს-გუყოფს ჭემმარიტისა მის ნეტარისა და ყოველთა ნეტარებათა ზედა დამტკიცებულისა.

და განაღა უეჭუელად, ვითარცა ბრძენსა სიბრძნისა მიერ და წმიდასა სიწმიდისა მიერ მივეახლებით, ეგრეთვე ნეტარსა – გზისა მიერ ნეტარებათადასა საკუთარ ვექმნებით, და რამეთუ ჭემმარიტად თვისი და საკუთარი ღმრთისა ნეტარებად არს, ვინადაცა ესევეითართა მათ კიბეთა ზედა დამტკიცებად ღმრთისა მოგვთხრა ჩუენ იაკობ. და უკუეთუ ნეტარებათა ზიარებად სხუად არარად არს, არამედ ღმრთისა შეერთებად, რომლისა მიმართ აღგვეყვანებს ჩუენ მოძღურებათა თვისთა მიერ უფალი, და განღმრთობისა პატივისა ღირს-გუყოფს შემდგომითი-შემდგომად თქუმულთა მათ ნეტარებათა მიერ, უკუეთუ ოდენ

ვისმინნეთ (vD) და გულისჴმა-ვევენთ ბრძანებანი მისნი წადიერებით და სურვილით, ჭემმარიტად სამართლად ნეტარ იყოს ჩუენდა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“.

მრავალთა ადგილთა საღმრთოდასა წერილისათა საღმრთოსა ძლიერებასა წმიდანი კაცნი მოწყალედ უწოდენ, ვითარცა დავით ფსალმუნთა შინა და იონა თვისსა წინადაწარმეტყუელებასა შინა და დიდი მოსე წიგნთა შინა შჯულისდებისა თვისსათა. აწ უკუე, ვინადათგან მოწყალეებისა სახელი ღმრთეებისა ხოლო შემსგავსებული არს, რასა მოასწავებს სხუასა სიტყუად ესე, ანუ არა ღმრთეებისა მიმართ (294rB) აღვიყვანებსა და გიბრძანებს, რადათა ღმერთ იქმნე მიმსგავსებითა ღმრთეებისადათა, რამეთუ უკ(110rD)უეთუ ყოველნი ღმრთივსულიერნი წერილნი მოწყალედ სახელ-სდებენ ღმერთსა, და ჭემმარიტი ნეტარი ღმრთეებად არს, ცხად არს შემდგომისა ძალისა გულისჴმისყოფად, რამეთუ დადაცათუ ბუნებით კაცი იყოს, მოწყალეებისა მიერ მუშაკი მისი საღმრთოსა ნეტარებასა ღირს-იქმნების მათ საქმეთა

მოგებითა, რომელნი ღმერთსა ეწოდებიან; ვითარცა იტყვს, ვითარმედ:
„მოწყალე არს უფალი და მართალ და ღმერთი ჩუენი მწყალო-
ბელ“. და ვითარმცა არა ნეტარ იყო, რომელსა საქმეთა მათგან,
რომელნი ღმერთსა ეწოდებიან, რაჟამს იგივე სახელი ეწოდოს და
საქმით მობაძავ მისსა იქმნეს!

და მოციქული განგუაზრახებს, ვითარმედ: „გშურდინ მაღლი იგი
უფროდსი“, ხოლო ჩუენდა ესე არს სამიებელ, არათუ რადთა
კეთილისათვს გული-გვთქუმიდეს, რამეთუ ესე ბუნებით დათე(vD)სულ
არს კაცთა ბუნებისა შორის, რადთა კეთილისა მიმართ აქუნდეს წადი-
ლი, არამედ რადთა არა შევსცთეთ გამორჩევასა კეთილისასა, რამეთუ
უფროდს ყოვლისა ამის პირისათვს სცთების ცხორებად ჩუენი, რამეთუ
ვერ ძალ-უც გამოწულილვით გულისკმის-ყოფად, თუ რად არს ბუნებითი
კეთილი ანუ რად არს ცთომით ესრეთ საგონებელი. რამეთუ უკუე-
თუმცა შიშულად წინამდებარე იყო ცხორებასა ამას შინა ბოროტი და
არა კეთილისა რადთმე საუცრებითა ცხორებული, არამცა ვინ კაცთა-
განი სცთებოდა მის მიერ. ვინაჲცა გონიერებად გვკმს წინამდებარისა

ამის სიტყვსა გულისკმის-ყოფად, რადთა ვისწავოთ მის შორის და-
ფარულისა მის ჭეშმარიტებისა სიკეთე და სურვილად მისდა (111rD)
აღვიძრნეთ. რამეთუ ვითარცა-იგი სურვილი ღმრთისაჲ ყოველთა კაც-
თა შორის ბუნებით და(47rC)ნერგულ არს, ხოლო უმეცრებითა ჭეშ-
მარიტისა მის და ყოველთა შემოქმედისა ღმრთისაჲთა უგულისკმო
იქმნეს და შესცთეს მრავალნი, და რომელთამე ჰრწამს ჭეშმარიტი
ღმერთი, რომელ არს მამად და ძე და სული წმიდაჲ, ხოლო სხუანი
უჯეროთა ეჭუთა მიერ შესცთეს და დაბადებულნი შეჰრაცხნეს ღმრ-
თად, და ესრეთ მცირედ-მცირედ ჭეშმარიტებისაგან შეცთომამან უღმრ-
თობასა შემოსლვად გზა-სცა, ეგრეთვე, უკუეთუ წინამდებარისა ამის
პირისათვს ჭეშმარიტი გულისკმის-ყოფად არა მოვიპოვოთ, არა მცირე-
დი ზღვევად მოიწიოს ჩუენ ზედა, ჭეშმარიტებისაგან შეცთომილთა.

რად არს უკუე წყალობად და რად არს საქმე მისი და ვითარ

არს ნეტარ, (vD) რომელი მიცემულისა წილ მიიღებდეს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“?

მოკლე უკუე და ადვილი ძალი სიტყვსად ამის ესე არს, რამეთუ ურთიერთას სიყუარულად და ღმობიერებად მოუწოდს კაცთა ბუნებასა უსწოროებისათჳს და სივერაგისა სოფლისა ამის საქმეთადსა (რამეთუ არა ზოგადითა მსგავსებითა ცხორებენ ყოველნი, არცა პატივთა ზედა, არცა გუამისა აგებულებასა, არცა ნეშტთა მათ საქმეთა და სიმდიდრეთა, არამედ წინააღმდგომთა განწვალებათა მიერ მიმოდაყოფილ არს ცხორებად ესე და განყოფილ მონებად და უფლებად, სიმდიდრედ და სიგლახაკედ, დიდებად და შეურაცხებად, სი(112rD)მრთელედ და სნეულებად და სხუად ესევეითარად აურაცხელად, რადთა გარდამატებულისა სწორებად ადვიდეს ნაკლულევანი და აღივსოს ჯუებული (vB) სავსისაგან. შჯულად დაუდებს კაცთა დავრდომილთა წყალობასა ღმერთი, რამეთუ ქველისსაქმედ განსაცდელსა მოყუსისასა სხვთა სახითა შეუძლებელ არს მოსლვად, არა თუწყალობამან აღძრას ესევეითარისა ღმობიერებისა მიმართ სული, რამეთუ უწყალოებისა წინააღმდგომად გულისკმა-იყოფების წყალობად, და ვითარცა-იგი უწყალოდ და ველური მიუახლებელ არიან მოქენეთაგან, ეგრეთვე ღმობიერი და მოწყალე განიზავების და შეინელების წყალობითა და სიყუარულითა ჭირვეულთადთა, და ეგევეითარი იქმნების შეწუხებულისა მიმართ, ვითარსაცა ეძიებდეს ჭირვეულისა მის გონებად.

და ესე არს მოკლე საზღვარი მოწყალებისად და თარგმანებად, რამეთუ არს მოწყალება ნეფსითი მწუხარებად, უცხოთა ბოროტთა და განსაცდელთათჳს მოგებული.

და უკუეთუ ძალი მისი გამოწულილვით ვერ წარმოვადგინეთ, სხუათა სიტყუათა მიერ უცხადესად-რე გამოვთარგმანოთ.

წყალობად არს ჭირთა და ურვათაგან შეურვებულთად მოწლედ და სიყუარულით შეტკობობად, რამეთუ ვითარცა უწყალოსა და მკეცე-

ბრისა სიძულილისაგან ჰქონან მიზეზნი, ეგრეთვე წყალობასა (113rD) – სიყუარულისაგან, და უკუეთუ ამიერ არა აქუნდეს დასაბამი, შეუძლებელ არს მოგებად წყალობისად. და უკუეთუ ვინ გამოწულილვით გამოიძიოს წესი წყალობისად, გარდამატებულებად მისი სიყუარულსა შინა პოოს, შეწუხებულთა ვნებისა მიერ აღორძინებული. რამეთუ კეთილთა ზიარებად მოყუარეთა და მტერთაგან სწორებით სასწრაფო არს, ხოლო ჭირთა და ურვათა ზიარებად სიყუარულისა მუშაკთა შორის ხოლო იხილვების. და ესე ცხად არს ყოველთა მიერ, რამეთუ ამას ცხორებასა შინა აღსრულებულთა სათნოებათა ყოველთავე სიყუარული უაღრეს არს. და სიმტკიცე სიყუარულისად წყალობად არს. და ჭემმარიტად ნეტარ არს, (vD) რომელსა ესევეთარი წყალობად აქუნდეს სულსა შინა თვისსა, თავსა სათნოებათასა შემაერთებელი, რომელ არს სიყუარული.

და ნუვინ ჰგონებნ, (2vA) თუ ნივთთა განყოფასა ხოლო შინა იხილვების სათნოებად ესე, რამეთუ უკუეთუმცა ესრეთ იყო, არამცა შესაძლებელ იყო ყოველთა მიერ წარმართებად ამისი, არამედ მათ მიერ ხოლო, რომელთამცა აქუნდა ქველისმოქმედებისა ძალი, ხოლო აწ, ვითარ მე ვჰგონებ, უაღრესი ძალი ამის სათნოებისად ნებასა შინა იხილვების, რამეთუ რომელმან ინებოს ქმნად კეთილისად და ვერ-შემძლებისაგან დაყენებულ იქმნეს, არარაფთ დაკლებულ არს წყალობად და ნებად სულისა მისისად საქმით ქველისმოქმედებისაგან.

ხოლო თუ რა(114rD)ბამსა შესაძინელსა მოატყუებს ცხორებასა ამას, ნეტარებისა ამის წინამდებარისა ძალი, უკუეთუ ამის პირისათვის ვინ გულისჰმა-ყოს გონებად მისი, რომელი-ესე ზემო ვაჰსენეთ, ნამეტნავ არს წარმოთქუმად, ვინაფთგან ჩჩვლთა მიერცა საცნაურ არს, თუ რაბამსა სარგებელსა შემოიღებს სოფლად, რამეთუ უკუეთუ ყოველთა შორის ესევეთარი წყალობად დაეთესოს და ნაკლულევანთა და უღონოთა სიყუარულად აღიძრნენ, არღარა სადა იყოს უმაღლესი (295rB)

გინა უმდაბლესი, არცაღა განიწვალოს ცხორებად ესე წინააღმდგომ-

თა სახელთა მიმართ, არცაღა აჭირვებდეს კაცთა სიგლახაკე, არცა მონებად დაამდაბლებდეს, არცა შეურაცხებად შეაწუხებდეს, არამედ ყოველთა ყოველივე (vD) ზოგად აქუნდეს, და სწორებად და ერთობად უზაკუველი მოქალაქობდეს ცხორებასა შინა კაცთასა, რაჟამს ნამეტნავი ნაკლულევანისა მიმართ ნეფსით და სწორებით განიყოფოდის.

და უკუეთუ ესე იქმნეს, აღიფხურეს სრულიად მიზეზი მტერობისად, და უქმ იქმნას შური და მოკუდეს სიძულილი და ექსორია-იქმნეს ძვრისკსენებად, და დაშრტეს ტყუვილი და საცთური და ბრძოლად, რომელნი-ესე ნაშობნი არიან ანგაჰრებისანი, ხოლო ნივთი რად იგი უწყალოებისად განიკადოს, მის თანა განიკადებიან უეჭუელად, ვითარცა ბოროტსა რასმე ძირსა თანა, ყოველნივე მორჩნი უკეთურებისანი, და რაჟამს ბოროტნი უჩინო იქმნენ, სიმრავლე კეთილთად (115rD) შემოვალს მათ წილ, რომელ არს მშვიდობად და სიმართლედ, და ყოველნივე სახენი სათნოებისანი. და რადმცა იყო უსანატრელეს ესე ვითარისა ცხორებისად, რაჟამს არღარა კლიტეთა და მოქლონთა ერწმუნებოდის შეკრძალვად ცხორებისა ჩუენისად, არამედ ერთი ერთისასა შეიკრძალვიდეს და ზოგად და სწორებით ურთიერთას მცველ ექმნებოდინ. რამეთუ ვითარცა უწყალოდ და ველური ველურებისა მისისა გამოცდილთაგან მძვნვარედ და ულმობელად იწოდების, და საძულელ იქმნების მოქენეთაგან, ეგრეთვე ქველისმოქმედი და მოწყალე საყუარელ და საწადელ იქმნების ყოველთა მიერ, და ბუნებითსა სიყუარულსა აღაორძინებს მოქენეთა მიმართ (vD) და ჭირვეულთა, და ვითარცა სიტყუამან წარმოაჩინა, მოწყალეობად არს მამად ქველისმოქმედებისად და წინდი სიყუარულისად და საკრველი ყოვლისავე კაცთმოყუარებისად. და ამის სიმტკიცისა უძლიერესი რადმცა იპოვა ცხორებასა ამას შინა?

ვინადცა ჯეროვნად ჰნატრის სიტყუად მოწყალეობასა და ესე ვითართა კეთილთა სახელითა წარჩინებულ ჰყოფს მას, და თუ რავოდენ სარგებელ არს ცხორებასა ამას შინა მყოფთათჳს სათნოებად ესე წყალობისად, არა ვჰგონებ თუმცა უმეცარ ვინმე იყო, ხოლო მე

ადვილად სახილველისა ამის ძალისა სხუასა უღრმესსა ძალსა გულისცმა-
ვჰყოფ საიდუმლოდ დაფარულსა სი(116rD)ტყუასა ამას შინა, რამეთუ
იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეი-

წყალნენ“. და ამის სიტყვსა მიერ ცხად-ჰყოფს ვითარმედ უკუანა-
სკნელ დაეუნჯების მისაგებელი მოწყალესა. ვინაჲცა, რაოდენცა შეუ-
ძლოთ, ადვილად სახილველსა ამას ძალსა მისსა და მრავალთა მიერ
საცნაურსა ზეშთა ვექმნეთ, და შინაგანსა მას კრეტსაბმელსა რაოდენ-
ცა მივსწუთებოდით, შინაგან შესლვად არა დავიცონოთ, რამეთუ იტყვს,
ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“.

არს უკუე სხუად რამე მოძღურებაჲ მაღალი, რომელსა ვისწა-
ვებთ ამის სიტყვსაგან, ესე იგი არს, რამეთუ რომელმან-იგი ხატად
თვსად დაჰჰადა კაცი, ყოველთა კეთილთა მიზეზნი ბუნებასა (vD)
შინა თვსისა მის დაბადებულისასა დასთესნა, რადთა არარად კე-
თილთაგანი საძიებელ იყოს ჩუენდა (vB) გარეშეთ შემოსლვად ჩუენ
შორის, არამედ რაოდენიცა რად გუენებოს, ჩუენ შორის იყოს არსე-
ბად მისი, და ვითარცა საუნჯისა რადსაგანმე, ბუნებისაგან ჩუენისა
გამოვიღებდეთ კეთილსა, რამეთუ კერძოდსაგან ყოვლისავეთვს ვი-
სწავებთ, და რამეთუ სხუებრ შეუძლებელ არს გულისსათქუმელთა-
განისა რადსმე მიმთხუევად, უკუეთუ ვინმე თავსა თვსსა თვთ არა
მიანიჭებდეს კეთილსა, რომლისათვსცა (3rA) სმენად-შემძლებელთა მათ
ეტყვს უფალი, ვითარმედ: „სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა
არს“, და ვითარმედ: „ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და
რომელი ეძიებდეს, პოვოს, და რომელი ირე(117rD)კდეს, განელოს
მას“. ვინაჲცა სასურველისა მოღებაჲ და საძიებელისა პოვნად და
გულისსათქუმელისა მიმთხუევად ჩუენ შორის მყოფ არს, რაჟამს
ვინებოთ, და ჩუენისა ნებისადა მოკიდებულ არს; და შემდგომითი-
შემდგომად წინააღმდგომიცა კერძი ამასვე პირსა ზედა გამოისახვის,
რამეთუ ბოროტისა მიმართ მიდრეკად არცა ერთისა გარეშისა იძუ-
ლებისაგან იქმნების ჩუენ შორის, არამედ მიდრეკასა თანა არსებასა

მიიღებს და გამორჩევასა ჩუენსა თანა იშვების ბოროტი, ხოლო გარეშე ნებისა თვთ თავით თვსით და თვსითა გუამოვნებითა არა იპოვების ყოვლადვე არსებად ბოროტისაჲ, და ამის მიერ განცხადებულად საცნაურ იქმნების თვთმფლობელობად და თვთველმწიფებად ძალისაჲ მის, (vD) რომელი დაბადა ბუნებასა შინა კაცთასა, ბუნებათა მფლობელმან უფალმან, და ყოველივე ნებასა ჩუენსა ჰკიდავს, გინათუ კეთილი, გინათუ ბოროტი.

ვინაჲცა საღმრთოდ საშუკელი თუალუხუავითა და მართლითა მსჯავ-

რითა ნებასა ჩუენსა მიჰყვების, და მას მიაგებს თითოეულსა, რომელიცა თვთ ნეფსით თვსით ვინ მოატყუას თავსა თვსსა, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: დიდებაჲ და პატივი და უხრწნელებაჲ, რომელნი ეძიებენ ცხორებასა საუკუნესა, ხოლო ურჩთა მათ ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუვისათა – რისხვაჲ და ჭირი, და რაოდენიცა მჭმუნვარებისა და მწუხარებისა მისაგებელთა სახელითა გამოისახვის.

რამეთუ ვითარცა (118rD) განწმედილი სარკე, ეგევითართა აჩუენებს პირისა ხატთა, ვითარნიცა იყვნენ პირნი იგი შთამხედველთანი, ბრწყინვალედ – ბრწყინვალეთა, და კულად დუხჭირად – დუხჭირთა, და ვერვინ აბრალებს ბუნებასა სარკისასა, უკუეთუ დუხჭირისა ხატი დუხჭირად აჩუენოს, ვინაჲთგან შთამხედველისა მის სახე მწუხარებითა შეჭუვილ იყო. ეგრეთვე სამართალი იგი საშუკელი ღმრთისაჲ ნებათა ჩუენთა ემსგავსების, და ვითარნი იყვნენ ჩუენნი საქმენი, ეგევითართავე მოსაგებელთა მოგუაგებს, რამეთუ იტყვს ვითარმედ: „მოვედით, კურთხეულნო, და წარვედით, დაწყეულნო“. ნუუკუე გარეგნით სადადთმე მოიწია მათ ზედა ეგევითარი იგი განჩინებაჲ, (vD) რომლისა მიერ ესმა მარჯუენითთა მათ ტკბილი იგი და საწადელი ჳმაჲ, ხოლო მარცხენითთა მათ - მწუხარებითა და რისხვითა სავსე იგი ბრძანებაი? – არა, არამედ, რამეთუ მათ ყვეს წყალობად, მიემთხვნეს წყალობასა, ხოლო იგინი, რამეთუ უწყალო ექმნეს ძმათა და თვსთა, უწყალო ყვეს მათთვს წყალობად ღმრთისაჲ.

არა შეიწყალა ბჭეთა ზედა დავრდომილი გლახაკი შუებათა შინა განფრდილმან მან მდიდარმან; ამისთვსცა დაუჭმა თავსა თვსსა კარი წყალობისად, და რაჟამს მოქენე იქმნა წყალობისა, (296rB) ივლტოდა მისგან წყალობად. არათუნ რამეთუ და-რას-ვით-აკლებდა წუეთი ერთი წყალი დიდსა მას წყაროსა სამოთხისასა, არამედ რამეთუ წუეთ- (119rD)თა წყალობისათა არა აქუს ზიარებად უწყალოთა მიმართ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „რად ზიარებად არს ნათლისად ბნელისა მიმართ?“ და რამეთუ, „ვითარიცა სთესოს კაცმან, ეგევითარიცა მოიმკოს“. რამეთუ რომელმან სთესოს ჯორცთა შინა თვსთა, ჯორცთა- გან თვსთა მოიმკოს ხრწნილებად, ხოლო რომელმან სთესოს სულსა შინა თვსსა სულისაგან თვსისა მოისთულოს ცხორებად საუკუნოდ. თესლად უკუე უწყეს, ვითარ ვჰგონებ, კაცობრივსა ნებასა, ხოლო

მკად – ნებისა მის მოსაგებელსა. მრავალნაყოფიერი უკუე არს კეთილთა საქმეთა იგი ჯუვილი მათთვს, რომელნი-იგი ესევითარისა მის თესლისა მთესვარ იქმნეს, და ეგრეთვე კულად სატკივარ არს და ეკლოვან, რომელთა ეკლოვანი თესლი სთესონ ცხორებასა ამას შინა, (vD) რამეთუ უღონო არს, უკუეთუმცა სხუად რადმე მოიმკო და არა იგი, რომელი ვინ სთესოს.

„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“. რომელმან- მცა სიტყუამან კაცობრივმან უძლო გამოთქუმად სიღრმესა გულის- ჯმის-ყოფისასა სიტყუათა ამათ შინა დაფარულსა, რამეთუ სიმარტივე ესე და უსაზღვროებად სიტყუათად ამათ და განუჩინებლობად, თუ ვინ არიან, რომელთა-იგი მიეცემის წყალობად, თქუმულთა ამათ უმეტესსა გამოძიებასა მოგუცემენ. რამეთუ არა შესძინა სახელი მათი, არამედ მარტივად თქუა, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი“. და ნუუკუე ესევითარსა ძალსა მოასწავებს სიტყუად ესე თქუმულთა ამათ მიერ, (120rD) და სანატრელისა მის გლოვისა შემდგომებასა წარმოაჩინებს, რამეთუ მუნ ნეტარ იყო, რომელი ცხრრებისა ამისთვს იგლოვდა, (3vA) და აქაცა მობაძავსავე მისსა მოძღურებასა წინა-გვყოფს ჩუენ სიტყუად

ესე. რამეთუ ვითარცა-იგი სხვსა განსაცდელთათჳს გუელმის, რაჟამს თჳსნი გინა მეგობარნი ჩუენნი მოულოდებელთა რათმე განსაცდელთა და მწუხარებათა შთავარდენ, ანუ თუ მამულისა სამკვდრებელისაგან განვარდენ, ანუ თუ დანთქუმისაგან შიშუელნი გაწერნენ, ანუ თუ ავაზაკთა გინა მპარავთა ჳელსა შთაცვვენ, ანუ თუ თავისუფალნი მონებასა მიეცნენ, ანუ თუ აზნაურნი წარიტყუენნენ, ანუ თუ სხუად რადმე ესევითარი (vD) [ბოროტი] შეემთხვოს, ანუ თუ შუებით ცხორებულნი და მრთელნი გუამითა სენთა მიერ და სალმობათა წრტიალთა განიკაფნენ სოფელსა ამას შინა. აწ უკუე ვინადთგან ამათ-თჳს ტკივნეულ იქმნების სული ჩუენი და ლმობილ, რავოდენ უმეტესი ტკივილი და მწუხარებად თანა-გუაც თავთა თჳსთათჳს, უპირულისა ამის ცხორებისა ჩუენისა შეცვალებისათჳს. რამეთუ რაჟამს მოგიჳსენოთ, თუ რაბამ ბრწყინვალე იყო სამკვდრებელი იგი ჩუენი, რომლისაგან განვიდევნენით, და თუ ვითარ ჳელსა ავაზაკთასა შთაცვვენით, და თუ ვითარ სიღრმესა ამის ცხორებისასა დანთქმითა განვიძარცუენით, და თუ რავოდენთა და ვითართა მძჳნვა(121rD)რეთა უფალთა თავისუფლებისა და აზნაურებისა წილ დავემონენით, და თუ ვითარ

ნეტარი იგი ცხორებად სიკუდილითა და ხრწნილებითა განვკუეთეთ, და უკუეთუ ესე ყოველი გონებად მოვილოთ და გულის(vB)ჳმა-ვყოთ, ძალ-ღა-მცა-გუედვა უცხოთა განსაცდელთა წყალობად და არა თავთა თჳსთა წყალობასა შინა შეყენებად, ტკივილსა და ურვასა სულთა ჩუენთასა, და თუ რასა-ესე მივეცენით, და რომლისაგან-იგი დავეცენით, და თუ რომელი გუაქუს ანუ თუ რომელი წარვწყმიდეთ.

რამეთუ რადმცა იყო უსაწყალობელეს ამის ტყუეობისა; სამოთხისა ფუფუნებისა წილ სენიანი ესე და ჳირითა სავსე ცხორებად განვიკუთნეთ, და უვნებელობისა მის წილ ბევრეულნი ესე ვნებათა სიკუდილნი შევიძინენით, და ძალისა მის (vD) წილ მოქალაქობისა და ანგელოზთა თანა ცხორებისა მჳცეთა თანა ქუეყანისათა ცხორებად დავისაჯენით, და ბრწყინვალისა მის წილ შუებისა პირუტყუებრივი ესე შუებად

მოვივაჭრეთ, და მწარეთა ამათ მძლავრთა ცხორებისა ჩუენისათა და განცოფებულთა ამათ და მძუნვარეთა მფლობელთა ჩუენთა ვინმცა უძლო აღრაცხვად?

მწარე მფლობელი არს რისხვად და მისსა უმწარესი – შური, და ეგევითარივე არს სიძულილი, და ამპარტავანება; და განცოფებული და ველური მძლავრი არს სიძვად, რომელი-იგი ვითარცა სყიდულთა მონათა ზედა, ესრეთ იზახებს ჩუენ ზედა და ბილწთა და არაწმიდათა მსა(122rD)ხურებათა მონებითა შეაგინებს ბუნებასა ჩუენსა. და კუა-ლად ანგაჰრებისა მძლავრი ვის არა წარჰკდების სიმწარითა, რომელ-მან-იგი დაიმონის რაჲ უბადრუკი სული, მარადის უძღებთა მათ გულისთქუმათა თვსთა აღმოვსებად აიძულეზნ, და მარადის რაჲ აღივსებოდის, ყოვლადვე ცალიერ იპოვების, და ვითარცა მრავალ-თავი რაჲმე მკეცი ბევრეულთა პირთა მიერ უძღებსა მას მუცელსა თვსსა შთაიკრებს შესაძინელსა, ხოლო შესაძინელისა მის მიერ გან-ძლომასა არა თავს-იდებს, არამედ რავოდენცა მიიღებდეს, უმეტესისა მიღებისა გულის-თქუმითა დაიწუვის.

აწ უკუე, რომელმან უბადრუკი ესე ცხორებაჲ განიცადოს, ვითარ-მცა ექმნა ულმობელ და უწყალო ესევითართა ამათ (vD) განსაც-დელთა, გარნა მიზეზი თავთა ჩუენთა უწყალოებისაჲ უგულისკმოები-საგან იქმნების ბოროტთა ჩუენთასაჲსა, ვითარცა-იგი შეემთხუევის გან-ცოფებულთა და ნავლიანთა, რომელნი-იგი გარდარეულისა მისგან

ბოროტისა ვერცაღა აგრძნობენ ვნებასა მას, რომლითა-იგი ცნობა-მიღებულ არიან.

ხოლო უკუეთუ ვინმე იცნას თავი თვსი, თუ რაჲ იყო პირველ ანუ რაჲ არს აწ, ვითარცა იტყვს სოლომონ, ვითარმედ: „რომელთა იცნ-ნენ თავნი თვსნი, ბრძენ არიან“. ესევითარი იგი არაოდეს დას-ცხრეს წყალობად თავისა თვსისა, და ესევითარსა მას ლმობიერებასა სულისასა საღმრთოჲცა წყალობაჲ შეუდგების, ვითარცა იტყვს, ვი-თარმედ: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ (123rD) იგინი შეიწყალ-

ნენ“. იგინი და არა სხუანი. და ესრეთ საცნაურ ჰყოფს ძალსა ამის სიტყვასა, ვითარცა-იგი რად ვინ იტყვნ, (4rA) ვითარმედ ნეტარ არს მოლუაწებად ჯორციელისა სიმრთელისად, რამეთუ რომელი იღუწიდეს, იგი სიმრთელით ცხორებდეს. ეგრეთვე მოწყალე ნეტარ იყოს, რამეთუ ნაყოფი წყალობისად თვსად მონაგებად (297rB) მოწყალისა იქმნების, გინათუ აწ ჩუენ მიერ პოვნილისა ამისებრ სიტყვსა, გინათუ უწინარეს გამოძიებულისა მის ძალისა, რომელ არს მოყუსისა განსაცდელთა ზედა ჩუენებად წყალობისად, რამეთუ ორივე ესე სწორებით კეთილ არს, თავისაცა თვისისა წყალობად, ვითარცა ვთქუთ, და მოყუსისა ძვრთათვს ლმობიერებად, და თანა-შეწევნად. (vD)

ვინაძცა მართალი იგი და საღმრთოდ საშუკელი მრწემთა მიმართ და გლახაკთა ჩუენებულისა მისებრ გულსმოდგინებისა და წყალობისა კაცთაძსა განაჩინებს მერმეთა მათ ძალალთა და აღმატებულთა მისა-გებელთა, და თვსად შეჰრაცხს ქველისსაქმეთა მათ, ამისთვსცა თვთ ჰყოფს კაცსა თავისა თვისისა მსაჯულ, და უმრწემესთა განსჯისაებრ თავისა თვისისა განჩინებასა განმაჩინებელად, ვინაძცა სარწმუნო არს და ქეშმარიტად სარწმუნო არს, რამეთუ ყოველივე კაცობრივი ბუნებად წარდგომად არს წინაშე საყდართა ქრისტესთა, რადთა თითოეულმან მოილოს, რადცა-იგი ქმნა ჯორციითა ამით, გინათუ კეთილი, გინათუ ბოროტი. (124rD)

და დაღაცათუ კადნიერ არს თქუმად და უხილავთა და გამოუთქუმელთა გონებითა მოგონებად, გარნა უკუეთუ ჯერ-არს ნეტართა მათ წყალობისა მოსაგებელთა განცდად, შენდობა მეცით ჩუენ, რადთა ვიტყოდით, რამეთუ ქველისმოქმედებად იგი მოწყალეთად, რომელსა ჰყოფენ სოფელსა ამას შინა, სამარადისოდ ჰგიეს მიმღებელთა მათ თანა წყალო-

ბისათა, და ვინაძთგან ესე ესრეთ არს, არამცა ჯეროვან იყოა და სამართალ, რადთა ჟამსა მას განკითხვისასა იცნენ ქველისმოქმედნი თვსნი მიმღებელთა მათ ქველისსაქმისათა, და წინაშე მსაჯულისა მის ყოველთა დაბადებულთაძსა აღიარონ ჳმითა მადლობისაძთა ქველის-

მოქმედებად მათი, რომელი აჩუენეს მათ ზედა კეთი(vD)ლისმყოფელ-
თა მათთა?

და ვინ-მე გამოთქუას ბრწყინვალეობად იგი, რომელი მოეფინოს სულსა
ზედა მათსა მას ჟამსა შინა, ანუ რომლისადამცა ნეტარებისა მოქენე
იქმნეს ეგევითარნი იგი, რომელნი ესევითარსა მას გამოუთქუმელსა
სამშჯავროსა ზედა იქადაგნენ და იქნენ.

და ესე ცხად არს, რამეთუ მოწყალენიკა და წყალობისა მიმღე-
ბელნი – ორნივე მწყობრნი მუნ მდგომარე არიან, ვითარცა გუას-
წავებს წმიდად სახარებად, განჩინებასა მას შინა მეუფისასა, მართალ-
თა მიმართ და ცოდვილთა, რამეთუ ორთავე გამომაჩინებელსა სიტყუა-
სა წარმოაჩინებს, რომლისა მიერ ვითარცა თითითა გვჩუენებს და
იტყვს, ვითარმედ: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირე(125rD)თა ამათ-
განსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“, და სიტყუად იგი, ვითარმედ:
„წარვედით“, ორთავე მუნ დგომასა გამოაჩინებს.

აწ უკუე მითხარნ მე, რომელი-იგი უსულოსა მას ნივთსა მონაგებ-
თასა მერმისა მის ნეტარებისა უფროდს პატივ-სცემს, თუ რომელი
ბრწყინვალეობად ოქროსად ესწოროს ამას, ანუ რომელი ქვათა პატი-
ოსანთა ელვარებად, ანუ რომელი სამკაული სამოსელთად იყოს ესე-
ვითარი, ვითარ კეთილნი იგი, რომელთა სახარებად წინა-გვყო(vB)ფს
ჩუენ, რაჟამს-იგი მეუფემან დაბადებულთამან თავი თვისი გამოუცხა-
დოს კაცობრივსა ბუნებასა, დიდადშუენიერად მჯდომარე მაღალთა
მათ ზედა და აღმატებულთა დიდებისა თვისისა საყდართა, რაჟამს-იგი
გამოჩნდენ (vD) გარემოდს მისსა მდგომარედ ურიცხუნი იგი ბევ-
რეულნი ანგელოზთანი, რაჟამს წინაშე თუალსა ყოველთასა წარ-
მოდგეს უხილავი იგი ზეცათა სასუფეველი.

და კუალად ეგრეთვე სახედ გამოჩნდენ საშინელნი იგი და შესაძრ-
წუნებელნი სატანჯველნი, და ყოველივე კაცთა ბუნებაი პირველქმნუ-
ლითგან ვიდრე უკუნადასკნელისამდე მუნ მდგომარედ იხილვნენ შორის
შიშისა და სასოებისა ყოფადთადასა, და ორკერძოვე მოსალოდებელთა

ზარისაგან განილეოდინ. და ნუუკუე არა ხოლო თუ ცოდვილთა ოდენ შეემთხუეოდის ესე, არამედ მართალთაცა და კეთილთა სჯინდისითა ცხორებულთა, ვერ გულისავსე ქმნითა ყოფადთადათა, რაჟამს იხილნენ ბორო(126rD)ტად ცხორებულნი იგი უწყესოდსა მის გონებისა მათისაგან, ვითარცა მტარვალისა ვისმე მიერ უწყალოდსა რისხვით ბნელად გარესკნელად წარსხმულნი, იძულებით და ჭენებით.

აწ უკუე, უკუეთუ ესევეითარსა მას ჟამსა ქველისმოქმედნი იგი და მოწყალენი მიმღებელთა მათ ქველისსაქმისათა (4vA) ჳმითა შესხმისა და მადლობისადათა და კადნიერებითა ბრწყინვალითა, საქმეთა მათთათვის კეთილთა, წინაშე მსაჯულისა მის თუალუხუავისა ადიდდნენ, და თავადმან ღმერთმან კეთილისმყოფელად თვსად აღიარნეს, რომლისამე უკუე ნივთიერისა სიმდიდრისა თანა შეირაცხოს წარჩინებულებად იგი ესევეითარი, ანუ თავს-იდვა-მცა ვინ მათ კეთილთა წილ მათათა და ბორცუთა (vD) და კევნებსა და ველთა და ზღვსა, ოქროდ გარდაქცეულთა, მიღებად?

ანუ თუ კუალად, რომელიმცა ბოროტი ესწორა განქიქებასა მას უწყალოდსასა, და რომელმან-იგი მტკიცითა ბეჭდითა და მოქლონებითა და კლიტებითა და რკინითა შემოსილითა ბჭეებითა სიმნელეთა შინა და სიმაგრეთა შეაწყუდია მამონად და დამალა, და ყოველთავე საღმრთოთა მცნებათა და ყოვლისავე წყალობისა და ქველისსაქმისა დამალული იგი და დაფლული ნივთი უპატოსნეს შეჰრაცხა, რაჟამს-იგი წინაშე ყოველთადასა უწყალოებად მისი და მძვნვარებად შეიჩუენოს, რაჟამს, რომელთა-იგი უწყალო ექმნა სოფელსა ამას შინა, წინაშე პირსა მისსა აღუდგენ, (127rD) და ზედა-მიუკდებოდინ და ეტყოდინ, ვითარმედ: მოივსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა და სიმდიდრისა თანა სიმნელეთა შინა და სამალავთა შეაწყუდიე წყალობად, და მიწასა შინა დაჰვარე მოწყალეებად და დაუტევე ქუეყანასა ზედა, და არა მოიგე ცხორებასა შენსა კაცთმოყუარებად, ვინადაცა, რომელი-იგი არა მოიგე, არცა გაქუს, და ვითარმცა გაქუნდა, რომლისათვის-იგი არა ილუაწე. და ვერცაღა ჰპოვებ, რომელი-იგი

არა დაიუნჯე, და ვერცა შეიკრებ, რომელი არა განაზნიე, და ვერცა მოიმკი, რომელი არა დასთესე. და აჰა ესერა ღირსი თესვისა შენისა სამკალი განგემზადა შენ.

სიმწარე სთესე, – მოიმკე მჭელეული მისი; უწყალოებად შეიყუარე, – აჰა ესერა გაქუს, (vD) რომელსა-იგი პატივ-ეც; არა მიხედენ ლმობიერად, – გამოსჩნდე შენცა საწ(298rB)ყალობელად. უგულე-ბელს-ჰყავ ჭირვეული, – უგულებელს-იქმნე შენცა წარწყმედული; ევლტოდე ქველისსაქმესა, – ივლტოდის შენგანცა წყალობად; მოიძა-გენ გლახაკნი, – მოგიძაგოს შენცა, რომელი-იგი ჩუენთვს დაგლახაკნა.

აწ უკუე, რაჟამს ამას და ესევითარსა ეტყოდიან, და მოქმედი იგი ბოროტისად თავდაქცევით ცეცხლსა მას გეჰენისასა მიითრეოდის, სადა იყოს მაშინ ოქროდ? გინა სადა იყვენენ ბრწყინვალენი იგი ჭურ-ჭელნი? სადა იყოს საფასეთა ზედა ბეჭედთა მიერ დადებული იგი შეკრძალულებად? სადა იყვენენ სამწუ(128rD)ხროთა მათ საჯუმი-ლავთათვს მცველად დაწესებულნი იგი ძაღლნი, გინა თუ მპარავთა-თვს განმზადებულნი იგი საჭურველნი, ანუ თუ წიგნთა შინა სიმდიდ-რისა იგი აღწერილი დივანი?

და რად იყოს ესე ყოველი ტირილსა მას თანა თუალთასა, და ღრჭენასა მას თანა კბილთასა! და ვინ განუნათლოს ბნელი იგი წყუ-დიადი; ანუ თუ ვინ დაუშრიტოს ცეცხლი იგი უშრეტი; ანუ თუ ვინ იკსნნეს მატლისა მისგან უძილისა?

ვინადცა გულისგმა-ვყოთ, ძმანო, ესე ყოველი, და ბრძანებად საღმ-რთოდ ვისმინოთ, რომელი-იგი მცირედთა სიტყუათა მიერ ყოფადთა მათთვს და მოწევნადთა საქმეთა გამოწულილვით გუასწავებს; ვიქმნ-ნეთ უკუე მოწყალე, რადთა მის მიერიცა იგი ნეტარებად დავიმკვდროთ ქრისტე იესუმს მიერ უფლისა (vD) ჩუენისა, რომლისად არს დიდე-ბად უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

თქუმული მისივე, თავი ვ

სიტყუად ესე: **ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.**

ვითარცა-იგი შეემთხუევს მათ, რომელნი-იგი მაღლისა რაღსმე მათათა მწუერვალისაგან განუცდელსა რაღსმე სიღრმესა უფსკრულისასა შთაიხედვიდენ, ეგევითარივე სახე შეემთხვა გონებასა ჩემსა სიმაღლისა ამისგან საღმრთოდას მოძღურებისა, რომლისა-იგი სიტყუათა ძალი, ვითარცა თხემისაგან მათათადას, განუცდელად სიღრმედ გულისკმისყოფისა შთაიხედავს, რამეთუ ვითარცა-იგი მრავალთა ადგილთა ზღვსპირისათა იხილვების მთად განხეთქილი ზღვს კიდით კერძო, რომელი თავი(129rD)საგან მათათადას წყლტუდ და მართლიად, ვითარცა მოხუეწილი სიღრმედ უფსკრულთა შთავალნ, რომლისა-იგი თავი სიღრმედ მიმართ ხედავენ, და ვითარცა-იგი შეემთხუევს ესევეთარისა მის კლდისა თავსა ზედა მდგომარესა და ფრიადისა მისგან სიმაღლისა სიღრმედ ზღვსა შთამხედველსა, ეგრეთვე ძრწის სული ჩემი დიდისა ამისგან საღმრთოდას კმისა აღმაღლებული, რომელი იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. (5rA)

განწმედილთა უკუე გულითა ღმერთი წინამდებარე არს სახილველად, ღმერთი, რომელი არავინ სადა იხილა, ვითარცა იტყვს დიდი იოვანე და ეწამების პავლეცა, მაღალი იგი გონებითა, და იტყვს, ვითარმედ: „რომელი არავინ კაცთაგანმან იხილა, არცა ხილვად შემძლებელ არს“.

ესე არს წყლტოი იგი (vD) და თუალუწდომი კლდე და საეზგურომ, რომელსა ზემო ვიტყოდე, რომელი არცა ერთსა გულისკმისყოფისა აღსავალსა აჩუენებს თავსა ზედა თვსსა, რომელი მოსეცა ეგრეთვე მიუახლებელად და უხი(vB)ლავად განაჩინა მოძღურებათა შინა თვსთა, და ყოვლითურთ შეუძლებელ ჰყოფს.მიახლებად გონები-

საგან ჩუენისა და უვალ, და გლუ, განჩინებისა მის მიერ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „არავინ არს, რომელმანმცა იხილა პირი უფლისა და ცხოვნდა“. და ესე უწყით, ვითარმედ საუკუნოდ ცხოვრებად ხილვად არს ღმრთისა, და იოვანე და პავლე და მოსე – სუეტნი იგი სარწმუნოებისანი – ამისა უღონობასა წამებენ.

ხედავა უფსკრულსა ამას ამათ სიტყუათასა, რომლისა სიღრმეთა შინა შთახედვად ეშინის სულსა?

ღმერთი ცხოვრებად არს, და რომელმან იგი ვერ იხილოს, ცხოვრებასა ვერ იხილ(130FD)ავს, და ხილვისა მისისა შეუძლებლობასა ღმერთშემოსილნი ესე მოციქულნი და წინადაწარმეტყუელნი წამებენ და დაამტკიცებენ. რასაღა-მე უკუე ზედა დაემტკიცოს სასოებად კაცთა ცხოვრებისა? გარნა განამტკიცოს უფალმან დაცემად მიახლებული სასოებად, ვითარცა-იგი დანთქმად მიახლებული პეტრე განამტკიცა და დაუდგრომელი იგი წყალთა ბუნებად მყარ ქუეყანა ყო ქუეშე ფერჯთა მისთა. რამეთუ უკუეთუ იგივე საღმრთოდ ჳელი შეგუეხოს ჩუენცა და სიღრმისაგან გულისჯმის-ყოფათადასა შერყეული ესე გონებად ჩუენი განამტკიცოს მტკიცეთა მათ და უცთომელთა გულისჯმის-ყოფათა მიერ, მიერთგან უაღრეს ვიქმნნეთ შიშისა, და ძლიერსა მას წინამძღუარსა ჩუენსა მოვეკიდნეთ, და უცთომელად ვიტყოდით (vD) საიდუმლოთა საღმრთოთა, რომელთა იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“.

ამას უკუე აღთქუმასა ესეოდენი ძალი აქუს, ვიდრეღა მაღალსა მას საზღვარსა ნეტარებათასა აღმატების, რამეთუ ესევითარისა ამის კეთილისა ღირს-ქმნულთა სხვსამცა რაღასაღა სუროდა, რაჟამს ხილულისა მის შორის ყოველნივე კეთილნი აქუნდიან, რამეთუ ხილვად ქონებასა მოასწავებს ჩუეულებისაებრ წერილთადასა, ვითარცა-იგი რაჟამს თქუას, ვითარმედ: „იხილნე შენ კეთილნი იერუსალემისანი“, ამას აუწყებს, ვითარმედ: „ჳკოვნე“. და ვითარმედ: „მოისპენ უღმრთოდ, რაღთა არა იხილოს მან დიდებად იგი ღმრთისა, არა – ხილვისა მიერ“, – ამას აუწყებს წინადაწარმეტყუელი,

ვითარმედ: „ვერ(131rD) ეზიაროს, ვერცა გემოდ იხილოს“.

ვინაძცა, რომელმან ღმერთი იხილოს, ყოველთავე კეთილთა სიმრავლე ხილვისა მის მისისა თანა მიუღია, ესე იგი არს, დაუსრულებელი ცხორებად, სამარადისოდ უხრწნელებად, უკუდავი ნეტარებად,

უცვალებელი სუფევად, დაუწყუედელი სიხარული, ჭეშმარიტი ნათელი, სულიერი იგი და ტკბილი საზრდელი, მოუგონებელი დიდებად, ყოვლადსაწადელი მხიარულებად, და ყოველთავე კეთილთა სიმრავლე.

სასოებით უკუე განმზადებულნი იგი კეთილნი ნეტარებისა აღთქუმასა შინა, ესევითარნი არიან და ესეზომნი. ხოლო სახე ხილვისა მათისად სიწმიდე არს გულისად, ვითარცა სიტყუად გამოაჩინებს.

ამისთვის აქაცა კუალად განცვბრდების გონებად ჩემი და იღელვების,

(vD) ვითარმედ: ნუუკუე და უღონო არს და აღმატებულ ბუნებისაგან ჩუენისა ესევითარი ესე სიწმიდე გულისად? რამეთუ, უკუეთუ ღმერთი

ამის მიერ იხილვების და მოსე და (299rB) პავლე ვერ იხილეს, და თავთაცა თვსთა მიერ და სხუათაცა მიერ შეუძლებელობად ხილვისა მისისად განაჩინეს, მაშა შეუძლებელსა სამე რასმე და უღონოსა

საქმესა წინა-გვყოფს სიტყუად ნეტარებისა ამის მიერ! და რად სარგებელ არს ჩუენდა ცნობად, თუ ვითარ იხილვების ღმერთი, უკუეთუ ცნობასა შეძლებად არა შეუდგეს! რამეთუ ესევითარისა რადსმე მსგავს არს

ესე, ვითარმცა ვინ იტყოდა, ვითარმედ: ნეტარ არს, რომელი ზეცათა შინა შევიდეს, რამეთუ მუნ იხილნეს საქმენი, რომელნი ქუეყანასა ზედა არა (132rD) იხილვებიან, რამეთუ უკუეთუმცა ზეცად აღსლვისა რასმე ღონესა გამოაჩინებდა სიტყუად ესე, საჭმარმცა სამე იყო ცნობად მუნ აღსლვისად და ნეტარებისა მის მიმთხუევად მსმენელთაგან, ხოლო

ვიდრემდის მუნ აღსლვისა ღონე არა საცნაურ იქმნეს, რასა ვის შესძინებს ზეცად აღსლვისა ნეტარებისა ცნობად? არამედ შეაწუხებს ოდენ, რომელთა-იგი ცნან, თუ რაბამთა კეთილთაგან დაკლებულ არიან შეუძლებელობისათვს მუნ აღსლვისა. (vA)

და რად-მე არს ესე? ნუუკუე უადრესსა ძალისა ჩუენისასა გვბრძა-

ნებს უფალი, ანუ და-მე-ივიწყნა საზღვარნი კაცობრივისა ბუნებისანი შეუძლებელთა ბრძანებითა? – ნუ იყოფინ! არა არს ესე; (vD) რამეთუ, რომელნი თვნიერ ფრთეთაჲსა დაჰბადნა, მათ ფრინვად არა უბრძანებს, არცა წყალთა შინა ცხორებად, რომელთა ქუეყანად მისცა ნაწილად, და ჳმელისად შექმნნა, და უკუეთუ ყოველთავე შინა საქმეთა ძალისაებრ თითოეულისა ბრძანებს შჯული, და გარეშე ბუნებისა არავის აიძულებს, ესეცა უეჭუელად ეგრეთვე ყოფად არს. და არა არს გარეშე სასოებისა ბრძანებაჲ ესე ნეტარებისაჲ, და იოვანეცა და პავლე და მოსე და სხუანი იგი მობაძავნი მათნი არა გამოჳუებულ არიან, არცა დაკლებულ მალლისა ამის ღმრთისა ხილვისა ნეტარები-

საგან. და ვითარმცა დააკლდეს ესევითარნი ესე კაცნი, რომელთა ღირს(133rD)ვე არა იყო ყოველი ესე სოფელი, რომელთაგანი ერთი იგი მიეყრდნა მკერდსა იესუმსსა, და მეორემან მან თქუა, ვითარმედ: „მიმელის მე სიმართლისა იგი გვრგვნი, რომელი-იგი მომცეს მე უფალმან, მართალმან მან მსაჯულმან“; და მესამესა მას ესმა ღმრთისაგან, ვითარმედ: „გიცი შენ უფროჲს ყოველთა“.

და უკუეთუ, რომელთა-იგი ქადაგეს ხილვისა ღმრთისა შეუძლებელიობად, ნეტარ არიან, და ესე მტკიცე არს და უცილობელ, ხოლო ნეტარებაჲ ხილვისაგან ღმრთისა იქმნების, და ესე – სიწმიდისაგან გულისა იშვების, მაშა არა სამე შეუძლებელ არს განწმედაჲ გულისაჲ, რომელი მოგუატყუებს ჩუენ ამას ნეტარებასა.

აწ უკუე, რადთა ზემოთქუმულთაჲცა ამათ წმიდათა სიტყუად ჳემმარიტ იქმნეს, რომელთა ხილვაჲ ღმრთისაჲ შეუძლებელად ქადაგეს, და ბრძანებაჲცა უფლისაჲ არა ჩნდეს სიტყუათა მათთა (vD) მაცილობელად, რომლითა წმიდათა გულითა ღმრთისა ხილვასა აღუთქუამს, მოვედით და მსგავსად ძალისა ჩუენისა შემდგომითი-შემდგომად გამოვაჩინოთ.

საღმრთოდ ბუნებაჲ თვთ თავით თვსით და არსებით რაჲცა-იგი არს, ზემთა არს ყოვლისავე მიწდომისაგან, და ყოვლისავე მოგონებისა

და გამოთქუ(vB)მისა, და არცა ვის კაცთაგანსა უხილავს იგი და არცა ხილვად კელ-ეწიფების. ვინაჲცა დიდი მოციქული გამოუძიებელად და გამოუკულებელად უწესს გზათა მისთა, და ცხად-ჰყოფს, ვითარმედ: ყოვლადვე უვალ არს გულისსიტყუათაგან გზად იგი, არსებისა და ბუნებისა ღმრთისა ცნობად მიმყვანებელი, და სოფელსა ამას შინა გამოჩინებულთა წმიდათაგანსა მიწუდომისა მისისა (134rD) და გამოთქუმისა არცა ერთი კული დაუტევებიეს შემდგომთადა, რამეთუ უმაღლეს არს ცნობათა და ზეშთა გონებათა. და რომელი-იგი ბუნებით უაღრეს არს ყოველთა ბუნებათა და უხილავ და მიუწდომელ, სხვთა სახითა განიცდების-ცა და იხილვების-ცა, და ესევეითარისა ამის ხილვისა მრავალნი არიან სახენი და პირნი.

იხილვების უკუე სიბრძნე მისი სიბრძნისა ამისგან დაბადებულთა შორის დათესულისა, და აგებულებისაგან კაცობრივისა ბუნებისა და კელოვნებით შექმნისა მისისა, ხოლო იხილვების არათუ ბუნებაჲ იგი

ხუროთმოძღურისაჲ, არამედ კელოვნებაჲ ხოლო ხუროთმოძღურები-სა მისისაჲ, რომელი-იგი მის მიერ დაბადებულსა მას შორის წარმოაჩინა: და კულად, დაბადებისაგან სოფლისა (vD) და ნივთთა მისთა აგებულებისა, რომელთა მიერ არათუ არსებასა მისსა ვიხილავთ, არამედ სიბრძნესა გულისკმა-ვჰყოფთ ყოვლისავე სიბრძნით დამბადებელისასა; და კულად ცხორებისა ჩუენისა მიზეზი რად გულისკმა-ვყოთ, და რამეთუ არა თუ იძულებით, არამედ სახიერებისა თვისისა ნებითა მოვიდა დაბადებად კაცისა, და ამითცა სახითა ხილვასავე ვიტყვთ ღმრთისასა. და არათუ ბუნებისა, არამედ სახიერებისა განცდად მოვალთ. და ეგრეთვე ყოვლისავეთვს, რავოდენიცა მალლისა და აღმატებულისა გულისკმის-ყოფისა მიმართ აღგვყვანებდეს, ღმრთისა ხილვად სახელ-ვსდებთ, რამეთუ თითოეული ამათგანი საღმრთოსა ძლიერებასა სახილველ-ჰყოფს. რამეთუ ძლიერებაჲ და სიწმიდე და (135rD) უცვალეებლობაჲ და უხრწნელებაჲ და წინააღმდეგომთა საქმეთა მიუახლებელობაჲ და სხუად ყოველივე ესევეითარი მაღალსა

რასმე და ღმრთივშუენიერსა დიდებისა ღმრთისა განცდასა გამოსახავს სულთა შინა ჩუენთა და გონებათა. (6rA) და ვითარ ვჰგონებ, ცხად-ქმნილ არს თქუმულთა ამათ მიერ უფლისაცა სიტყუათა ჭემმარიტებად, რომელმან-იგი აღუთქუა წმიდათა გულითა ხილვად ღმრთისად, და პავლესთადცა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „არცა ვის უხილავს ღმერთი და არცა ხილვად ჳელ-ეწიფების“, და არა ტყუვის განჩინებისა ამისთვის. რამეთუ ბუნებით უხილავი იგი საქმეთა მიერ სახილველ იქმნების. ხოლო მათ საქმეთა ვიტყვ, რომელთა მიერ ძლიერებად საღმრთოდ გამოჩნდებოდის, და არა ამას ხოლო პირსა ხედავს ნეტარებისა ამის ძალი, რადთამცა საქმეთაგან ოდენ (vD) მოქმედსა მას გულისწმა-გვყოფდა, და ნუუკუე სოფლისა ამის ბრძენთათვის წესიერებისაგან და შეზავებისა სოფლისა ამის ნივთთადასა აღმატებულისა მის სიბრძნისა და ძლიერებისა განცდად, და გულისწმისყოფად ჯეროვან იყოს და უცთომელ, ხოლო მე სხუასა უმაღლესსა ძალსა გულისწმა-ვჰყოფ მაღლისა ამის (300rB) მიერ ნეტარებისა წარმოჩინებულსა, რომელი-იგი სახისმეტყუელებით განცხადებულ-ვყოთ.

კაცობრივსა ამას ცხორებასა შინა სანატრელ არს ჳორცთა სიმრთელე. ხოლო ნეტარებასა ამას არა ცნობად ხოლო სიმრთელისად

მოატყუებს, არამედ სიმრთელით ცხორებად. რამეთუ უკუეთუ შესხმასა ვინ სიმრთელისასა წარმო(136rD)იტყოდის, და სენისა მომატყუებელთა და ნავდლისა და თელგმისა აღმაორძინებელთა ჳამადთა ჳამდეს, რად სარგებელ არს მისდა სიმრთელისა იგი შესხმად, ვინადთგან თვთ სენთა მიერ განილეოდის? ესრეთვე გულისწმა-ყავ წინამდებარეცა ესე სიტყუად, რამეთუ არათუ ამას იტყვს უფალი სანატრელად, რადთა ცნას ვინმე რადმე ღმრთისათვის, არამედ რადთა თავსა შორის თვისსა დაამჰკვდროს ღმერთი, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. რამეთუ არათუ ამას მოასწავებს სიტყუად ესე, ვითარმედ სულისა თუალითა განწმედილთა, ვითარცა ხატი რადმე და პირი სახილველი, ესრეთ

იხილონ ღმერთი, არამედ ამას გულისწმა-გვყოფს თქუმულისა ამის სიმაღლე, რომელსა-იგი სხუასა ადგილსა უგანცხადებულესად-რე (vD) გუაუწყებს სახარებად და იტყვს, ვითარმედ: „სასუფეველი ღმრთი-სად შორის თქუნსა არს“. რადთა ვისწავოთ, ვითარმედ რომელმან ყოვლისავე სიბოროტისაგან და ვნებულთა გულისთქუმათა გული თვისი განწმიდოს, თვისსა მას სიწმიდესა შინა საღმრთოდა მის ბუნებისა ხატსა იხილავს.

და ვითარ ვჰგონებ მცირედთა ამათ სიტყუათა მიერ, რომელ თქუნა, ესე ვითარსა მოძღურებასა წინა-გვყოფს და გუეტყვს, ვითარმედ: ჰ კაცნო, რომელთა თანა არს გულისთქუმად ჰემმარიტთა კეთილთა ხილვისად, რაჟამს გესმეს, ვითარმედ: „ზესკნელს ცათა ამაღლდა საღმრთოდ შეუნიერებად“, და ვითარმედ: „დიდება მისი გამოუთქუმელ არს და სიკეთე მოუგონებელ და ბუნებად გამოუთარგ-მანებელ“, ნუ უსასო იქმნებით ხილვისათვის (137rD) სასურველისა მის და საწადელისა, რამეთუ შენ შორის დატევნადი ღმრთისა ხილ-ვისა საზომი შენ შორის არს, რომელი-იგი შემოქმედმან შენმან, რა-ჟამს-იგი არსებად მოგიყვანა, მაშინვე დაჰბადა შენ შორის, და ბუნებასა შენსა შინა დაჰწერგა ესე ვითარი ესე კეთილი, და რამეთუ ღმერთმან თვისისა ბუნებისა კეთილთა მსგავსებად გამოსახა აგებულებასა შინა შენსა, და ვითარცა ცვლსა საბეჭდავითა დაჰბეჭდა. არამედ სიბოროტემან, ხატსა მას ზედა საღმრთოსა დასხმულმან, უქმარ-ყო კეთილი იგი შენი და დაფარა იგი ბოროტთა საბურველითა.

აწ უკუე, უკუეთუ კუალად განჰბანო მოღუაწებისა ცხორებითა მწიკული იგი გულსა შენსა ზედა მოხუეული, კუალადცა განბრწყინ-დეს შენ შორის ღმრთივშუენიერი იგი სიკეთე, და იქმნეს შენ ზედა, ვითარცა-იგი რკინასა ზედა იქმნების, რამეთუ რაჟამს ლესვისა მიერ ზედამდებარე იგი (vD) გესლი განეყაროს, მცირედ უწინარეს სიშავი-თა და სიბნელითა უშუერ-ქმნილი იგი, მზისა ნათელსა აღპყრობილი, ბრწყინვალეებისა ნაბერწყალთა გამოსცემნ. ეგრეთვე შინაგანმან მან

კაცმან, რომელსა გულად უწოდს უფალი, რაჟამს განიზანოს გესლისა მსგავსი იგი მწიკული, ბოროტთა მომპოვნებელისა მიერ დადებული ხატსა მისსა ზედა, კულად განბრწყინდეს იგი მსგავსებითა პირმშოდსა მის სახისადთა, და კეთილ იქმნეს, ხოლო კეთილისა მსგავსებასა უეჭუელად სიკეთე შეუდგების (vB) და ღმრთივშუენიერებად.

ვინადაც რომელი თავსა თვსსა ხედვიდეს, თავსა შორის თვსსა ხედავს სასურველსა მას და ესრეთ იქმნების ნეტარ წმიდად გულითა, რამეთუ თვსისა (138rD) სიწმიდისა ხატსა შინა განიცდის პირმშოდსა მას სახესა საღმრთოდსა მის შუენიერებისასა. (6vA) რამეთუ ვითარცა რომელნი-იგი სარკითა განიცდიდენ მზესა, დაღაცათუ მისსა მიმართ და ზეცად მიმართ არა ხედვიდენ, არარასადთ უნაკლულევანეს ხედვენ მათსა, რომელთა-იგი მზისთუალისადა შეეკერტნიან თუალნი სიწმიდესა მას შინა სარკისასა. ეგრეთცა თქუენო, დაღაცათუ უხილავისა მის ნათლისა თუალთა-შედგმად ვერ ძალ-გიც, გარნა უკუეთუ პირველითგან თქუენ შორის აგებულსა მას ხატსა მადლისასა აღხვიდეთ, თავთა შორის თქუენტა ჰპოვოთ საძიებელი იგი. რამეთუ წმიდად და უვნებელი და უცხოდ ყოვლისავე ბოროტისაგან ღმერთი არს მხოლოდ. და უკუეთუ ესე სათნოებანი მოიგნე, ღმერთი მოგიგიეს თანამკვდრად შენდა, და რაჟამს ყოვლისა ვნებისა (vD) და სიბოროტისაგან განეშორო და ყოვლისა არაწმიდებისაგან გულისსიტყუად შენი განსწმიდო, ნეტარ იყოს შენდა ფრთხილად ხედვისა მისთვს, რამეთუ არაწმიდათაგან უხილავი იგი ბოროტთაგან განწმედითა განიცადე, და ნივთიერისა არმურისა თუალთა შენთაგან განგდებითა სიწმიდესა შინა გულისასა ნეტარსა მას ხედვასა ბრწყინვალედ ხედავ, რომელ არს უბიწოებად და სიწმიდე და უმანკოებად და სხუად ყოველივე ესევითარი ბრწყინვალეებად საღმრთოდსა ბუნებისად, რომელთა მიერ ღმერთი იხილვების.

და ესე ყოველი, ვითარცა გვბრძანა ჩუენ საღმრთომან სიტყუამან, მტკიცე არს და უცილობელ. ხოლო წუთდა დასაბამითგან ჩუენ მიერ

სამიებელი იგი სიტყუად და პირი თვსსავე მას (139rD) დაფარულე-
ბასა შინა ჰგიეს. რამეთუ ვითარცა რომელი ზეცად აღვიდეს, ზეცისა
საკვრველებათა ზიარ იქმნების, ხოლო ვიდრემდის მუნ აღსლვისა
სახე ვერ გულისწმა-ვყოთ, საკვრველებათა მათ ზეცისათა წარმოთქუმად
არარას შეგუძენს, ეგრეთვე უკუე განწმედისათვს გულისა ნეტარე-
ბასა მიმთხუევად უცილობელ არს, ხოლო თუ ვითარ ვინ განწმიდოს
იგი ბიწთაგან, ზეცად აღსლვისა შესწორებული სიმნელე იხილვების
მის შორის.

და რომელიმცა კიბე იაკობისი ანუ ცეცხლისა ეტლნი ელიადსნი
ვპოვენით, რომელთა მიერმცა ზეცისა საკვრველებათა მიმართ გული
ჩუენი ამალდა და ქუეყანისა ესე სიმძიმე განიყარა! რამეთუ უკუეთუ
ვინ შეუძლოს თანაწარუვალთა მათ ვნებათა სულისა ჩუენისათა განცდად,
კნინდა და (vD) უსასო იქმნეს ჩუენდა შეყოფილთა მათ ბოროტთაგან
განრომასა.

რამეთუ მეყსეულად შობად ჩუენი ვნებისაგან იწყებს და ვნებისა
მიერ აღორძინებასა მიიღებს და ვნებასამე შინა აღსასრულად ცხორე-
ბისად მიიწევს, და რამეთუ განზავებულ არს ბოროტი ბუნებასა
შინა ჩუენსა, ვინადთგან პირველითგან შეიწყნარა ვნებად და ურჩებისა
მიერ განისაკუთრა სალმობად, და ვითარცა-იგი ყოველთა ცხოველთა
შორის და ქუეწარმავალთა პირველითგან დაბადებული ტომებად ბუნებითი
დაცვულ არს, და შობილი იგი წესითა მით ბუნებისადათა (301rB) მსგავს
არს მშობელისა მის მისისა, რომლისაგან შობისა დასაბამი მიიღო,
ეგრეთვე კაცი კაცისაგან იშვების, ვნებული ვნებულისაგან და ცოდ-
ვილი (140rD) ცოდვილისაგან. ვინადცა შობილთა მათ შორის ეგრეთვე
სახედ ცოდვადცა თანა-იშვების, და თანა-აღორძნდების და საზღვართა
თანა ცხორებისათა დასრულდების.

ხოლო სათნოებისათვს გვსწავიეს წმიდათა წერილთაგან, ვითარმედ
ძნიად მოსაგებელ არს და ბევრეულთა ოფლთა და შრომათა მიერ
წარსამართებელ, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „იწრო არს და
საჭირველ გზად იგი სუფევად მიმყვანებელი, ხოლო ვრცელ არს და

ფართო და ადვილ სავალად სიბოროტით ცხორებისა მიერ წარწყმე-

დად მიმყვანებელი იგი გზად“. გარნა დაღაცათუ ესე ესრეთ არს, არავე სრულიად უვალ უქმნიეს წმიდათა წერილთა მალლისა მის ცხორებისა სარბიელი, რომელნი-იგი მოგვთხრობენ ჩუენ ესოდენტა მათ წმიდათა კაცთა (vD) ცხორებასა და სიმცნესა და საკვრველებათა. ხოლო ვინადთგან მრჩობლი გულისცმის-ყოფად აქუს ხილვისა ღმრ-თისა აღთქუმასა, და ერთი იგი არს ცნობად ყოველთა მიწუდომათა, უმაღლესისა მის ბუნებისად, ხოლო მეორე – შეზავებად მისი სიწმიდ-ითა ცხორებისადთა, და პირველისა მის განცდისა სახე უღონო არს, ვითარცა-იგი სიტყუამან წმიდათამან განაჩინა. ხოლო მეორე იგი აღთქუ-მულ არს კაცთა ბუნებისადა, სიტყუსაებრ უფლისა, რომელსა წარმოა-ჩინებს მოძღურებასა ამას შინა და იტყუს, ვითარმედ: „ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“.

ხოლო თუ ვითარ იქმნების განწმედად ესე, კნინლა და ყოველსავე გამოწულილვით გასწავებს შენ მოძღურებაი წმიდისა (141rD) სახარე-ბისად. და უკუეთუ შემდგომითი-შემდგომად აღმოიკითხნე მცნებანი უფლისანი, განცხადებულად ჰპოვო, თუ რად არს სიწმიდე გულისად, რამეთუ ორად განყო სიბოროტე, რომელი იქმნების საქმით და გონებით. და პირველად შჯულისა მიერ საქმით გამოცხადებული სიცრუვე ტან-ჯა, და მერმე სხვსა სახისა ცოდვისა კურნებად განაწესა, და არა საქმეთათვს ხოლო სტანჯავს, არამედ მიზეზსაცა ბოროტთასა აღმო-ჰვხურის, და ვინადთგან გონებისაგან ბოროტისა აღმოფხურად ძნელ არს და უღონო, და რადთამცა სრულიად ყოვლისავე ვნებისაგან უცხო იქმნა ცხორებად ესე, ამისთვისცა ვინადთგან მრავალსახე არს და მრავალფერ სიბოროტე, ყოველთავე სიბოროტისა სახეთა მცნებათამ-იერი კურნებად განაწესა. და ვინადთგან (vD) სენი რისხვისად ცხორება-სა ამას შინა ყოველთავე ვნებათა უადვილეს და უძვრეს აღიდრვის, მიერ იწყო კურნებად, და გუამცნებს რადთა არა განვრისხნებოდით, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: შჯული გამცნებს, რადთა არა კაც-ჰკლა,

ხოლო მე გიბრძანებ, რადთა არა განიშორო რისხვადცა სულისაგან შენისა, და არა მრისხანე იყო ძმათა შენთა მიმართ, და არა სრულიად აღმოჰვხურა რისხვად, რამეთუ ოდესმე კეთილცა არს მრისხანებადცა და საკმარ, არამედ ესევეთარი მრისხანებად დაშრიტა, რა-

ჟამს რისხვად იგი ძმათა მიმართ იყოს, და არარას ვის სარგებელსა მოატყუებდეს (vB) რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ყოველი რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად“, რამეთუ სიტყუად იგი, რომელსა შესძინებს, ვითარმედ: „ცუდად“, ამას მოასწა(142rD)ვებს, ვითარმედ თვისსა ჟამსა არა უჯერო არს ჯმარებად მისი, ესე იგი არს, რაჟამს განსამართებელად ძმისა იქმნებოდის და მტანჯველად ცოდვისა. რამეთუ ესევეთარისა მის რისხვისა სახე წამა წერილმან ფინეზისთვის, რაჟამს იგი უშჯულოთა მათ მოკლვითა ერისათვის აღძრული წარწყმედად დააცხრვო, და რისხვად ღმრთისად წყალობად მოდრიკა.

და კუალად ამიერ ცოდვისა გულისთქუმათა კურნებად მისცვალებს მცნებასა თვისსა უფალი, და მრუმეებისა უჯეროსა ტრფიალებასა აღმოჰვხურის. და ესრეთ შემდგომითი-შემდგომად თითოეულისა ვნებისა კურნებასა განაწესებს. რამეთუ დააყენებს უჯეროსა მთავრობასა და ბოროტისა წილ ბოროტისა მიგებასა და ჯელთა უჯეროდ (vD) განმარტებასა და ანგაჰრებისა ბოროტსა, სამოსლისაგა მიცემისა მცნებითა უჩინო-ჰყოფს, და ჰკურნებს შიშსა სიკუდილისა შეურაცხებითა, და ესრეთ თითოეულისა მცნებისა მიერ განმკუთხელისა მის სიტყვსა ძალითა, ვითარცა საცნველითა, აღმოჰვხურის ბოროტთა მათ ძირთა ცოდვისათა, სიღრმისაგან გულთა ჩუენთადასა. რადთა ეკლის-სახეთა მათ ნაყოფთაგან განწმინდნეს იგი, და ორკერძოვე კეთილსა უყოფს ბუნებასა ჩუენსა აღთქუმითა კეთილთადათა და სწავლითა მოძღურებისადათა. ხოლო უკუეთუ საქმე კეთილთადა სატკივარად შეგირაცხიეს, შეასწორენ იგინი ბოროტსა ცხორებასა, და ჰპოვო, (143rD) თუ ვითარ უძვრეს და უფროდს სატკივარ არს უკეთურებად, უკუეთუ არა საწუთროსა ამას ხედვიდე, არამედ საუკუნესა. რამეთუ რომელმან

გეჰენიად იგი მოიგონოს, არღარა შეეყოს იგი ცოდვისა გულისთქუმა-
თა, არცაღა აჩუენოს მათთვს შრომაღ და მოსწრაფებაღ, არამედ კმა-
იყოს შიში და ზარი მისი, და მძლე ექმნეს ვნებულთა გულისსიტყუა-
თა, და ესრეთ უჩინო-ყოს ვნებაღ იგი.

და ვინაღთვან დუმილით თანა-წარსლვისა გამოცხადებაღ და სმენაღ
უღრეს არს, რაღთა უმეტესი წადიერებაღ და გულისთქუმაღ კეთილ-
ისაღ შეგჰქმნას სმენამან მან, არა დავიცონოთ თქუმაღ დადუმებულისა
მის, რამეთუ უკუეთუ წმიდანნი გულითა ნეტარ არიან, მაშა შეგინებ-
ულნი და მწიკულევანნი გონებითა უეჭუელად (vD) უბადრუკ არიან

და საწყალობელ, რამეთუ იგინი პირსა ეშმაკისასა ხედვენ. და უკუე-
თუ საღმრთოღ იგი ხატი სათნოღ ცხორებასა შინა გამოისახვის, ცხად
არს, ვითარმედ ბოროტი ცხორებაღ ხატ და პირ ეშმაკისა იქმნების,
და ვითარცა ღმერთსა ურიცხუთა მათ კეთილთა მისთათვს მრავალ-
ფერნი სახელნი ეწოდებიან, რომელ არს ნათელი და ცხორებაღ და
უხრწნელებაღ, და რავოდენნიცა მსგავსნი ამათნი არიან, ეგრეთვე
ემ[მაკ]სა მრავალთა მათ სი[ბორ]ოტეთა მისთათვს მრავალ(302rB)ფერ-
ნიცა უკეთურებისა მისისა შემსგავსებულნი სახელნი ეწოდებიან, ესე
იგი არს: ბნელი და სიკუდილი და ხრწნილებაღ, და რავოდენნიცა არს
მსგავსი ამათი და მობაძავი. (144rD)

აწ უკუე, ვინაღთვან გვსწავიეს თუ რომელთა საქმეთა მიერ გამო-
ისახვის სათნოებისა და სიბოროტისა ცხორებაღ, და თვთმფლობე-
ლისა ნებისა მიერ კელმწიფებაღ გუაქუს ორკერძოვე მიდრეკად,
ვევლტოდით ხატსა ეშმაკისასა და მოვიძაგოთ ბოროტი იგი პირი
მისი, და შეგიტკბოთ და შევიყუაროთ საღმრთოღ ხატოვნებაღ, და
ვიქმნნეთ წმიდა გულითა, რაღთა ვიქმნნეთ სანატრელ საღმრთოღსა
ხატისა ჩუენ შორის გამოსახვითა სიწმიდით ცხორებისა მიერ და
უბიწოდ მოქალაქობისა ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომ-
ლისაღ არს დიდებაღ და სიმტკიცე უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

თქუმული მისივე თავი ზ

სიტყუად ესე: ნეტარ იყვნენ მშჯდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი
მედ ღმრთისა იწოდნენ. (vD)

წმიდისა მის კარვისა საწამებელისა, რომელი მთასა ზედა სახისა
მისებრ ღმრთისა მიერ ჩუენებულისა შჯულისმდებელმან ისრაიტელ-
თა შეუმზადა, ყოველივე წმიდა იყო და ღმრთივშუენიერ, ხოლო
შინაგანი მისი – შეუვალ, და წმიდა წმიდათა ეწოდებოდა. და
განკუთნვილი ესე სახელი მისი ცხად-ჰყოფდა, ვითარმედ არა ზოგად
ყოველთა მიერ მისაახლებელ იყო იგი, არამედ, რავოდენ უვალრეს
არს ბილწისა და არაწმიდისა შეწირული და წმიდად, ეგოდენ შეუ-
ვალი იგი და წმიდად წმიდათად ნემტთა მათ სიწმიდეთა უვალრეს იყო
და უწმიდეს, ეგრეთვე უკუე მთასა ზედა უფლისა მიერ თქუმულნი ესე
ნეტარებანი ყოველნივე თითოეულად წმი(145rD)და არიან და ღმრ-
თივშუენიერ, ხოლო აწ თქუმული ესე და წინაშე ჩუენსა დაგებული
წმიდა არს წმიდათა ჭეშმარიტად და შეუვალ, რამეთუ უკუეთუ ხილ-
ვისა ღმრთისა უვალრესი კეთილი არა იპოვების, მაშა შვილებისა
ღმრთისა რადმცა იპოვა შესწორებული? რომელი-მე უკუე მისწუთეს
ძალი სიტყუათად, ანუ რომლითა-მე სახელითა იწოდოს აღთქუმისა
ამის მლევანისა ნიჭთა სიმაღლე, რამეთუ რავოდენცა ვინ განავრცოს
გონებაი თვისი, უვალრეს მისსა იპოვოს უეჭუელად უწყებულისა ამის
საკვრველებად, რამეთუ გინათუ კეთილად სახელ-სდვა, გინათუ
პატოსნად, გინათუ მაღლად, უზეშთაეს წოდებისა მის სახ-
ელთა და შესხმათადასა იპოვების განჩინებად ესე ამის (vD) ნეტარე-
ბისად; ზეშთა მოგონებისა არს ბედნიერობად ესე, უფროდს სასოებისა
არს ნიჭი ესე, უვალრეს ბუნებისა არს მაღლი ესე.

რად არს კაცი საღმრთოდსა ბუნებისა თანა-შეტყუებად, გინათუ

რომელთა წმიდათა ჳმანი მოვიჳსენნე, რომელნი-იგი წარმოაჩინებენ
კაცობრივსა სიკნინესა და უნდობასა, რამეთუ აბრაჳამ მიწად და
ნაცრად უწესს მას, ხოლო ესაია – თივად, და დავით –

არცალა თუ თივად, არამედ მსგავსად თივისა, რამეთუ ერთი
იგი იტყჳს, ვითარმედ: „ყოველი ჳორციელი თივად არს“, ხოლო
მეორე – ვითარმედ: „კაცი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი“ და
ეკლესიასტე ამაოებად (vB) უწესს მას და პავლე – უბა-
დრუკებად, რამეთუ რომელი-იგი მოციქულმან თავსა თჳსსა (146rD)
უწოდა, მის მიერ ყოველსავე კაცთა ბუნებასა უბადრუკებად მისცა, და
საწყალობელად სახელ-სდვა; კაცი უკჳე ესევეითარი არს.

ხოლო ღმერთი რად არს? და ვითარ ვთქუა თუ რად არს, რომ-
ლისა არცა ხილვად შესაძლებელ არს, ვერცა სასმენელი დაიტევს,
ვერცა გული მოიგონებს; რომელთა ჳმათა მიერ წარმოვაჩინო ბუნებად
მისი? რად სახე ვპოვო ამის კეთილისად არსთა შორის? რომელი
მეტყუელებად შემოვიღო გამოუთქუმელისა მის და გამოუსახველისა
გამომსახველი?

მასმიან ღმრთივსულიერთა წიგნთაგან აღმატებულისა მისთჳს ბუნე-
ბისა დიდ-დიდნი და განსაკრთომელნი დიდებისმეტყუელებანი, არამედ
რად არს ესე ყოველი უსაზღვროდსა მის თანა ბუნებისა? რამეთუ,
რავოდენსა მე დავიტევ[დი] და ძალ-მედვა (vD) შეწყნარებად, ეს-
ოდენი თქუა სიტყუამან, არათუ – რაოდენი იყო უწყებული იგი.
რამეთუ ვითარცა რომელნი-იგი ჳაერსა ამას იყნოსდენ, თითოეული
სივრცისაებრ და აგებულებისა თჳსისა იყნოსს; [რომელიმე მცირედ
და რომელიმე უმეტეს; და რომელმან-იგი უმეტესი იყნოსოს], არათუ
ყოველსავე ნივთსა ჳაერისასა შეიკრებს თავსა შორის თჳსსა, არამედ
რავოდენსა იტევდეს, და იგი აღივსების და ჳაერი იგი ჳგიეს უნაკლუ-
ლოდ და შეუხებელად.

ეგრეთვე წმიდათა წერილთა ღმრთისმეტყუელებანი, სულისა წმიდისა
მიერ აღვსებულთაგან ჩუენდა მოთხრობილნი, საზომსა თანა გონებისა

ჩუენისასა მაღალ არიან და ვრცელ და უვადრეს ყოვლისა სიმა(147rD)დ-
ლისა, ხოლო ჭემმარიტისა მისგან სიმაღლისა მიუახლებელ არიან და
უვალ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ვინ განზომნა ცანი მტკავლითა და
ქუეყანად მჭელითა, და ვინ აღწყნა წყალნი პევშუთა და ვინ აღწონნა
მთანი სასწორითა და ბორცუნი უღლითა სასწორისადთა?“

ჰხედავა სიმაღლესა გაბიუთქუმელისა მის ძალისა გამომსახველისასა?

გარნა ესე რად არს ჭემმარიტისა მის არსებისა თანა, რამეთუ ესევი-
თართა ამათ მაღალთა მეტყუელებათა მიერ კერძოდ რამდე საღმრთო-
თა საქმეთად წარმოაჩინა საწინაღწარმეტყუელომან ამან სიტყუამან,
ხოლო თვთ იგი თავადი ძალი, რომლისაგან საქმენი ესე წარ-
მოიჩინნეს, რადთა არა ვთქუა ბუნებად, რომლისაგან ძლიერებად
ესე (vD) გამოჩნდა, არა უთქუამს, არცა გამოუჩინებდეს, არამედ
შეახებს სიტყუათა სახეთა რათმე მიერ და მსგავსებათა, საღმრთოდსა
დიდებისა გამომსახველთა, და ვითარცა პირისაგან ღმრთისა წარ-
მოიტყვს, ვითარმედ: „ვის მამსგავსეთ მე, იტყვს უფალი“

და ამისვე სიტყვსა შემსგავსებულთა სიტყუათა წარმოიტყვს ეკ-
ლესიასტე და იტყვს, ვითარმედ: „ნუ. მოსწრაფე ხარ წარმოღებად
სიტყვსა წინაშე პირსა ღმრთისასა, რამეთუ ღმერთი ზეცათა შინა არს
ზე, ხოლო შენ – ქუეყანასა ზედა ქუე“. და ვითარ ვჰგონებ,
ნივთთა ამათ ურთიერთას განშორებისაგან ცხად-ჰყოფს, თუ რაბამი-
თა საზომითა საღმრთოდ ბუნებად აღ(303rB)მატებულ არს კაცობრივ-
თა და ქუეყანისა გულისსიტყუათაგან. (148rD)

ამის უკუე ესევითარისა მლევანისა საქმისა და ესრეთ აღმაღლე-
ბულისა დიდებისა, რომლისა არცა ხილვად ეგების, არცა სმენად,
არცა გამოთქუმად, არცა მოგონებად, რაჟამს არსთა შორის უნდოდ და
არარად შერაცხილი ესე კაცი, მიწად და ნაცარი და თივად და
ამაოებად ძეობისა პატისა განიკუთნოს და ღმრთისა მიერ
ყოველთადას განთვსებულ იქმნეს, რამცა იპოვა ამის მაღლისა ღირ-
სი მაღლობად, ანუ თუ ვითარი ჳმად გინა თუ რაბამი გონებად, ანუ

თუ ვითარი გულისკმის-ყოფად, რომლისა მიერმცა მადლისა ამის გარ-
დამატებულეზად იდიდა.

რამეთუ წარჰკდების კაცი საზღვართა ბუნებისათა და უკუდავ
იქმნების მოკუდავებისაგან, და ჟამიერობისა წილ – უჟამო, (vD) და
მდღევრისა წილ – სამარადისო, და რადთა სრულებით ვთქუა ყოვე-
ლივე, კაცებისა წილ ღმერთ იქმნების, რამეთუ, რომელი შვილე-
ბასა ღმრთისასა ღირს იქმნეს, უნაკულოდ აქუს მას თავსა შორის
თვსსა ყოველივე მამული პატივი, და ყოველთავე მამულთა კეთილთა
დამკვდრებად მიეცემის.

ეჰა მაღალნი ესე ნიჭნი მდიდრისა მის მეუფისანი! ეჰა ჯელი იგი
ვრცელი და უხვ! ეჰა მკლავი იგი მტკიცე და მაღალი! და თუ რაბამ
მღევან არიან საუნჯენი მადლთა მისთანი! რამეთუ კნინდა და პატივისა
თვსსა აღიყვანებს კაცთმოყუარებით ბუნებასა მას ცოდვისაგან შეუ-
რაცხ-ქმნილსა, რამეთუ უკუეთუ ვინადთგან რად-იგი თვთ არს (149rD)
ბუნებით და მისსა საკუთრებასა კაცთა მიანიჭებს, სხუამცა რად იყო
ესე, არამედ სწორებასა პატივისასა ტომებისა მიერ აღუთქუა-
მს.

ღუაწლთა უკუე მოსაგებელი ესევითარი არს, ხოლო ღუაწლნი-მე
რაბამნი არიან? – იტყვს უკუე, ვითარმედ: უკუეთუ მშვდობისმოფელ
იყო, შვილებისა მადლითა გვრგვნოსან იქმნე. თვთ იგი საქმე, რომლი-
სათვს ესევითარსა ამას სასყიდელსა აღვთქუამს, თვთ იგიცა ნიჭივე
არს წარჩინებული, რამეთუ რადმცა იყო საშუებელთაგანი სოფელსა
ამას შინა კაცთა მიერ საწადელი, უტკბილეს მშვდობით ცხორებისა!
რამეთუ რადცა სთქუა სასურველთაგანი ცხორებასა ამას, არა არს
იგი სასურველ და არცა საწადელ თვნიერ მშვდობისა. რამეთუ დადა-
ცათუ ყოველივე ვის აქუნდეს, (vD) რადენიცა ცხორებასა ამას
შინა პატივ-ცემულ არს (ესე იგი არს: სიმდიდრე და სიმრთელე,
მეუღლე და შვლნი, სახლი და ნათესავნი, მსახურნი და მეგობარნი,
ქუეყანად და ზღუად), და თითოეული მათი თავისა მიერ თვსისა

განამდიდრებდეს, სამოთხენი და სანადირონი, აბანონი და ცხენთსარ-
ბიელნი, სარკინობელნი და სამღერელნი, საშუებელნი და გან-
საცხრომელნი, და ყოველნივე, რავოდენნიცა-იგი არიან გულისთქუმისა
მოპოვნებულნი, აქუნდინ უკუე ამის ყოვლისა თანა სახილველნი საკვრ-
ველნი, და სასმენელნი საწადელნი, სახიობისა ჳმათა მეტყუელნი, და
სხუად, რაოდენიცა რად არს, რომლისა მიერ შუებისმოყუარეთა
ცხორებად შეინელ(150rD)ების და დატკბების (vB).

აწ უკუე, უკუეთუ ესე ყოველი აქუნდეს, ხოლო მშვდობისა კეთილი
არა აქუნდეს, რად სარგებელ ეყოს ამათგან, რაჟამს ბრძოლანი და
შფოთნი კეთილთა მათ საშუებელსა განჰკუეთდენ და ცხორებასა მის-
სა უგემურებითა აღავსებდენ, (7vA)

ვინაიცა მშვდობად თვთ მებრ თავით თვსით თვსი არს და საკუ-
თარი მუშაკთა თვსთად, და დამატკობელი, და ყოველსავე პატიოს-
ნებასა კაცთა ცხორებისასა დაატკობს, და დაღაცათუ კაცობრივი

რადმე განსაცდელი შეგუემთხვოს მშვდობასა შინა, განიზავის რად
ბოროტი იგი კეთილითა მით, ადვილ იქმნის მოთმინებად მისი და
უჭირველ. ხოლო უკუეთუ ბრძოლად შეამრღუევედეს ცხორებასა ჩუენ-
სა, არცა თუ განსაცდელთა (vD) და მწუხარებათა ვაგრძნობთ, რამეთუ
თვსთა ბოროტთა გარდამატებულებითა სხუათა მათ განსაცდელთა
ტკივილსა დაჰფარავს, და ვითარცა მკურნალნი ჳორციელთა სენთა-
თვს იტყვან, უკუეთუ ერთსა გუამსა შინა ორნი სალმობანი შემოკრბენ,
ვითარმედ უმძაფრესისა ოდენ გრძნობად იქმნების და უმოლხინესისა
მის ტკივილი დაიფარვის, გარდამატებულებითა მით უძვრესისადათა
მოპარული, ეგრეთვე ბრძოლისა ძვრნი სალმობათა თვსთა სიბოროტი-
თა დღითი-დღედთა მათ განსაცდელთა გრძნობასა უჩინო-ჰყოფენ მათ-
გან, რომელთა-იგი შეეთხზნენ.

აწ უკუე, ვინაითგან თვსთა განსაცდელთა ვერ აგ(152rD)რძნობს
სული, ბრძოლათა და შფოთთა შეთხზული, კეთილთა და ლხინთა
ვითარ უძლოს გრძნობად, რაჟამს ბრძოლისა იგი ურიცხუნი ბოროტ-

ნი ადელვებდენ; ესე იგი არს საჭურჭელნი და მკედარნი და ადლე-
სულნი მახზლნი და საყვრთა ოხრანი და განწყობილნი ლახუროსანთა
და ჰორლოსანთანი, ვითარცა მალნარნი მიმომავალნი, და ფაროსანნი
მიმომორბედნი, და ჩაფხუტოსანნი და მშვლდოსანნი და ჩაბალახ-
ოსანნი, მთათა და ბორცუთა საზარელად მაელვებელნი, და ურთიერ-
თას კუეთებანი და შემთხუევანი და ჭენებანი და წყობანი და ბრძოლანი
და კლვანი [და სივლტოლანი და დევნანი] და გოდებანი და ღაღადე-
ბანი (vD) და ქუეყანად სისხლთა დათხევითა შებლალული, და მკუდარ-
ნი დათრგუნვილნი, და წყლულნი დატევებულნი, და განწირულნი, და
სხუად ყოველი, რომელი მწარეთა მათგან წყობათა ბრძოლისათა იქმ-
ნების, საზარელი სახილველი და მისათხრობელი!

აწ უკუე, რომელი ამათ ესევითართა ბოროტთა შინა იყოს, ოდეს-
მცა მოიცალა მან და გული თვისი მოდრიკა ვსენებად მახარებელთა
რათმე და სახარულევანთა საქმეთა? ხოლო უკუეთუ სახარულევანთა
რათმე ვსენებად მოვიდეს სული მისი, არა აღმორძინებელ განსაც-
დელთა მისთა იქმნესა ჟამსა ჭირთა და ურვათასა შვილთა საყუარელთა
და საწადელთა რათმე მოვსენებად? და ამი(153rD)სთვს ვიტყოდე,
ვითარმედ, რომელსა-იგი უფალი ბრძ(304rB)ოლათა და შფოთთა გან-
შორებისათვს სასყიდლად აღვითქუამს, ორთა ნიჭთა მოგანიჭებს მის

მიერ; და ერთი იგი ნიჭი არს ღუაწლთა სამღვეელი, და მეორე ნიჭი
– თვთ იგი ღუაწლი. ვინამცა დაღაცათუმცა არარად სასოებითთა
კეთილთაგანი წინა-ედვა მშვდსა, თვთ თავით თვსით მშვდობად ყოვ-
ლისავე მოსწრაფებისა უპატოსნეს არს, უკუეთუ ოდენ ვის გონებად
აქუნდეს.

და ესე არს გარდარეულთა მათ კაცთმოყუარებათა ღმრთისათა
საცნაურ-მყოფელი, რამეთუ კეთილთა მოსაგებელთა არა შრომათა და
ოფლთა მიერ მოგუანიჭებს, არამედ სიხარულისა მიერ და მხიარულებისა
მოგუმადლებს, (vD) რომელთა თავი მშვდობად არს, რომლისად ეს-
რეთ მდიდრად ჰნებავს კაცად-კაცადისა მოგებად, რადთა არა თი-

თოეულსა ოდენ აქუნდეს უხუებით, არამედ გარდამატებულებისაგან, რომელთა არა აქუნდეს, მათგა მისცემდეს. რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მშვდობისმყოფელნი“.

მშვდობისმყოფელი უკუე არს, რომელმან სხუათა შორის მშვდობა ყოს და რომელი ვის თვთ არა აქუნდეს, სხუასა ვითარ მისცეს? პირველად უკუე ჰნებავს, რადთა შენ თვთ საგსე იყო მშვდობისა კეთილთა მიერ, და მერმე, რადთა მისცემდე ესე ვითარსა მას კეთილსა, რომელთა-იგი არა აქუნდეს. და დაღაცათუ არა ფრიად ღრმად გამოვიძიოთ ძალი სიტყვსად ამის, კმა არს ჩუენდა (154rD) კეთილთა მომატყუებელად ესე მეზრ სიტყუამ, წინაშე ჩუენსა დაგებუ-ლი, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მშვდობისმყოფელნი“.

მრავალთა საღმობათა კურნებასა მოგუანიჭებს ჩუენ მცირე ესე სიტყუამ შემოკლებულითა ამით და მალლითა მოძღურებითა, და მრავალფერთა კეთილთა, ძალსა შინა თვსსა შემოჰკრებს. ხოლო პირველად ჯერ-არს, რადთა გულისჯმა-ვყოთ, თუ რად არს მშვდობად.

და რადმცა იყო სხუამ, არამედ ნებად, აღსავსე სიყუარულითა ძმათა მიმართ და ზიართა ბუნებისათა;

და რად არს წინაუკუმოდ სიყუარულისად და წინაღმდგომი? – სიძულილი, რისხვამ, გულისწყრომამ, (8rA) შური, ძვრისკსენებამ, ორგულებამ, და ბრძოლათა იგი განსაცდელი და სხუამ ესე(vD) ვითარი მრავალი. ჰხედავა, თუ რავოდენტა და ვითართა სენტა წამალი არს ერთი ესე ჯმამ? – რამეთუ, უკუეთუ მშვდობამ თითოეულსა ამათსა სწორებით წინა-განეწყოს, სრულიად უჩინო-ჰყოფს მათ გამოჩინებითა თვსითა. რამეთუ ვითარცა სიმრთელისა მიერ სენი უჩი-

ნო იქმნების და ნათლისა მიერ – ბნელი, ეგრეთვე მშვდობისა გამოჩინებითა ყოველივე წინაღმდგომი ვნებამ დაიკსნების; და ესე თუ რავოდენ არს კეთილ, ვჰგონებ თუ არცა თუ საჯმარ არს სიტყვთ წარმოთქუამად.

ხოლო შენ თვთღა თავსა შორის თვსსა გამოიძიე, თუ ვითარი არს

ცხორებად ურთიერთას მოძულეთა და შინა-განმხედვართად, რომელ-
თა-იგი (155rD) საწყინო არს შემთხუევადცა და ზრახვად, და ყოვე-
ლივე მათი – ურთიერთას საძულელ; უტყუ და დაყოფილ პირნი, და
გარე-მიქცეულ და განმრულებულ (vB) თუალნი და სახედველნი; და
ყურნი უსმ და გარე-მიმქცეველ ჳმისა; და ორთავე მათდა იგი არს
საყუარელ, რომელი მეორისა არა საყუარელ იყოს, არამედ საძულელ.
ხოლო შენ არა ამას გასწავებს აღთქუმად ესე ამის ნეტარებისად და
საღმრთოდ მოძღურებად, არამედ ვითარცა-იგი სულნელი ნელსაცხე-
ბელი თვისითა სულნელებითა აღავსებს გარემოდს მყოფსა ჰაერსა,
ეგრეთვე ჰნებავს უფალსა, რადთა გარდარეულად გარდაჰმატო მადლი
მშვიდობისად, რადთა ესრეთ ცხორებად შენი საკურნებელ იქმნეს უცხ-
ოთა სნეულებათა და ესე თუ (vD) რაოდენ არს კეთილ, უჭემმა-
რიტესად სცნა, რაჟამს თითოეულად მრისხანისა გონებისა და სულისა
ვნებანი და განსაცდელნი გამოწულილვით გულისჳმა-ჰყვნე.

გარნა ვინმცა წარმოთქუნა ღირსად და ჯეროვნად ვნებანი იგი
რისხვსანი, ანუ თუ ვინ უძლოს სიტყვთ გამოსახვად უშუერებასა
მას ესე ვითარისა მის საღმობისასა. ხოლო უკუეთუ სადა გიხილავს
ვნებად იგი ეშმაკეულთად, არა ფრიად გეჳმარნენ სხუანი სახენი სენსა
მას მრისხანებისაგან ძლეულთასა გამოჩინებად, რამეთუ ეშმაკეულისა
და რისხვისა ბოროტნი სწორ არიან და შემსგავსებულ, და არარად
განყოფილებად იხილვების მათ შორისი რამეთუ სისხ(156rD)ლიან და
გარდაქცეულ იქმნიან ეშმაკეულისა თუალნი და ენად განლიგებულ,
და სიტყუად საწყინო, და ჳმად აღმახულ და მყეფარი და ესე ყოველი
ზიარი არს მრისხანისა და ეშმაკეულისად: რყევად თავისად, ჳელთა
უწესოდ განმარტებად, ყოვლისავე გუამისა დუღილი, და დაუდგრომე-
ლობად ფერჯთად, და, რადთა მოკლედ ვთქუა, ორთავე ამათ საღმო-
ბათა ერთი სახე არს, და ამით ხოლო საქმითა შეცვალებულ არიან
ერთი-ერთისაგან, რამეთუ ერთი იგი არს ნეფსითი ბოროტი, ხოლო
მეორე იგი – უნებლიეთი შემთხუევად, რომელთაცა შეემთხვოს. ხოლო

ნეფსით თვსით განსაცდელთა შთავრდომად უნებლიეთ მოწევნულისა ბოროტისა თუ რავოდენ უძვრეს არს, (vD) არცა თუ ჯერ-არს თქუმაჲ.

ვინაჲცა ეშმაკულისა იგი ვნებაჲ რომელმან უწყოდის, უეჭუელად შეიწყალეს მას, ხოლო მრისხანისა სიცოფე ვითარცა ვინ იხილის, და მეყსეულად მოიძაგოს იგი, და დაჭირვებად შეჰრაცხის ხილვაჲცა მისი, და ბოროტისა მისცა ვნებისა განცდაჲ, და მომპოვნებელი იგი მრისხანებისაჲ საჯის ღირსად ყოველთა ბოროტთა.

და ეგრეთვე ეშმაკი იგი, რომელი სტანჯავნ ეშმაკუელსა მას, ჯორცთა მისთა ტანჯვაჲ ყვის დასასრულ სიბოროტისა თვსისა, და ჯელთა მისთა ამაოდ არხევენ ჰაერთა მიმართ, ხოლო მრისხანებისა ეშმაკი არა უქმად იქმს აღძრვასა მას ჯორცთასა. რამეთუ რაჟამს (157rD) ეუფლის ვნებაჲ იგი, აღდუღნის გულითადი იგი სისხლი, და ვითარცა იტყვან მრისხანისა მისგან გონებისა და ნებისა, ყოველსავე გუამსა შინა განეთესის შავი ნავდელი, მაშინ შინაგანთა მათ ორთქლთაგან (305rB) შეიწრდიან ყოველნივე იგი მახლობელად თავისა მყოფნი საცნობელნი, ვინაჲცა თუალნი უმეტეს წამწამთა და წარბთა საოლავისა განუსხდიან ბუდეთაგან გარე, და ვითარცა ვეშაპი სისხლიანითა მით თუალითა მიხედავნ შემაწუხებელისა მიმართ თვსისა, (8vA) და კუამლთა მიერ ორთქლისათა აღივსნიან შინაგანნი ნაწლევნი და განსივნიან და ექუდიან ქედისა იგი ძარღუნი, და ენაჲ განზრქნის, და ჯმაჲ შეიწრებითა ძარღუთა და ჯორჯისაჲთა იძულებით აღიმახვს სიმაღლედ. (vD) და ბაგენი [განთესვითა თოვლ]ის სახისა მი[ს ნავლ]ისაჲთა განყინულ იქმნიან და დამკიებულ. და არა აქუნ ძალი ბუნებითისა წესისაებრ დაჰშვად და განღებად, ვიდრეღა ვერცაღა თუ პერულსა მას პირისასა და ნერწყუასა შემძლებელ არნ დამჭირვად. არამედ ზახილსა თანა განსთხევენ და იძულებითთა სიტყუათა თანა განსცვინ პერული. და მიერთგან იხილვებინ სენისა მისგან ჯელთა და ფერჯთა მისთა აღძრვაჲ უწესოდ, ხოლო აღიძრვიან ასონი ესე არღარა ამაოდ, ვითარცა ეშმაკულისანი, არამედ ბოროტის-ყოფად ურთიერთას, და ბრძოლად, და მეყსეულად საკრძალავთა

მათ საცნობელთა (158rD) ურთიერთას ცემად იწყებენ. ხოლო უკუ-
ეთუ ბრძოლასა მას შინა მიახლება იქმნის ჯორცთა და პირისაჲ,
არცაღა კბილნი დაშთიან უქმად, არამედ სახედ მჯეცთა განჰბძარვი-

დიან ჯორცთა. და ვინ წარმოთქუნეს თითოეულად ბოროტნი იგი,
რომელნი რისხვისაგან იშვებიან!

აწ უკუე, რომელმან ესევეთარი ესე უშუერებაჲ განკურნოს, არა
სამართლად იწოდოსა იგი სანატრელ და პატიოსან დიდისა
მისთვის ქველისმოქმედებისა? – ჰე, ჭემმარიტად, რამეთუ უკუეთუ
რომელმან ჯორციელისა რაჲსმე უწესობისაგან განაშოროს კაცი და
ესევეთარისა მის ქველისმოქმედებისათვის პატიოსნად იწოდების,
მაშა რომელმან სული ესევეთარისა ამის სალმობისაგან განათავისუფ-
ლოს, არა ქველისმოქმედად (vD) ცხორებისა შეირაცხოსა გონი-
ერთაგან? – ჰე, ჭემმარიტად. რამეთუ რავოდენ უადრეს არს სული
ჯორცთასა, ეგოდენ უპატიოსნეს არს ჯორცთა კურნებისა კურნებაჲ
სულისაჲ.

და ნუვინ ჰგონებნ თუ სიძულილისა ბოროტთა ყოველთა მრის-
ხანებაჲ უძვრეს არს. რამეთუ მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ შურისა
და ორგულებისა ვნებაჲ ფრიად უძვრეს არს ზემოქსენებულისა ამის
ვნებისა, რავოდენ-იგი საჩინოჲსა ბოროტისა – დაფარული ბოროტი
უბოროტეს არს; და რამეთუ ძალთაგანცა ესევეთართა უფროჲს
ვიშიშვით, რომელთა მრისხანებასა არცა ყეფაჲ საცნაურ-ჰყოფნ, არცა
პირისპირ ზედა-მისლვაჲ განაკრძალეზნ, არამედ მშვდითა და მყუდროითა
სახითა განუკრძალველ და უშიშ გუყვნიან ჩუენ, და ესრეთ ძვრი
შეგუამთხვიან. ესევეთარივე (159rD) არს შურისაცა და ორგულებისა
ბოროტი. რომელთა სიღრმესა შინა გულისასა დაფარული სიძულილი,
ვითარცა ცეცხლი ეტყინებინ, და გარეგნით ორგულებით სიყუარულსა
სახე-ჰყოფნ მეგობრისათვის. ვითარცა ცეცხლი, ბზესა შინა დამალუ-
ლი. შინაგან შესწუავნ მუნ (vB) მდებარესა მას ნივთსა, ხოლო წუთდა
ალსა არა აღმოუტევეზნ, არამედ სიკშოდ კუამლისაჲ, შინაგან შეი-

წრებული, იძულებით და მძაფრიად აღმოვალნ, ხოლო უკუეთუ ალაგი რამე განსავალი პოვის, მიერთგან განძნებული და მოტყინარე ალი განცხადებულად აღმოუტევის. ეგრეთვე უკუე შური სახედ ცეცხლისა შეშჳამს გულსა შინაგან, ვითარცა ზვნსა რასმე ბზისასა, დატენილსა და აღმაღლებულსა, და მალა(vD)ვს სენსა მას სირცხვლისათვს, გარ-ნა შეუძლებელ არს სრულიად დაფარვად მისი, ვინაფცა ვითარცა კუამლსა რასმე ჳშირსა, სიმწარესა მას შურისასა შემთხუევათა რათ-მე ზედა საძნაურთა ჟამითი-ჟამად აღმოუტევებს, ხოლო უკუეთუ რომელ-

სა-იგი ეშურებოდის და განსაცდელი რამე შეემთხვოს, მიერთგან გამოაცხადებს სენსა მას და ადგილად სიხარულისა და მხიარულებისა ჳყოფს მწუხარებასა მისსა. ხოლო ვნებისა ამის დაფარულთა შეასმენს განცხადებული ნიშანი, პირსა ზედა მოშურნისასა დადებული, რამეთუ სიკუდილად განწირულთა სასწაული იქმნების შურისაგან დამდნართა შურისა ჳადაგ და მაუწყებელ. რამეთუ თუალნი განჳმელ იყვნიან და დაღრმობილ წამთა შინა, და წარბნი – შეჳმუხვილ, და ძუალნი და ჳორცნი – განლეულ და დამდნარ, და სულთჳუმანი და კუნესანი – მწარე და უგემურ (9rA) და სიღრმით გულისაფთ აღმომავალ, და უჩინოფთა რაფთმე და მიფარულითა ზრახვითა სიმწარესა თვსსა საც-ნაურ-ჳყოფნ. ხოლო მიზეზი სენისა ამის რაფ არს განმარჯუებით ცხორებაფ ძმისა გინა თვსისა გინა მეზობლისაფ.

ეჳა ახალი ესე და ამაოფ უსამართლოებაფ და უბრალოებათა ბრალობაფ, რამეთუ არა საწყალობელ არს იგი და უღონო, რომლისა ბედნიერობისათვს ელმის დია, არათუ ამისთვს ტკივნეულ არს, თუ მას რაფმე შეემთხვა მისგან ბოროტი, არაფედ ამისთვს, რამეთუ იგი ბრწყინავს და შუეებით და ფუფუნებით ცხორებს!

რაფ შეგემთხვა, ჳ უბადრუკო, ანუ რაფსათვს განილევი? და რაფსათვს განიცდი მწარ[ითა] თუალითა და არა გნებავს ხილვად კეთილთა ძმისა და მეზობლისა შენისათა? გინა თუ რასა ბრალობასა მოიღებ მის ზედა? და უკუეთუ იგი შუენიერ არს გუამითა და შემკულ

სიტყვთა და ძლიერ ნათესავითა, გინა თუ მთავრობაჲცა [რაჲ]მე მიეცა, და ბრწყინვალედ იხილვების მთავრობასა მას მისსა ზედა, ანუ თუ მონაგებნი შეეძინნეს, და პატივ-იცემების ერთა და კრებულთა მიერ, სიბრძნისათჳს მისისა, და გინა თუ მრავალთა ქველისმოქმედებისათჳს საჩინოდ შერაცხილ არს და შვილთათჳს მხიარულ არს და მეუღლისათჳს იშუებს და სახლისა თჳსისა შესაძინელთა და შემოსავალთათჳს იხარებს; რაჲსათჳს უკუე ესევეითარნი ესე კეთილნი ძმისა შენისანი, ვითარცა ისრისპირნი, განეწონებიან გულსა შენსა და იტყუელავ კელთა და მოიჭდობ თითთა და ურვეულ ხარ გულისსიტყვთა და სიღრმით და სალმობიერად ჰკუნესი და სულთ-ითქუამ და უგემურ არს შენდა ყოველივე კეთილი (306rB) შენი და საშუებელი, მწარე არს შენდა ტაბლაჲ შენი, და მჭმუნვარე – სახლი და სართული შენი, და განმზადებულ ყური შენი შუებულისა მის ძვრთა და შესმენათა სმენად, ხოლო უკუეთუ მარჯუენითი რაჲმე გესმას, დაი-

ყოფ სასმენელთა შენთა.

და ვინადთგან სული შენი ესრეთ განბოროტებულ არს, რაჲსათჳსლა ჰფარავ ორგულებით სენსა მას, და ვითარ იქემებ ქველისმოქმედებასა მისსა მოპოვნეზულითა სიყუარულისა სახითა, რომლისა კეთილი არა გნებავს, და რაჲსათჳს მოიკითხავ შესხმითთა მოკითხვათა მიერ, რომელი სწორად სიკუდილისა გძულს და გეძაგების, და ცხადად სიხარულსა და მშჳდობასა მიუძღუნებ, ხოლო ფარულად სულითა შენითა სწყევ და ძვრსა ჰზრახავ მისთჳს!

ესევეითარი იყო კაინ, რომელი სათნოებათათჳს აბელისთა განცოფნა, რომელსა შური შინაგან სიკუდილსა აწუევდა და ორგულებად მტარვალ ექმნებოდა, ვინაჲცა მეგობრისა და მოყუარისა სახე შეიმოსა და მშობელთა შეწევნისაგან განაშორა და ველად განიყვანა, და ეგრეთლა მოკლვითა მისითა გამოაცხადა შური, მშობელი იგი სიკუდილისაჲ.

აწ უკუე, რომელმან ესევეითარი ესე სენი განჯადოს კაცთა ცხორე-

ბისაგან და სიყუარულისა ერთობად მოიყვანნეს კაცნი, და ქველისმოქმედებითა და მშჯდობითა შეკრნეს ნათესავნი, არამე საღმრთოდსა ძლიერებისა საქმესა იქმსა ეგევითარი იგი? – ჰე, ჭეშმარიტად. რამეთუ ბოროტსა განჰკდის და განსდევნის კაცობრივისა ბუნებისაგან, და კეთილთა ზიარებასა მათ წილ შემოიყვანებს, და ამისთვის უწოდს ძედ ღმრთისად მშჯდობისმოფელსა, რამეთუ მობაძავ იქმნების ჭეშმარიტისა მის და ბუნებითისა ძისა ღმრთისა, რომელმან ესევეითარნი ესე კეთილნი კაცთა ცხორებასა მოანიჭნა.

ნეტარ უკუე არიან მშჯდობისმოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

და ვინ-მე არიან ესე მობაძავნი საღმრთოდსა კაცთმოყუარებისანი, და რომელნი საღმრთოთა საქმეთა თვისისა ცხორებისა მიერ წარმოაჩინებენ? რამეთუ ქველისმოქმედი და სახიერი უფალი ყოველსავე უკეთურებასა და უსახურებასა განაქარვებს და სრულიად უჩინოჰყოფს, და ამისსავე ქმნასა შენ გიბრძანებს, რადთა განჰკადო შური და განიოტო სიძულილი და განსდევნო ბრძოლად და ექსორია-ჰყო შფოთი და წარსწყმიდო ორგულება და სრულიად უჩინო-ჰყო შემქამელი იგი შინაგანთად ძურის-ჰსენებად, და ამათ წილ შემოიყვანნეს სათნოებანი იგი, ესევეითართა ამათ ვნებათა დამარღუეველნი, რამეთუ, ვითარცა-იგი ბნელისა განშორებითა შემოსლვად ნათლისად იქმნების,

ეგრეთვე თითოეულისა ამათგანისა განჰკდისა წილ ნაყოფნი სულისანი შემოვლენ, რომელ არიან: სიყუარული, სიხარული, მშჯდობად, სიტკბობად, სულგრძელებად, და ყოველივე იგი მოციქულისა [მიერ]

მოჰსენებულთა კეთილთა სიმრავლე. და ვითარმცა არა ნეტარ (9vA) იყო საღმრთოთა ნიჭთა განმყოფელი და მიმსგავსებული მადლთა საღმრთოთად, რომელი უხუად მიმნიჭებლობასა ღმრთისასა თვისითა ქველისმოქმედებითა ჰბაძავნ და მიემსგავსებინ!

და ვითარ ვჰგონებ, არა უცხოთა ხოლო კე(vB)თილის-ყოფათა მიმართ ხედავს ძალი ნეტარებისად ამის, არამედ, ვითარ მე ვიტყვ,

ჭემმარიტად მშვდობისმყოფელად მას უწესს, რომელმან წყო-
ბად თავისა თვისისა და ბრძოლად კორცთა და სულისა და ტომითი
ესე შფოთი ბუნებისა ერთობად მშვდობისად მოიყვანოს, რაჟამს
არღარა გული-უთქუმიდეს კორცთა სულისათჳს, არამედ მადლი სულისა
წმიდისა იმჭირვიდეს და სძლევდეს კორციელთა ვნებათა, რაჟამს
უქმ იქმნეს შჯული იგი კორცთად და ვერღარა წინა-განეწყობოდის
შჯულსა მას გონებისასა, არამედ დაემორჩილოს უვალრესისა მთავრო-
ბასა და იქმნეს მსახურ საღმრთოთა ბრძანებათა.

და ნუვინ ჰგონებნ თუ ამას ოდენ ზედა დასრულდების ნეტარებ-
ისა ესე ბრძანებად, და ორად განყოფილებასა შინა ცხორებისასა
შემოსაზღვრების სათნოებისა მისისა ძალი; არამედ რაჟამს აღილოს
ზღუდისა ამის ჩუენისა სიბოროტისა იგი შუვაკედელი და უვალრესისა
შეერთებითა და შეზავებითა ორისა წილ ერთობად მოვიდეთ, და ერთ
ვიქმნეთ, ვინაფთგან, ვითარცა გურწამს ღმრთეებად, მარტივ არს და
შეუზავებელ და აუგებელ და გამოუსახველ, რაჟამს კაცებადცა ესევი-
თარისა მის მშვდობისა მიერ უმაღლეს იქმნეს მრჩობლისა ამის აგე-
ბულებისა და ჭემმარიტა მას კეთილსა აღვიდეს, და მარტივ და
უნივთო და ჭემმარიტად ერთ იქმნეს, რაჟამს-იგი სწორ იქმნენ ცხადი
და დაფარული, და უჩინოდ და საჩინოდ. მაშინლა დამტკიცნების ჭემ-
მარიტად ნეტარებად ესე, და მაშინლა იწოდებიან ჭემმარიტებით ეს-
ევითარნი იგი ძედ ღმრთისად, და ნეტარ იქმნებიან აღთქუმისა-
ებრ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა, რომლისა არს დიდებად
და სიმტკიცე უკუნითი-უკუნისამდე ამენ.

თქუმული მისივე თავი 8

სიტყუად ესე: ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ
მათი არს სასუფეველი ცათად.

წესი ესე მაღალთა ამათ სწავლათა მოძღურებისად მერვესა კიბესა აწდა თქუმულისა ამის ნეტარებისასა აღგვყვანებს, ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ კეთილ არს, რადთა პირველად ძალი იგი სიტყვასად ამის გულისწმა-ვყოთ, თუ რად არს საიდუმლოდ იგი მერვისად, წინადაწარმეტყუელისა მიერ ორთა მათ ფსალმუნთა შინა დაწესებული. გინა თუ განწმედისა იგი და წინადაცუეთისა შჯულის-დებად, ორივე ესე მერვისა წესითა შჯულისა მიერ დამარხული. და ნუუკუე რიცხუსა ამას ერთობადცა რადმე აქუნდეს მერვისა ამის ნეტარებისად? რომელი-ესე ვითარცა თხემი და თავი ყოველთა ნეტარებათად, უმაღლეს დამტკიცებულ არს კიბესა ამას შინა კეთილისა ამის მოძღურებისასა.

რამეთუ მუნ წინადაწარმეტყუელი აღდგომისა დღესა მერვისა მის იგავითა მოასწავებს, და განწმედად იგი შჯულიერი ბიწიან-ქმნილისა მის კაცისა ბუნებითისა სიწმიდისა მიმართ აღსლვასა აუწყებს, ხოლო წინადაცუეთად – მკუდრის-ტყავთა მათ სამოსელთა (რომელნი-იგი შემდგომად ურჩებისა, ცხორებისაგან რად განვშიშულდით, შევი-მოსენით, განგდებასა გვთარგმნის. და აქა მერვე ესე ნეტარებად მონებასა მიცემულთა ზეცად აღსლვასა და კუალად სასუფეველისა დამკვდრებასა წინა-გვყოფს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ იყ(307rB)ვნენ დევნულნი სიმართლისათვს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათად“.

ესე არს თავი საღმრთოთა ღუაწლთად; ესე არს გვრგვნი შრომათად, და ესე არს ნიჭი ოფლთად. ესე იგი არს ზეცათა შინა სასუფეველისა ღირს-ყოფად, სადა-იგი არღარა იჭუეულ არს, არცა

საცთომელ ნეტარებისა იგი სასოებად, ვითარ-ესე დაუდგრომელსა ამას და მიმოქცევადსა ცხორებასა შინა იქმნების. ხოლო ზეცათა მოქალაქობასა შინა არარად ესევეთარი უწყით, არცა რად იხილვების, რომელიმცა არა მარადის ერთსა ზედა სიმტკიცესა ეგო უცვალე-ბელად, არამედ ყოველივე ზეცათა განგებულებად ღმრთივბრწყინვალ-

ითა წესითა და სახითა თვსთა საზღვართა შინა მოუდრეკელად ვალს.

ჰხედავა ნიჭისა ამის გარდამატებულებასა? რამეთუ სიმაღლე ესე ამის პატივისა არა ქცევადთა რათმე ნიჭთა მოჰმადლებს, რადთა შიშისაგან შეცვალებისა არა ეცეს მიზეზი მწუხარებისა მუშაკსა მას კეთილთა მათ სასოებათასა. ვინაჲცა, თქუა რად სასუფეველი ცათად, გამოაჩინა და საანჯმნო ყო უცვალებელობად და სიმტკიცე ნიჭთა მათ ჩუენთა სასოებითად, რომელთა-იგი მოგუანიჭებს ჩუენ. (10rA)

ხოლო მე თქუმულისა ამისგან გამოძიებად, რომელი გონებასა მომიკდების, ესე არს: პირველად, რამეთუ გლახაკთა სულითა და მისთვის დევნულთა – სწორსა სასყიდელსა აღუთქუამს, და რომელთა მისაგებელნი ესრეთ იყვნენ, ჩანს, რამეთუ ღუაწლნიცა მათნი სწორ არიან, და მერმე, თუ ვითარ რაჟამს მარჯუენითთა მათ [მარცხენითთა მათ]გან განჰყოფდეს, და სასუფეველად ცათად მიუწოდდეს, სხუათა საქმეთა წარმოიტყვს მიზეზად ესევითარისა მის პატივისა, ესე იგი არს, სიტკობებასა და სიყუარულსა და გლახაკთა ღუწასა და წყალობასა. ხოლო სულითა გლახაკობად და მისთვის დევნულებად არცადა თუ მოუკსენებდეს.

და ფრიადი განყოფილებად ჩანს ამათ შორის, რამეთუ რად ზიარებად აქუს სიგლახაკესა დევნულებისა თანა, ანუ თუ ამას კუალად – სიყუარულისა და წყალობისა თანა! რამეთუ უკუეთუ ვინმე გლახაკი გამოზარდა, ანუ თუ შიშუელი შემოსა, ანუ თუ სართულითა მოგზაურსა განუსუენა, ანუ თუ სნეულსა და დავრდომილსა ჯეროვანი მსახურებად წინა-უყო სულითა გლახაკობისა და დევნულებისა თანა რად ზიარებად აქუს ესევითართა ამათ ქველისსაქმეთა? რამეთუ ესე – უცხოთა განსაცდელთა ნუგეშინის-სცემენ, ხოლო გლახაკი და დევნული ნუგეშინისმცემელისა მოქენე არიან. ხოლო მისაგებელი ყოველთად ერთ არს, რამეთუ ერთბამად სასუფეველად ცათად აღიყვანებს გლახაკსაცა სულითა და სიმართლისათვის დევნულსა და მოწყალესა და ქველისმოქმედსა ძმათასა.

რამ-მე უკუე ვთქუათ ამისთჳს?

ყოველნი სათნობანი ურთიერთას შეუდგან და ერთი-ერთისა მახლობელ არიან და ერთისა პირისა მიმართ ხედვენ, რამეთუ სიგლახაკე დევნულებისა მიმართ მზა არს და ადვილად თავს-იდებს; და გლახაკთ-მოყუარებად სიგლახაკისაგან არა უცხო არს, არცა განშორებულ.

ხოლო ვითარ მე ვჰგონებ, კეთილ არს, რადთა პირველად (vB) ნეტარებისა ესე სიტყუად გამოვიძიოთ, და მერმე ზემოვსენებულთა ამათ სიტყუათა ძალი გულისჯმა-ვყოთ.

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს“.

სადათ დევნულნი და ვის მიერ? – მოკლე უკუე და მარტივი ძალი სიტყუსად ამის მოწამეთა სტადიონსა გჳჩუენებს ჩუენ, და სარწმუნოებისა სრბასა მოასწავებს. ხოლო დევნად სწრაფით და ახოვნად სრბასა მორბედისასა საანჯმნო ჰყოფს. და უფროდსლა სრბასაცა შინა ძლევასა მოასწავებს, რამეთუ სხვთა სახითა შეუძლებელ არს მორბედისაგან ძლევად, არა თუ წარჰკდეს მის თანა მსრბოლსა მას და ზურგით დაიგდოს იგი.

ვინაძცა, რომელი გჳრგჳნსა მას ზეცისა ჩინებისასა სდევდეს, და რომელი გჳრგჳნისა მისთჳს მტერისა მიერ იდევენბოდის, ორთავე სწრაფად სწორებით არს. რამეთუ ერთი იგი თანამსრბოლსა მას წარჰკდების, ხოლო მეორე იგი – მდევარსა, და ესენი არიან, რომელნი წამებისა სარბიელსა რბიოდეს, ღუაწლთა შინა ღმრთისმსახურებისათა, დევნულნი, არამედ არა წევნულნი.

ამისთჳსცა უკუანაძსკნელი ესე მოძღურებად, ვითარცა თავი ნეტარებათად, სახედ გჳრგჳნისა დაადგა სხუათა მათ ნეტარებათა სიტყუამან. და რამეთუ ჭეშმარიტად ნეტარ არს დევნად უფლისათჳს. რადსათჳსმე? – ამისთჳს, რამეთუ ბოროტისა მიერ დევნად კეთილისა შეყოფისა და მას შინა დამტკიცებისა მიზეზ ექმნების [ხოლო ბოროტისაგან უცხო ყოფად კეთილისა საკუთრებისა მიზეზ და მომატყუებელ ექმნების], ხოლო კეთილ და უაღრეს ყოველთა კეთილთა – თვთ თავადი უფალი არს, რომელსა-იგი დევნული შეევედრების.

და ჭეშმარიტად ნეტარ არს, რომელმან მტერი შემწედ კეთილისა იჯუმოს, ვინადთგან კეთილისა და ბოროტისა შორის მდგომარე არს კაცობრივი ცხოვრება და ვითარცა, რომელი-იგი კეთილისა და მალ-

ლისა სასოებისაგან დაეცეს, მთხრებლსა შინა წარწყმედისასა შთავარდების, ეგრეთვე, რომელი ცოდვისაგან განეშოროს და ხრწნილებსაგან უცხო-იქმნეს, სიმართლესა და უხრწნელებასა განისაკუთრებს. ვინაცა მძლავრთა მიერი იგი წმიდათა დევნულებად სატკივარ იყო მას ჟამსა შინა და სამნაურ. ხოლო მოსაგებელნი იგი და გვრგვნი, რომელთა მოატყუებდეს ტანჯვანი იგი, უმადლეს არიან ყოვლისავე ნეტარებისა, და უმჯობეს არს, რადთა სახისა მიერ უცხადეს გამოვარჩინოთ ძალი სიტყვსა ამის.

ვინმცა უკუე არა უწყოდა ესე, თუ რაბამ უბოროტეს არს მტერობად სიყუარულისა, და ბოროტი ესე მრავალგზის უადრეს სიყუარულისა იქმნა და სოფელსავე ამას შინა მრავალნი კეთილნი მოატყუნა მრავალთა, (10vA) ვითარ-იგი იოსებისთჳს აღწერილი უწყებად მოგვთხრობს, რომელი-იგი მოძაგებულ იქმნა ძმათაგან თჳსთა, და მათანა ქცევისაგან განიდევნა განსყიდისა მიერ, და რომელნი-იგი სძულდეს, მეფე იქმნა მათ ზედა. და ნუუკუე და არამცა აღსრულ იყო ესე ვითარსა მას პატივისა, უკუეთუმცა არა შურსა ძმათასა და ძვრისზრახვასა მათსა მეფობისა მიმართ გზა-ეყო მისდა. და უკუეთუმცა წინადაწარცნობად ვისმე ჰქონებოდა, და ეთქუა იოსებისდა, ვითარმედ: „სასიკუდინოდ განიწირო, გარნა მეფე იქმნე“, – არამცა მეყსეულად სარწმუნოდ აღშჩენოდა სიტყუად იგი, არცა სახარულე-(308rB)ვანად, შესაწუხებელისა მისთჳს, რამეთუ არამცა დაეჯერა ბოროტისა ნებისაგან კეთილისა რადსმე შეძლებად.

ეგრეთვე უკუე იქმნა საქმეცა წმიდათა მოწამეთად. და მძლავრთა მიმართ ბრძოლაიდ მორწმუნეთად, რომელსა-იგი ფრიადი აქუნდა გრძნობად ტკივილთად, და ზრქელთა-რე და ჯორცთმოყუარეთა ძნად შესაწყნარებელ უჩნდა ტკივილთა მიერ და წყლულებათა მათთჳს განმზადებული

იგი სასუფეველი, ხოლო უფალმან, რადთა განამტკიცოს უძლურებად კაცთა ბუნებისად, წინამსწარვე აუწყა უძლურთა-რე, თუ ვითარი არს მოღუაწებათა მათ აღსასრული, რადთა სასოებითა მით სასუფეველისადათა საწუთროდ ესე გრძნობად ტკივილთად ადვილად მოითმინონ.

ამისთვისცა უხაროდა დიდსა სტეფანეს, რაჟამს-იგი ყოვლით კერძო ჰქოლვიდეს, და ვითარცა ნიავ წულილსა და ცუარსა საწადელსა, ესრეთ მიითუალვიდა ზედადსზედათა მათ ქოლვათა და ქვისა დაკრებათა. და მკლველთა მათ კურთხევასა მიაგებდა და ულოცვიდა მათ,

რადთა არა შეერაცხოს ცოდვად, ვინამთგან აღთქუმადა იგი საღმრთოდ ყურად-ელო და სასოებად იგი ყოფადი საქმით იხილა აღსრულებული, რამეთუ ქრისტესთვის დევნულთათვის სასუფეველისა დამკვდრებად ასმიოდა. და ვიდრელა რბიოდა და იდევენებოდა აღსარებისათვის, თუალითა თვისითა იხილა მოლოდებადთა მათ კეთილთა გულსავსებად, რამეთუ იხილნა ცანი განხუმულნი და საღმრთოდ დიდებად ღუაწლთა მათ მორბედისათა, ზესკნელთა მათ სიმაღლეთაგან ზეგარდამო მხედველად. რომელი-იგი ღუაწლთა მათ შინა მოღუაწისა მის მიერ იწამა, რამეთუ ღუაწლისდამდებელისა იგი დგომად მოღუაწისა მის შეწევნასა საანჯმნო ჰყოფს, და რადთა ვისწავოთ, ვითარმედ თვთ არს იგი თავადი ღუაწლთაცა განმაწესებელი, და თვსთა მოღუაწეთა წინააღმდგომთა მიმართ განმამტკნობელი და ზედამდგომელი.

და რადმცა იყო უსანატრელეს, რაჟამს უფლისათვის დევნულსა თანაშემწედ აქუნდეს ღუაწლისდამდებელი თვისი! და უკუეთუმცა ესე არა ესრეთ იყო, არამცა ადვილ იყო, და ნუუკუე და სრულიადცამცა შეუძლებელ ცხორებისა ამის საშუებელთა, საჩინოთა და ხილულთა, უხილავთა მათ უფროდს პატივის-ცემად და აღრჩევად.

ანუ ვითარმცა ვინ თავს-იდვა სახლისაგან განგდებად და ცოლისა და შვილთა და ძმათა და მშობელთა და თანამოჰასაკეთა, და ყოველთავე სოფლისა საწადელთა და გულისსათქუმელთაგან სრულიადი უცხოყოფად, არათუმცა თავადი უფალი შეეწეოდა მას და განაძლიერებდა

კეთილსა მას გულსმოდგინებასა მის ჩინებულისასა! რამეთუ, სიტყვ-
საებრ მოციქულისა, რომელი წინადაწარ უწყის, წინადაწარცა განა-
ჩინებს, და უწოდს და განამართლებს და ადიდებს.

და ვინამთგან თანაშექუსულ არს სული კორციელთა საცნობელთა
მიერ, საწადელთა ამის საწუთრომსათა, და ფეროვნებითა ნივთთამთა
თუალნი მხიარულ იქმნებიან, და სმენითა ჯვათა და ჰამბავთა
საწადელთაითა სასმე(vB)ნელნი განსცხრებიან, ხოლო ყნოსითა და
გემომსხილვითა და შეხებითა განთვსებული თითოეულისა საცნობე-
ლისა გემოვნებად დატკბების, ამისთვის, ვითარცა სამშჰულითა, გემო-
თა სოფლისათა შემსჰუალული ძნად განეყოფვის მათგან, რომელთა-
იგი შეეყო და შეემსჰუალა. რამეთუ მსგავსად კუთა და კოხლიოთა,
ვითარცა ძუალისა საბურველითა დაბურვილთა, ძნად სავალ უჩნს

საღმრთოთა გზათა სარბიელი ესევითარსა მას, რაჟამს მსგავსად მათ-
სა, ყოველსავე სიმძიმესა ამის ცხორებისასა მიითრევენ უკუნა, ვინა-
ცა ესევითარი იგი ადვილ იქმნების შესაპრობელად მდევართაგან,
(11rA) და იავარ-ყოფისა და ზღვევისა და დაჭირვებისა და ყოველთავე
ამის სოფლისა საწადელთა და საძნაურთა მიერ ადვილად მომედგრდე-
ბის და შესაპრობელ მდევართა იქმნების.

ხოლო უკუეთუ ცხოველი იგი და ყოვლადძლიერი სიტყუად ღმრ-
თისად და განმკუთეელი უფრომს ყოვლისავე მახვლისა ორპირისა,
სიტყვსაებრ სამოციქულომსა, ჭემმარიტისა მორწმუნისა შინაგან შე-
ვიდეს, და განკუეთოს ბოროტად შეთხზული იგი ნივთი, და ჩუეულებ-
ისა საკრველნი განხეთქნეს, მყის სოფლისა გემონი, ვითარცა მძიმე
რადმე ტვრთი, ბეჰთა სულისათა ზედა მდებარე, მსგავსად მალემსრ-
ბოლისა კეთილისა, ბეჰთაგან განაგდის, და სუბუქად და აღკუართუ-
ლად სტადიონი ღუაწლთად წიად-ვლის, და ჯელის-აღმპრობელად და
თანაშემწედ სრბისა მის თვთ იგი თავადი ღუაწლთა დამდებელი
ღმერთი მოიგის, რამეთუ არა ჰხედავენ, რაოდენი დაუტევა და რაოდენსა
მიემთხუევის. არცა დაშთომილთა შუეებათა განიცდინ და მართლუკუნ

ხედავს, არამედ წინამდებარეთა კეთილთა მიმართ მოისწრაფინ, არცა დაჭირვებისათვის ქუეყანისა საქმეთაჲსა ტკივნეულ არს, არამედ შეძინებისათვის ზეცისა ნიჭთაჲსა მხიარულ არს. ვინაჲცა ყოველსავე სატანჯველთა სახესა მიზეზად და თანაშემწედ წინამდებარისა მის სიხარულისა მადლობით და წადიერად მიითუალავს, ცეცხლსა, ვითარცა ნივთთა მავნებელთა განმწმედელსა, და მახვლსა, ვითარცა განმყოფელსა გონებისა შეთხზულთა მათ ჯორციელთა და ნივთიერთა შეერთებათასა, და ყოველსავე ტკივილსა და სალმობასა წყლულე-ბათასა, ვითარცა წამლისა მავნებელისა დამკსნელსა, რომელ არს გემოთა მიერი იგი ხრწნილებაჲ, ეგრეთ შეიწყნარებნ. და ვითარცა იგი თელგმითა და ნავლითა განკაფულნი წადიერად თავს-იდებენ სიმწარესა წამლისასა, რათა მის მიერ მავნებელი იგი ნივთი უჩინო-ყონ და წარრღუნან, ეგრეთვე თავს-იდებს, რომელი მტერისა მიერ იდევენბოდის, და ღმრთისა მიმართ მიივლტოდის, ტანჯვათა და წყლუ-ლებათა სიმძაფრესა, ვითარცა დამშრეტელსა გულისთქუმათა და გე-მოთასა, და ყოვლადვე არა აგრძნობს სალმობასა მათსა, რამეთუ, ვინაჲთგან გემოთა მიერ შემოკდა ცოდვაჲ, თჳნიერ ტკივილთა თავს-დებისა განკდაჲ მისი შეუძლებელ არს.

ვინაჲცა ქრისტეს აღმსარებელთა მდევარნი და ძნად მოსათმენელ-თა მათ ტანჯვათა მომპოვნებელნი კურნებასა სულთასა (309rB) შეგვ-მზადებენ, და სალმობათა მოწყენითა სენსა მას გულისთქუმათასა ჰკურნებენ. და ამისთვის თავს-იდვა პეტრე ჯუარ-ცუმაჲ თავდამო-ქცევით, და მახვლი – იაკობ, და ჯუარსა დამოკიდებაჲ – ანდრეა, და ქვითა განტვნვაჲ – სტეფანე, და წარკუეთაჲ თავისაჲ – პავლე, და ეგრეთვე ყოველთა შემდგომითი-შემდგომად ღმრთისმსახურებისა და სარწმუნოებისა მოღუაწეთა პირად-პირადნი იგი და მრავალფერნი სა-ტანჯველნი – მწეცნი, მთხრებლნი, საჯუმბილნი, და ცეცხლითა და ყინელითა განლევანი და გუერდთა ხუეტანი და თავთა განმსჭუალ-ვანი და თუალთა აღმოკდანი და თითთა მოჭრანი და ყოვლისავე

გუამისა განზმარვად და წვვთა შემუსრვად და სიყმილითა განკაფად.
ესე ყოველნი და მსგავსნი ამათნი, ვითარცა განმწმედელნი ცოდვისანი,
წმიდათა სიხარულით მიითუალნეს, რადთა არცაღა კუალი სიბორო-
ტისად, ცოდვისა მიერ მოწვენული, დაშთეს გულსა შინა მათსა, რა-
ჟამს ტკივნეულმან მან და წრტიალმან გრძნობამან ტანჯვათამან
ყოველნივე სახენი და ხატნი, გემოთა და გულის-თქუმათა მიერ მოწ-
ვენულნი, სრულიად აკოცნეს და უჩინო-ყვნეს.

ნეტარ უკუე არიან დევნულნი სიმართლისათვს, რამეთუ მათი არს
სასუფეველი ცათად.

ხოლო ესე სიტყუად ესევეითარი არს, ვითარმცა იტყოდა სიმ-
რთელე, ვითარმედ: „ნეტარ არიან სენისაგან განშორებულნი ჩემ-
თვს, რამეთუ საღმობათაგან უცხო-ყოფად ოდესმე სნეულთა მათ სიმ-
რთელითა ჩემითა აღავსებს და ჩემ თანა მკვდრობასა მისცემს“.

და ესრეთ უკუე ვისმინოთ სიტყუად ესე, ვითარმცა თვთ თავადი
იგი ცხორებად ჳმობდა ჩუენდა მომართ ესევეითარსა ამას ნეტარე-
ბასა და იტყოდა, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიკუდილისა-
გან ჩემთვს“, ანუ თუ ვითარმცა ნათელი იტყოდა, ვითარმედ: „ნე-
ტარ იყვნენ დევნულნი ბნელისაგან ჩემთვს“. და ეგრეთვე მსგავსად სი-
მართლეს და სიწმიდეს და უხრწნელებად და სახიერებად და ყოველივე
მოგონებად, კეთილისა კერძსა მოგონებული და თქუმული, რომელ
არს უფალი, (11vA) და ესრეთ, რაოდენიცა საღმრთოდთა სახელითა
იწოდების, ესრეთ ჳგონეს, თუ იგი იტყვს შენდა მომართ სიტყუასა

ამას, ვითარმედ: ნეტარ არს ყოველი, რომელი წინააღმდგომისა საქმისაგან
იდევნებოდის: ხრწნილებისაგან და ბნელისა და ცოდვისა და უსამართ-
ლოებისა და ანგაჳრებისა და ყოველთაგანვე ვნებათა, რომელნი სათ-
ნოებისა წინააღმდგომ არიან, და საქმეთა და სახელთა, რამეთუ ბოროტ-
თაგან სივლტოლად კეთილთა მიმართ მილტოლვასა მოასწავებს, და
ცოდვათაგან განშორებად სიმართლისა შეტკობობასა საანჯმნო ჳყოფს;
ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ: „ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდ-

ვამ, მონად არს იგი ცოდვისად“, ეგრეთვე, რომელი განუდგეს, რომელსა-იგი ჰმონებდა, აზნაურ იქმნების და თავისუფალ. ხოლო თავი აზნაურებისად თვთმფლობელობად არს, და მეფობისა პატივსა უაღრესი თვისი და უმძლავრესი არავინ ჰყავს.

ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ თვთმფლობელობად ესე არს – ცოდვისაგან უცხო ყოფად; და საკუთრებად მეფობისად ესე არს, რადთა თვთმპყრობელ იყოს და თვთმფლობელ. ვინაჲცა ჯეროვნად სანატრელ არს, რომელი ბო(vB)როტისაგან იდევენბოდის, რამეთუ მისგან სივლტოლად პატივსა მეფობისასა აღიყვანებს.

აწ უკუე, ძმანო, ნუმცა დავმძიმდებით ქუეყანისა ტვრთთა მიერ, რაჟამს ვიდევენბოდით, და ნუცამცა შევწუხდებით, ამიერ რად გან-ვიდევენბოდით. რამეთუ რომელი ამის სოფლისაგან განიდევენოს ღმრ-თისათვის, ზეცათა სასუფეველსა შინა განისუენოს. და ესე ორნი აგე-ბულებანი არიან არსებასა შინა არსთასა, უმთავრესნი სამკვდრებელად სიტყვერთა ბუნებათა განკუთნვილნი; ესე იგი არს – ქუეყანად და ცად, რამეთუ ჯორცთა შინა მყოფთა ადგილად მიცემულ არს ქუეყ-ანად, ხოლო უჯორცთადა – ცად, და უეჭუელად ერთგან სამე ცხორებად ვართ, ვინაჲცა არათუ განვიდევენთ ქუეყანით, ქუეყანასა ზედა დავმთებით უეჭუელად, ხოლო უკუეთუ ქუეყანით განვიდევენთ, ზეცისა კეთილთა დამკვდრებად მოგუეცემის.

ჰხედავა, თუ რაბამსა სიმაღლესა აღვალს ძალი ესე ამის ნეტარე-ბისად, და შესაწუხებელად საგონებელთა მათ მიერ, ესევითართა მათ კეთილთა მომატყუებელ იქმნების, რომელი-ესე მოციქულმან რად გან-იცადა, იტყოდა, ვითარმედ: „ყოველივე სწავლად მეყსეულად არა არნ სიხარულ, არამედ მწუხარება, ხოლო უკუანადსკნელ – ნაყოფი მშვ-დობისად მის მიერ წურთილთა მათ მოაგის სიმართლე“.

აწ უკუე, ვინაჲთგან მოსალოდებელთა მათ ნაყოფთა ყუავილი ჭირი არს, ნაყოფთა მათთვის ყუავილიცა მათი მოვისთულოთ. ვიდევენ-ნეთ, რადთა ვრბიოდით, და ვრბიოდით რად, ნუმცა ვრბით ამაოდ,

არამედ გვრგვნიისა მის მიმართ ზეცათა ჩინებისა იყავნ სრბად ჩუენი.
და ესრეთ ვრბიოდით, რადთა ვეწინეთ.

და რად არს წევნად? და რად არს ნიჭი და რად არს გვრგვნი?

– არარად სხუად, არამედ თვთ თავადი უფალი. რამეთუ იგი არს ღუ-
აწლისდამდებელიცა მოღუაწეთად და გვრგვნი მძლეთად; და გან[მყო-
ფ]ელი ნიჭთად? და იგი არს ნიჭი კეთილთად; და იგი არს კეთილი
ნაწილი, და იგი არს ნაწილისა მომნიჭებელი; და იგი არს განმამ-
დიდრებელი, და იგი არს სიმდიდრე; და იგი არს, რომელი საუნჯეთა
გვჩუენებს, და საუწჯე გუექმნების; რომელი გულის-თქუმად კეთილ-
ისა მის მარგალიტისა მოგვყვანებს და მოსავაჭრებელად ჩუენდა წინაშე
ჩუენსა დაეგების.

აწ უკუე, რადთა იგი მოვიყიდოთ, მსოფლიოდ ესე ყოველი განვ-
ყიდოთ, და ვითარცა სავაჭროსა შინა, მივსცეთ, რადცა-ესე გუაქუს,
რადთა მოვიგოთ, რომელი-იგი არა გუაქუს, და ნუ უწუხთ რაჟამს
ვიდევენბოდით, არამედ უფრომსლა ვიხარებდეთ, რამეთუ ქუეყანისა
ამათ პატოსანთაგან განდევენისა წილ ზეცისა კეთილთა მიმართ აღვი-
წევით, ვითარცა-იგი აღმითქუა ჩუენ უფალმან და თქუა, ვითარმედ:
„ნეტარ იყვენნ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სა-
სუფეველი ცათად“, მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და პატივი, თანა მამით
და სულით წმიდითურთ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისად

არმონიოდს მიმართ, თუ რად არს

აღთქუმად ქრისტიანისად

და ძალი და სახელი მისი

ვითარცა-იგი იქმან მპყრობელთა მიმართ დღითი-დღედთა ხარკთა

თანამდებნი, და უკუეთუ რაოდენთამე დღეთა თანანადები დააკლონ, მეყსეულად თითოეულისა დღისა თანანადებსა ერთბამად მიუზღვენ, უკუეთუ ღონიერობაჲ რამე იპოოს მათ თანა, ეგრეთვე ვიქმ მეცა შენისა პატოსნებისა მიმართ, რამეთუ თანამდებ ვარ შენდა ზედაჲსზედა მოწერად და წარმოცემად ეპისტოლეთა (ვინათგან ქრისტიანეთა აღთქუმაჲ თანანადები არს). ვინაჲცა გარდასრულისა მის ჟამისა მოწერისა დაკლებად, რომელი უნებლიეთ შეგუემთხვა, აწ გარდაჯდად ჰელ-ვყავ, და ესოდენ განვაგრძვე საზომი (12rA) ესე ეპისტოლისაჲ, ვიდრეღა, უკუეთუ ჩუეულებისაებრ მოწერილთა წიგნთა საზომად განიყოს, მრავალთა წიგნთა წილ შეირაცხოს.

და რადთა არა ურგებად ზრახვად შეირაცხოს სიგრძე ესე ჩუენისა ამის წიგნისაჲ, კეთილად ჰელ-ვყავ მოქსენებაჲ პირისპირ უბნობისა შენისაჲ ეპისტოლისა ამის სიტყუათა შინა.

და რამეთუ გაქსოვს უეჭუელად, რომელ ყოვლადვე მიზეზნი ურთიერთას ზრახვისა ჩუენისანი საწურთელ სათნოებისა და მიზეზ ღმრთისმსახურებისა იყვნეს. და რამეთუ შენ, ვითარცა მოძღუართა, მარადის წინა-გვყოფდ სიტყუათა შენთა და არარას თქუმულთაგანსა შეიწყნარებდ გამოუძიებელად. ხოლო ჩუენ, ვითარცა უხუცესნი ჟამითა, ყოვლადვე შემდგომითი-შემდგომად ძალისაებრ თქუმულთა შენთაჲსა

საძიებელსა ამას განგიმარტებდით და უკუეთუმცა აწცა ეგრეთვე შესაძლებელ იყო ქმნად, რადთამცა გულისჯმის-ყოფად შენი მოგუცემდა მიზეზსა სიტყუსასა, უაღრესმცა იყო ესე ყოვლისავე და უმჯობეს, (vD) და მრჩობლიმცა იყო ორთავე შესაძინელი; პირველად, ურთიერთას ხილვითა (რომლისა რადმცა იყო ჩემდა უტკბილეს და უსაწადელეს საწუთროსა ამას შინა!), და მერმე, – გონიერებისა შენისაგან, ვითარცა საცემელითა ბარბითთაჲთა, აღძრვად მოხუცებულისა ამის ბობღნისა ჩუენისა. ხოლო ვინათგან საწუთროჲსა ამის ცხორებისა იძულებად ჯორციელად განგუა-შორებს ჩუენ ურთიერთას, მოვედ ბარე და სულითა შევიერთნეთ.

ხოლო საჭირო არს, რადთა, ვითარცა მარილი რადმე, სიტყუათა შენთა პირი შემოვილოთ, უკუეთუ ოდენ სიტყვსგებათა მათ შენთაგან სიტყვსა რაისმე (vB) მოჰსენებად შეუძლოთ. რამეთუ კეთილ არს, რადთა პირი რადმე სულთა სარგებელი ვყოთ დასაბამად წინამდებარისა ამის წიგნისა, და მერმე წინამდებარესა მას სიტყუასა გულსმოდგინედ ჰელ-ვყოთ გამოძიებად.

და ვითარცა-იგი მრავალგზის განვიხილევდით ამის პირისათჳს, აწცა კუალად ჰელ-ვყოთ განხილვად, თუ რად არს აღთქუმად ქრისტიანისაჲ; და ვჰგონებ თუ არა ურგებ იყოს ჩუენდა, არცა უნაყოფო, ამის პირისათჳს გამოძიებაჲ. რამეთუ, უკუეთუ გამოწულილვით იპოვოს სახელისა ამის გამოცხადებაჲ და ძალი, მრავალი შეწევნაჲ მომცეს ჩუენ სათნოდ ცხორებისა მიმართ, და რადთა ჰქემარიტებით ვისწრაფდეთ მალლისა მოქალაქობისა მიერ ყოფად, რად-იგი გუეწოდების.

რამეთუ, ვითარცა-იგი უკუეთუ ვინმე მკურნალად გინა რიტორად გინა ქუეყანისმზომელად წოდებაჲ ინებოს, თჳნიერ წურთილებისა სახელის-დებასა მას არა თავს-იდებს რამეთუ ემხილების გამოცდილებისაგან, რაჟამს არა იპოვოს, რად-იგი ეწოდების. ხოლო რომელსა ჰქემარიტებით ენებოს ამათგანისა რადსმე წოდებაჲ, რადთა არა ამხილოს მას ტყუვილით წოდებამან მან სახელისამან, საქმეთა მიერ ისწრაფენ დამტკიცებაჲ სახელისა თჳსისაჲ; ეგრეთვე სახედ ჩუენცა, უკუეთუ ჰქემარიტი სახე ქრისტიანეთა აღთქუმისაჲ გამოწულილვით გამოვიძიოთ და ვპოვოთ, არა თავს-ვიდვათ, რადთამცა არა ეგრეთ ვიყვენით, ვითარ-იგი სახელი ჩუენი მოასწავებს; რადთა არა ქიისათჳს თქუმული იგი ზღაპარი გარეშე(126rD)თა მიერ – ჩუენ ზედაცა აღესრულოს.

ლილვით გამოვიძიოთ და ვპოვოთ, არა თავს-ვიდვათ, რადთამცა არა ეგრეთ ვიყვენით, ვითარ-იგი სახელი ჩუენი მოასწავებს; რადთა არა ქიისათჳს თქუმული იგი ზღაპარი გარეშე(126rD)თა მიერ – ჩუენ ზედაცა აღესრულოს.

რამეთუ იტყვან, ვითარმედ განმცხრომელმან ვინმე ალექსანდრიელთა ქალაქსა განსწავლა ქიაჲ ფერჳით მღერასა და მგოსნობასა, და შეჰმოსა მას სახე და სამოსელი, საქმისა მის შემსგავსებული. და

მომღერალნი განაწყვენა და შემოიყვანა ქიად იგი, რადთა ტაბაცობ-
დეს და მიმოდრკებოდის სახიობათა მათებრ და ავაჯთა და ჳმათა
მგოსნობისათა. და ყოვლით კერძო ჳფარვიდა ბუნებასა სახეთა მათ
მიერ და საქმეთა, რომელთა-იგი იქმოდა.

და ვითარ-იგი ერთა აღვსებულ იყო თეატროდ ახლისა მისთვის
და უცხოდასა სახილველისა, იყო ვინმე მათ შორის მკვრცხლი და
მანქანად, და ენება, რადთა უჩუენოს მათ, რომელნი-იგი განლიგე-
ბულნი განიცდიდეს განცხრომასა მას და ტაბაცობასა ქიისასა, ვი-
თარმედ ქიად – ქიად არს. და ვითარ-იგი ჳმობდეს ყოველნი და
იტყუელვიდეს ჳელოვნად მიმოქცევისა მისთვის ქიისა და მორთვით
ავაჯთა მათებრ სახიობისათა ტაბაცობისა, იტყვან უკუე, ვითარმედ
ადგილსა მას, რომელსა როკვიდა, დაუსხეს მას ჳამადი იგი, რომე-
ლი ნაყროვნებად მოიზიდვიდა მკეცსა მას; ესე იგი არს, ლელჳ და
ნიგოზი და ნუში. ხოლო მან, იხილა რად ხილი იგი, წინაშე განმ-
ცხრომელთა დასხმული და მიმოდათესული, დაივიწყა როკვად იგი
და განცხრომად და სამოსლითა განშუენებად, და იწყო ბრჳალთა
მჯილითა ჳამადისა მის შეკრებად; და რადთა არა ეცეს ყენება,
უპყრა მოპოვნებულსა მას სახესა, რომელი იდვა პირსა ჳედა მისსა,
და დაბძარა იგი და მიმოდაყარა, და ესრეთ, მეყ(259rB)სა შინა
სიცილად და ბასრობად აღძრნა მხილველნი თჳსნი, და ქებისა წილ
და საკვრველებისა, სამაგელ და საკიცხელ იქმნა უშუერებისა თჳსი-
სა გამოცხადებითა.

აწ უკუე, ვითარცა-იგი მას არა კმა-ეყო მოპოვნებული იგი სახე,
კაცად საგონებელი, კაცებად, ემხილა რად ნაყროვნებისა მიერ
პირუტყუებრივი იგი ნებად მისი და ბუნებად, (vA) ეგრეთვე უკუე,
რომელთა ჳემმარიტებით ბუნებითი იგი სახე სარწმუნოებისად საქმით

არა შეამკონ, ადვილად ემხილოს მათ ამის ცხორებისა (vD) უძღე-
ბობად და ნაყროვნებად, და რამეთუ აღთქუმისა მის მათისა უცხოდ
სახე ჳმოსიეს. რამეთუ ლელჳსა და ნუშისა და სხჳსა რადსმე ესევი-

თარისა წილ ცუდადმზუაობრებად და პატივისმოყუარებად და ან-გაპრებად და გემოთმოყუარებად და სხუანი იგი, რაოდენნიცა ესევი-თარნი ეშმაკისა სანუკვარნი ნაყროვანთა წინაშე სამღერელსა შინა ამის ცხორებისასა დაბნეულ არიან, მყის ამხილებენ სულთა მათ პირუტყუებრთა და ქიისა მიმსგავსებულთა, რომელნი მოპოვნებულთა სახითა ქრისტიანობასა იჩემებენ და გინათუ სიწმიდისა ანუ სიმშკდისა ანუ სხვსა რომლისამე სათნოებისა სახესა, რამეთუ ჟამ-სა ვნებათა კუეთებისასა მეყსეულად აღიდრცვან და თვსთა მათ ვნებათა მონებასა მისცემენ თავთა თვსთა.

ვინაცა თანა-გუაც გამოწულილვით გულისკმის-ყოფად, თუ რად არს აღთქუამა ქრისტიანისად, რადთა ნუუკუე და ამის მიერ ვიქმნნეთ სეხნა და საქმით მოსახელე სახელისა ჩუენისა, და რადთა არა მარტივითა აღსარებითა და სახითა ხოლო სახელისადთა გამოსახულნი, სხუებრ რადმე ვჩნდეთ და არა, რად-იგი ვიყვნეთ წინაშე დაფარულთა მხედველისა მის და გულთა და თირკუმელთა განმკითხველისა ღმრთისა.

პირველად უკუე განვიხილოთ, თუ რად არს შეტყუებად ქრისტიანეთა სახელისად. ბრძენთა მიერ უკუე და გონიერთა იპოვების უმაღლესიცა რადმე და უღრმესი ძალი, მაღლისა ამის სახელისა თანა აღმაღლებული. ხოლო ჩუენ რომელსა-იგი ამის პირისათვს გულისკმა-ვპყოფთ, ესე არს, რამეთუ, უკუეთუ ქრისტიანისა სახელი განცხადებულითა სიტყვთა გამოთარგმანებად მოვიდეს, მეფობასა აუწყებს, და საღმრთონი წერილნი მეფობისა პატივსა ესევითარითა ამით სიტყვთა განთვსებულად თვსთა ადგილთა წარმოაჩენენ.

ხოლო ვინადთგან, სიტყვსაებრ წერილთადსა, გამოუთქუმელ არს ღმერთი და მიუწოდომელ და ყოვლისავე მოგონებისა უმაღლეს, სულითა წმიდითა აღვსებულნი წინადაწარმეტყუელნი და მოციქულნი მრავალფერთა სახე(127rD)თა და სახელთა მიერ გულისკმის-ყოფად საღმრთოდას მის დიდებისა მიგვპულუებიან და სხვთა და სხვთა სახითა ღმრთივმუნეირად და მრავალსახედ გუასწავებენ საღმრ-

თოდთა მოძღურებითა, რამეთუ ყოველთა ზედა კელმწიფებასა მეფობისა სახელითა გუაუწყებენ, ხოლო ყოველთავე ვნებათა და სიბოროტეთაგან მიუახლებელობასა მისსა მაღალთა მათ სათნოებათა სახელის-დებითა მოგვთხრობენ; რამეთუ უ(vB)წოდენ მას [სი]მართლედ და სიბრძნედ და ძალად და ჭემმარ-იტებად და სახიერებად და ცხორებად და მაცხოვრად და უხრწნელებად და უქცეველად და უცვალებელად, და ყოველივე, რაოდენიცა არს მაღალი მოგონებაჲ, ესევეითართა ამათ სახელთა მიერ სახელ-დებული, ყოველთავე ქრისტესთჳს ქადაგებენ და იტყჳან.

აწ უკჳე, ვინაჲთგან ყოველივე მაღალი სახელი სახელსა შინა ქრისტესსა შემოისაზღვრების და ყოველნივე იგი შემოკრებულად მეფობისა წოდებასა შინა იხილვებიან, ვჰგონებ თუ არღარა ძნელ იქმნეს ჩუენდა ქრისტიანობისა თარგმანებასა განგონებაჲ.

რამეთუ, უკჳეთუ აღმატებულისა მის და უხრწნელისა ბუნებისა მაუწყებელთა სახელთა სეხნად მიწოდებით მისდა მიმართ სარწმუნოებითა მისდა შეერთებულნი, მაშა ყოვლითურთ საჭირო არს და თანაწარუვალ, რაჲთა ყოველივე, რაოდენიცა უხრწნელისა მის ბუნებისა წოდებასა თანა იხილვების, მისიცა სეხნაობაჲ მსგავსად ძალისა ჩუენისა მოვიგოთ; და ვითარცა ქრისტეს ზიარებაჲ ქრისტიანობისა წოდებითა მოგუეცა, ეგრეთვე თანა-გუაც, რაჲთა ყოველთავე მათ მაღალთა სახელთა მისთა ზიარებაჲ მოვიგოთ; და ვითარცა, რომელმან წუერსა ჯაჭუთასა უპყრას, მისთანათა მათ ჯაჭუთა ყოველთავე ერთბამად მიიზიდავს, ეგრეთვე, ვინაჲთგან ყოველნივე იგი უხრწნელისა მის და გამოუთქუმელისა და მრავალსახისა ნეტარებისა სახელნი წოდებასა შინა ქრისტესსა შეიერთებიან, უეჭუელ არს, ვითარმედ, რომელმან ერთსა მათგანსა უპყრას, სხუათაცა მათ ერთისა მის თანა მიიზიდავს.

ვინაჲცა, სახელი თუ ვინ ქრისტესი სახელ-იდვას, ხოლო, რაოდენ-

იცა სახელისა მის თანა იხილვების, არა აჩუენოს ცხორებისა (vD) მიერ თვისისა, ცრუ არს და მტყუვარ სახელისა მის მიმართ ეგევ-ითარი იგი, იგავისა მისებრ ზემოვსენებულისა, და უსულოსა სახესა, კაცობრივითა ხატითა გამოხატულსა, დაადგამს თავსა მას ზედა ქიისასა. (13rA) რამეთუ, ვითარცა-იგი არა არს ქრისტე, რომელი-

იგი არა იყოს სიმართლე და სიწმიდე და ჭეშმარიტე-ბა და ყოვლისავე ბოროტისაგან უცხო, ეგრეთვე არცა ქრის-ტიანე ჭეშმარიტ – რომელი სახელთა მათ ქრისტესთა ზიარებასა თავსა შორის თვისსა არა გამოაჩინებდეს.

და უკუეთუ ვის ენებოს ძალსა და საზღვარსა ქრისტიანობისასა ცნობად, ესრეთ ვპრქუათ მას, ვითარმედ ქრისტიანობად არს საღმრთოდსა ბუნებისა მსგავსებად.

და ნუვინ შეასმენნ საზღვარსა ამას, ვითარცა მაღალსა და აღ-მატებულსა მდაბლისა ამის ბუნებისა ჩუენისაგან, რამეთუ არა გან-სრულ არს წესთა მათგან ბუნებისათა, რამეთუ, უკუეთუ ვინ პირვე-ლი წესიერებად კაცებისად მოიგონოს, პოოს წიგნთა მოძღურები-საებრ, რამეთუ არა აღმატებულ არს საზღვართაგან ბუნებისათა სიტყუად ჩუენი.

და იხილე, ვითარ-იგი მოსე სიბრძნის-მეტყუელებს კაცისათვს და იტყვს ვითარმედ: შექმნა ღმერთმან კაცი მსგავსად ღმრთეე-ბისა თვისისა. და უკუეთუ პირველი იგი დაბადებად კაცისად – მსგავსებად იყო ღმრთისად, და უკუეთუ ქრისტიანობისა აღთქუამად არს პირველსავე პატისა აღსლვად კაცებისად, და პირვე-ელ კაცი მსგავს იყო ღმრთისა, მაშა არა სამე გარეგან წესისა განვაჩინეთ ჩუენ საზ(260rB)ღვარი იგი კაცებისად, ვთქუთ რად ჭეშ-მარიტისა ქრისტიანისათვს, ვითარმედ: მსგავს არს იგი ღმ-რთეებისა.

ვინადთგან უკუე აღთქუამად ესე სახელისად ესრეთ დიდ არს და მაღალ, ჟამი არს გამოძიებად, თუ რად შემთხუევად არს მისდა,

რომლისა ცხორებად უცხო იყოს ამის სახელისა საქმეთაგან, და თუ რაბამნი ზღვევანი მოწევნად არიან მის ზედა. და რადთა უცხადეს იქმნეს გამოძიებად ესე, იგავიცა რადმე შემოვილოთ ამის პირისათვის.

იყავნ უკუე მხატვრობისა კელოვნებითა მოქადული ვინმე. და მერმე ებრძანენ მას მეფისა მიერ, რადთა შორიელთა ვიეთმე ნათესავთა გამოუსახოს და წარსცეს ხატი მეფისაჲ.

აწ უკუე, უკუეთუ დუხჭირი (128rD) რადმე და სამაგელი სახე გამოსახოს და უშუერსა მას გამოსახულსა ხატად მეფისაჲ

უწოდოს, არა-მე სამართლად განურისხნესა ეგევითარსა მას კელმწიფე იგი, ვითარცა პირმშოდსა ხატისა სიკეთისა უშუერად გამოწერითა უცხოთა ნათესავთა შორის მაგინებელსა? რამეთუ, ვითარი სახე ხატისა მის შორის იხილვებოდის, განალა უეჭუელად ეგრეთვე საგონებელ იქმნების პირმშოდსა მისცა ხატისა სახე.

ვინაჲცა, ვინაჲთგან მსგავსებად ღმრთისა ეწოდების ქრისტიანესა, მაშა, უკუეთუ ვისმე არღა შეეწყნაროს სიტყუაჲ სარწმუნოებისაჲ, ვითარი ცხორებაჲ ჩუენ შორის იხილოს, არა ეგევითარივე ჰგონოსა დამზადებელიცა ჩუენი? უკუეთუ კეთილი სახე იხილოს ჩუენ შორის, კეთილად და სახიერად ჰრწმენეს ღმერთიცა, ჩუენ მიერ დიდებული და ქებული. ხოლო უკუეთუ ვინმე იყოს ვნებული და მჯეცებრივი, და სხუად და სხუად სახედ ვნებათა იცვალეზოდის და მრავალფერთა მჯეცთა სახესა შეიმოსდეს (რამეთუ ბუნებისა წესთა განმრყუნელნი სამართლად იწოდებიან მჯეცად), და მერმე ესევითარი იგი ქრისტიანედ უწოდდეს თავსა თვსსა, და ყოველთა მიერ ცხად იყოს, ვითარმედ ქრისტიანობაჲ მსგავსებაჲ არს ღმრთისაჲ, არა საგმობელ იქმსა ეგე-ვითარი იგი დიდებასა ღმრთისასა? – ჰე, ჰეშმარიტად!

ამისთვისცა რისხვასა საშინელსა განაჩინებს ეგევითარისა მისთვის საღმრთოდ წერილი და იტყვს: ვაჲ მათდა, რომელთა მიერ სახელი ჩემი იგმობვის წარმართთა შორის.

და ამისვე პირისა გამოჩინებად იტყოდა უფალი მათდა მიმართ, რომელნი-იგი შემძლებელ იყვნეს სმენად, ვითარმედ: იყვენით სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს. რამეთუ, რომელ-მან-იგი მორწმუნეთა მამად ჭემმარიტსა მას მამასა უწოდა, ესრეთ ბრძანებს, რადთა კეთილთა მათ მისთა სისრულე მის მიერ შობილთა მათცა მიმსგავსებულად მისდა სრულებით აქუნდეს.

მრქუა სამე, ვითარმედ: და ვითარ შეუძლოს კაცობრივმან სიგლახაკემან საღმრთოჲსა ბუნებისა თანა ხილულთა ნეტარებათა მიწუდომად (რამეთუ თვთ მებრ ეგე სიტყუად უღონოებასა შორის-შემოიღებს), და ვითარ ეგების, რადთამცა მამასა მას ზეცათასა მიემსგავსა მიწისაგანი ესე და (vD) ქუეყანისად, ვინადთგან თვთ იგივე ბუნებად ცხად ჰყოფს მიუწდომელობასა მიმსგავსებისა მისი-

სასა, და ვითარმედ სწორებით უღონო არს ცისა სივრცისა და სამკაულთა მისთა სიმაღლისა და სიკეთისა სახედველთა შესწორებად და ზეცათა ღმრთისა ქუეყანისა კაცისა მიმსგავსებად?

გარნა ცხად არს და მოკლე ამისი პასუხი, რამეთუ, არა თუ კაცობრივსა ბუნე(vB)ბასა შეასწორებს სახარებად). ბუნებასა თანა ღმრთეებისასა, არამედ კეთილთა საქმეთა, რაოდენცა მალ-ედვას მიმსგავსებად ცხორებასა ამას შინა. (vA)

და რომელნი-მე არიან საქმენი იგი ჩუენნი, რომელნი საქმეთა ღმრთისათა ემსგავსებიან? – ესე იგი არს, რადთა ყოვლისავე სიბოროტისაგან უცხო ვიქმნეთ, რაოდენცა შეუძლოთ, და რადთა სიტყვთ და საქმით და გონებით ყოვლისავე ბიწისაგან წმიდა ვიქმნეთ. და ესე არს ჭემმარიტად სისრულისა მის ზეცათა მამისა მაღალი იგი მიმსგავსებად. რამეთუ არა თუ ზეცათა აგებულებისა განშორებასა და სიმაღლესა მოასწავებს სიტყუად იგი სახარებისად, და ვითარცა განთვსებულსა საყოფელსა და სამკვდრებელსა ღმრთისასა, და ამისთვის გუამცნებს სრულ-ყოფად, მობაძავად ზეცათა მამისა, რამეთუ ღმერთი არა შეიწყუდევის ადგილსა შინა, არამედ

სწორებით აღავსებს ზეცათა და ქუეყანასა დიდებითა თვისითა, და ყოველთა დაბადებულთა სწორებით მისწუთების და სწორებით განაგებს და არარა არს არსთაგანი, რომელიმცა მისგან განიყო, და არსებასავე შინა არსთასა ეგო არამედ ყოველთავე არსთა სწორებით საღმრთოდ იგი ბუნებაჲ ჰმართებს, და ყოვლისა-მპყრობელი იგი ძლიერებაჲ მისი ფლობასა ქუეშე თვისსა შეიცავს ყოველთავე, ვითარცა-იგი გუასწავებს წინაღწარმეტყუელი ამის პირისათვის და იტყვს, ვითარმედ: გინა თუ ზეცად აღვკდე გონებითა, ანუ თუ ქუესკნელად შთავკდე გულისსიტყვთა, გინა თუ კიდეთამდე ქუეყანისათა გონიერებაჲ სულისაჲ განვჰმართო, ყოველსავე ვხედავ მარჯუენითა შენითა დამტკიცებულად და განგებულად.

ხოლო სიტყუად იგი, რომელსა იტყვს, ესე არს, ვითარმედ: „აღ-თუ-ვკდე ცად, შენ მუნ ხარ, და შთა-თუ-ვკდე ჯოჯოხეთად, მუნცა ახლოსვე ხარ; (129rD) და აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვდრო მე დასასრულსა ზღვსასა, და რამეთუ მუნცა კელი შენი მიძლოდის მე და მარჯუენემან შენმან შემიწყნაროს მე“.

ამათ უკუე სიტყუათა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ არა განუკუ-თნავს ღმერთსა უმეტეს რადმე ცათა შინა მკვდრობაჲ, არამედ ვინაფთგან ზესკნელნი იგი საყოფელნი ყოვლისავე სიბოროტისაგან წმიდა არიან, ამისთვის წმიდანი წერილნი მრავალთა ადგილთა, ვითარცა იგავით, გუაუწყებენ ქუეყანისა ამას და ნივთიერსა ცხორე-ბასა, სადა-ესე სიბოროტისა ესე ვნებანი აღესრულებიან, ვითარმედ მომპოვნებელი იგი ბოროტთაჲ გუელი აქა ითრევების და ვალს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: მკრდითა და მუცლითა შენითა ხვდოდი და მიწასა ქუეყანისასა შჭამდე სამარადისოდ.

ესე უკუე სიტყუად და სახე ძრვისა მისისაჲ და წესი საზრდელისა მისისაჲ გუაუწყებს ჩუენ, ვითარმედ ქშენად ესე და ქუეყანისა ცხორებაჲ არს, რომელი-ესე ვითარცა შეშად ფატარი მატლსა მას და მდილსა, მრავალსახესა სიბოროტითა, თავსა შორის თვისსა შეი-

წყნარებს და საზრდელ იქმნების მის ზედა მავალისა მის მკეცისა.

ვინადაც, რომელი-იგი ზეცათა მამისა მიმსგავსებასა გვბრძანებს, ქუეყანისა ვნებათაგან განწმედასა გუამცნებს, რომელთაგან სივლ-ტოლად არა ადგილითი-ადგილად ცვალებითა იქმ(261rB)ნების, არამედ ნებითა ხოლო და გულსმოდგინებითა სრულ-იქმნების. და ვინადაც ნებითა ხოლო გონებისადათა წარემართების ბოროტთაგან უცხო-ყოფად, არარას სამნაურსა გვბრძანებს ჩუენ სიტყუად იგი სახარები-სა, რამეთუ ნებასა გონებისასა არარად შეუთქს ჭირი და შრომად, არამედ უშრომელად ძალ-გვც, სადაცა გუენებოს, გონებითა მიწევნად.

ვინადაც არა ძნელ არს ზეცათა მოქალაქობისა მოგებად ქუეყა-ნასაცა ზედა, უკუეთუ ოდენ ვის ენებოს, ვითარცა გუამცნებს მო-ციქული, რადთა ზეცისასა ვზრახვიდეთ, და, სიტყვსაებრ სა-ხარებისა, ზეცისა მათ საუნჯეთა შინა შევიკრებდეთ სიმდიდრესა სათნოებათასა, რამეთუ გუამცნებს, ვითარმედ: „ნუ იუნჯებთ საუნ-ჯესა ქუეყანასა ზედა, არამედ ცათა შინა, სადა-იგი არცა მღილი, (vD) არცა მჭამელი განჭრყუნის და ვერცა მპარავნი დასთხრიან და განიპარვენ“. და ამის ბრძანებისა მიერ ცხად არს, ვითარმედ ზეცისა ცხორებასა შინა არცა ერთი რად ძალი ნეტარებისა განმხრწ-ნელთაგანი მოქალაქობს ყოვლადვე. რამეთუ განმრყუნელი იგი კაცთა ცხორებისად მრავალსახედ და პირად-პირადად დასთესავს თვსსა

მას სიბოროტესა. და ანუ თუ ვითარცა მღილი იშვების გონებათა შინა, და განჭრყუნის კერძოსა მას, რომელსაცა შინა იშვეს, და ანუ თუ ცხორებასა შინა კაცისასა აღმოსცენდების, და არა თუ მსწრაფლ განიბერტყოს კეთილად ცხორებითა, მახლობელთა მათ კერძოთა შეეხების. და ვინადაც კერძოცა მივიდეს, ძრვისა მიერ თვსისა კუალთა ხრწნილებისათა განამრავლებს. და უკუეთუ ვინმე შინაგან განეკრძა-ლოს, გარეშეთა განსაცდელთა მიერ იავარ-ჰყოფს; რამეთუ ანუ თუ გულისთქუმათა მიერ საუნჯეთა მათ გულისათა განჰკრეხავს, (14rA) ანუ თუ მწუხარებითა და რისხვითა და ძვრისკსენებითა წარიპარავს

სულსა, და ანუ თუ სხუათა მათ ესევეთართა ვნებათა მიერ საგან-
ბურსა მას სათნოებათასა დააცალიერებს.

ვინაძთგან უკუე, სიტყვსაებრ უფლისა, ზეცისა მათ საუნჯეთა
შინა არცა მღილი განჰრყუნის და არცა მჰარავი წარიჰარავს, მოვედით
და მუნ დავიუნჯოთ სიმდიდრე ჩუენი, სადა-იგი საუნჯე ჩუენი არა
ხოლო თუ წარუპარველად და განურყუნელად ჰგიეს მარადის,
არამედ, ვითარცა თესლი დათესული, მრავალწილად აღორძნდების
და განამრავლებს აღნადგინებსა თვსსა. რამეთუ უეჭუელად [გონებ-
ისაებრ] მიმღებელისა, ნამარხევისა მის ჩუენისა ჯერ-არს აღორძინებად
მოსაგებელისააცა, რამეთუ ჩუენ, ვითარცა ვართ გლახაკნი, გლახ-
აკისა ბუნებისა ჩუენისაებრ ვიქმთ ქველისსაქმესაცა და შევსწირავთ
შესაწირავსა. ეგრეთვე ღმერთსა, ვითარცა მდიდარსა, თვსი სიმდი-
დრე და უხუად მიმნიჭებელობად გარდამატებულად აქუს და უცვალე-
ბელად. და უკუეთუ ვინ ავასხოს, უხუებით მისცემს ნიჭთა [თვსთ]ა.

ნუმცა ვინ უკუე ზრუნავს, ნუცა ეურვის, რაჟამს ძალისაებრ
თვსისა (130rD) იუნჯებდეს (vB) საუნჯეთა მათ შინა ზეცისათა, და
ნუცა ჰგონებს თუ ეგრეთვე საზომისაებრ დაუნჯებულისა მის და
მიცემულისა მოიღოს სწორი; არამედ მოელოდენ აღთქუმისა მისებრ
უტყუველისა, რამეთუ კნინთა წილ და უნდოთა დიდნი მოიხუნეს და
გარდარეულნი მოსაგებელნი, ესე იგი არს, ქუეყანისათა წილ –
ზეცისანი, და განხრწნადთა წილ – უხრწნელნი, რომელთა-იგი
ბუნებად ესევეთარი არს, რომელ არცა თუ გონებასა ძალ-უც მოგ-
ონებად, არცა თუალსა ხილვად, არცა სიტყუასა გამოთარგმანებად,
ვითარცა ღმრთივსულიერნი წიგნნი გუასწავებენ, ვითარმედ: „არცა

თუალმან იხილა და არცა ყურსა ესმა და არცა გულსა კაცისასა
მოუკდა, რომელი-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუართა თვსთა“.

ესე მივწერეთ შენდა, პატოისანო და საყუარელო ძმაო, წიგნთა
მათ წილ, რომელნი დაგაკლენით, და არა ხოლო თუ მათი ოდენ
ნაკლულევანებად აღმოვავსეთ, არამედ შემდგომთაცა ვალი გარ-

დავიკადეთ შემდგომისა ამის ეპისტოლისა აღწერითა. ხოლო შენ ღირს გყავნ უფალმან აღსრულებად სათნოებათა მათ, რომელნი ღმერთსა მოიმაძღვებენ; და იგინიმცა არიან სასწრაფო შენდა სამარადისოდ, რომელნი ღმერთსა მხიარულ ჰყოფდენ და ჩუენდა საწადელ იყვნენ და სასურველ.

**ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისაჲ
არმონიოს და კესარიონ და ულუმპოს მოღუაწეთა მიმართ
სისრულისათჳს
და რადთა უწყოდით, თუ ვითარი ჯერ-არს
რადთა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანე**

შუენის კეთილსა მაგას და ღმრთისმოყუარესა ნებასა და გონებასა თქუენსა და შეჰგავს ესევეითარი ესე მოსწრაფებაჲ, რადთა უწყოდით თუ ვითარ ვინ სრულ იქმნეს სათნოდ ცხორებისა მოქალაქობითა, რადთა ესრეთ სრულებით და უნაკლულოდ წარჰმართოთ უბიწოდ ეგე ცხორებაჲ თქუენი და ყოვლადღირსი მოქალაქობაჲ, ხოლო მე ყოვლით კერძო გამოვიძიე ცხორებასა შინა ჩემსა, უკუეთუმცა ვითარ შეუძლე სახისა რადსმე, თქუენ მიერ საძიებელისა და სასურველისა, პოვნად, რადთამცა პირველ სიტყუათაჲსა საქმეთა მიერი მოძღურებაჲ მიგიძღუანე, და ესრეთმცა უსარწმუნოეს იყო საღმრთოთა სწავლათა მითხრობაი, (vD) რაჟამს ცხორებაჲ ჩუენი სიტყუათამცა ჩუენთა თანა დუმილით ეწამებოდა და მეტყუელებდა.

და ამისთჳს ვილოცავ, რადთა იქმნეს ესე ოდესმე. ხოლო აწ არღა ვხედავ ესევეითარსა რასმე თავსა შორის ჩემსა, რადთამცა სიტყუათა წილ ცხორებასა წარმოვაჩინებდი, არამედ რადთა არა სრულიად უჰმარ და ურგებ გამოვჩნდეთ პირისა მის მიმართ, თქუენ მიერ საძიებელისა, ამისთჳს, ვითარცა საგზალი რადმე უბიწოდსა ცხორებისაჲ, საღმრთოთა წერილთაგან შეგიძხადე თქუენ ეპისტოლე ესე, შენელე-

ბული ღმრთივბრწყინვალედ სამოციქულოთა მათ სწავლათა მიერ, და ესრეთ ვჰყოფ დასაბამსა სიტყვასა, და ამიერ ვიწყებ.

ყოვლადსახიერმან მეუფემან ჩუენმან იესუ ქრისტე კაცთმოყუარებითა თვისითა მოგუანიჭა ჩუენ ზიარებად თაყუანის-საცემელისა სახელისა თვისისად, და რადთა სხვსა არარად(262rB)საგან სახელ-გუედებოდის ჩუენ; არცა სიმდიდრისა, არცა წარჩინებულებისა, არცა მამათა და ტომთა სიმაღლისა, არცა მკოდოვთა შვილებისა, არცა სიგლახაკისა, არცა ველოვნებათა და პატივთა საჩინოებისა, არამედ რადთა ყოველნივე ესე ესევითარნი სახელნი დუმნენ, და მისსა მიმართ მორწმუნეთა ერთა ხოლო სახელი ჭემმარიტი ეწოდებოდის, რომელ არს ქრისტიანი.

და ვინადთგან ესე სახელი (14vA) მადლისა მიერ საღმრთოდა პირველითგან დამტკიცებულ არს ჩუენ ზედა, ჯერ-არს და თანანადებ, რადთა პირველად ნიჭისა ამის სიდიდე განვიცადოთ, რადთა ღირსი მადლობად შევწიროთ ღმრთისა, რომელმან ესევითარი ესე ნიჭი მოგუანიჭა ჩუენ, და მერმე, რადთა ესევითარი ცხორებად მოვიგოთ, ვითარსა ეძიებს დიდისა ამის სახელისა ძალი.

ხოლო ნიჭისა ამის დიდისა ძალი, რომლითა სეხნა მეუფისა ჩუენისა ვიქმნენით, ესრეთ საცნაურ იქმნეს ჩუენდა, უკუეთუ ქრისტესთვს მოსწავებულნი სახელნი გულისგმა-ვყვნეთ, რადთა ვცნათ, რაჟამს ყოველთა უფალსა ლოცვათა შინა ჩუენთა ამით სახელითა უწოდდეთ და ვევედრებოდით, თუ ვითართა გულის-სიტყუათა მოვიგონებთ სულთა შინა ჩუენთა, ანუ თუ კუალად, განვიცადოთ რად სახელი ესე, თუ ვითართა კრძალულებითა და სარწმუნოებითა ვხადით სახელსა მისსა, და რაჟამს ესე გულისგმა-ვყოთ, მერმე თუ ვითართად ჯერ-არს ყოფად ჩუენი და მოსწრაფებად და (131rD) ცხორებად, განცხადებულად ვისწაოთ, რაჟამს მოძღურად და წინამძღურად ცხორებისა ჩუენისა – საღმრთოდ იგი სახელი ვიჯუმიოთ.

აწ უკუე მთავარ და მასწავლელ ორისავე ამის გამოძიებისა ჩუენისა

იყავნ პავლე მოციქული, რადთა უცთომელ იქმნეს სლვად ჩუენი და სამიებელთა ამათ გამოთარგმანებად, რამეთუ ამან გამოწულილვით გულისწმა-ყო, თუ ვინ არს ქრისტე და თუ ვითარი ჯერ-არს, რადთა იყოს, რომელი სახელ-სდებდეს სახელსა მისსა, რომელმან-იგი პირველ საქმით ქმნა და მერმე სიტყვთ წარმოაჩინა, და ესრეთ ღმრთივბრწყინვალედ მიემსგავსა მას, ვიდრელა ხატი მეუფისა თვისისად თავსა შორის თვისსა გამოსახა განცხადებულად და გამოწულილვით მიმსგავსებითა მისითა შეცვალა ხატი სულისა თვისისად, მსგავსად

პირმშოდსა მის ხატისა, ვიდრელა არღარა პავლედ საგონებელ იყო მეტყუელი იგი, არამედ თავადსა ქრისტესა მის შორის ცხოველად უწოდდა, ვითარცა იტყვს თვსთა მათ კეთილთა კეთილად გულისწმისყოფელი იგი, ვითარმედ: „ანუ თუ გამოცდასა ეძიებთ ქრისტესსა, რომელი-იგი იტყვს ჩემ შორის“, და ვითარმედ: „ცხოველ არღა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ქრისტე ჩემ შორის“.

ამან უკუე ნეტარმან, და სახელთაცა ქრისტესთა სიმაღლენი გუაუწყნა ჩუენ და თქუა, ვითარმედ: „ქრისტე არს ღმრთისა ძალი და ღმრთისა სიბრძნე“. და კუალად, მშჯდობად სახელ-სდვა მას და ნათლად მიუახლებელად, რომელსა შინა მკვდრ არს ღმერთი, და სიწმიდედ და მკსნელად და მღდელთმთავრად დიდად და ზატიკად და სალხინებელად სულთა და ბრწყინვალეებად დიდებისად და ხატად ძლიერებისად და შემოქმედად საუკუნეთა და საჭმელად და სასუმელად სულიერად და კლდედ და წყლად და საფუძველად სარწმუნოებისა და თავად (vB) საკიდურად და ხატად ღმრთისა უხილავისა და ღმრთად დიდად და თავად გუამისა მის ეკლესიისა და პირმშოდ ახლისა დაბადებულისა და დასაბამად შესუენებულთა და პირმშოდ მკუდართა და პირმშოდ

მრავალთა შორის ძმათა და შუვამდგომელად ღმ-
რთისა და კაცთა და მედ მხოლოდშობილად,
დიდებითა და პატივითა გვრგვნოსანად (vD) და
უფლად დიდებისად და დასაბამად დაბადებულ-
თა და მეუფედ სიმართლისად და მეუფედ მშ-
ლობისა და მეუფედ ყოველთა, რომელსა-იგი გარე-
შემოუწერელად აქუს სიმტკიცე მეფობისად, და სხუანი ესევეითარნი
მრავალნი, რომელთა აღრიცხუვად არა ადვილ არს, და რაჟამს ესე

ყოველნი ურთიერთას შეიერთნენ, თითოეულისა სახელისა ძალი,
თავისა მიერ თვისისა უწყებულისა მის გამოცხადებისა შემოღებითა,
სახისმეტყუელებასა რასმე და გამოჩინებასა ქრისტესსა სახელთა მათ
მიერ გულისკმა-გვყოფს, და, რაოდენი ძალ-გვც განცდად სულითა,
ეგოდენსა გვჩუენებს ჩუენ გამოუთქუმელისა მის სიმდიდრისა ძალსა
და სიდიდესა, ხოლო ვინაფთგან ყოვლისა პატივისა და ჳელმწიფებისა
და ძლიერებისა უმაღლეს არს მეფობისა პატივი, და სახელი
ქრისტესი, პირველი და ჳემმარიტი, მეფობისა სიმტკიცესა მოას-
წავებს, ხოლო ვითარცა წიგნნი გუაუწყებენ, წინა-უძღუს ცხებად
მეფობასა, ხოლო მეფობად ყოველთა მათ სხუათა სახელთა ძალსა
შემოიკრებს და შეიცავს; ამისთვის, რომელმანცა უაღრესი იგი და თავი
ყოველთა სახელთად გულისკმა-ყოს, მას სხუათა მათცა, შემდგომთა
მისთა, სახელთა ძალი თითოეულად გულისკმა-უყოფიეს. ესე იგი
არს მეუფებად რომლისა გამომჩინებელი სახელი ქრისტეს სახე-
ლის-დებად არს. (15rA)

აწ უკუე, ვინაფთგან პირველისა და დიდისა და უაღრესისა სახ-
ელთადას სახიერებითა მეუფისა ჩუენისაფთა იქმნა ზიარებად ჩუენი,
და რაფთა სეხნაობითა ქრისტესითა პატივცემულთა ქრისტიანედ
გუეწოდებოდის, საჭირო არს და თანაწარუვალ, რაფთა ყოველნივე
იგი სახელნი, რომელნი ძალსა ამის სახელისასა განაცხადებენ, ჩუენ
შორისცა იხილვებოდინ, რაფთა არარაფ ამაფ და ტყუვილისა სახე-

ლი გუეწოდებოდის, რამეთუ არა თუ წოდებად იქმს საქმესა წოდებისასა, არამედ წოდებისა მის გამომაჩინებელი ბუნებად, ვითარცა იყოს, შეერთებითა მით სახელისადათა, და შემდგომებითა საცნაურ იქმნების. ესე იგი არს, რამეთუ, უკუეთუ ხესა ვინმე გინა კლდესა სახელი კაცისა (132rD) უწოდოს, ნუუკუე წოდებისა მის ძლით კაც იქმნესა ხე იგი გინა კლდე? – ნუ იყოფინ! არამედ პირველად ჯერ არს, რადთა კაცი იყოს, და მერმელა წოდებად სახელი ბუნებისა, რამეთუ არცაღა სახეთა და მსგავსებათა წოდებასა აქუს ჭეშმარიტებად, რადთამცა, უკუეთუ ვინ კერპსა და ძეგლსა და მსგავსებასა ცხენისასა კაცად და ცხენად უწოდა, დამტკიცნა-მცა წოდებად მისი და ბუნებად. არამედ, უკუეთუ ჰნებავს რადსამე ჭეშმარიტად და

უტყუველად წოდებად, ჭეშმარიტებად იგი წოდებისად საცნაურ ყავნ ბუნებისაგან და მოძრავობისა. ხოლო ნივთსა მას, შემწყნარებელსა სახისასა, ვითარცა იყოს, ეგევითარიცა სახელი ეწო(263rB)დენ, ესე იგი არს, გინა რვალი გინა ქვად ანუ თუ სხუად ესევეითარი რადმე, რომელსა-იგი ჰელოვნებამან შთააცუა სახე, ვითარცა ენება.

ვინადცა, რომელნი ქრისტეს სახელისაგან სახელ-სდებდენ თავთა თვსთა, პირველად თანა-აც, რადთა ეგევითარნი იქმნენ, ვითართა ეძიებს წესი იგი მაღლისა მის სახელისა, და მერმელა წოდებად წოდებად იგი ეგევითარისა მის სახელისა. რამეთუ, ვითარცა უკუეთუ ვინმე განჰყოფდეს ჭეშმარიტისა კაცისაგან სახესა, კაცისა სახელითა წოდებულსა, შემსგავსებულთა თვთებათაგან იქმს განწვალებასა, და ერთსა მას ცხოველად პირმეტყუელად უწოდს, გონებისა და ჰელოვნებისა შემწყნარებელად, ხოლო მეორესა მას – ნივთად უსულოდ, მსგავსებისა მიერ მიმდებელად ხატისა. ეგრეთვე ქრისტიანე ჭეშმარიტი და საგონებელი, წარმოჩინებულთა ხატოვნებითა თითოეულისა მსგავსებისადათა ვიცნნეთ. ხოლო ხატი ჭეშმარიტისა ქრისტიანისად არს იგი ყოველი, რომელი ქრისტესთვს გულისკმა-ვყავთ, რომელთა-იგი, რაოდენიცა ეტევს ბუნებასა შინა ჩუენსა, მივემსგავსე-

ბით, და რაოდენი არა ეტევის, პატივ-ვსცემთ და თაყუანის-ვსცემთ
ვინაჲცა ყოველნივე იგი ქრისტეს მომასწავებელნი სახელნი ჯერ-არს,
რადთა ბრწყინვიდენ ცხორებასა შინა ქრისტიანისასა; რომელნიმე
მიბადვითა და რომელნიმე თაყუანის-ცემითა, უკუეთუ ჰნებავს კაცსა
მას ღმრთისასა, რადთა სრულ იყოს და უნაკლულო, სიტყვსაებრ
მოციქულისა, და რადთა არა რომლითა სახითა სიბოროტისაჲთა
განჰრყუნიდეს შუენიერებასა და სიმრთელესა თვისსა; ვითარცა, რომელ-
ნი-იგი საწარმართ(vD)ოთა მათ ზღაპართა წარჰრევენ, და გინა თუ
სიტყვთ და გინა თუ გამოხატვით ცხენკაცთა რათმე და ვირ-დევთა და
ჰარისთავთა და ვეშაჰვერჯთა ანუ თუ სხუასა რასმე ესევეითარსა,
სხუათა და სხუათა აგებულებათაგან წარმოაჩინენ და შეაერთებენ.
არა თუ პირმოხოსა სახისა მიმართ და ბუნებისა აღიყვანებენ მს-
გავსებასა მას, არამედ ბუნებასა აგინებენ უჯეროდთა მით წარევენითა,
და თანა-წარჰვლენ საზღვარსა ბუნებათასა, და სხუასა რასმე უარსებოსა

და ამაოდ მოჰოვნებულსა გამოსახვენ, და არა კაცსა.

და ვინმცა უწოდა კაცად ესევეითარსა მას ამაოდ მოგონებულსა
და უცხოსახედ შეერთებულსა, დაღაცათუ კერძოდთა რადთმე კაცო-
ბრივისა გუამისა მსგავსებაჲ აქუნდეს მოჰოვნებულსა მას და ველურ-
სა სახესა.

ეგრეთვე, არცა ვის ჭეშმარიტად ქრისტიანედ სახელ-ედების,
რომლისა თავი პირუტყვსაჲ იყოს, ესე იგი არს, რომელსა თავი იგი
ყოველთაჲ, რომელ არს სიტყუაჲ, სარწმუნოებასა შინა არა აქუნდეს,
დაღაცათუ სხვთა საქმიითა მრთელ იყოს; და ანუ თუ თავსა მას
სარწმუნოებისასა არა შეამსგავსოს გუამი იგი მოქალაქობისა თვისისა
და ცხორებისაჲ; და ანუ თუ რისხვითა ვეშაჰთაჲთა აღივსებოდის და
მსგავსად ქუეწარმავალთა მათ განმჰეცდებოდის, ანუ თუ ცხენ მცბი-
ერ იქმნებოდის და მათსა მას სიბორგილესა არაწმიდებისა მიერ და
სიძვისა კაცობრივისა სახესა შეჰმოსდეს; და (vB) ორცხოველ რადმე და
ვირ-დევ, პირმეტყუელებისაგან და პირუტყუებისა შეიმზადებოდის. (vA)

და ესევიტარნი მრავალნი იხილვებიან კუროდსა და ჳბოდსა თავითა, რომელ არს ანგაჰრებისა კერპთმსახურებად, და რეცა წესიერსა ცხორებასა იჩემებენ ორგულებით, ვითარცა მინოტავროდსთჳს დასწერენ, რომელნი-იგი ქრისტიანობისა წესსა მკეცებრივსა გუამსა უწესოდ ცხორებითა შეაყოფენ, ვითარცა ვირ-დევთა და ფერჳვეშაჳთა სახესა.

აწ უკუე, რადთა ვითარცა გუამი კაცობრი(133^{ED})ვი ყოვლითურთ მრთელ იყოს და განურყუნელ, ეგრეთვე ჯერ-არს ქრისტიანისად, რადთა ყოველნივე სარწმუნოებისა სახენი და ხატნი კეთილად ცხორებისა მიერ მოქალაქობასა შინა თჳსსა გამოწერნეს, რამეთუ, უკუეთუ რომლითამე ესევიტარი იყოს, ვითარი ქრისტიანობისა სახელსა ჰნებავს, და რომლითამე წინააღმდგომისა კერძსა მიდრკებოდის, ესევიტარი იგი სხუად არარად არს, არამედ სახედ მბრძოლისა; თჳთ თავით თჳსით თავისა მიმართ თჳსისა მბრძოლ არს და განმბძარველ, და სათნოებისა მიერ და სიბოროტისა თავისა თჳსისა განმკუეთელ, და დაუგებელითა მით ბრძოლითა ყოვლისავე ცხორებისა თჳსისა განმღეველ. ხოლო რად ზიარებად არს ნათლისა და ბნელისად, სიტყჳსაებრ მოციქულისა.

ვინადთგან უკუე შეუზავებელ არიან ნათელი და ბნელი, და შუაკედელი არა იქმნების დამაყენებლ წინააღმდგომისა მათისა, რომელი ორთავე მათ შეიტკობდეს და თითოეულსა მათსა შეეზავებოდის და ერთისა რომლისაგანმე არა იჯმნიდეს ურთიერთას წინააღმდგომისათჳს უღონო არს, რადთამცა ეგევიტარი იგი არა ორად განიკუეთა, რაჟამს შემრღუეულითა ცხორებითა ერთბამად ნათელ და ბნელ იქმნებოდის და სარწმუნოებად განანათლებდეს, ხოლო ბნელი იგი და უწესოდ ცხორებად ნათელსა სარწმუნოებისასა დააშავებდეს. ვინადთგან უკუე შეურყვენელ არს და მოუზავებელ ნათელი ბნელისა მიმართ, მაშა, რომელი ორთა წინააღმდგომთა მიმართ განიწვალებოდის, არა მბრძოლი არსა იგი თავისა თჳსისად? – ჰე, ჰემმარიტად; რამეთუ ორად განიყოფვის, – სათნოებად და სიბოროტედ, და თავისა

თვისა სახედ მტერისა მბრძოლ იქმნების, და ვითარცა ორთა მბრძოლთა არა ეგების, რადამცა ორნივე ურთიერთას მძლედ გამოჩნდეს, რამეთუ ერთისა მის ძლევად სიკუდილსა მოატყუებს მეორესა, და ეგრეთვე, ტომითი ესე ბრძოლად, შემრღვეულისა ცხორებისა მიერ მოწევნული, არა იძლევის, უკუეთუ უაღრესისა კერძისა შეწევნითა უდარესი იგი კერძი არა განიხრწნეს. (vD)

რამეთუ ღმრთისმსახურებისა მკედრობად ვითარ იქმნეს უაღრეს სიბოროტისა, რაჟამს მწყობრი იგი წინააღმდეგომთა უკდებოდის მას და ჰბრძოდის? არამედ, უკუეთუ ჰნებავს, რადთა მძლე ექმნეს უაღრესი, მოიკალწ წინააღმდეგომი, და ესრეთღა სათნოებამან სიბოროტისა მიმართ აღილოს ძლევად, რაჟამს ყოველივე წინააღმდეგომი და მკდომი გულისსიტყუათა კეთილთა თა(264vB)ნამოღუაწებითა და შეწევნითა სრულიად იავარ-იქმნეს და დაირღუეს და წარწყმდეს, და ესრეთ სრულ-იქმნეს სიტყუად ღმრთისად, რომელსა იტყვს წინააღმდეგმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო“, რამეთუ შეუძლებელ არს ჩემ შორის კეთილისა განცხოველება, არა თუ სიკუდილითა მტერისადთა განცხოველდეს მბრძოლი ჩემი.

ხოლო ვიდრემდის ორთა მიმართ განყოფილ ვიყვნეთ და თითოეთულითა კელითა წინააღმდეგომთა მათ შევიპყრობდეთ, შეუძლებელ არს ორთავე ერთბამად შეტკობობად, რამეთუ, რაჟამს სიბოროტესა

შევიტკობდეთ, სათნოება კელთაგან განივლტის და განიჭრების.

ვინადაც მოვედით და კუალად თავითგანვე ვიწყით და დასაბამი სიტყვსა ჩუენისად მოვიკსენოთ. რამეთუ ვიტყოდეთ, ვითარმედ ერთი გზად, დიდი და მაღალი, საღმრთოდაც ცხორებისად, სათნოებისა მოყუარეთათვს ესე არს, რადთა უწყოდინ, თუ რასა მოასწავებს სახელი ქრისტესი, რომლისად-იგი თანა-გუაც, რადთა მივამსგავსოთ ცხობობად ჩუენი, წმიდათა მათ სახელთა მისთა მოძღურებისაებრ, რომელნი სათნოებისა მიმართ მასწავლელ გუექმნებიან.

რავოდენნიცა უკუე დაწყებასა სიტყვსა ჩუენისასა სახელნი და

სიტყუანი და გულისჯმის-ყოფანი წმიდისა მისგან პავლეს მოძღურებ-
ისა ქრისტეს სახელისა მაუწყებელად გამოვარჩიენით, ესენი წინაშე
ჩუენსა დავისხნეთ სახედ წინამდებარისა ამის სამიებელისა ჩუენისა,
რადთა სათნოდ ცხორებისა მიმართ გუექმნენ ჩუენ უცთომელ და
ღმრთივბრწყინვალე წინამძღუარ, რადთა რომელთამე მიმემსგავსე-
ბოდით, ვითარცა ზემო ვთქუთ, ხოლო რომელთამე თაყუანის-ვსცემ-
დეთ და პატივ-ვსცემდეთ. ხოლო იქმენინ ჩუენდა სახელთა მათ
განხილვისა და (134rD) გულისჯმის-ყოფისა შემდგომითი-შემდგომად
ზემო მოქსენებისა წესი.

პირველად უკუე პირველთაგან ვიწყით, რამეთუ იტყვს, ვითარმედ:
„ქრისტე ღმრთისა ძალი და ღმრთისა სიბრძნე“. (16rA) ამათ მიერ
პირველად ღმრთივმუენიერთა და ძალათა გულისჯმის-ყოფათა ქრის-
ტეს სახელის-დებითა ვისწავებთ, რომელთა მიერ იქების და იდიდების
სახელი მისი ჩუენ მიერ. ვინაითგან ყოველივე დაბადებული, ხილული
და უხილავი, მის მიერ დაებადა და მის მიერ დამტკიცნა და მის მიერ
ჰგიეს, ამისთვსცა საზღვარსა შინა ქრისტეს სახელისასა, რომელ-
მან-იგი ყოველივე დაჰბადა, ჯეროვნად შეყოფილ არიან სიბრძნე
და ძალი. ხოლო ორთა ამათ მიერ, რომელ არიან სიბრძნე და
ძალი, ესე გუეცნობების ჩუენ და ამას ვისწავებთ ვითარმედ: არამცა
იყვნეს დიდნი ესე და გამოუთქუმელნი დაბადებისა საკვრველებანი,
უკუეთუმცა არა სიბრძნესა მოეგონა დაბადებამ მათი, და ძალიმცა არა
შეყოფილ იყო სიბრძნისადა, მოგონებულთა მათ სრულ-ყოფად, რომ-
ლისა მიერ მოგონებამ საქმით სრულ იქმნების. ხოლო განიყოფვის

ურთიერთას მრჩობლად გულისჯმის-ყოფად სახელი ქრისტესი; ესე
იგი არს სიბრძნედ და ძალად, რადთა, რაჟამს სიდიდესა ამას
არსთა აგებულებისასა მივხედნეთ, გამოუთქუმელი იგი ძალი მისი
ხილულთა ამათ და მისაწდომელთა მიერ გავიცადოთ. ხოლო რაჟამს
გამოვეძიებდეთ, თუ ვითარ არაარსნი არსებად და დაბადებად მოვიდეს
მრავალსახეთა ამათ არსებათა ბუნებისა, და საღმრთოთა წამის-

ყოფითა წარმოიჩინეს და სრულ იქმნეს, მაშინ მიუწდომელსა მას (vB) სიბრძნესა, სრულმყოფელსა მათსა, თაყუანის-ვსცეთ, რომლისა მოგონებად – საქმე არს განსრულებული.

ხოლო რაჟამს გურწმენეს, ვითარმედ ქრისტე ძალ არს და სიბრძნე კეთილთა მოგებისა მიმართ, არა ურგებ და უქმ იქმნების ჩუენდა ესევითარი იგი სარწმუნოებად. რამეთუ რომელსა-იგი ვინ ხადოდის ლოცვასა შინა, და რომლისა-იგი მიმართ თუალითა სულისადა-თა ხედვიდეს, ესევითარსა მას ლოცვისა მის მიერ თვისსა თავისა მიმართ თვისსა მოიზიდავს. და ესრეთ, ძალისა მიერ განმტკიცებების შინაგანითა კაცითა, რომელი ძალისა მიმართ ხედვიდეს, ვითარცა მოციქული იტყვს. ხოლო ძალი ქრისტე არს და ბრ(vD)ძენ იქმნების, ვითარცა იგავთა წერილ არს: რომელი სიბრძნესა ხადოდის, რომელ არს უფალი, ვინადაცა რომელსა სეხნად და თანამოსახელედ ქრისტესა ეწოდებოდის, ეწოდების მას სიბრძნედ და ძალად. ძალად – ამისთვის, რამეთუ ცოდვისა მიმართ განძლიერების და ერევის მას, და სიბრძნედ – რამეთუ სიბრძნესა გამოაჩინებს თავსა შორის თვისსა უმჯობესისა გამორჩევითა. ხოლო რაჟამს სიბრძნე და ძალი ჩუენ შორის იხილვებოდინ, და სიბრძნე კეთილსა მოგუაგონებდეს, ხოლო ძალი მოგონებულსა მას დაამტკიცებდეს, ორთავე ამათ მიერ სრული და უცთომელი ცხორებად წარმართების.

ეგრეთვე მშვდობად რად გულისჯმა-ვყოთ ქრისტე, ჭემმარ-იტებად ქრისტეს სახელისადა თავთა მიერ ჩუენტა გამოვაჩინოთ, რაჟამს თავთა შორის ჩუენტა და ცხორებასა შინა ჩუენსა სახედ ქრისტესა მშვდობა ვყოთ. რამეთუ მან, სიტყვსაებრ მოციქულისა, მტერობად მოაკუდინა, არცა ჩუენ განვაცხოველოთ იგი თავთა შორის ჩუენტა, არამედ ცხორებისა მიერ ჩუენისა მკუდრად გამოვაჩინოთ, რადთა

ნუუკუე საცხორებელად ჩუენდა ღმრთისა მიერ კეთილად მოკლული იგი ჩუენ რისხვისა მიერ და ძვრისკსენებისა წარმწყმედელად სულთა

ჩუენთა და მოსასრველად, ბოროტად აღდგინებად კუალად აღუდგი-
ნოთ იგი თავთა თვსთა, რომელი-იგი კეთილად მოიკლა.

არამედ უკუეთუ ქრისტე გურწამს ჭემმარიტად მშვდობად, ჩუ-
ენცა თავთა შორის ჩუენთა მტერობად მოვაკუდინოთ, რადთა, რომე-
ლი-იგი მისთვს გურწამს, ესე ჩუენსაცა ცხორებასა შინა მოვიგოთ,
და არა ხოლო თუ მოვიგოთ, არამედ წარვჰმართოთ-ცა; რადთა, ვი-
თარცა-იგი მან შუვაკედელი იგი მტერობისად დაჰკსნა და ორივე
იგი დაჰბადა თავისა მიერ თვსისა ერთად ახლად კაცად, და ყო
მშვდობად, ეგრეთვე ჩუენ დავიგნეთ, არა ხოლო თუ გარეშე მბრძოლნი
ჩუენნი, არამედ ჩუენ შორისცა მაშფოთებელნი იგი, რადთა არლარა
გული-უთქუმიდეს ჯორცთა სულისათვს, და არცა სულსა – ჯორცთა-
თვს, არამედ რადთა დაემორჩილოს ჯორციელი განზრახვად შჯულსა
საღმრთოსა, და ესრეთ, ვჰყოფთ მშვდობასა თავთა შორის ჩუენთა და
ერთად ახლად კაცად მშვდობისად შევიმზადებით, და ორნი ერთობად
მოვალთ. რამეთუ საზღვარი მშვდობისად (135rD) ესე არს, რადთა
განყოფილნი ერთობად მოვიდენ.

აწ უკუე, რაჟამს დაიქსნეს ბუნებისაგან ჩუენისა ტომითი ესე
ბრძოლად, მაშინ ჩუენცა ჩუენ შორის მშვდობა ვყოფთ, და ვიქმნე-
ბით მშვდობა, და მტკი(16vA)ცესა და ჭემმარიტსა სახელისმო-
გამებასა ქრისტესსა თავთა შორის ჩუენთა გამოვაჩინებთ.

ხოლო ნათლად რად ჭემმარიტად და ტყუვილისაგან შეუხე-
ბელად (265rB) უწოდოთ ქრისტესა, ამას ვისწავებთ, ვითარმედ:
ჯერ-არს, რადთა ჩუენიცა ცხორებად ჭემმარიტისა მის ნათლისა ბრწყ-
ინვალებათაგან განვანათლოთ, ხოლო ბრწყინვალებანი ესე, რომელნი
მზისა მისგან სიმართლისა განმანათლებელად ჩუენდა გამოჰკრთებიან,
სათნობანი არიან, რომელთა მიერ იქმნების განშორებად საქმეთა
ბნელისათად, და ვითარცა დღესა შინა შუენიერად სლვად, და
უვარ-ყოფად და მომაგებად საქმეთა სირცხვისათად, და ყოველ-
სავე ნათელსა შინა ქმნად, რადთა ესრეთ თვთცა ნათელ იყოს და

სხუათაცა განანათლებდეს საქმეთა მიერ კეთილთა, რამეთუ ესე არს საქმე ნათლისაჲ.

და სიწმიდედ რაჲ უწოდოთ ქრისტესა, ამას გულისჯმა-
ვჰყოფთ, რადთა ყოვლისავე ბილწისა და არაწმიდისა საქმისაგან და
გულისსიტყვსა თავნი თვსნი განვაშორნეთ და ზიარ ჭემმარიტ სახ-
ელისა მისისა გამოვაჩინნეთ, და არა სიტყვით, არამედ საქმით სიწ-
მიდისა იგი ძალი ცხორებისა მიერ ჩუენისა გამოვაცხადოთ.

ხოლო გამოვსნად რაჲ და მცხნელად უწოდოთ ქრისტე-
სა, რომელმან-იგი სახსრად ჩუენდა მისცა თავი თვსი, ამას ვის-
წავებთ, რამეთუ ვითარცა სასყიდელი კაცად-კაცადისა სულისაჲ, მო-
მცა ჩუენ უკუდავებად და ერად მოგებულად სიკუდილისაგან ვს-
ნილნი ესე და მოსყიდულნი გამოგუაჩინნა ცხორებისა მიერ.

აწ უკუე, უკუეთუ მონანი ვართ გამომცხნელისა ჩუენისანი, განალა
უეჭუელად თანა-გუაც, რადთა უფალსა მას ჩუენსა შეუდგეთ და მი-
სა მიმართ ვხედვიდეთ, და რადთა არა თავთა თვსთათვს ცხოველ
ვიყვნეთ, არამედ მომგებელისა მის ჩუენისა და მომსყიდელისა ცხოვ-
ელსმყოფელისა, და რამეთუ არღარა ვართ უფალ თავთა თვსთა,
არამედ, რომელმან-იგი მოგვყიდნა, იგი არს მფლობელ და მეუფე
თვსთა (vD) მონათა, ხოლო ჩუენ – მონა და მონაგებ მისა.

ვინაჲცა შჯულ ცხორებისა ჩუენისა იყავნ ჩუენდა ნებაჲ მეუფისა
ჩუენისაჲ, რამეთუ ვითარცა-იგი სიკუდილი რაჲ სუფევდა ჩუენ ზედა,
შჯული იგი ცოდვისაჲ მოქალაქობდა ჩუენ შორის. ეგრეთვე, ვი-
ნადთგან მონაგებ ცხორებისა ვიქმნენით, თანანადებ არს და ღირს,
რადთა მფლობელისა ჩუენისა მიმართ მივცვალოთ მოქალაქობაჲ ჩუე-
ნი; ნუუკუე ნებისა მისგან ცხორებისა ჩუენისა განვცვვეთ და კუალად
ბოროტისა მის მიმართ მძლავრისა და სულთა მკლველისა სიკუდი-
ლისა, ცოდვისა მიერ მივისწრაფოთ. ხოლო ესევითარი ესე კეთილი
გონებაჲ საკუთარ და საყუარელ გუყოფს ჩუენ უფლისა.

და ზატიკად რაჲ და მღდელთმომღურად უწოდის ქრისტე-
სა პავლე, ამას ვისწავებთ, რამეთუ ჭემმარიტად ზატიკად ჩუენდა

დაიკლა ქრისტე; და მდღელთმოდლუარ, რომელმან შეწირა
ღმრთისა მსხუერპლად თავი თვისი, არავინ არს სხუად, არამედ ქრისტე;

ვითარცა იტყვს, ვითარმედ: თავი თვისი შეწირა მსხუერპლად და
შესაწირავად ჩუენთვის.

ამის უკუე პირისაგან ამას ვისწავებთ, ვითარმედ, რომელი მისსა
მიმართ ხედვიდეს, რომელმან-იგი თავი თვისი შეწირა ღმრთისა, მსხუ-
ერპლად და შესაწირავად, და ზატაკად ჩუენდა დაიკლა, მანცა
წარუდგინეს ჯორცნი თვისნი ღმერთსა მსხუერპლად ცხოველად, წმი-
დად და სათნოდ, და იქმნეს იგი სიტყვერ მსახურება. ხოლო პირი
ამის შეწირვისაჲ ესე არს, რადთა არა თანახატ ექმნას სოფელსა,
არამედ რადთა შეიცვალოს იგი განახლებითა გონებისა თვისისაჲთა და
გა(vB)მოცდითა, თუ რად არს ნებაჲ ღმრთისაჲ, კეთილი, სათნოდ და
სრული; რამეთუ ვერ ძალ-უც ჯორციელთა ჯორცთა, [უკუეთუ
არა შჯულითა სულიერითა შეიწირნენ ღმრთისა, კეთილისა] მის
ნებისა ღმრთისა შეწყნარებად თავსა შორის თვისსა. რამეთუ ზრახვაჲ
იგი ჯორცთაჲ მტერობა არს ღმრთისა, და შჯულსა ღმრთისასა ვერ
დაემორჩილების და ვერცა ძალ-უც, ვიდრემდის ჯორცნი ცხოველსმყო-
ფელისა მის შეწირვისა მიერ განწმდენ მოკუდინებითა ქუეყანისა
ასოთაჲთა, რომელთა მიერ აღიდრვიან ვნებანი, და ესრეთლა
დაუბრკოლებელად სათნოდ და სრული ნებაჲ ღმრთისაჲ ცხორებასა
შინა მორწმუნეთასა წარემართოს. (136rD)

და ეგრეთვე სალხინებელად თვისითა სისხლითა იწო-
დოს რად ქრისტე, ამას გუასწავებს, რადთა თითოეული თავსა
თვისსა ექმნეს სალხინებელ, (17rA) და ჯორციელთა ასოთა მოკუდინებითა
უკუდაგ ყოს სული.

ხოლო რაჟამს ბრწყინვალებად დიდებისად და ხატად
გუამოვნებისა და გინათუ ძლიერებისად იწოდოს
ქრისტე, თაყუანისსაცემელისა მის დიდებისა მისისა გულისწმის-ყო-
ფად მოვალთ სიტყუათა ამათ მიერ, რამეთუ ჭემმარიტად ღმრთივ-

სულიერმან და ღმრთივსწავლულმან პავლე, რომელმან სიღრმესა შინა-
სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისასა უჩინონი და
დაფარულნი საღმრთოთა საიდუმლოთანი გამოიძინა, მისდა მი-
მართ ქმნილთა მათ ბრწყინვალეებათა ღმრთისა მიერ, გამოუთქუმელთა

და გამოუკულებელთა გულისკმის-ყოფისა, ვინადთგან უუძლურეს გონე-
ბისა ხედვიდა ენასა თვსსა, რავოდენ დაიტევდა მსმენელთა იგი სას-
მენელი განგონებასა მისსა საიდუმლოთა ამათ ძალი, სახეთა რათმე
მიერ და ბრწყინვალეებათა გამოუცხადა; ესოდენ, რაოდენ ძალ-ედვა
სიტყუასა მსახურთა გონებისაჲ. რამეთუ ყოველივე, რაოდენსა დაიტევს
კაცობრივი ძალი საღმრთოჲსა ბუნებისათჳს, განიცადა, და გამოუ-
თქუმელად და მიუწდომელად კაცობრივთა გულისსიტყუათაგან აღ-
მატებულისა მის ბუნებისა გამოთქუმაჲ გამოაჩინა. ხოლო საქმენი იგი,
რომელნი მის თანა იხილვებიან, იგი გამოთქუნა და უწოდა მშვიდო-
ბად და ძლიერებად და ცხორებად და სიმართლედ
და ნათლად და ჭეშმარიტებად და სხუად ესევითარად.

ხოლო თავადისა მისთჳს არსებისა და ბუნებისა უსაზღვროჲსა სრულიადი
მიუწდომელობაჲ განაჩინა და თქუა, ვითარმედ: არცა ოდეს ხილულ
არს ღმერთი და არცა ოდეს იხილვების. და იტყოდა, ვითარმედ:
„რომელი არავინ კაცთაგანმან იხილა და არცა ხილვად შემძლებელ
არს“.

ამისთჳსცა, ეძიებდა რაჲ, თუ ვითარ უწოდოს გონებისაგან
მოუგონებელსა მას, და ვითარ ვერ ჰოვა გამოცხადებული სახელი
მიუწდომელისა მის და გამოუთარგმანებელისაჲ, დიდებად და
ძლიერებად სახელ-სდვა უაღრესსა მას ყოველთა კეთილთასა და
(vD) უხილავსა და განუცდელსა. ამისთჳსცა აღმატებული იგი არს-
თა არსებაჲ დაუტევა გამოუთქუმელად, ხოლო ერთარსებაჲ და განუ-
ყოფელობაჲ ძისაჲ მამისაგან, რაოდენ ძალ-ედვა, გამოთარგმანა, და
უსაზღვროჲსა და უხილავისა მამისა უსაზღვროდ და უხილავად თანა-
შეყოფილსა ბრწყინვალეებად დიდებისად და ხატად (266rB)

ძლიერებისად უწოდა; და ესრეთ, ბრწყინვალეებისა მიერ განუყოფელობად და ერთარსებად მოასწავა, ხოლო ხატებისა მიერ სწორებად გამოსახა; რამეთუ არცა ბრწყინვალეებისა და ბუნებისა მის, რომლისაგან ბრწყინვალეებად იგი გამოჰკრთებოდის, მოიგონების რაად განყოფილთად და განწვალეებად, არცა უმრწემესობად ხატისად ძლიერებისა მისგან და გუამოვნებისა, რომლისად იყოს ხატ; და რომელმან ბუნებასა მას ბრწყინვალეებისა გამომავლინებელისასა მიხედნეს, შეუძლებელ არს თუმცა ბრწყინვალეებადცა არა მის თანავე განიცადა; და

რომელმან სიდიდე გუამოვნებისა და ძლიერებისად გონებად მოიღოს, უღონო არს თუმცა არა სივრცესა გუამისა და ძლიერებისასა შეასწორა აგებულებად იგი ხატოვნებისად. ამისთვისცა ხატად ღმრთისა უწოდეს უფალსა; არა ამისთვის, რადთამცა დაამცირა იგი, არამედ სიდიდისა მისისა გამოსაცხადებელად, რომელსა შინა იხილვების დიდებად მამისად, რომელი ხატოვნებისა თვისისა საზღვართა არა წარემატების, არცა გარეშე ხატისა თვისისა იპოვების. რამეთუ უხატოდ და უშუერი მამისა თანა არარაად არს, რომელიმცა არა შუენიერებითა მისადათა განშუენდებოდა, და სიკეთისა მისთვის და ბრწყინვალეებისა მხოლოდშობილისა იხარებდა. ამისთვისცა იტყოდა უფალი, ვითარმედ: „რომელმან მიხილა მე, იხილა მამად ჩემი“, და ამის მიერ საანჯმნო ჰყოფდა, ვითარმედ არცა გარდამატებად რადმე იხილვების, არცა მოკლებად, უმეტესი ძისად, მამულსა მას თანა დიდებასა, თვნიერ მამობისა და უშობელობისა. ხოლო რომელსა-იგი იტყვს მოციქული ძისათვის, ვითარმედ: „უტვრთვან ყოველნი სიტყვთა ძლიერებისა თვისისადათა“, დაჰქსნის მის მიერ გამოუკულებელთა გამოძიებისა გამომეძიებელთა სივერაგესა, (137rD) რომელნი ნივთიერებისა სიტყუასა გამოიკულებენ და გამოძიებისა დასასრულსა ვერსადა მიემთხუევიან; რომელნი იტყვან, ვითარმედ: „ვინაჲ იხილვების უნივთოსა თანა ნივთი, და ვითარ ვითარებად – უვითაროსა თანა, და ვითარ ხატი – გამოუსახველსა თანა, და ვითარ ფერი –

უხილავსა თანა, (17vA) და ვითარ უსაზღვროსა თანა და უსაზომსა – თვისსა უსაზღვროებისა საზღვარი და საზომი; და მართვისა თანა და აუგებელსა ვინაჲ შეეყოფის ნივთი და აგებულებაჲ? – ესე და ყოველივე მსგავსი ამისი უჯეროდ სამიებელი დაჰქსნა, თქუა რაჲ, ვითარმედ: „ყოველნივე უტვრთვან სიტყვთა ძლიერებისა მისისაჲთა“, რომელნი-იგი არარაჲსაგან არსებად მოიყვანნა, რამეთუ ყოველთავე ხილულთა და უხილავთა ბუნებათა აგებულებისა – ერთი მიზეზი არს, რომელ არს სიტყუად იგი გამოუთქუმელისა ძლიერებისაჲ.

ხოლო ამის ყოვლისა მიერ ამას ვისწავებთ, რაჲთა მისა მიმართ ვხედვიდეთ და მას განვიცდიდეთ, რომლისაგან-იგი მოვიდეს არსნი

არსებად და დაბადებად, და მის მიერ დავემტკიცენით და მის მიერ ვჰკვიეთ; უეჭუელად თანა-გუაც, რაჲთა არარაჲ მოვიგონოთ ყოვლადვე განმაშორებელი და განყოფილი მისგან, რომლისაგან-იგი დავიბადენით და რომლისა მიერ ვჰკვიეთ და რომლისა მიმართ მივიცვალებით, რომელმან-იგი უწყნის დაფარულნი და უჩინონი გულთა და გონებათანი, და არარაჲ არს დაფარულ წინაშე მისსა. და ამათ გულისსიტყუათა მიერ წარემართების ჩუენ შორის უცოდველობაჲ, რამეთუ, ვინმცა იყო, რომელსამცა ჰრწმენა, ვითარმედ მისგან და მის მიერ და მისსა მიმართ არს ყოველივე არსებაჲ და აგებულებაჲ და ცხორებაჲ მისი, (vB) და მანმცა იკადრა უწყესოდ ცხორებისა მოწამედ მოყვანებაჲ მისი, რომლისა შორის შემოწერილ არს და რომლისა მიერ ჰკვიეს ყოველთა არსთა ცხორებაჲ.

და კუალად, საზრდელად რაჲ და სასუმელად სულიერად უწოდოს უფალსა მოციქულმან, ესე ვითარსა ძალსა მოასწავებს, ვითარმედ არა ერთსახე არს კაცობრივი ბუნებაჲ, არამედ – უხილავი ხილულსა თანა შეზავებულ, და ორკერძოვე განთსებულ (vD) ულად თითოეული საზრდელ იქმნების; რამეთუ ხილული ესე საზრდელი ჯორცთა განაპოხებს, ხოლო სულიერი იგი სულსა განა-

მტკიცებს. და ვითარცა-იგი ჯორცთათჳს მტკიცე საზრდელი, ლბილსა და ნედლსა თანა განზავებული, მპყრობელ იქმნების ბუნებისა, ურთიერთას განლევითა დადნობისა მიერ; და თითოეულსა მას ოთხთა მათ ნივთთა ჩუნთაგანსა შეეყოფვიან, ეგრეთვე სახედ სახისმეტყუელებით უხილავსა მას საზრდელსა განჰყოფს მოციქული, და საჭმლად და სასუმლად უწოდს, რომელი-იგი მიმღებელსა მას ორკერძო შეზავების და იპყრობს, რამეთუ მოუძღურებულსა და დაჰსნილსა პურ ექმნების, განმამტკიცებელ გულსა კაცისსა, ხოლო დამაშურალსა უბადრუკებითა ამის ცხორებისადთა და წყურთიელსა – ღვნო ექმნების, გულთა მახარებელ და მხიარულ-მყოფელ.

და კუალად, ესევეთარიცა ძალი გულისწმა-იყოფების სიტყვსა ამის მიერ, რამეთუ სიტყუად ღმრთისად არს, რომლისა მიერ იზარდების სული, და ვითარცა ეკმარებოდის, ეგევეთარსაცა მადლსა მიანიჭებს მუშაკთა თჳსთა და მოსურნეთა, საწინადაწარმეტყუელოდსა მისებრ

იგავისა, რომელი-იგი ადგილსა მწუანვილოვანსა და წყალთა ზედა განსასუენებელთა დამკვდრებასა სახედ სიტყვსა მიერისა ნუგეშინის-ცემისა მოასწავებს, ხოლო უკუეთუ ვინმე სახედცა წმიდათა საიდუმლოთა მოილოს სიტყუად ესე, და საჭმლად და სასუმლად სულიერად უწოდოს უფალსა, არცა ესე იპოოს უცხო ჭემმარიტებისაგან, რამეთუ ჭემმარიტად ჯორცი მისი ჭემმარიტი საჭმელი არს და სისხლი მისი ჭემმარიტი სასუმელი არს.

ხოლო პირველ თქუმულისა მისებრ ძალისა ჯელმწიფებაჲ აქუს ყოველთავე სიტყვსა მიერ გამოზრდად, რამეთუ, რომელთაცა ენებოს და ეძიებდენ მას შეუორგულებელად, ექმნების მათ საჭმელ და სასუმელ, და ყოველთა მისდა შევედრებულთა შეიტკბობს.

ხოლო მეორისა მისებრ ძალისა არღარა გამოუძიებელ არს, არცა მარტივ, ესევეთარისა მის საზრდელისა და სასუმელისა მიღებაჲ, რამეთუ იგივე მოციქული ესრეთ განაჩინებს, ვითარმედ: „კაცად-კა-

ცადმან თავი თვისი გამოიცადენ, და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მის(138rD)გან სუნ, ხოლო რომელი უღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს“.

და ვითარ ვჰგონებ, ამისვე პირისა კრძალულებისათვის შემოიღო მახარებელმან სიტყუად იგი დაფლვისა ჯორცთა უფლისათად, და თქუა, ვითარმედ: „ჰამსა მას ვნებისა უფლისასა შუენიერმან მან მზრახვალმან წმიდასა და უბიწოსა სინდონსა წარგრაგნა გუამი უფლისად და ახალსა და წმიდასა საფლავსა შინა დადვა იგი“. და ორივე ესე – მოციქულისაცა და მახარებელისა მოძღურებად ესევე-თარსა (267rB) შჯულსა დამიდებს ჩუენ, რადთა წმიდითა სჯნიდისითა ვეზიარებოდით ყოვლადწმიდათა მათ ქრისტეს საიდუმლოთა. და უკუ-ეთუ ბიწი რამე ცოდვისად შეგუეხოს, ცრემლთა მდინარითა წარ-ვრლუნათ იგი. (18rA)

ხოლო კლდედ რად უწოდოს ქრისტესა, ესევეთარსა სარგებელსა მოგუატყუებს ჩუენ სახელისა ამის იგავი, რამეთუ გუას-წავებს სიმტკიცესა და უცვალებელობასა სათნოდ ცხორებისასა, და რადთა შეუძრველ ვიყვნეთ ვნებათა მიერ, მოთმინებითა კლდისა მიერ,

და ყოვლისავე ცოდვათა კუეთებისა მიმართ განუკუეთელსა და მოუწ-ყლველსა სულსა მოვიგებდეთ, და ამით მიერ და ესევეთართა ჩუენცა კლდე ვიქმნებით, მოზამავ მეუფისა ჩუენისა, მსგავსად ძალისა ჩუე-ნისა, ქცევადითა ამით ბუნებითა და უძღურითა – უქცეველისა მის და უცვალებლისა.

და კუალად, რაჟამს-იგი თავადსა ბრძნისა მის მიერ ხუროთმო-ძღურისა საფუძველად სარწმუნოებისად და ლოდად თავსაკიდურად სახელ-ედვას, არცა ესე გუექმნენ ჩუენ სათ-ნოდცხორებისა მიმართ მოუზავებელ, რამეთუ ამით მიერ ვისწავებთ, ვითარმედ ყოვლისავე კეთილადმოქალაქობისა და ყოვლისავე კეთი-ლადსწავლულებისა და საქმისა დასაბამი და სრულმყოფელი – უფა-ლი არს. რამეთუ, გინათუ სასოებად სთქუა, რომელსა თავად

გულისწმა-ვჰყოფთ, რომლისა მიერ სრულ-იქმნების ყოველივე მწყობრი სათნოებათაჲ, იგივე თავადი არს, მოციქულისა მიერ წოდებული; და დასაბამ ნივთიერისა ამის ცხორებისა გოდლის შენებისა იქმნების მისა მიმართ სარწმუნოებაჲ, რომელსა ზედა, ვითარცა საფუძველსა რასმე, (vD) დაწყებასა ცხორებისა ჩუენისასა დავსდებთ, და დღითი-დღედთა სათნოებათა მიერ და წმიდათა გულისსიტყუათა და საქმეთა, აღვაშენებთ. და ესრეთ იქმნების თავ ჩუენდა თავი იგი ყოველთაჲ; და ორთა მათ ცხორებისა ჩუენისა კედელთა, რომელ არს სული და ჯორცნი, ღმრთივშუენიერად და სიწმიდით აღშენებულთა და კიდეთა მათ თავ-ყოფითა თვისითა და შენაწევრებითა შეამკობს.

ხოლო უკუეთუ ნაკლულეევანებაჲ რადმე იპოვოს კედელთა მათ შინა და უსრულებაჲ, ესე იგი არს, რაჟამს ხილულსა მას და ჯორციელსა წესიერებასა თანა სულისაცა იგი უხილავი სიწმიდე არასრულ იქმოდის შენებულსა მას, ანუ თუ სულიერთა სათნოებათა, ჯორცთა იგი წესიერებაჲ არა შეენაწევრებოდის, ესევითარისა მის უსრულისა ცხორებისა თავსაკიდურ არა იქმნების ქრისტე, რომელი-იგი ორთა მათ ხოლო სწორად შენებულთა სრულ ჰყოფს. და რამეთუ არცა შესაძლებელ არს, თჳნიერ ორთა კედელთა განსრულებისა, ქვისა მის კიდეთა შემკრველისა დადებაჲ. და რამეთუ მაშინდა შეიმკობვის სიკეთე უვნებელისა ჩუენისაჲ, რაჟამს შუენიერებამან მან თავსაკიდურისამან განაშუენოს, და რაჟამს ორკერძოვე მართლისა ცხორე-

ბისა წესითა განემარტოს მას ზედა საზომი იგი ხუროთმოძღურები-

საჲ, ორთა მათ ცხორებათა დამასწორებელი. და არღარაჲ იყოს მათ შორის ღირღოვანი და დრკუჲ.

ხოლო ხატად ღმრთისა უხილავისა და ღმრთად ყოველთა ზედა და ღმრთად დიდად რაჲ უწოდოს მოციქულმან ქრისტესა, ამათ ყოველთა მიერ ქადაგებს დიდებულებათა ჭემმარტისა მის მეუფისათა და იტყვს: „დიდისა ღმრთისა და

მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“, და ვითარმედ: „რომელ-
თაგან ქრისტე ჯორციელად, რომელი-იგი არს ღმერთი ყოველ-
თა ზედა კურთხეულ უკუნისამდე. (vB) ამათ უკუე სიტყუათა
მიერ ამას გუასწავებს, ვითარმედ, რომელი-იგი მარადის არს, ვი-
თარცა არს. ხოლო არს, ვითარ-იგი მან ხოლო თავადმან უწყის,
რომელი-იგი არს მარადის. ხოლო კაცობრივისა მიწდომისაგან, დალა-
ცათუ დღითი-დღე წარმატებისა მიერ მას თავადსა მიეახლებოდის და
ზეცისასა ზრახვიდეს, სამარადისოდ აღმატებულ არს და (139rD)
მიუწდომელ. ესე უკუე თავადი, უმაღლესი ყოვლისა ცნობისა და
მიწდომისა, გამოუთქუმელი და მიუთხრობელი, რადთა შენ გყოს
კუალად ხატად ღმრთისა. იგი მხოლოდ კაცთმოყუარებისათს თვისისა
იქმნა ხატ ღმრთისა უხილავისა, ესე იგი არს, რამეთუ
კაცობრივისა სიგლახაკესა შეაყო თავი თვისი, რადთა ჩუენ სიმაღლედ
ღმრთეებისა ავმაღლდეთ. რამეთუ ესე იყო საქმე ძისა ღმრთისა, და
რადთა ხატი იგი შენი, რომელი მიიღო და იქმნა მსგავს შენდა, თავისა
მიერ თვისისა განაღმრთოს და გყოს შენ ხატ პირმშოდსა მის სიკეთისა
კუალად: რადთა იქმნე, რად-იგი იყავ პირველითგან.

აწ უკუე, უკუეთუ გუნებავს, რადთა ვიქმნეთ ჩუენცა ხატ ღმ-
რთისა უხილავისა, სახისა მის მიმართ ცხორებისა ჩუენისა
ჯერ-არს გამოსახვად ცხორებისა ჩუენისა.

და რად-მე არს ესე, რადთა ჯორციტა რად ვცხოვნდებოდით, არა
ჯორციელად ვიქცეოდით, და რამეთუ პირმშოდცა იგი ხატი უხილავ-
ისა ღმრთისა, რომელი ქალწულისაგან განკაცნა, იქმნა ყოვლითურთ
მსგავსებით კაცობრივისა ბუნებისა მიმღებელ, თვნიერ ხოლო ცოდვი-
სა, რომლისა-იგი გამოცდილებად ყოვლადვე არა შეიწყნარა, ვითარცა
წერილ არს, ვითარმედ: „რომელმან-იგი ცოდვად არა ქმნა, არცა

იპოვა ზაკუვად პირსა მისსა“. ვინადაცა, უკუეთუმცა ვისწავლიდით
მხატვრობისა ჯელოვნებასა, და წინაშე ჩუენსამცა დადვა მოძღუარმან
ჩუენმან გამოხატული შუენიერად ხატი რადმე გინა მაგალითი, (18vA)

განაღა უეჭუელად თანა-გუედვა სიკეთესა მას სახისასა მიმსგავსებად გამოხატულისა მის ჩუენისაჲ, და ეგრეთვე განშუენებად სიკეთესა მას ქმნულეობისასა.

აწ უკუე, ეგრეთვე სახედ, ვინადთგან კაცად-კაცადი მხატვარი არს თვისსა ცხორებისაჲ, და ჳელოვნებაჲ ამის ხუროვნებისაჲ არს ნებაჲ, და ფერნი, სრულმყოფელნი ხატისანი, არიან სათნოებანი, არა მცირედი ზღვევაჲ მოწევენად არს ჩუენ ზედა, უკუეთუ განვრყუნათ პირმშოდსა მის ხატისა მიმსგავსებაჲ და ბილწთა რათმე წამალთა მიერ და უსწავლელისა და უმეცრისა მხატვრობისა უშუერი რადმე და უგუაროდ ხატი საუფლოისა მის წილ ყოვლადშუენიერისა სიკეთისა გამოვხატოთ; არამედ, რაოდენცა შესაძლებელ იყოს, სათნოებათა (vD) ფერნი წმიდანი, ჳელოვნითა რადთმე შეერთებითა შეზავებულნი, ბრწყინვალედ გამოხატვისა ძალად ვიკუმინეთ; რადთა ვიქმნეთ ხატ ხატისა მის საუფლოისა, გამოწულილვით მიმსგავსებითა; და რაოდენცა შეუძლოთ, პირმშოდსა მის ხატისა სიკეთე თავთა შორის ჩუენთა გამოვაჩინოთ, ვითარცა იქმოდა პავლე, და უბიწოდ და სათნოდ ცხორებითა მიემსგავსებოდა ქრისტესა.

და უკუეთუ ჯერ-არს თითოეულად წარმოთქუმაჲ, თუ ვითარ იქმნების მიმსგავსებაჲ ხატისაჲ ამის, და თუ რომელნი წამალნი საკმარ არიან, არა დავიცნოთ ზოგს-რადმე ამისიცა უწყებაჲ.

ერთი წამალი არს სიმდაბლე, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ის-წავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“. და მეორე წამალი არს სულგრძელებაჲ, (268rB) რომელი-იგი ხატსა მას შორის ღმრთისა უხილავისასა ბრწყინვალედ გამოჩნდა. და უკუეთუ გნებავს, განიცადე, თუ რაოდენნი ვნებანი მოითმინნა სულგრძელებით; ესე იგი არს მახზლნი და საჭურველნი, კრულებანი და გუემანი, ყურიმლის-ცემანი და ნერწყუანი, და გუემაჲ იგი და წყლულებაჲ ბეჭთაჲ, და სამშჯავრონი უშჯულონი და განჩინებანი უწყალონი, და მკედარნი იგი და ერისაგანნი, უჯეროდსა მის განჩინებისათჳს მობარულნი, და კიცხევანი და ბასრობანი და შეურაცხებანი და გინებანი,

და ლერწმისა მიერნი წყლულებანი და სამშჳალნი და ლახუარი და

მმარი და ნავდელი, და ესე ყოველნი, უბრალოდ მოწევნულნი მის ზედა, რომელი-ესე ყოველთა უძვრეს არს. და უფროდსა, ურიცხუთა მათ ქველისმოქმედებათა მისთა წილ მოგებულნი.

ხოლო რომელნი-იგი ამათ და ესევეითართა იქმოდეს, რად იყო მისაგებელი მათი, გინა შურისგებაჲ? – ესე იგი არს, ვითარმედ:

„მიუტევე, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.

ნუუკუე ვერ ძალ-ედვა ზეცით დატეხად მათ ზედა, ანუ ქუეყნისა განპებაჲ და მაგინებელთა მათ შთანთქმად მას შინა, ანუ თუ გამოყვანებად ზღვსა თვსთა საზღვართაგან და წარრღუნად ყოვლისა ქუეყანისა, ანუ თუ სოდომელთა ცეცხლისა წვმად მათ ზედა, ანუ თუ სხვსა რადსმე განსაკრომელისა ნიშისა მოწევნად? არამედ ესე ყოველი სიმშვიდით (140rD) მითუალა და სულგრძელებით თავს-იდვა, რათა თვსითა მით სულგრძელებითა ცხორებასა შენსა შჯული დაუდვას. და ესრეთვე, სხუანი იგი მაღალნი სათნოებანი ყოველნივე პირმშოდსა მის ხატისა თანა იხილვებიან, რომელთა-იგი, უკუეთუ ვინ გულსმოდგინედ ხედვიდეს და ცხორებასა თვსსა მათ მიერ განაშუენებდეს, იგიცა იქმნეს ხატ ღმრთისა უხილავისა, სათნოებათა მიერ გამოხატულ.

ეგრეთვე კუალად, რომელმან გულისცმა-ყოს, ვითარმედ ქრისტე არს თავი ეკლესიისაჲ, პირველად ესე გულისცმა-ყავნ, ვითარმედ ყოველი თავი მის ქუეშე მყოფისა გუამისა თანა შეერთებულ არს, და თანაარს; და ეგრეთვე, ერთ არს თითოეულისა ასოდსა ყოვლისავე გუამისა მიმართ შეერთებაჲ და შეწყობაჲ; და სწორი წყალობაჲ და ზოგადი სიყუარული და ერთობაჲ აქუს ურთიერთას, გუამსა და ასოთა და თავსა.

აწ უკუე, რომელი გუამისაგან განვარდეს, იგი უეჭუელად თავისაგანცა უცხო-ქმნილ არს; და ამას გუასწავებს ჩუენ სიტყუად თქულთა ამათ მიერ, რადთა, ვითარცა-იგი არს თავ გუამისა ბუნებით,

ეგრეთვე იყვნენ თითოეული ასონი, და რადთა ერთობაჲ აქუნდეს თავისა მიმართ. ესე უკუე ასონი ჩუენ ვართ, რომელნი შეყოფილ ვართ გუამსა თანა ქრისტესსა. აწ უკუე, უკუეთუ ვინმე აღიხუნეს ასონი ქრისტესნი და ყვნეს იგი ასო მეძვისა, ესევითარი არს იგი,

ვითარმცა ვის მახული ეკადა ბილწებისა იგი სიცბილი, და ბოროტისა მის ვნებისა მიერ მოეკუეთნეს ასონი იგი, და უცხო-ექმნეს ნაწილი-საგან თავისა; და ყოველნივე სიბოროტისა ორღანონი ეგრეთვე მახულ იქმნებიან და განჰკუეთენ ასოთა, შეერთებისაგან გუამისა, და განა-შორებენ თავისაგან. (19rA)

აწ უკუე, რადთა ყოველივე გუამი ბუნებითსა წესსა ზედა ეგოს და საკუთარ იქმნეს თავისა, ეგრეთვე თითოეულსა ასოსა თანა-აც, რადთა წმიდა იქმნეს და ღირს-იქმნეს იგი ასოდ წოდებად ესევითარისა მის გუამისა, რომელსა თავად აქუნდეს თავი იგი ყოვლისა ეკლესი-ისაჲ, რომელ არს სიტყუად ღმრთისაჲ. რამეთუ უკუეთუ უხრწნელად გურწამს თავი, ეგრეთვე უეჭუელად ასონიცა მისნი უხრწნელნი (vD) ჯერ-არიან, რადთა იყვნენ; და რაოდენიცა სახელი თავსა მას ეწოდებ-ბის, ჯერ-არს, რადთა ასოთაცა იგივე სახელნი ეწოდებოდინ, ესე იგი არს: მშჯდობაჲ და სიწმიდე და ჭეშმარიტებაჲ, და სხუად ყოველივე ესევითარი. რამეთუ, ესე რაჲ და ესევითარნი ასოთა შინა იხილვებოდინ, ჩანს, რამეთუ შენაწევრებულ არიან იგინი გუა-მისა თანა და თავისა, ვითარცა-იგი თქუა მოციქულმან, ვითარმედ: იგი არს თავი, რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცე-ბულ არს ყოვლითა შეახლებითა უხუებისაჲთა, შეწევნისაებრ სა-ზომისა თითოეულისა ასოდსა, სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით.

და ამისიცა თანა-გუაც სახელის-დებითა მით თავისაჲთა სწავლად, რამეთუ, ვითარცა-იგი ცხოველნი თავისა მიერ განეგებიან და თი-თოეული მათი სასმენელთა და სახედველთა მიერ იღუწების და წარემართების; და არცა ჰელთა საქმე და არცა ფერჯთა მოძრავობაჲ და არცა სხუად რადმე სასწრაფოთა და საძიებელთა საქმეთაგანი

სრულ-იქმნების, თვნიერ თუალთა და სასმენელთაჲსა, ეგრეთვე ჯერ-
არს, რადთა ჭემმარიტისა მისებრ თავისა, გუამთაცა ჩუენთა მოძრა-
ვობაჲ განეგებვოდის საქმით და სიტყვთ, ვინაჲ კერძოცა წარგუ-
მართნეს მან, რომელმან-იგი შექმნნა თუალნი და დაჰნერგნა ყურნი.

ხოლო კუალად, ვინაჲთგან თავი ზე ხედავს, თანა-აც, რადთა
ასონიცა იგი მისდა შეერთებულნი ეგრეთვე იქმოდინ და ზეცად მი-
მართ ხედვიდენ, წინამძღურებისაებრ და განგებისა თავისა მის, მპყრო-
ბელისა მათისა.

ხოლო რაჟამს გუესმას უფლისათჳს პირმშოდ დაბადებულ-
თა და პირმშოდ მკუდართა და პირმშოდ ძმა-
თა მრავალთა, პირველად მწვალებელთა ცუდისმეტყუელებანი
წარვიოტნეთ, და რამეთუ არცა ერთისა გმობისა მიზეზსა მისცემს მათ
წინამდებარე ესე სიტყუაჲ, და მერმე სარგებელად ცხორებისა ჩუენისა
მის მიერ შემოღებული მოძღურებაჲ გულისცმა-ვყოთ.

რამეთუ ვინაჲთგან მხოლოდშობილსა ღმერთსა, ყოველთა დამბა-
დებელსა, რომლისაგან და რომლისა მიერ და რომლითა ყოველივე
არსებად მოვიდა და ჰგიეს, საქმედ უწოდენ (141rD) ღმრთისა, და და-
ბადებულად იტყვან ღმრთისმბრძოლნი იგი, და სიტყუასა მას
მოციქულისასა თანაშემწედ თჳსისა უღმრთოებისა ჰგონებენ, რომე-
ლი-იგი უწესს მას პირმშოდ ყოველთა დაბადებულთა,
და ვითარცა ძმასა დაბადებულთასა, ჟამითა ხოლო და უხუ-
ცესობითა პატივ-სცემენ, ვითარცა რუბენს უხუცესობითა თჳსთა ძმა-
თაჲთა, და არა ბუნებით უპირატესად, არამედ ჟამითა ხოლო უხუცე-
სად.

პირველად უკუე ამას ვიტყვთ მათდა მიმართ, ვითარმედ არა ერთ
არიან მხოლოდშობილი და პირმშოდ, რამეთუ მხოლოდ-
შობილი ძმათა თანა არა გულისცმა-იქმნების; და ეგრეთ(269rB)ვე,
პირმშოდ თვნიერ ძმათაჲსა არა იცნობების. და უკუეთუ მხოლოდ-
შობილ არს, ძმანი არა უსხენ; ხოლო უკუეთუ ძმათა პირმშოდ არს,

უეჭუელად არცა არს მხოლოდშობილ და არცა ეწოდების.

ვინაჲცა მოუზავებელ არიან ესენი ურთიერთას და წინააღმდეგომ; და შეუძლებელ არს, რადთამცა ერთსა და მასვე მხოლოდშობილადცა ეწოდებოდა და პირმშოდცა.

იტყვან უკუე ვითარმედ: სახარებაჲ მხოლოდშობილად ძედ უწესს მას, და პავლე – პირმშოდ ყოველთა დაბადებულთა. ამისთვის უკუე ვიტყვ, ვითარმედ ბჭობითა ჭემმარიტებისადთა ჯერ-არს მრჩობლ განყოფაჲ საიდუმლოდსაჲ ამის, და მართლმადიდებლობით გულისწმის-ყოფად, რადთა ორკერძოვე უცთომელ იყოს საღმრთოთა ამათ სახელთა ღმრთისმეტყუელებაჲ.

მხოლოდშობილ უკუე არს ჭემმარიტად პირველ-საუკუნეთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და მერმე ყოვლისა მის ქრისტეს მიერ ახლისა დაბადებულისა ჯორცთშესხმითა იგივე სიტყუაჲ ღმრთისაჲ პირმშოდ იწოდების და არს ჭემმარიტებით. და პირმშოდ მკუდართა და პირმშოდ ძმათა მრავალთა და პირმშოდ დაბადებულთა წოდებაჲ მისი, და შემდგომითი-შემდგომად სამნივე ესე პირნი ერთსა სახესა და ერთსა ძალსა მოგუასწავებენ და ესრეთ გულისწმა-ვყოთ, რამეთუ პირმშოდ მკუდართა იწოდების, რომელი-იგი იქმნა დასაბამ შესუენებულთა, რადთა გზა-უყოს აღდგომისა ყოველსა დაბადებულსა, და პირმშოდ ძმათა მრავალთა – რომელნი-იგი მეორედ შობითა წყლისა მიერ და სულისა ზეგარდამო იშვნეს, და ძე ნათლისა და დღისა იქმნნეს ბუნებით შვილნი იგი (vD) რისხვისანი, რომელთა-იგი თვთ იგი თავადი იქმნა პირმშო და წინამძღუარ ესევეითარისა მის შობისა მდინარესა შინა იორდანისასა, (19vA) რაჟამს-იგი დასაბამსა მას ზედა ბუნებისა ჩუენისასა მაღლი სულისა წმიდისაჲ გარდამოიყვანა და ყოველნივე სულიერისა მის მიერ მეორედ შობისა განაცხოველნა და წყლისა მიერ და სულისა შობილთა მათ ძმად და თანამკვდრად უწოდა, და ესრეთ იქმნა პირმშო მრავალთა

ძმათა შორის.

ეგრეთვე სახედ, ქრისტეს მიერ ახლისა დაბადებულისა პირმშოდ რამ უწოდით უფალსა, არა ვსცთებით ჭეშმარიტებისაგან, რამეთუ ვინაფთგან პირველი იგი დაბადებული წარჳდა, უკმარ-ქმნილი ცოდვი-სა მიერ, დაჳსნილისა მის და უკმარ-ქმნილისა წილ ჯეროვნად შემოვიდა ახალი დაბადებული ნათლისღებისა მიერ, და მეორედ შობისა გამობრწყინებული, რომლისა-იგი წინამძღუარ იქმნა დასაბამი ცხორებისა ჩუენისაჲ ქრისტე, და პირმშოდ იწო-და.

ესე უკუე მცირედნი სიტყუანი ვთქუენით, რადთა ცნას სწავლის მოყუარემან, თუ ვითარ ჯერ-არს წინა-განწყობაჲ წინააღმდგომთაჲ, და ვჳგონებ თუ კმა არიან თანაშემწედ ჭეშმარიტებისა. ხოლო თუ ვითარ მომზავებელ იქმნენ სათნოდ ცხორებისა ზემო თქუმულნი ესე სიტყუანი, მოკლედ თქმულთა მიერ სიტყუათა ამისიჲ წარმოთქუმაჲ

არა დავიცონოთ.

პირმშოდ იყო შემდგომთა თჳსთაჲ რუბენ, და წამებდა შემდ-გომად მისა შობილთა მისსა მიმართ თჳსებასა ხატი და აგებულე-ბაჲ და მსგავსებაჲ (vB) პირმშოდსა მის საკუთრებასა. აწ უკუე, ვინაფთგან წყლისა მიერ და სულისა მეორედ შობითა ჩუენცა ვიქმნენ-ით ძმა უფლისა, რომელი-იგი იქმნა ჩუენთჳს პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ჯერ-არს და თანანადებ, რადთა მსგავსებითა ცხორებისა ჩუენისაჲთა ვაჩუენოთ მისსა მიმართ თჳსე-ბაჲ ჩუენი და მოქალაქობითა ჩუენითა მობაძავ ვიქმნნეთ პირმშოდსა მის დაბადებულთაჲსა. ხოლო რაბამი და ვითარი მსგავსებაჲ გჳსწავ-იეს წერილთა მიერ ხატოვნებისა მისისაჲ, ესე იგი არს, ვითარმედ: „ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა“, ვინაფცა, უკუეთუ გუნებაჲს ძმად წოდებაჲ მეორედ შობისა (142rD) მიერ პირმშოდსა მის ჩუენისაჲ, უცოდველობამან ცხორებისა ჩუენისამან სარწმუნო ყავნ თჳსებაჲ იგი მისი, და ნუმცა რად მწიკული განგუყ-

ოფს წმიდისა მის შეერთებისა მისისაგან.

არამედ სიმართლეცა არს და სიწმიდე პირმშოდ იგი ჩუენი, და სიყუარული და მშვიდობა და გამომცხნელი და სხუად ესევითარი მრავალი; და უკუეთუ ესევითართა საქმეთა მიერ გამოსახვოდის ცხორებად ჩუენი, ცხად იყვნენ და ბრწყინვალე აზნაურებისა ჩუენისა სასწაულნი. და უკუეთუ ვინმე განიცდიდეს ცხორებასა ჩუენსა, ესევითართა ამათ კეთილთა მიერ შემკულსა, მანცა გუწამნეს ძმად ქრისტესა უეჭუელად, რამეთუ იგი თავადი არს, რომელმან განმიხუნა ჩუენ კარნი აღდგომისანი, და ამის მიერ იქმნა იგი დასაბამ დაძინებულთა, და რამეთუ აღვდგეთ ყოველნი მეყსა შინა და წამსა თუალისასა უკუანადსკნელითა მით საყვრი-თა, ესე ცხად ყო თავისა მიერ თვისისა და საქმეთა მათ მიერ, რომელნი ქმნნა სიკუდილისა მიერ პერობილთა მათ ზედა. ხოლო ყოფადსა მას ყოველთა აღდგომასა შემდგომად ამის ცხორებისა აღსასრულისა არღარა სწორი აღდგომა მიელის ყოველთა, რომელნი იგი აღდგენ მიწისაგან ქუეყანისა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „გამოვიდოდინ კეთილისა მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტისა მოქმედნი – აღდგომასა საშუელისასა“.

ვინაჲცა, რომლისა ცხორებად საშინელსა მას დაშუასა მოელოდის, ეგევითარი იგი დაღაცათუ მეორედ შობისა მიერ ძმათა თანა უფლისათა აღრაცხილ იყოს, ამაო არს და ტყუვილ სახელის-დებად მისი, რამეთუ სიბოროტისა სახითა პირმშოდსა მის ხატისა თვისებად უვარუქმნიეს და განურყუნიეს, ხოლო შუვამდგომელად რად ღმრთისა და კაცთა იწოდოს ქრისტე, და თავისა მიერ თვისისა შეაერთებდეს კაცებასა ღმრთისა მიმართ, ესრეთ გულისგმა-ყავ, რამეთუ მას ხოლო შეაერთებს, რომელი ღმრთისა მიმართ შეერთებისა ღირს იყოს; რამეთუ ვითარცა-იგი ძალითა ღმრთეებისაჲთა თავსა თვისსა შეასაკუთრა კაცი, რომელი-იგი კერძოდ იყო ზოგადისა მის ბუნებისაჲ, გარნა არა შთავრდომილი ვნებათა ბუნებისათა, ცოდვისა მიმართ მიმხდელთა; ვითარცა

წერილ არს, ვითარმედ: „ცოდვად არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვად პირსა მისსა“. ეგრეთვე კაცად-(vD)კაცადსა შეაერთებს ღმრთეებასა, უკუეთუ შეერთებისა ღმრთისა უღირსი არარად იპოვოს მათ თანა, არამედ რომელიცა ჭეშმარიტებით იყოს ტამარ ღმრთისა, და არარად აქუნდეს თავსა შორის თვისსა სიბოროტისა სახე და კერპები, ესევეთარი იგი შუვამდგომელისა მის დიდისა მიერ ზიარებად ღმრთეებისა აღიყვანოს, და (270rB) სიწმიდისა მიერ წმიდისა მის წმიდათადასა სავანე იქმნეს, რამეთუ არცა ბოროტის მოქმედსა სულსა შევიდეს სიბრძნე, ვითარცა თქუმულ არს, არცა წმიდამან გულითა თვნიერ ღმრთისა იხილოს რად სხუად თავსა შორის თვისსა, რომელსა-იგი უხრწნელებითა შეემჭუალა და შეეყო, რომელი-იგი არს სუფევად და მეუფებად ყოველთავე კეთილთა და ფუფუნებათა უაღრესი და თავი.

და რადთა უმეტეს ცხად იქმნეს სიტყუად ჩუენი, კმად იგი უფლისად მოვიკსენოთ, რომელი მიჰრქუა მოციქულთა მარიამის მიერ, ვითარმედ: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, და ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“. (20rA)

ესე უკუე თქუა შორის მამისა, და თვისთა მათ ქადაგთა და მოციქულთა, დიდმან მან შუვამდგომელმან ღმრთისა და კაცთამან, რომელმან თავისა მიერ თვისისა დამაგნა მტერნი ესე ღმრთისა ჭეშმარიტსა და

მხოლოსა ღმრთეებასა, რამეთუ ვინადთგან კაცნი ცოდვისა მიერ, სიტყსაებრ წინადაწარმეტყუელისა, უცხო იქმნეს ცხოველსმყოფელისა მის საშოდსაგან, და მუცლითგან ტყუვილსა ჭეშმარიტებისა წილი იტყოდეს, ამისთვის მკნელმან დასაბამი ზოგადისა ბუნებისად მიიღო სულისა მიერ და ჯორცთა, და წმიდა იყო, და ყოვლისავე სიბოროტისა შეუწყნარებელ და შეურყვნელ თავისა მიერ თვისისა, და ღმრთივბრწყინვალედ გამოაჩინა, რადთა უხრწნელებისა მიერ შეწიროს იგი მამისა, და მის მიერ მოიზიდოს მისა ყოველივე ნათესავი მისი და ტომი და ბუნებად, და ყვნეს უცხო-ქმნილნი იგი შვილ ღმრთისა, და

მტერნი ღმრთისანი – თანამკვდრ და ზიარ ღმრთეებისა.

აწ უკუე, ვითარცა დასაბამი იგი ობისა ჩუენისაჲ, სიწმიდისა მიერ და უვნებელობისა, საკუთარ იქმნა ჭეშმარიტისა მის მამისა და ღმრთისა, ეგრეთვე ჩუენცა, თბენი ესე, მითვე გზითა მობაძავითა მისითა, შევეყვნეთ მამასა მას ჭეშმარიტებისასა, მსგავსად ძალისა მიმსგავსებითა შუვამდგომელისა მის (143rD) ჩუენისა უვნებელობასა და უცვალებელობასა. და ესრეთ, ვიქმნეთ მხოლოდშობილისა ღმრთისა გზგზნ ქვათაგან პატიოსანთა, დიდებითა და პატივითა კეთილად ცხორებისაჲთა შემკულნი, ვითარცა იტყვს პავლე, ვითარმედ: „მცირედ რაჲმე დააკლო თავი თვისი ანგელოზთა, ვნებითა მით სიკუდილისაჲთა; და პირველ ეკლისა ბშნებად შეცვალებულნი ცოდვისა მიერ, განგებულებითა მით სიკუდილისაჲთა გზგზნად თვისად გამოაჩინნა; და ვნებისა მის მიერ დიდებად და პატივად შეცვალნა ეკალნი იგი.

ვინაჲცა ჭირი არს და ზღვევად არამცირედი, უკუეთუ რომელმან იგი აიხუნა ცოდვანი სოფლისანი, და გზგზნი ეკლისაჲ დაიდგა, რაჲთა დიდებითა და პატივითა შეთხზულად გზგზნად გამოაჩინნეს კაცი, და ესე ვითარსა მას გზგზნსა შინა იპოვოს ვინმე ბოროტად ცხორებისა მიერ, ეკლად და კურომსთავად, რომლისა მიმართ ითქუას უეჭუელად ჳმისა მის მიერ სიმართლისა, ვითარმედ: „ვითარ შემოხუედ აქა, რომელსა არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე“, ანუ თუ ვითარ შეეთხზენ გზგზნსა ჩემსა სამეუფოსა, დიდებითა და პატივითა შემკულსა, ეკალი ეგე და კურომსთავი? რაჲ ზიარებაჲ არს ქრისტესი ბელიარის თანა, ანუ რაჲ ნაწილი უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა? ანუ თუ რაჲ შეტყუებაჲ არს ნათლისაჲ ბნელისა

თანა? აწ უკუე რაჲთა ესე ვითარნი ესე სიტყუანი არასადა ითქუნენ ჩუენდა მომართ, უჯე(vB)როდ ცხორებითა ჩუენითა, ყოველივე მოღუაწებაჲ ვაჩუენოთ და ყოველივე ეკალი და კურომსთავი, საქმითი და სიტყვითი და გონებითი, ყოვლისავე ცხორებისა ჩუენისაგან განვჳფხურათ, რაჲთა წმიდითა და უვნებელითა მოქალაქობითა ვიქმნეთ პა-

ტივ და დიდება და თავი იგი ყოველთადაც თავთა თვსთა მიერ გვრგვინო-
სან ვყოთ, რადთა ვითარცა საუნჯენი რადმე და მონაგებნი სამეუფო-
ნი შევირაცხნეთ, რამეთუ ვინადთგან უფალი არს დიდებისა და
პატივისაჲ, არარას მიიხლებს უპატიოსა.

ვინაჲცა, რომელი ყოვლისავე უშუერებისა და სამაგლებისაგან
უცხო იქმნეს, ხილულითა და უხილავითა კაცითა, მეუფედ თვსად
გამოაჩინებს, არა შეურაცხებისა, არამედ დიდებისა და პატივისა უფალსა.

ხოლო არს უფალი დასაბამიცა და (vD) ძირი და საფუძველი, და
ყოვლისავე საქმისა დასაბამი შემდგომისა მისისაგან არა უცხო არს;
რამეთუ უკუეთუ ვინ ცხორებაჲ განაჩინოს დასაბამად, შემდგომ-
იცა იგი დასაბამისაჲ ცხორებაჲვე იყოს უეჭუელად. და უკუეთუ
ნათელი იყოს დასაბამი, ნათელი იყოს განაღა შემდგომიცა იგი
ნათლისაჲ.

აწ უკუე დასაბამად რად გურწმენეს უფალი, რასა
სარგებელსა მოვისთულებთ ამის მიერ? ესე იგი არს, რადთა, ვითარი
გურწამს დასაბამი ჩუენი, ეგევითარნივე ვიქმნნეთ ჩუენცა, რამეთუ არა
იწოდების ბნელი დასაბამად ნათლისა, არცა სიკუდილი – ცხორებისა,
არამედ, არა თუ ვისმე აქუნდეს უვნებელობისა მიერ და სათნოებისა
შეზავებაჲ და ერთობაჲ, წინამძღურისა მის მიმართ და დასაბამისა
კეთილთაჲსა, ესევეითარისა მის დასაბამ არა იქმნების დასაბამი იგი
და ძირი ყოველთა კეთილთა და არსთა არსებისაჲ.

რამეთუ დასაბამ ბნელისა ცხორებისა – სოფლის მპყრობელი არს
ბნელისაჲ, და დასაბამ სიკუდილშემოსილისა ცოდვისა არს, –
რომელსა-იგი აქუს სიმტკიცე სიკუდილისაჲ და ბოროტად ცხორები-
სა მიერ მთავრობასა ქუეშე ბნელისასა დაწესებული ყოვლისა კეთი-
ლისა დასაბამსა დასაბამად თვსად ვერ უწოდეს; ნუ იყოფით და
ესევე ძალი აქუს, რომელნი თვსთა კეთილთა სიმტკიცედ საღმრთოთა
მათ ჳმათა შეიმზადებენ და მეუფედ სიმართლისა და მშჳ-

დობისა უწოდენ უფალსა.

რამეთუ რომელი მოძღვრებისა მისებრ საუფლოდსა მის ლოცვისა, სუფევისა უფლისა მის ზედა მოსლვად ილოცვიდეს და გულსავსე იქმნეს, ვითარმედ სიმართლისა და მშჯდობისაჲ არს მეუფე, ჭემმარიტი იგი მეუფე, ეგევითარი იგი უეჭუელად წარჰმართებს ცხორებასა შინა თვისსა სიმართლესა და მშჯდობასა, რადთა სუფევდეს მის ზედა მეუფე იგი სიმართლისა და მშჯდობისაჲ.

აწ უკუე, ვინადთგან ყოველნი სათნოებანი მკედრობად სამეუფოდ შერაცხილ არიან, რამეთუ სიმართლისა მიერ და მშჯდობისა ყოველნივე სათნოებანი მოესწავებიან, უკუეთუ ვინმე ლტოლვილ იქმნეს საღმრთოდსა მკედრობისაგან და უცხოთესლთა მწყობრსა შეერთოს, და ბოროტთა მომპოვნებელისა მის ჭურვილად გამოჩ(144rD)ნდეს, და განიძარცოს ჯაჭვ იგი სიმართლისაჲ და ყოველივე საჭურველი მშჯდობისაჲ, ვითარ დაეწესოს იგი წესთა თანა ჭემმარიტისა მის მეუფისათა, რომელი-იგი უცხო იქმნა ჭემმარიტებისაგან და ლტოლვილ წყობისაგან? – ცხად არს უკუე, რამეთუ ერთგულებასა და საკუთრებასა წყობისა თვისისასა საანჯმნო ჰყოფს წინაშე მეუ(271rB)ფისა თვისისა, რომელი საგონებელისა მის წილ და ამადსა მკედრობისა, ცხორებისა მიერ თვისისა გამოაჩინებდეს წინამძღურისა თვისისა მორჩილებასა და ხატსა.

ვინადცა სამგზის სანატრელ არს საღმრთოდსა ერისმთავრობისა ქუეშე დაწესებული და ბევრის-ბევრეულთა მათ მკედრობათა თანა აღრაცხილი და სიბოროტისა მიმართ სათნოებათა მიერ აღჭურვილი, რომელი-იგი ხატსა სამეუფოსა – შემოსითა მისითა საანჯმნო ჰყოფდეს.

და რადღა საკმარ არს უმეტეს-რადმე განგრძობაჲ სიტყვსაჲ ამის, და ყოველთავე ჳმათა, რომელნი სახელსა ქრისტესსა მოასწავებენ, წინაშე დასხმად გამოძიებასა ამას შინა სისრულისასა, რომელთა მიერ იქმნების სათნოდ ცხორებისა მიმართ წარმართებაჲ, რაჟამს თითოეული სახელი თვისითა ღმრთისმეტყუელებითა და იგავითა თანაშემწე გუექთებოდის სრულისა და უნაკლულოდსა ცხორებისა მოგე-

ბად, ვინაძთგან ყოველთავე წარმოთუმად შეუძლებელ არს, და გონი-
ერთათვს ესეცა ნამეტნავ არს, სიტყვსა მისებრ იგავთაძსა, ვითარმედ:
„ეც ბრძენსა მიზეზ და უბრძნეს იყოს“. აწ უკუე, კაცად-კაცაძსა

დაუტეოთ გამოძიებად მათი, და ჩუენ ზემო ვსენებულთა მათ მოძღუ-
რებათა ძალი კულად მოვიცენოთ, რაძთა ესრეთ სარგებელი რაძმე
მოვისთულოთ სამიებელისა მისთვს, რომელი პირველითგან პირად და
სახედ სიტყვსა ჩუენისა განვაწესეთ; ესე იგი არს, რამეთუ ვეძიებდით,
თუ ვითარ ვინ წარჰმართოს სისრულე ცხორებასა შინა თვსსა.

ამისთვს უკუე ამას ვიტყვ მე, რამეთუ რომელი მარადის იგონებ-
დეს, ვითარმედ, სიტყვსაებრ მოციქულთაძსა, თანაზიარ არს თაყუა-
ნისსაცემელისა მის ქრისტეს სახელისა, ქრისტიანედ წოდებისა
მიერ, ეგევითარმან მან უეჭუელად სხუათა მათცა სახელთა ძალი,
რომელთა მიერ ქრისტე იქადაგების, (vD) თავსა შორის თვსსა შემოი-
კრიბოს და თითოეულისა წოდებისა ზიარ იქმნეს უბიწოძსა ცხო-
რებისა მიერ.

რამეთუ სამნი არიან, რომელნი გამოსახვენ ქრისტიანისა ცხორე-
ბასა, ესე იგი არს – საქმე, სიტყუად და გონებად. და ამათ შორის
უმთავრეს გონებად არს. რამეთუ ყოვლისავე სიტყვსა დასაბამ
გონებად იქმნების. და შემდგომად გონებისა მეორედი წესი აქუს სი-
ტყუასა, რომელი-იგი გამოისახვის სულსა შინა გონებისა მიერ, და
ქმისა მიერ წარმოიჩინების და გამოცხადდების. ხოლო შემდგომად
გონებისა და სიტყვსა მესამე წესი უპყრიეს საქმესა, და განგონებულსა
მას საქმით სრულ-ჰყოფს ქმნისა მიერ. ვინაძცა, რომლისაცა ამათგან-
ისა წესმან ცხორებისა ჩუენისამან მიმიყვანნეს და გუეგულეზოდის
გინა მოგონებად, გინა სიტყუად, გინა ქმნად, ყოვლისა პირველად
ფრიადი კრძალვად თანა-გუაც, რაძთა, გინა თუ ვიგონებდეთ, გინა თუ
ვიტყოდით, და გინა თუ ვიქმოდით, არარას ვიქმოდით გარეშე საღმ-
რთოთა ამათ სახელთაძსა, რომელთა მიერ ქრისტე იქადაგების და
გულისკმა-იქმნების. რაძთა, ნუუკუე გარეშე მაღალთა ამათ ღმრთის-

მეტყუელებათა ძალისა განვიდეს გონებად, გინა სიტყუად, გინა საქმე ჩუენი, და წარვწყმდეთ. რამეთუ სიტყვსა მისებრ სამოციქულოდსა, ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით იყოს, იგი ცოდვა არს, და ეგრეთვე ამას განვაჩინებთ, ვითარმედ: ყოველივე, რომელი არა ქრისტეს მიმართ ხედვიდეს, გინა თუ გონებად, ანუ თუ სიტყუად, ანუ თუ საქმე, იგი (vB) ანტიქრისტეს მიმართ ხედავს და მას ჰმორჩილობს. რამეთუ რომელი ნათლისა და ცხოვრებისაგან განვარდეს, უეჭუელად

ბნელსა და სიკუდილსა მიეცემის. და ვინადთგან რომელი გარეშე ქრისტეს მცნებათა და ბრძანებათა რასმე იტყოდის გინა იქმოდის ანუ თუ იგონებდეს, ეგევითარი იგი ეშმაკსა შეესაკუთრების. მაშა ქრისტეცა სამე უვარ-ჰყოფს მას და იჯმნის მისგან უკეთურებისა მისისათვის, (21rA) და ჭემმარიტებით სრულ-იქმნების მის ზედა საწინაღწარმეტყუელოდ იგი სიტყუად, ვითარმედ: „გარდამავალად შევჰრაცხენ (145rD) ყოველნი ცოდვილნი ქუეყანისანი“, ესე იგი არს – უვარისყოფელად. რამეთუ ვითარცა რომელმან დევნულებათა შინა უვარ-ყოს ქრისტე, უარის-ყოფელი არს იგი თაყუანის-საცემელისა სახელისა მისისა და გარდამავალი შჯულისა. ეგრეთვე, რომელმან სიმართლე და ჭემმარიტებად უარ-ყოს ანუ თუ სიწმიდე და უხრწნელება ანუ თუ სხუად რადმე მაღალთა მათ სათნოებათაგანი, ჟამსა მას ვნებათა კუეთებისასა, გარდამავლად და უშჯულოდ ეწოდების ეგევითარსა მას წინაღწარმეტყუელისა მიერ, მისთვის, რომელი-იგი ამათ სახელთა მიერ იცნობების და იდიდების ქრისტე ღმერთი.

რად-მე უკუე თანა-აც, რადთა იქმოდის, რომელი ღირს-ქმნულ იყოს ქრისტეს ღმრთისა დიდისა მის სახელისა სეხნაობასა? და რად-მცა თანა-ედვა სხუად, არამედ რადთა ყოვლითავე გამოწულილვითა და ყოვლითავე გამოძიებითა განიკითხვიდეს თავსა თვსსა და გონებასა და სიტყუასა და საქმესა, და უკუეთუ თითოეული ამათი ქრისტეს მცნებათაებრ-ძი იქმნების, ანუ თუ უცხო ქმნილ არს ქრისტესგან და ამის განკითხვისა და გულისწმის-ყოფისა გამორჩევასა არცა ერთი

აქუს სიძნელე, არამედ ფრიადი სიადვილე, რამეთუ ყოველი რომელი ვნებისა რადსათვისმე გინა იქმნებოდის გინა იგონებოდის გინა ითქუ- მოდის, ეგევითარსა მას არცა ერთი აქუს ქრისტეს მიმართ ზიარებად, არამედ ხატი ემშაკისად ჰმოსიეს, რომელი სიწმიდისა წილ მარგალ- იტსა მას სულისასა ვნებათა მწვრესა ასხურებს და ქვისა მის პატიოსნისა ბრწყინვალეობასა განჰრყუნის.

ხოლო რომელსა ენებოს ყოვლისავე ვნებათა სიყუარულისაგან გან- წმედად, წინამძღურისა მის მიმართ უვნებელობისა ჰხედავს და მას ემსგავსების, რომელ არს ქრისტე, რომლისა მიერ, ვითარცა წმიდისა და უხრწნელისა წყაროსაგან აღმოივსებს საღმრთოსა გულისკმის-

ყოფასა, და ეგევითარსა მსგავსებასა აჩუენებს საუფლოდსა მის ხატი- სასა, ვითარი იქმნების წყაროდსა და ნაკადულისად, და მათგან აღმო- ვსებულისა წყლისად ჭურჭელსა შინა, რომელთა-იგი ერთ არს არსე- ბად და ბუნებად და სიწმიდე. ეგრეთვე სახედ იქმნების ქრისტეს მიერ და სახელთა მისთა (vD) და ცხორებისა ჩუენისა, რამეთუ იგი არს წყაროდ ცხორებისად, და საღმრთონი იგი სახელნი მისნი ნაკადულნი არიან ცხორებისანი, ხოლო აღმასრულებელი ძალსა საღმრთოთა მათ სახელთასა, კეთილად ცხორებისა მიერ ვითარცა სარწყული აღმოივსებს საღმრთოთა მათ გულისკმის-ყოფათა სიკეთესა, და ესრეთ, უხილავისა და ხილულისა კაცისა მოქალაქობად და წესიერებად ქრისტეს მცნება- თა აღსრულებითა განშუენდების და ერთ (272rB) იქმნების.

და განბჭობისა ჩემისაებრ და განჩინებისა ესე არს სრული ქრის- ტიანეთა ცხორებად, რადთა ყოველთავე სახელთა, რომელთა მიერ ქრისტესა სახელ-ედების ზიარებად აქუნდეს სულისა მიერ და სი- ტყვსა, და ამის ცხორებისა საქმეთა, რადთა კურთხევად იგი სამო- ციქულოდ სრულებით და უნაკლულოდ სიწმიდითურთ დაუმკვდროს თავსა თვსსა, და სულით და ჯორციით და გონებით ყოვლისავე ბოროტთა აღრევისაგან უცხო იქმნეს და განშორებულ სამარადისოდ.

ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის, ვითარმედ ძნიად წარსამართებელ

არს კეთილი, ვინაიდან უცვალებელი უფალი ხოლო არს მხოლოდ დაბადებულთა მფლობელი, ხოლო კაცთა ბუნება – ქცევადი და შეცვალებისა მიმართ მარჯუე და ადრე მიდრეკადი, და ვითარ შესაძლებელ არს, კეთილსა შინა სიმტკიცე და უქცევლობა, ქცევადსა ბუნებასა შინა წარმართებად. ამათ უკუე ესევეითართა სიტყუათა მიმართ ამას ვიტყვთ, ვითარმედ ვერ გვრგვზნოსან იქმნების, უკუეთუ ვინმე არა შჯულიერად ილუაწოს. და შჯულიერად მოლუაწებად არა იქმნების, უკუეთუ მბრძოლი არა იყოს. რამეთუ უკუეთუმცა მბრძოლი არა იყო, არცამცა გვრგვზნი იყო, რამეთუ ძლევად თავით თვისით არა იქმნების, უკუეთუ ძლეული არა იყოს.

ვინაიდა თვთ მის ქცევადისა ბუნებისა ჩუენისა მიმართ ვილუაწოთ, და ვითარცა წინააღმდგომსა რასმე, გულის-სიტყუათა მიერ ბრძოლაუყოთ, და არა დაცემითა მისითა გამოვჩნდეთ მძლედ, არამედ არა შენდობითა დაცემად ჩუენდა. რამეთუ არა ხოლო თუ ბოროტისა მიმართ ოდენ იჯუმევს კაცი ქცეულებასა, რამეთუ უკუეთუმცა ბორო-

ტისა მიმართ ოდენ აქუნდა (146rD) ქცეულებად და მიდრეკა ბუნებით შეუძლებელმცა იყო და უღონო კეთილისა რაღსმე წარმართებად.

ხოლო აწ უადრესი საქმე ქცეულებისად კეთილთა აღორძინებასა შინა იხილვების, და ყოვლადვე უმჯობესისა მიმართ შეცვალებად საღმრთოსა პატივსა ღირს-ჰყოფს კეთილად შეცვალებულსა მას.

აწ უკუე რომელი-იგი საშინელად საგონებელ იყო, ესე იგი არს ქცეულებად ბუნებისა ჩუენისად, აჰა ესერა სიტყუამან ვითარცა ფრთე რაღმე გამოაჩინა, შემწე უმაღლეს ფრინვისა მიმართ, ვიდრეღა ზღვევა იყო ჩუენდა და დაჭირვება, უკუეთუმცა ვერ შემძლებელ ვიყვენით უმჯობესისა მიმართ შეცვალებად.

ნუმცა ვინ უკუე მწუხარე არს, ხედვიდეს რაღ (21vA) ბუნებისა ჩუენისა ქცეულებისა მიმართ სიადვილესა, არამედ მარადის უმჯობესისა მიმართ შეიცვალებოდენ და დიდებითი-დიდებად აღიწეოდენ. და ესე იყავნ ქცეულებად მისი, რაღთა დღითი-დღე აღორძნდებოდის და

მარადის უაღრეს იქმნებოდის და ყოვლადვე უსრულესისა მიმართ აღისწრაფდეს და არასადა მისწუდებიდის სისრულისა თავსა, რამეთუ ჭეშმარიტი სისრულე ესე არს, რადთა არაოდეს დადგეს უაღრესისა მიმართ აღმატებისაგან, არცა შემოსაზღვრებითა რადთმე და დასასრულითა შემოსაზღვროს დაუსრულებელი იგი სრულებაჲ.

ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, ქრისტეს მოყუარენო, და სწავლისმოყუარენო ძმანო, ამენ.

შესხმად წმიდისა მამისა ჩუენისა

ეფრემ ასურისაჲ,

თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა

გრიგოლი ნოსელისაჲ,

რომელი იკითხვების დღესასწაულსა მისსა

1. აღმძრავს მე წინამდებარისა ამის პირისა მიმართ საიდუმლოდ იგი სანთლისაჲ, წმიდათა სახარებათა შინა აღწერილი, და აღვრითა დუმილისაჲთა შეკრულსა ენასა ჩემსა და ჳმასა განჳჳსნის მსახურებად სიტყჳსა, და გზათა გულისჳმის-ყოფისათა, ვითარცა ალაგთა ცხენთ-სარბიელთა წრფელ-ჳყოფს, და სიტყჳსა მრავალსახესა ეტლსა საეროთა გზათა ზედა სრბად აიძულებს ბრწყინვალითა მით ოხრითა თჳსითა. ესე იგი არს, ვითარმედ: „არა აღანთიან სანთელი და ჳჳმირსა ქუეშე დადგიან იგი, არამედ სასანთლესა ზედა, რადთა ჳნათობდეს ყოველთა, რომელნი იყვნენ სახლსა შინა“, და შემდგომითა მით სიტყჳთა სიღრმესა მას ძალისა მისისასა გამოაცხადებს და იტყჳს, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეტასა“, აწ უკუე ვინაჲთგან კეთილად ცხორებულთა საქმენი სადიდებელ არიან ღმრთისა, და სათნოებათა მათთა საანჯმნო-ყოფაჲ თანანადებ არს, სიტყჳსაებრ უფლისა, არღარა არს მიზეზი მოშიშებ-

ისა მიერ დაფარვისა მათისაჲ, რომლისათჳს უფალმან კადნიერებაჲ გუამცნო, რომელმან-იგი ესრეთ შუენიერად და მზისა მცხინვარებისა უბრწყინვალეს აღანთო სულიერი იგი ლამპარი საღმრთოჲსა ამის მამისა ჩუენისა მოქალაქობისაჲ; არცა ჰნებავს, რადთამცა დუმილისა ჳკმირსა ქუეშე დაიფარა, არამედ რადთა სასანთლესა ზედა ეკლესიისა

სამყაროჲსასა დაიდგას და ყოველთავე სოფელსა ამას შინა მყოფთა უნათობდეს, რადთა მხილველნი იგი მისნი ადიდებდენ მამასა მას ზეცათასა.

2. ვინაჲცა არღარა ჯერ-არს შიში მამებრივთა მათ საკრველთა მის(ვB)თაგან, რაჟამს სამეუფოდ შჯული დაიტკებნებოდის, არამედ უფროჲსღა მათ მიერ ჯერ-არს დასაბამსა შესხმისასა დაწყებაჲ; და-ღაცათუ ჩუენ მიერი ესე წესი სიტყჳსაჲ ღირსად შესხმისა მისისაგან ფრიად ნაკლულევან არს; რამეთუ უკუეთუ ვინმე გონიერად გულისჳ-მა-ჰყოფდეს ძალსა საქმეთასა, არა არს ესე საკრველი დამაყენებელ შესხმათა, რაჟამს დიდებასა ვინ კაცთასა ევლტოდის და განიშორებ-დეს, არამედ ესევითარი ესე საკრველიარს შეუკრავი, დაყენებაჲ დაუყენებელი, და წინაუკუმოთა საქმეთა მიმართ აღმძრველი ჳემშარი-ტებისა ტრფიალთაჲ.

რამეთუ რომელთა საკრველთა მიერმან შესხმათა ჩუენთაგან სივ-ლტოლად მოიგონა, მათ მიერ მოვიღებთ ჩუენ ძალსა და მიზეზსა შესხმათასა; რამეთუ ყოველნივე სათნოებანი მისნი მიზეზსა შესხმის-ასა მოგუცემენ, და უფროჲს ყოველთასა ესე, რომელ არს სივლტო-ლად შესხმათაგან და ქებათა, რამეთუ ენება ნეტარსა მას, რადთა არა საგონებელ იყოს სათნოდ, არამედ რადთა იყოს ჳემშარიტებით სათნო.

და დაღაცათუმცა სხუაჲ არაჲ ექმნა ღირსი ქებისაჲ, თვთ მებრ ამისთჳს ღირს იყო შესხმისა, რომელ ესოდენ მოიძაგნა შესხმანი, ვიდრელა საკრველი კრულებისაჲ განაწესა ბეჳდად ესევითარისა მის ჳელ-ყოფისა, ხოლო ჩუენ ესე განგვლებს პირველსა შესავალსა სი-ტყუათა სტადიონისასა და გულსავსე-გუყოფს, რადთა არა განუკრძა-

ლველად ვრბიოდით, არცა კაპანთა შთავიბნეოდით, არამედ რაფთა სამეუფოსა გზასა ვიდოდით და გონიერად აღვსწონდეთ საქმეთა. რამეთუ უკუეთუმცა საკვრველი ესე კაცი ღმრთისად საქებელთა ღირსსა რას-მე საქმესა არა ხედვიდა თავსა შორის თვსსა, არამცა დააყენნა შესხმი-საგან, რომელთა-იგი ენება შესხმად მისი, რამეთუ არავინ არს, რომელ-სამცა საწუთროსა ამას შინა ღირსნი ქებისა საქმენი არა ექმნეს და იგიმცა შემდგომთა თვსთა ამცნებდა სიღრმითა დავიწყებისათა ვსე-ნებისა თვსისა უჩინო-ყოფასა. და ამის თანა ამასცა გულისკმა-ვჰყოფთ, ვითარმედ ვითარცა-იგი პავლე, რიტორმან მაღლისამან და ეზოდს-მომღუარმან ეკლესიისამან და პირმან ქრისტესმან არა წარწყმიდა

სახელი მოციქულებისად, სიტყვსა ამის მიერ, რომელ თქუა, ვი-თარმედ „არა ღირს ვარ წოდებად მოციქულად“, არამედ უფროდსდა ესევითარისა ამის სიმდაბლისა მიერ უაღრესი დიდებად განიკუთნა, ეგრეთვე დიდმან ამან მამამან ჩუენმან, ვინაფთგან შიშისათვს ღმრთისა უღირსად შესხმათა საჯა თავი თვსი, ჯეროვნად არა ვუებულ იქმნა შესხმისაგან წესისაებრ და შჯულისა საეკლესიოდსა, რომელი-იგი ესევითართა სათნოებისა მუშაკთა, შესხმით გვრგვინოსან ჰყოფს; და უფროდს[და] რომელნი სიმდაბლისა მიერ სიმაღლედ სათნოებისა აღ-ვიდეს სიტყვსაებრ უფლისა, ვითარმედ: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვსი, იგი ამაღლდეს“.

ვინაფცა ამიერითგან თავისუფალ ვართ ყოვლისავე კრძალვისა და ბრალობისაგან და საშჯელისა, რომელნი-ესე წმიდისა ამის და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა სათნოებათა აღვსწერთ, და ვი-თარცა ძეგლსა სულიერსა და ცხოველსა ცხორებასა მისსა სახედ კეთილისა ყოველსა სოფელსა აღუმართებთ. (vA) და სიტყუათა ამათ ჩუენტა ჭეშმარიტებად, ბრძენმან მსმენელმან განცხადებულად პოვოს, (335rB) [უკუეთუ] სიტყუათა ჩუენტა უკუანა შეუდგეს, და სათ-ნოებანი იგი მისნი პირად-პირადნი გულისკმის-ყოფით ყურად-იხუნეს, რომელთა მიერ თვთ იგი ჩუენცა, ვითარცა ერთსა რასმე ოქრო-

განრჩუნვილსა გვრგვსა, პირად-პირადად აღყუავებულსა და თუალთა მიერ მრავალსაყიდლისათა შემკობილსა, სძალსა ქრისტესსა ეკლესიასა მიუძღუნებთ. რამეთუ იხარებს იგი ესევეთართა მადლთა მიერ პატივ-ცემასა და სტუმრებასა, რაჟამს ვსენებასა მართლისასა შვილთა თვისთა თანა წლითი-წლად ქებით აღასრულებდეს.

რამეთუ აჰა ესერა მოქცევსა შინა თვისსა წელიწადმან ვსენებად ეფრემისი საქებლად და შესასხმელად წინა-გვყო, და ვინმცა არა შეიწყნარა იგი სიხარულით, ეფრემ, რომელსა-იგი ყოველნი ქრისტიანენი მოუთხრობენ.

ეფრემს ვიტყვ ასურსა, [რამეთუ რომლისა] სათნოებათათვის ვიქადი და შევიძკობვი, მისთა ნათესავთა ვსენებად არა მრცხუნის. ეფრემ, რომლისა ცხორებისა და ხედვისა ნათელი ყოველსა სოფელსა განბრწყინდა და ყოველი ქუეყანად, რაოდენიცა არს მზესა ქუეშე, დაიპყრა და ყოველთა მიერ საცნაურ იქმნა, და ესოდენტა შორის ხოლო არს

უცნაურ, რაოდენტა შორის დიდი იგი მნათობი ეკლესიისად ბასილი უცნაურ არს. ეფრემ, გონიერი იგი ეფვრატი ეკლესიისად, რომლისა მიერ ირწყვის სავსებად მორწმუნეთად და ასეულად აღაორძინებს თესლსა სარწმუნოებისასა; ეფრემ, მრავალნაყოფიერი იგი საღმრთოდ ვენაჯი, რომელი მსგავსად ტკბილთა ტევანთადასა ყუავის ყუავილითა მოძღურებისადათა და შვილთა ეკლესიისათა, ღვნითა საღმრთოდსა სიყუარულისადათა ახარებს; ეფრემ, კეთილი იგი და სარწმუნოდ განმგე მადლისად, რომელი-იგი საზრდელსა სათნოებათასა, შემსგავსებულად კაცად-კაცადისა მის-თანათა მათ მონათა ჯეროვნად განუყოფს და სახლსა მას სამეუფოსა ღმრთივბრწყინვალედ განაგებს, რომლისა ნათესავთა და მამულსა, და ჰან-ჰაპთა დიდებასა და მშობელთა წარჩინებულებასა, და შობასა და აღზრდასა და ჰასაკისა აღორძინებასა და ჯორციელსა კელოვნებასა და სიმარჯუესა, და გუარსა, და ნეშტთა მათ საქმეთა, რომელთა გარეშენი იგი შემასხმელნი და მეზღაპრენი შეჰკრებენ და მათ მიერ ქებულთა მათ შესხმასა შეუძმა-

დებენ, მოკსენებადცა მათი და შორის-შემოღებად ნამეტნავად შევჰრა-
ცხეთ, რამეთუ არა ესევითართაგან გვსწავიეს ჩუენ საღმრთოთა კაც-
თა ქებად, დაღაცათუ ნამეტნავად და გარდარეულად აქუს მას ამათ
ესევითართა პირთაგან ღირსი და სარწმუნოდ ძალი შესხმისად.

არამედ რომელთა საქმეთა მიერ თვთ მან თავსა თვსსა ქებად
მოატყუა და ცხორებად თვისი სიტყვთ და საქმით სახელოვან ყო და
განთქუმულ, მათ მიერ ჩუენცა შესხმისა გვრგვნი შეუთხზნათ მას
სიტყუათა მიერ ჩუენთა, რამეთუ საწუთრონი ესე და კაცობრივნი და
თვთმფლობელობისა მიერნი შესხმანი და ქებანი, მსგავსად გმობათა
და გინებათა, სწორებით განთხეულ არიან შესხმისაგან წმიდათადასა,
რამეთუ ვითარმცა თავს-იდვა ამან ტომთა და ნათესავთა მიერი ქებად
რომელმან ყოველივე მსოფლიოდ დიდებად მოიძაგა და შვი(vB)ლებად
ღმრთისად საქმეთა მიერ კეთილთა უფროდს ყოვლისა აღირჩია. ანუ,
ვითარ შეიმკოს მამულისაგან, რომელმან ყოვლისა ქუეყანისაგან უცხო
ყო თავი თვისი და ნივთიერთა მონაგებთა, ვითარცა მტერთა, განემორა
ცათა შინა განმზადებულისა მისთვის უოხჰნოდსა ნეტარებისა.

ანუ თუ კუალად, ვითარმცა შუენიერ უჩნდა მშობელთა და ჰან-
ჰაპთა და პირველთა მამათა მიერი პატივი და წარჩინებულება, რომელმან
ყოველივე ჯორციელი განსუენებად, ვითარცა თიჯად უბნისად, ეს-

რეთ დათრგუნა და საბურველიცა ესე ჯორცთად, რომლითა სული
შემოსილ იყო, მძიმე და საწყინო უჩნდა, ვითარცა დამაბრკოლებელი
სათნოებათა სარბიელისად; ანუ თუ ყოვლადვე ვითარმცა თავს-იდვა
შესხმად ჯორციელისა ზრდილობისაგან, გინა ჰასაკისა, გინა გუარისა,
გინა ჯელოვნებისა, ანუ თუ სხუათა რათმე ამათა და ცუდთა საქმეთაგან,
რომელი-იგი სიჩხოდთ თვისითგან აღიზარდა და აღორძნდა წურთასა
შინა საღმრთოთა წერილთასა და მოირწყო მადლთა დაუწყუედელითა
ნაკადულითა, და ჰასაკად სავსებისა ქრისტესისა მიიწია, სიტყვსაებრ
მოციქულისა.

ვინადცა, ვინადთგან ესე უწყით ჩუენ, რომელ ესევითართა შესხ-

მათა მიერ არა მხიარულ იქმნების დიდი ესე მამად ჩუენი, ვითარცა ჯორციელნი იგი საკიცხელთა მათ და ცუდთა ქებათათჳს, ამისთჳს თჳთ მათვე მისთა შრომათაგან მცირედი რამე შესხმად მისი [ჯელ-ვ]ყოთ, რამეთუ არა აქუს სიტყუასა ბუნებად, უმეტეს ძალისა თჳსისა განრთხმად.

აწ უკჳე, რადთა არცა სურვილი ჩუენი [გა]რდარეულებითა შესხ-მათაფთა შეიკრას, და არცა კუალად უცხოთა ალაგთა მამათა ჩუენ-თასა ვიდოდით და სამეუფოსა გზისაგან შევსცთეთ უწესოდ მიმოკჳეთე-ბითა, მოკლეთა სიტყუათა მიერ ვაჩუენოთ ჯელოვნებად ჩუენი. (45rA)

და რად-მე არს ესე, რომლისა მიერ გუნებაჳს შეთხზვაჲ ქებისა მისისაჲ? – ესე იგი არს, საქმე და ხედვაჲ, [რომელთა] ყოველივე მწყობრი სათნოებათაჲ შეუდგს თითოეულად, რომელ არს სარწმუ-ნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული და კეთილადმსახურებაჲ ღმრთისა მიმართ, წურთაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ; განწმედაჲ სულისა და ჯორცთაჲ, ცრემლნი დაუწყუედელნი, უდაბნოთა შინა მოქალაქობაჲ, ადგილითი-ადგილად სივლტოლაჲ, განშორებაჲ და უცხო-ყოფაჲ სავნებელთაგან, მოძღურებაჲ დაუდუმებელი და ლოცვაჲ დაუსრულებელი, და მარხ-ვაჲ და მღჳძარებაჲ უსაზღვროდ, ჳმელსა ზედა წოლაჲ და ღუაწლ-მრავალი ცხორებაჲ, უაღრესი ძალსა სიტყუათასა, და უპოვარებაჲ და სიმდაბლე, ზეშთა აღმაღლებულნი; მოწყალეებაჲ, კაცთა ბუნებისა აღ-მატებული, და შური საღმრთოდ მართლმადიდებლობისა წინააღმდეგო-მთა მიმართ და ცოფთა მწვალებელთა, და რ[ადთა] მოკლედ ვთქუა, ყოველივე, რომლითა ხატად ღმრთისა გამოი[ს]ახვის კაცი, ესევეთარ-

ითა შესხმითა განშუენდების ჩუენი ესე მამად და მოძღუარი, და იცნობს სიტყუასა და უწყნის თჳსნი წარმატებანი და ისმენს ესევე-თარსა ქებასა, ვითარცა მიზეზსა სარგებელისასა, არა თუ მისსა, არამედ ჩუენსა, რამეთუ სახელისაცა ხოლო მისისა მოჳსენებაჲ მიზეზ სათნოებისა ექმნების მოსწრაფესა, და რამეთუ სათნოებათა მისთა მითხრობაჲ არათუ სხ[ჳთ სა]დადთმე გჳსწავიეს ჩუენ, არამედ მის-

თავე მათ თქუმულთაგან, რომელნი-იგი თვსთა მათ წიგნთა შინა განსთესნა (336rB) მან. ხოლო ჩუენ, ვითარცა საქებელმან ფუტკარმან, მრავალფერთა მათ თქუმულთა მისთაგან შევკრიბეთ სიტკბოებად და პირად-პირადთა მათ ყუავილთაგან სულიერი ესე გოლეული შევკმზადეთ.

და უწყი, რამეთუ არა განმირისხნეს ჩუენ ამის კელ-ყოფისათვს და რამეთუ არცაღა ეშინის მას უკეთურისა ეშმაკისაგან, რომელსა-იგი დასასრულსა მეგრ სათნოებათასა მრავალნი დაუცემიან. რამეთუ ვინადთგან ერთგზის უღელვოსა მას უჯორცოთა ნავთსადგურსა შევიდა, ზემთა ქმნილ არს დამნთქმელთა მათ ღელვათა, და ოხრათა მისთაგან.

ვინაღცა მოვედით, ზემოკსენებულთა მათგან თითოეული სათნოებად უვრცელესად-რე მოვიკსენოთ და თუ ვითარი იყო საკვრველი ესე კაცი და თუ ვითარსა საზომსა სულიერისა სიმაღლისასა აღიწია, და შემოკრებულთა ამათ განცხადებულად უჩუენოთ და სახედ კეთილისა წინა-დაუგოთ.

სარწმუნოებად უკუე აქუნდა მას ფრიად მართალი და მიუდრეკელი ღმრთისმსახურებისაგან, ვითარცა-იგი წიგნთა მისთა აღწერილისაგან ვისწავეთ, რამეთუ სწორებით სმაგდა მას საბელიოსის უპირული შერევნად და არიოზის განცოფებული განყოფად, და დამტკიცებულ იყო იგი შინაგან ღმრთისმსახურებისა საზღვართა, რამეთუ განჰყოფდა რიცხვთა და შეაერთებდა ბუნებითა ერთსა მას და შეურევნელსა და ყოვლადწმიდასა სამებასა; რადთა არცა სიგლახაკე ჰურიებრი ეყუედროს ღმრთეებასა, არცა სიმრავლე ღმერთთაღ წარმართული შორის-შემოვიდეს; არამედ ორთავე მათ სწორებით ემხილოს უჯეროდ იგი გმობად ყოვლადწმიდისა სამებისად. ხოლო აპოლინარის

პირუტყულსა გმობასა ესრეთ წარითებდა, ვიდრეღა ყოველსავე სწრაფასა აჩუენებდა, რადთა ყოველთა ქრისტიანეთაგან განჯადოს იგი; და კულად უსახელოთა, სიბრძნითა სავსეთა და წამებითა მათ

თქუმულთა მისთა მიერ, უაღვროთა მათ პირთა დაუყოფდა; და მისნი იგი ღმრთივსწავლულნი სიტყუანი, დიდად სიმტკიცედ და სამოდღურებულად ჩუენდა დაუტევნა. ხოლო ნავატის ძლეულებად უკუეთუ ვისმე ენებოს ხილვად, ეფრემის სიტყუათა კუეთებისაგან იხილოს, და ესეოდენი გარდამატებულებად ახოვნებისად განიცადოს, რაოდენ იხილვების ყრმისა მცირისა და უძლეველისა გოლიათისაჲ. და არა ხოლო თუ მის ყოვლისა ოდენ და პირველ-აღმოცენებულთა ბოროტთა მთესველისა მის წვალებისა ღუარძლნი მახვლითა მით მართლმადიდებლობისაჲთა მოთიბნა, არამედ შემდგომად მისსა და უკუანადსკნელცა გამოჩინებადთა მათ მწვალებელთა, საწინაღწარმეტყუელოთა [თუა(ლითა)] და სულითა, მგომობარნი იგი ენანი აღმოჰკუეთნა; და ამათ ესევითართა სახეთა მიერ და მოძღურებათა წიგნნი მისნი სავსე არიან და გარდაცემულ; და ესრეთ არარაჲ სადა მოიგონა, გარეშე ჭეშმარიტებისა, ძემან მან ჭეშმარიტებისამან და არცა აღმოჰდა გმობად ბაგეთა მისთა.

[4]. ხოლო სასოებად ღმრთისა მიმართ ხოლო აქუნდა მხოლოდსა, რომლისა მიერ გამოვლენ ღირსთათვს განმზადებულნი იგი სასოებანი მადლთანი, რამეთუ სიტყვთ და საქმით და ცხორებით სიტყუათა მათ ფსალმუნთასა იწურთიდა და იტყოდა, ვითარმედ: „მას ესვიდა გული ჩემი და შეწევნულ იქმნა“. და ვინაჲთგან ესვიდა უფალსა, „წყალობად უფლისაჲ გარე-მოადგა მას“, და მისა მიმართ სასოებამან მთასა სიონსა მიამსგავ(vB)სა იგი. და არა ხოლო ესე, არამედ მაღალთა [მათცა შორის] ნეტარებისა მომგებელთა შორის დაადგინა იგი სასოებამან, ვითარცა გუასწავებენ წინაღწარმეტყუელნი, რამეთუ იგივე დავით იტყვს, ვითარმედ: „ნეტარ არს კაცი, რომლისა სახელი უფლისაჲ სასო მისსა არს“, ხოლო იერემია, ვითარმედ: „კურთხეულ არს კაცი, რომელი ესავს უფალსა“. და კუალად, ვითარმედ: „და იყოს სასო მისსა“, (vA) და კუალად, ვითარმედ: „იყოს იგი, ვითარცა ხე ბორობანი წყალთა ზედა და მწყურნებ[სა] შინა განირთხნეს ძირნი

მისნი“. და კუალად, ესაია იტყვს, ვითარმედ: „უფალი მეუფე ჩუენდა, უფალი მაცხოვარ ჩუენდა და მან თავადმან მიცხნეს ჩუენ“. და კუალად, ვითარმედ: „აჰა, ესერა ღმერთი ჩუენი, აჰა, ესერა მაცხოვარი ჩუენი უფალი, და მე ვიყო მოსავ მისსა და ვცხონდე მის მიერ“. და კუალად, ნეტარი პავლე გუამცნებს და იტყვს, ვითარმედ: „გვპყრიეს ჩუენ აღთქუმად იგი სასოებისად, და რამეთუ სარწმუნო არს, რომელმან-იგი აღმითქუა ჩუენ“. ამით უკუე საღმრთოდა და მოსალოდებელითა სასოებითა იზარდებოდა, და ყოველნივე მსოფლიონი და საწუთრონი საქმენი შეურაცხ-ყვნა და საუკუნეთა მათ კეთილთა დღითი-დღე მოგებად ისწრაფდა.

[L]. და კუალად, სიყუარული ღმრთისა მიმართ და მოყუსისა ესრეთ გამოწულილვით დაიმარხა, ვიდრეღა მისთავე სიტყუათაგან ჯერ-არს, რადთა დავამტკიცო ესე და სარწმუნო ვყო, და რამეთუ ესე სხუათა ყოველთავე წამებათა უსარწმუნოეს არს; რამეთუ ეგულებოდა რად ღმერთშემოსილსა მას ამიერ სოფლით მიცვალებად, ესრეთ თქუა, ვითარმედ: „ყოველსავე ცხორებასა ჩემსა არასადა ვაყუედრე უფალსა, [არცა ვგმე], და სიტყუად უჯეროდ არა აღმოვდა ბაგეთა ჩემთა, და ყოველსავე ცხორებასა ჩემსა არავინ დავწყევვე და არცა ვის მორწმუნესა შეველაღე სალამე ყოვლადვე.

ეჰა, ნეტარი იგი ენად, რომელი კადნიერ იქმნა ესევეითარისა ამის ჳმის აღმოთქუმად, რომელი-ესე ანგელოზთა ხოლო შუენის აღმოთქუმად უნივთოდსა მისთვს და შეუშფოთებელისა ცხორებისა მათისა! ხოლო ჩუენთვს, რომელნი-ესე მონანი ვართ ჳორცთანი, უცხო არს და ჳემთა ბუნებისა, და შეუძლებელ წარმართებად, და ფრიად რად დაშურე და განიხილნე ცხორებანი სათნოებათა შინა განთქუემულთანი, ვერსადა შეუძლო ესევეითარისა ამის ჳოვნად, ვითარცა ჩუენისა ამის მამისა წინამდებარესა ამას თხრობასა შინა აღწერილ არს სასწაული წმიდისა მის და უზაკუველისა სიყვარულისად; ვინაღცა, ვინაიდგან ყოველთა სათნოებათა სიყვარული უადრეს არს, და ესე ესრეთ წარჳმართა ნეტარმან ეფრემ, ვითარ-იგი არავინ სხუამან მამათაგანმან, რადღა

ჯერ-არს თქუმად? ხოლო მიიღოს კაცად-კაცადმან მსგავსად საქმეთა

თვსთა, რამეთუ ჩუენ ამიერიტგან ესევიტართა ამათ ჳდომითთა შესხ მათაგან ვიჯმნით, რადთა არა გამოვჩნდეთ მამისა მამათა შემასწორებელად და მძაგებელად, და რამეთუ არათუ საჯდომელად წარმოვთქუთ სათნოებად წმიდისა ეფრემისი, არამედ რადთა საცნაურ ვყოთ ყოველთა შორის, ვითარმედ თვთ მას თავსა სულიერთა სათნოებისა კიბეთასა აღიწია მოძღუარი ჩუენი, და არა ხოლო თუ ჩუენი, არამედ ყოვლისა სოფლისად.

[Ծ] ხოლო კეთილადმსახურებაჲ ჳემმარიტისა სიბრძნისა მოგებითა მოივაჳრა, ვითარცა-იგი „იობსა“ შინა წერილ არს, ვითარმედ: „აჳა, ესერა კეთილადმსახურებაჲ არს სიბრძნე“, ვითარცა-იგი ზემო ვაუწყეთ, და მის მიერ სარწმუნოებისა მისისა სიმაღლე გამოვსახეთ, რომელთა მიერ, მსგავსად პავლესსა, სამ ცადმდე აღიწია და უკუდავი ჳსენებაჲ და საუკუ(337rB)ნომ ნეტარებაჲ და დიდებაჲ ეკლესიისაგან დაიუნჯა.

[T]. და კუალად, წურთად და ზრახვად საღმრთოთა წერილთად, ვითარცა ცეცხლი, ეგზეზოდა გულსა მისსა, ვითარცა გალობს მეფსალმუნე ვითარმედ: „ზრახვასა ჩემსა აღატყდეს ცეცხლი“, რამეთუ ტრფიალებამან სულიერისა ხედვისამან აღატყინა იგი და საჯუმილად აღმადლებულად სურვილი მისი აღამადლა, რამეთუ ყოველნივე ძუელნი და ახალნი წერილნი დაისწავნა, ვითარ-იგი სხუამან არავინ; და სიღრმე მათი გამოიკულია და ყოველივე დაფარულებაჲ ძალისა მათისად განჳმარტა ნათლითა სულისა წმიდისადთა, „დაბადებითგან“ ვიდრე სახარებადმდე, და არა ხოლო თუ ჩუენისა ამის და ღმრთივსულიერისა სიბრძნისა ყოველივე ღმრთივბრწყინვალე ბარძიმი აღმოიწრიდა და სხუათა უწდია, არამედ გარეშეცა და მსოფლიომ, რავოდენიცა კეთილად მეტყუელებისა და გონებისა სიმახვლისა და სიღრმეთა განმარტებისათვს საჯმარ იყო, კეთილად დაისწავა, და რავოდენიცა რად სარგებელი იპოვებოდა მათ შინა, მოისთულო, და

რაოდენიცა რაჲ იყო მათ შორის ურგები და ამაოდ, განიშორა და განსთხია და სასწორითა სიმართლისაჲთა და საქმითა და ხედვითა ერთბამად განმდიდრდა.

[F]. ხოლო სიწმიდე სულისა და ჯორცთაჲ ესოდენი წარჰმართა,

რაოდენსა დაიტევს ბუნებაჲ, და უფროდსა უაღრესიცა ბუნებისაჲ, რამეთუ მადლი საღმრთოდ იყო ნიჭი ესე, რამეთუ არცა სული წესთაგან სიმართლისათა მიდრკებოდა და არცა ჯორცთა აუფლებდა შებრკოლებად, არამედ სულითა მეუფებდა ჭეშმარიტებით, ვითარცა შარავანდედი ხოლო ჯორცითა ნათობდა და ბრწყინვიდა და ელვარედ კამკამებდა: და ეწამების სიტყუათა ამათ ჩუენთა მეძავი იგი, რომელი მის მიერ განათლდა, რომელი-იგი სამჭედურად სიბოროტისა მოიპოვა ბელიარ, კაცთმოძულემან და კაცისმკლველმან, და განათლებულისა ამის კაცისა მიერ ესოდენ განცრუვნა სასოებაჲ მისი, ვიდრეღა თვთ მეძავი იგი მბრძოლად აღუდგა უკეთურსა მას, სწავლითა და მოძღურებითა და საღმრთოთა სიტყუათა მადლითა შეცვალებული, და მეძვისა წილ იქმნა უბიწო, და ხენეშისა წილ – პატიოსან, და არაწმიდისა წილ – წმიდა და სავსე ყოვლითა კეთილითა. (46rA)

[ხ] ცრემლთა უკუე მისთა დაუწყუედელსა მდინარესა წარმოთქუამად გულსმოდგინე ვიქმნები და ტირილად აღვიძრვი, და რამეთუ თვნიერ ცრემლთაჲსა, უფსკრულსა მას ცრემლთა მისთასა წიაღსლვად და სიტყვთ წარმოთქუამად შეუძლებელ არს; რამეთუ [ვითარცა] ყოველთა კაცთა თანანერგ არს აღმოფშვნად და სამარადისო, ეგრეთვე ეფრემის ცრემლთა მდინარისა ნაკადულნი; რამეთუ არაოდეს იხილვებოდეს იგი განჭმელად დაუძინებელთა მათ თუალთა წინაშე, არცა დღისი, არცა ღამე, არცა შუვაღამე, არცა ჟამსა, არცა უჟამოსა, არცა კერძოსა გინა წამსა ჟამისასა მღვძარეთა მათ და მიურულებელთა თუალთა მისთაგან, არამედ ოდესმე ზოგადთა და ოდესმე განთვსებულთა მათ ამის სოფლისა უწესოებათათვს ტირნ და იგლოვნ სამარადისოდ, რამეთუ სულთქუმათა მიერ სიბრძნით აღმოაცენებნ თუალთაგან თვს

თა ნაკადულსა ცრემლთასა, და უფროდს ღუარ[ითა] ცრემლთადათა მოიხდინ იგი საკუმილსა სულთქუმათასა, და იყო ორთავე მათ წარმოჩინებად განსაკრთომელ, რამეთუ ერთი ერთისა მიზეზ და მშობელ იქმნებოდა, და ცრემლნი შობდეს სულთქუმათა, და სულთქუ(vB)მანი – ცრემლთა, და მიზეზი მათი მრავალთაგან უცნაურ იყო, ხოლო ჟამისაგან განუკუთვლელ იყვნეს და ურთიერთას შეუდგეს: ცრემლნი – სულთქუმათა, და სულთქუმანი – ცრემლთა. და ვითარცა მოქცევსა შინა უცნაურ იყო დასაბამი და დასასრული მათი და თითოეულისა

მიზეზი, და ესე გულისკმა-ყოს, რომელიცა თანამზრახვალ ექმნეს წიგნთა მისთა, რამეთუ არა ხოლო თუ სინანულისა და სწავლისა და მოძღურებისა და მოქალაქობისა სიტყუათა შინა იხილოს გლოვად და ტირილი მისი, არამედ თვთ მათცა სადღესასწაულოთა საკითხავთა შინა, რომელთა-იგი უმრავლესნი სახარულევანთა სიტყუათა მიერ შეჰმზადებენ, ხოლო იგი ყოველსავე შინა სწორ იყო და სამარადისოდ სინანულისა და გლოვისა მადლითა განმდიდრებულ.

რომელთა-იგი მიერ ვიდრე აქამომდე ჭეშმარიტისა მის ცხოვრებისა მიმართ მიუწოდეს ყოველთავე, რომელნიცა თქუმულთა მისთა წადიერებით ისმენდენ, რამეთუ ცრემლთა მიერ განზავებულთა მათ ღმრთივსულიერთა სიტყუათა მისთა ესევეთარი აქუს ძალი, და რომელმანმცა განფიცებულმან და ლოდთა მსგავსმან გულითა, ისმინნა სიტყუანი მისნი და არა მოლბა, და სიფიცხე იგი გონებისად არა განაგდო და თვსთა ბოროტათვს მწუხარე იქმნა და ტირილად აღიძრა; ანუ თუ რომელმან ველურმან გონებითა და მჯეცთა მსგავსმან სახითა, სულთა სარგებელნი იგი მოძღურებანი მისნი ისმინნა და ყურად-იხუნა გონიერად, და არამცა დაიტირა ჟამი იგი, მის მიერ ბოროტად განლეული! რომელმანმცა უწყალომან და მძვნვარემან თაფლმწუთოლვარეთა მათ სიტყუათა მისთა გემოდ იხილა და არა მეყსეულად იქმნა ტკბილ და მოწყალე და მყუდრო და კეთილის მოყუარე! რომელმანმცა მოხარულმან და შუების მოყუარემან და გლო-

ვის მოძულემან მცირედცა ოდენ ისმინნა სიტყუანი მისნი და არამცა მგლოვარე იქმნა და მტირალ, და ვსენებად მოვიდა საქმეთა თვსთა მოსაგებელისა!

ქვისა შეგბობად გარეშეთა იგავმან შეუძლებელად წარმოაჩინა, ხოლო ჩუენ ესე, საქმეთა მიერ და გამოცდილებისა შეძლებულად ვიხილეთ, რამეთუ უწესოთა და უღმობელთა და დაუმორჩილებელთა სულთა წესიერებად და ღმობიერებად და მორჩილებად მოიყვანებდა საღმრთოდ ესე მოხუცებული; და ვინმცა მიემთხვა სიმდაბლისათვს მის მიერ თქუმულთა სიტყუათა და არამცა მეყსეულად ყოველივე ამპარტავანებად და სიმაღლე მოიძაგა, და ყოველთა უნარჩევს თავი თვსი ქადაგა! ვინმცა ისმინნა სიყუარულისათვს თქუმულნი სწავლანი მისნი და არამცა ისწრაფა სიყუარულისათვს, არა ხოლო თუ ძვრის-ხილვად, არამედ სიკუდილიცა!

და ეგრეთვე – ქალწულებისათვს, და არამცა წმიდად წარუდგინნა ღმერთსა სული და ჳორცნი თვსნი!

და კუალად – საშჯელისათვს და მეორედ მოსლვი-სა უფლისა, და არამცა ესრეთ შეჳრაცხა, ვითარმცა აწვე წარდ-გომილ იყო და ძრწოლითა შეჳყრობილსა საშინელი იგი განჩინებად გამოელო სამშჯავროდსა მისგან თუალუხუავისა!

რამეთუ ესრეთ წარმოაჩინა ყოფადი იგი საღმრთოდ სამშჯავ-როდ ყოვლადქებულმან ამან და წინაღსწარმეტყუელებითა აღსავსემან კაცმან და განცხადებულად წარმოადგინა, ვიდრელა არღარად დაუტევა უცნაურად, თვნიერ საქმით აღსრულებისა და გამოცდილებით სწავ-ლისა, რამეთუ ესე(338rB)ვითართა მათ საშჯელისა ხილვათა მიერ და ჩუენებათა, განიკაფებოდა სამარადისოდ სამგზის სანატრელი ესე. ამის-თვსცა ივლტოდა სოფლისაგან და სოფლისა საქმეთა, და განემორე-ბოდა და იქცეოდა უდაბნოთა შინა და თავისა თვსისა და ღმრთისა განცდასა შექცეულ იყო და სათნოებათა წარმატებასა მიერ მოიღებ-და, რამეთუ გამოწულილვით უწყოდა, ვითარმედ უდაბნოთა შინა ცხ-

ორებად მსოფლიოთა შფოთთაგან იქსნის კაცსა და მყუდროებისა და დაყუდებისა მიერ ანგელოზთა თანამზრახველ ჰყოფს, და საღმრთოთა ხედვათა მიერ, რაოდენ შესაძლებელ არს, გონებასა ღმრთისა მიმართ აღამაღლებს. (vA)

[C] ხოლო ადგილითი-ადგილად ცვალებად, რაჟამს სულმან წმიდამან აღსაშენებელად მრავალთა განაგის, არა ურჩ ექმნის, არცა [აცილობნ], რამეთუ უფროდს ყოველთადაცა იყო იგი მორჩილ საღმრთოთა ბრძანებათა. ამისთვისცა დაუტევა მამული თვისი, ვითარცა დიდმან აბრაჰამ, და ედესე ქალაქად მიიწია და რამეთუ არცა იყო სამართალ მზისა მრავალჟამ ქუეყანასა ქუეშე დაფარვად, ხოლო [ორთა] საქმეთათვის თავს-იდვა ესე: ერთად, რადთა მუნ მყოფთა მათ წმიდათა თაყუანის-სცეს და მეორედ, რადთა გულისწმის-მყოფელსა ვისმე კაცსა მიემთხვოს და ნაყოფი სიბრძნისა ანუ მოისთულოს, ანუ მისცეს.

და ვითარცა მიიწია ბჭეთა ქალაქისათა, მეძავსა ვისმე შეემთხვა, მის წილ, რომელსა-იგი ეძიებდა სიტყუა-მეცნიერსა ვისმე, და ვითარ-იგი წინააღმდეგომი გულისსიტყვსა თვისისა შეემთხვა, მჭმუნვარე იქმნა იგი და მეძავსა მას განიცდიდა და უკვრდა განმტყუვნებად იგი

სასოებისა თვისისა. ხოლო დედაკაცმან მან, იხილა რად, ვითარ-იგი მიხედვიდა მას წმიდად იგი, მანცა იწყო გულსმოდგინედ განცდად მისი.

მაშინ ჰრქუა მას ბერმან; „რად არს, დედაკაცო, რამეთუ ესრეთ განგრძობილად განმიცდი მე? ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: „ჯეროვნად და სამართლად განგიცდი, რამეთუ შენგან დაბადებულ ვარ მე, ხოლო შენ ნუ განმიცდი მე, არამედ უფროდსა მიწასა განიცდიდი და ქუეყანად მიმართ ხედვედი, რამეთუ მიერ დაბადებულ ხარ შენ“.

ესმა რად ესე ბრძენსა მას, ზეშთა სასოებისა აღიარებდა, ვითარმედ დიდად სარგებელ ეყო, და ღმრთისა მიუწოდომელსა ძლიერებასა აღიდებდა, რომელსა უსასოთაგან სასოებისა უადრესთა საქმეთა

ძალუც აღსრულებად.

[I]. და მიერ კესარიად კაბადუკიისა მოიწია წინამძღურებითა სულისა წმიდისადათა, და პირი იგი ეკლესიისა და მოძღურებათა საღმრთოდ ორღანოდ და სწავლათა იგი ოქროდსა აიდონი, დიდი ბასილი იხილა; და ვითარცა იხილა იგი საღმრთომან მან მოხუცე-ბულმან, მრავალფერთა შესხმათა მიერ პატივ-სცა მას, რამეთუ და-ფარულთა მხილველითა თუალითა სულისადათა, ტრედსა ბრწყინვალე-სა, მჭარსა ზედა მისსა მარჯუენესა მჯდომარესა ხედვიდა, რომელი-იგი სიტყუათა მოძღურებისათა მიანიჭებდა მას და სწავლათა მისთა ერისა მიმართ მიაწევდა, რომელმან-იგი მადლითა მისვე სულისა წმიდ-ისადათა გულისცმა-ყო და ისწავა მოსლვად მისი, და სახელი, და ვითარმედ იგი არს ღმერთშემოსილი მამად ეფრემ ასური, და სულიერითა ამბორის-ყოფითა ურთიერთას მოიკითხნეს და ღმერთსა ჰმადლობ-დეს; და ესრეთ, არა სულმოკლებისა და უთმინოებისა ნაყოფი იყო, არცა ურგებ მოშრომად იგი ეფრემისი, არამედ სავსე ყოვლითა კე-თილითა. ვი(vB)ნაიცა მყოვარჟამ დაყვეს ერთბამად და ურთიერთას განანათლებდეს განათლებულნი იგი და წმიდანნი მამანი.

და უკუეთუ სამე ბუნებითმან სიწრფოებამან გონებისა მისისამან და უმანკოებამან სავნებელთა რათმე საქმეთაგან სივლტოლად უწამის მას, წინადასწარმხილველობისა მადლითა, უაღრესი უდარესისაგან გა-ნარჩიის და წმიდად იგი და უბიწოდ სული მისი და გულისსიტყუად მათ საქმეთა მიმართ მიდრიკის და დაამტ კიცნის, რომელთა მიერ მოძღურებად მისი და სწავლად არა დაიხრწოდის და უმრავლესთად

იქმნებოდის სარგებელი, რამეთუ საღმრთოდსა მის მოხუცებულისადა მდიდრად მიცემულ იყო სიტყუად მოძღურებისად ღმრთისა მიერ, და საღმრთოდსა მის ტალანტისა სავაჭროსა შინა გულთასა დადებად მოსწრაფე იყო, და ესე იყო უფროდს ყოვლისა სასწრაფო წინაშე მისსა.

[IC]. და ესე თვთ მისთა სიტყუათაგან გვსწავიეს, რამეთუ სიწ-

ჩოდსა რაჲ ჰასაკსა წარჰჰდა, ესევეთარი ჩუენებაჲ იხილა ღმრთისა მიერ, ვითარმედ გამოჰდა ენისა მისისაგან ვენაჰი ფრიად ნაყოფიერი და ესოდენ აღორძნდა, ვიდრემდის აღავსო ყოველი ქუეყანაჲ და ყოველნი მფრინველნი ცისანი მოვიდოდეს მის ზედა და მისგან განძლებოდეს საზრდელითა; და განსხლვისა მიერ და მოსთულებისა და ყოველთა მფრინველთა გამოზრდისა არათუ მოაკლდებოდა რაჲმე ვენაჰსა მას, არამედ უმეტესად აღორძნდებოდეს ტევანნი მისნი.

[Iჟ]. და ესე კუალად, სულითა მხილველმან ვინმე წამა მისთჳს და იტყოდა, ვითარმედ იხილა ანგელოზთა სიმრავლე ზეცით გარდამომავალი და აქუნდა ჰელთა მათთა ქარტაჲ, შინაგან და გარეშე წერილი. და იტყოდეს ურთიერთას გამოჩინებულნი იგი საღმრთონი წესნი, თუ ვისსა-მე ჯერ-არს მიღებაჲ ქარტისაჲ მის. და რომელთამე მათგანთა თქუეს იგი ვინმე, და სხუათა – სხუად და სხუათა – სხუად, რომელნი-იგი მათ ჟამთა ბრწყინვიდეს წმიდანი. და შემდგომად ყოველთა წარმოთქუმისა თქუეს, ვითარმედ: ჰუმმარიტად ესე ყოველნი წმიდანი არიან და მონანი ღმრთისანი; გარნა ვერ ძალ-უც ქარტისა ამის მიღებაჲ. და მერმე უკუანაძსკნელ ერთჰმა იქმნეს ყოველნი და თქუეს ყოველთა ერთბამად, ვითარმედ: „ვერვის ძალ-უც ქარტისა ამის მიღებაჲ, თჳნიერ ეფრემისა“.

და ესე რაჲ ესმა მხილველსა მას, კუალად იხილნა ანგელოზნი იგი, რამეთუ მისცეს ეფრემს ქარტაჲ იგი. და მხილველი იგი ჩუენებისაჲ (47rA) მასვე ჟამსა ღამისასა ფრიად მსთუად აღდგა და ეკლესიად წარვიდა და ესმა მოძღურებაჲ ეფრემისი, რომელსა-იგი ასწავებდა მდიდრად და უხუებით, შეზავებული მადლითა, ვითარცა მარილთა. და ჩუენებისა მის შეტყუებაჲ მუნ აღიჰსენა და აღიდებდა ღმერთსა, და უკვრდა მადლი იგი სწავლისა და მოძღურებისაჲ, რომე-

ლი მიენიჰა წმიდასა მას, რამეთუ ესოდენ გარდარეული სიბრძნე მიემადლა, ვიდრელა დაუწყუედელნი ნაკადულნი სიტყუათანი აღმოდოდეს პირით მისით.

გარნა უდარეს იყო სიტყუათა მისთა იგი დაუწყუედელი წყაროდ სივრცესა გულისწმის-ყოფისა მისისასა, არათუ სიმძიმითა ენისადათა, არამედ გულისწმის-ყოფისა გარდარეულად განმრავლებითა, რამეთუ სხუათა შორის სწორად გულისწმის-ყოფისა ძალ-უც ენასა მსახურე-ბად გონებისა მათისაჲ, ხოლო თვსთა – გონებისა ხედვათა უდარეს. ვინაჲცა დიდი იგი მოხუცებული თვთ თავით თვსით გარდამატებუ-ლთა მათთვს ნიჰთა მოძღურე(339rB)ბისათა [ევედრებოდა ღმერთსა და ესრეთ იტყოდა]: „დააცხრვენ, ჟ მეუფეო, ღელვანი მადლისა შენისანი“, რამეთუ უფსკრულნი იგი სწავლათა და მოძღურებათა მისთანი, და გონებასა შინა მისსა სახედ ღელვათა შობილნი გულის-წმის-ყოფანი მოსწრაფესა მას ორღანოსა, და კელოვნად მზრახვალსა ენასა ერეოდეს და ჰმძლავრობდეს. ხოლო სწავლათა მისთა მდინარესა სხუად ვერარაჲ განჰკუეთდა თვნიერ ხოლო ლოცვისა; და კუალად ამას – მოძღურებაჲ, და კუალად სწავლასა – ცრემლნი და ტირილი; და ტირილსა შეეყოფოდა ლოცვაჲ, და ლოცვასა – სწავლაჲ, და ამას ყოველსა შინა შეზავებულ იყო ხედვაჲ ღმრთისაჲ, და ყოველივე ცხორებაჲ მისი – ცრემლთა და ტირილისა მიერ შენელებულ.

[ITL] რამეთუ ჯორცნი მოეკუდინნეს ვნებითურთ და გულის-თქუ-მით, და უმთავრესისადა დაემონა უდარესი; და მარხვითა და მოღუაწებითა მთავარი გონებაჲ მფლობელ-ექმნა; და ყოველთავე უჯე-როთა საქმეთაგან განშორებულ იყო და შეუხებელ, ხოლო ყოველ-თავე კეთილთა და სულისა მაცხოვართა საქმეთა – შეთხზულ და შეერთებულ.

[ITB] და ვერცა ღამე შემძლებელ იყო სრბასა სათნობათა მისთასა განკუეთად და ვერცა დღე, და ვერცაღა მაცთურნი იგი უცნებანი ძილისანი, რამეთუ ენაცვალებოდა დღისა სიფრთხილესა ღამე, და მღვძარეთა მათ თუალთა და გონებისა მისისაგან შეძრწუნებ-ულნი, ვითარცა ცეცხლისაგან ივლტოდეს უცნებანი იგი ღამისანი. და რამეთუ ესე იყო მოღუაწებაჲ მისი, რაჲთა არა ეწიოს მას კელი იგი მთავრისა მის ბნელისაჲ მძინარესა. ხოლო ძილსა იკუმევედა ესეოდენ,

რადთა ჯორცთა ცხორებად ხოლო ეგოს, და ბუნებითი იგი სარბიელი ბუნებისა არა განიხრწნას და ჯორცთა აგებულებად უჟამოდ არა დაიქსნას.

[IT] ხოლო უკუნ-აქცევდა მას და თუალთაგან განსდევნიდა; და სხუადცა მრავალი; არამედ უფროდსად ჳმელსა ზედა წოლად და ფიცხელი მოღუაწებად და ყოვლით კერძო ჯორცთა დაქენჯნად. და რამეთუ ესენი არიან, რომელნი სიღრმესა ძილისასა ექსორია-იქმან და იოტებენ.

[IT] ხოლო უპოვარებად ესევეითარი აქუნდა, ვითარცა წმიდათა მოციქულთათჳს წერილ არს. ვინაჲცა, უკუეთუ ვინმე ამას უპოვარებისა პირმშოდ ხატად უწოდოს, არა შესცთეს ჳემმარიტებისაგან, რამეთუ ამისდა მოწამედ თვთ ტკბილი იგი და ნეტარი ჳმად მისი გუაქუს ჩუნ, რომელი-იგი აღმოთქუა მასწავლელად უპოვარებისა, ეგულეობდა რად ზეცად აღსლვად ჟამსა მას მიცვალებისა თვისისასა, და ვითარცა მამული სამკვდრებელი, ესრეთ დამიტევა ჩუნ. და კმა არს იგი ჩუნდა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „არასადა მოიგო ეფრემ ბალანტი, არცა კუერთხი, არცა ვაშკარანი, არცა ვეცხლი, არცა ოქროდ, არცა რად სხუად მონაგები ქუეყანასა ზედა არარად, რამეთუ მესმინა ჳმად სახიერისა მის მეუფისად სახარებასა შინა, რომელი-იგი ჳრქუა თვსთა მოწაფეთა, რადთა არარად მოიგონ ქუეყანასა ზედა, ვინაჲცა არცა რად მოვიგე ესევეითარი ვნებულად“. ესრეთ უკუე სმაგდა მას დიდებად და მონაგებნი, ხოლო ყოველთა საქმეთა კეთილთა – განუძღომელი აქუნდა ტრფიალებად და ესრეთ, ყოვლით კერძო მოციქულთა ჳბამვიდა სათნოებითა.

[IT] ხოლო სიმდაბლისა მისისათჳს რად-მე ვწამოთ, ანუ რად ვთქუათ, ვინაჲთგან ყოველნი წიგნნი მისნი და სიტყუანი და აღწერილნი ამას სათნოებასა ქადაგებენ განცხა(vB)დებულად, და ყოველივე ცხორებად თვისი მას შინა ადასრულა ფრიადითა გულსმოდგინებითა, რამეთუ რომელი ცრემლთა მიერ ცრემლთა მოუწოდდა, და

ნაცარსა, ვითარცა პურსა ჭამდა სიფიცხითა და უგემურებითა საზრ-
დელისადათ; და სასუმელსა თვისსა ცრემლითა თვისითა განზავებ-
და, ვითარცა იტყვს მეფსალმუნე. ეგევითარმან მან ლოდსა მას
სიმაღლისა და ამპარტავანებისასა ოდესმცა წარსცა სულიერი იგი

ფერჯი მისი, რომელი-იგი ყოველსავე დიდებასა კაცობრივსა გარე-
მიაქცევდა და ევლტოდა. (vA)

და ვიდრეღა-იგი სოფელსა ამას შინა იყო, ესმა ვისიმე, რომელი
აქებდა მას, და შეეურვა და შეწუხნა ვიდრე სიკუდიდმდე და პირად-
პირადთა ღონეთა იწყო მოპოვნებად, და ქუეყანად დავარდებოდა და
მიწასა გარდაისხმიდა და ოფლთა და ცრემლთა მიერ ილტობვოდა, და
ვითარცა ბრალსა რასმე, გინა ცოდვასა ზედა დაპყრობილი, ესრეთ
შეპყრობილ იყო სირცხვლითა და ვერცაღა თუ სიტყვსა ეძლო აღ-
მოთქუმად.

ხოლო რაჟამს-იგი სანატრელისა მის და დაუსრულებელისა ცხო-
რებისა მიმართ ეგულებოდა მიცვალებად, მაშინ ცხადად და ღმრ-
თივბრწყინვალედ საანჯმნო-ყო ესე და ფრიადითა კრძალულებითა და
განკანონებითა დააბრკოლნა, რომელთა-იგი ენება პატივით შემურვად
მისი და ჰრქუა, ვითარმედ: „ნუ ჰგალობთ გალობასა ეფრემს ზედა და
ნუცა შეასხამთ მას, ნუცა პატიოსნითა სამოსლითა წარჰგრაგნით მას,
ნუცა თვისაგან სამარესა შეუმზადებთ მას, რამეთუ აღმითქვამს ღმრ-
თისადა, რაჟთა უცხოთა თანა განგისუენო, და რამეთუ მსხემ ვარ და
წარმავალ, ვითარცა ყოველნი მამანი ჩემნი; ვინაჲცა გარდარეულად
კმა არს ჩუენდა სათნოებისა ამის სიმაღლე, მაუწყებელად სხუათა
მათცა მაღალთა მოღუაწებათა მისთა.

[IC] ხოლო წყალობისა და სიტკბოებისა არა ხოლო თუ მოქმედ
ხოლო იყო, არამედ მასწავლელცა, და ჭემმარტებისა შჯულ და
საზღვარ, რამეთუ სრულითა მით უპოვარებითა ქველისსაქმესა გლახ-
აკთასა და საწმართა განყოფასა ვერ შემძლებელ იყო; ხოლო სხუათა
სწავლითა და ზედადსზედა მოვსენებითა და წყალობად და კელის-

აპრობად აღძრვითა, წესსა მას მოწყალეობისასა აღასრულებდა; და თვნიერ ხილვისაცა იყო ჭემმარიტად სიტყუად მისი კლიტე ღმრთივ-განჭედნი და განმღებელ საუნჯესა მდიდართასა, ხოლო ანგელოზებრი იგი სახე მისი კმა იყო ხილვითა ხოლო ფრიად უწყალოთაცა და ულმობელთა, მოწყალეობად და ღმობიერებად მოყვანებად; რამეთუ იყო იგი წრფელ და უმანკო, და სახიერ და მყუდრო და ყოვლითა კეთილითა აღსავსე, და ვინმცა იყო ესრეთ კადნიერ და უგბილ, რომელმანმცა განიცადა სახე მისი და არა შეირცხვნა და არამცა შესძინა კეთილთა ზედა კეთილი და უპატიოსნეს იქმნა.

[ღ] გარნა ნუუკუე კაცისა ამის ღმრთისა, ესოდენი ესე სიმრავ-ლე სათნოებათა რად ვის ესმას, ჰგონოს, ვითარმედ უმეცარ იყო საეკლესიოთა წესთა და კანონთა და სარწმუნოებისა მოძღურებათა, და იტყოდის, ვითარმედ „და სადაღა მოეცალეობოდა მას ესეოდენთა სათნოებათა მოღუაწებისა მიმართ წარმატებულსა, სარწმუნოებისა სწავლათა დასწავლად!“ გარნა ეგევითარმან მან პირველად ესე უწყ-ოდენ, რამეთუ მეცნიერებად და გულისკმის-ყოფად მისი არა კაცო-ბრივთა სწავლათა საქმე იყო, არამედ ძალისა სად(340rB)მრთოდსად, ვითარცა ზემო მოვიკსენეთ. და კუალად ესეცა ისწავენ, რამეთუ ფრი-ადი გამოცდილება და წვრთილება აქუნდა მას სიტყუათა სული-სათად, რამეთუ არა ხოლო თუ სწავლისა სიტყუათა და მოძღურე-ბათად მოელო მადლი, არამედ ორკერძოვე კეთილად წურთილ იყო და განთქუმულ სიტყუათაცა სარწმუნოებისათა, და მწვალებელთაცა წინააღდგომისა დაკსნასა და მხილებასა, რამეთუ შური საღმრთოდ აღსძრვიდა მას დამკობად მკეცთა მათ წვალებისათა და მბრძოლთა ღმრთისმსახურებისათა.

[ღჯ] ვინადაცა ესევეითარი რაიმე შურისა საღმრთოდსა ქადაგი, დაუწერელი სიტყუად მოწევნულ არს სასმენელთა ჩუენთა, რომელი-იგი ფრიად კეთილად აღასრულა მან, ესე იგი არს, ვითარმედ: უკმო-მან და უფროდსა ყრუმან და უტყუმან და უგონებომან აპოლინარი,

მრავალნი ახლისმეტყუელებანი და მუცლითმეზღაპრეობანი, წინააღმდეგომნი ღმრთისმსახურებისანი, და მზრდომლნი მართლისა სარწმუნოებისანი აღმოიტეხნა შეგინებულისა მის გულისა მისისაგან, და უმჯულეობითა სავსენი ორნი წიგნნი აღწერნა და დედაკაცსა ვისმე, გულის-თქუმათა მისთა მსახურსა და წვალებისა მისისა ზიარსა, კელთუსხნა დაცვად.

ხოლო ცნა რად ესე დიდმან ეფრემ, მოწაფეთა მისთა სახე შეიმოსა ჩემებით და მოპოვნებით, და დედაკაცსა მას, მცველსა მგომობართა მათ წიგნთასა, წარმოუდგა ყოვლად ბრძენი იგი და რეცა უდაბნოთ ევლოგიაჲ მიუძღუნა მას, და ნუუკუე და სხუანიცა რადმე სიმარჯუენი იკუმინა, და მერმე უკუანადსკნელ ევედრა, რადთა ზოგადისა მოძღურისა მიერ აღწერილნი იგი წიგნნი, რეცა სარგებელად და სასწავლელად მისცნეს მას ჟამ რაოდენმე, რადთა მწვალებელთა წინა-აღუდგებოდი და დავამკობდეო (რეცა ჩუენ გჯწოდდა

მწვალებელად). ხოლო მას, სისუსტითა გონებისადთა ეოცნა, ვითარმედ ერთი არს იგი აპოლინარის მოწაფეთაგანი, (48rA) და ესრეთ განზასრებულმან კელთ-უსხნა მას წიგნნი იგი და ამცნო, რადთა ადრე მიაქცინეს მისსავე.

ხოლო დიდმან ამან იაკობ, ბილწი იგი ესავ განზასრა და ბოროტნი იგი პირმშონი ნაშობნი, არაწმიდისა მის გონებისა მისისანი აღმოიკითხნა და მოსრნა, რამეთუ სიბრძნით გულისკმა-ყვნა წინააღმდეგომნი მათნი და დამარღვეველნი მართლმადიდებლობისა მოძღურებანი, და ესრეთ, თევზისა წებოთა ფურცელი ფურცელსა დააწება და ფრიადითა გულსმოდგინებითა ფიცარნიცა ზედა-მოურთნა, და ვითარცა ერთი ფიცარი, ესრეთ შეამტკიცნა ორნივე იგი წიგნნი არაწმიდანი, რომელ ყოვლადვე ღონე განღებისად არღარა იყო; და ესრეთლა მიაართუნა მომცემელსა მას მათსა დედაკაცსა. ხოლო მან, ვითარცა დედაკაცმან უგუნურმან და სიბრძნისა გამოუცდელმან, გარეშე რად მათი განურყუნელად იხილა, შინაგანისათჳს არღარად იზრუნა.

ხოლო ვითარცა დღენი რაოდენნიმე გარდაჰდეს, ვიეთმე მართლ-მადიდებელთა აზრახა საღმრთომან მან მოხუცებულმან, ვითარმედ: მოუწოდეთ უღმრთოსა აპოლინარის, რაფთა ვეზრახნეთ.

ხოლო მან წოდებად იგი მიითუალა, მისთა მათ უღმრთოთა წიგნთა მინდობითა, და ეკლესიად მო(vB)ვიდა. ხოლო სიტყვს-გებად, ვითარცა მოხუცებულმან და უძლურმან, არა ინება, არამედ თვსთა წიგნთა მოღებად უბრძანა, და მათ მიერ პასუხისა გაცემად და ზრახვად ევედრებოდა. და ვითარცა თანამზრახვალთა მისთა წიგნნი იგი მოიხუნეს, დიდად აღიზახა მათ ზედა დაძულებულმან მან დღეთა ბოროტთამან და სიცრუვისა მსაჯულმან, და ჰელად მიიხუნა და პირველისა წიგნისა განღებად ჰელ-ყო, და ვითარცა არა განელო, რამეთუ წებოსა მას, ვითარცა გურდემლი შეესხივა, კუალად საშუ-ვალსა ადგილსა შებმა-უყო, ხოლო იგი ეგრეთვე შეუჭრეთელ იყო და განუღებელ; და ესრეთ რაჲ პირველისა მისგან ოჯერ იქმნა, მიერთგან მეორესა მას შეევედრა, და ვინაფთგან იგიცა ეგრეთვე განუღებელ და დამბრძალ იპოვა, სირცხვისაგან სახე მისი შეიცვალა და უღონოე-ბისაგან გონებად მისი განცვბრდა და შესაკრებელისა მისგან განიჭრა, და ურვისაგან და მწუხარებისა გონებაცთომილ იქმნა და განიგალა.

[14.] ესევეთარი აქუნდა შური ღმრთისმსახურებისად დიდსა მას

მამასა და მოძღუარსა ჩუენსა, ეფრემს, რამეთუ სხუასა ყოველსავე ზედა მშვდ იყო და მყუდრო, ხოლო რაჟამს სარწმუნოებისა ანუ ღმრთისმსახურებისა წესი დაიკსნებოდის, ფიცხელ იყო და მკსინ-ვარე, და ვითარცა ჟამი და წესი საქმისაჲ ეძიებნ, ყოველსავე სი-ბრძნით და გონიერად განაგებნ.

ხოლო საღმრთოდ ესე შური მისი, მრავალთა მათ ცრემლთა და მღვდარებისა და მარხვისა და ლოცვისა არა უდარეს იყო, არამედ უვადრეს და ფრიად აღმატებულ, რამეთუ ზემოთქუმულნი იგი მოღუ-აწებანი მოქმედსა ხოლო მათსა მოატყუებენ სარგებელსა, ხოლო მე-ორე ესე ზოგადად სარგებელად ეკლესიისა იქმნების.

და კეთილსადაცა მონადირესა ფიცხელთა ნადირთა და ძნაად სა-
ბრძოლთა მონადირებად იქმნების გამომცდელ, სიტყვსაებრ ჭემმარი-
ტისა, და ჯელოვანსა მენავეთ-მოდღუარსა – ფიცხელთა ქართა წინა-
აღდგომად და მართებად ნავისად, და ბრძენსა მკურნალსა – ძნაად
საკურნებელნი სალმობანი, და ახოვანსა მკედარსა – წინააღმდგომთა
სიქველე და წინა-განწყობად და ძლევად, და მოსწრაფესა და ღმრთის-
მსახურსა – ჭირთა და განსაცდელთა კუეთებად და მოთმინებად; და
რადთა თავიცა თვისი და სხუანიცა განარინნეს წინააღმდგომთა და
მწვალებელთაგან, ვითარცა ჰყოფდა ყოვლადქებული ეფრემ.

[Գ.Լ.] და არა იპოვების სახე სათნოებისად, რომელიმცა პირ-
ველ ვისმე წარემართა უადრეს ეფრემისსა, და ნუუკუე არცა თუ
მსგავსად მისსა.

და ჭემმარიტად მსგავს არს იგი წყაროსა დაუწყუედელსა და
მრავალფერთა წყალთა აღმომაცენებელსა, სარგებელითა და სიტკბოე-
ბითა და სიხარულითა განშუენებულსა, ანუ თუ სამოთხესა აღყუავე-
ბულსა და პირად-პირადთა ყუავილთა მიერ შემკულსა, გინა თუ ცასა
და სამყაროსა, მრავალფერთა მათ მნათობთა მიერ განათლებულსა,
ანუ თუ თვთ თავადსა მას სამოთხესა ედემისასა, ურიცხუთა მათ და
თვთოსახეთა ნაყოფიერთა ნერგთა მიერ განბრწყინებულსა, გარნა
არა მომატყუებელსა ექსორიობისასა, არცა სავალსა უკეთურისა
გუე(341rB)ლისასა, ანუ თუ სხუასა რასმე კეთილსა, და საშუებელსა
და სახარულევანსა, რომელსა-იგი მრავალთა და პირად-პირადთა ნიჭ-
თა მიერ პატივ-სცა ბუნებამან. მას მიაღმგავსე დიდისა ეფრემის სამ-
გზის ნეტარი სული, თვთოფერთა მათ სათნოებათა მიერ ყოვლით

კერძო ელვარე-ქმნილი, და ვითარცა გვრგვნითა გარე-შეცვული და
შემკული, (vA) რამეთუ ყოვლისავე ცხორებისა თვისისა მიერ ესევი-
თარი გულსმოდგინებად მოიგო, რადთა არცა ერთი სათნოებათაგანი
თანა-წარჰკდეს ღმრთივბრწყინვალესა მას სულსა მისსა, არამედ მხო-
ლომან ყოველთა წმიდათა წარმატებანი შემოიკრიბნა.

[ԳԾ] რამეთუ ვითარცა მღდელი საღმრთოდ მართალთა შორის პირველისა მის ახელის, ღმრთივშეწყნარებულსა მას მსხუერპლისა შეწირვასა მიემგავსა, და შეწირა ღმრთისა არა მსხუერპლი ცხოვართად სამწყსოდსაგან, არცა ცმელი კრავთა და ვერძთად, არამედ მსხუერპლი უსისხლოდ, სიტყვერი მსახურებად, სიწმიდითა ცხორებისადთა მრგულიად დამწუარ; და ესოდენ უაღრეს იქმნა მისსა მას შესაწირავსა, ვიდრელა თანა-წარჰყდა ბოროტსა მას კაცისმკლველსა და განერა საბრჯეთა მათ კაცთმოდულისა მის ეშმაკისათა და დაუსრულებელსა მას ცხორებასა მის თანავე მკვდრ იქმნა.

[ԳԹ] ენოსის სასოებასა ებადვა და მოშურნე ექმნა, და არა თვთ ხოლო ხადოდა სახელსა უფლისა ღმრთისა თვისისასა, არამედ სხუათაცა ასწავა, რადთა ხადოდინ.

[ԳԼ] ენუქის არა უცხოდ იგი, ქუეყანით სამოთხედ მიცვალებად მოიგო, არამედ ნივთიერთა განსუენებათაგან სულიერად შეცვალებად და განხრწნადთა ჯორცთა მიერ უხრწნელებისა მოგებად.

[ԳՄ] ნოვეს ებადვა სიმართლესა, და არა ძელისა კიდობნითა მცირედი თესლი ცხოველთად იქსნა წყლით-რღუნისაგან, არამედ აურაცხელნი სულნი აცხოვნნა სწავლითა და თავი თვისი ყოვლით კერძო მოჰკრძალა და ზღუად ესე განძნებული ამის სოფლისად დაუნთქმელად წიად-ვლო და ღელვათა მისთაგან უვნებელად განერა და ტვრთი სათნოებათად ზეცისა სავანეთა შეიკრიბა.

[ԳԵ] აბრაჰამს მამათმთავარსა სხუათაცა მათ სათნოებათა სიმრავლითა ებადვა; ესე იგი არს სარწმუნოებითა და სიმშჯდითა და ღმრთისა სიყუარულითა, ხოლო უფროდს ყოვლისა – სოფლისაგან სივლტოლითა და საქმეთა მისთაგან განშორებითა; ვითარცა-იგი განეშორა ქუეყანისაგან და ნათესავთა თვისთა და მეგობარ უფლისა იწოდა, არა საყუარელისა დაკლვითა, არამედ ჯორცთა თვისთა ნებსით თვისით მოკუდინებითა და ასოთა ქუეყანისათა სრულიად განლევითა.

[ԳԶ] ისაკს ემსგავსა ნეფსითითა მით და უშფოთველითა

დაკლვითა; გარნა არა მამისა მიერ, ვითარცა იგი, რამეთუ ესე თვთ თავსა თვსსა შესწირვიდა დღითი-დღე, მსგავსად მოციქულისა, და ჯორცითა შეიწირვოდა ნეფსით თვსით, ხოლო სულითა ცხოველ იყო და უფრომსლა ცხოველ არს ღმრთისა, მსგავსად ვერძისა მის ჯორცთა თვსთა უბიწოდ შეწირვითა.

[“ხ”] იაკობს ებაძვა განზასრვითა ბილწისა ესავისითა, რომელ არს წვალებათა მოძღუარი, რომლისაგან მიუღო პირმშობეაჲ. ესე (vB) იგი არს ეკლესიისა მართალი მოძღურებაჲ, და ხილვითა არა კიბეთა, ქუეყანით ზეცად აღმართებულთა, არამედ სუეტსა ცეცხლისასა ზეცად აღწევნულსა, რომელი-იგი უბრწყინვალესად-რე განუმარტებდა საიდუმლომსა ძალსა და სიღრმესა მისსა განუცხადებდა, და მერმე განყოფითა კურთხევათაჲთა მოწაფეთა მიმართ, ჟამსა მიცვალებისა თვსისასა, ვითარცა-იგი მან აკურთხნა შვილნი თვსნი, რომელნი-იგი უკუეთუ ვინ გულსმოდგინედ განიცადნეს, არარაჲთ პოვნეს უნაკლულეს კურთხევათა მათ დიდისა იაკობისთა.

[“ხღ”] უფრომსლა იოსებს მიემსგავსა ჯორცთა სიწმიდითა და უბიწოებითა და უმეტესად[და] უაღრეს მისსა იქმნა ქალწულებითა და განყოფითა სიტყვსაჲთა, რომელი-იგი გარდამატებულად უაღრეს არს მისსა მას იფქლის განყოფასა.

[“ხღღ”] მოსეს, დიდისა მის შჯულისმდებელისა, კნინლა და ყოველთავე საქმეთა მიეზაძვა, და ანუ თუ უმრავლესთა უეჭუელად, რამეთუ ესეცა ივლტოდა გონიერისა მის ფარაომსაგან და უდაბნოთა შინა იქცეოდა და ღმერთი იხილა, რაოდენ შესაძლებელ არს ხილვად ღმრთეებისაჲ; და ნიშნი აღასრულნა და ერსა წარუძღუა მოძღურებითა და მეგვპტელნი განზასრნა სიბრძნით და სიმდიდრე მათი წარიტაცა, რამეთუ მწვალებელთა წიგნნი წარტყუნნა და განაქიქნა და ზღუად განაპო მარილიანი და უსუმელი ურწმუნოებითა, და მართლმადიდებელთა ერი წიაღ-იყვანა, და ფარაო და ერი მისი დაანთქა – მგმობართა იგი უღმრთოჲ ნათესავი, და ამაღევსა მძლე ექმნა (ესე იგი არს – მწვალებელთა სიმრავლესა), და შჯული მართლმადიდებლობისაჲ ღმ-

რთისა მიერ მოიღო და ჩუენ ყოველთა განგჯყო, და სახე იგი კარვისაჲ

მთასა ზედა იხილა, არა მოსეს მიერ შემზადებულისაჲ, არამედ მერ-
მისა მის საშინელისა განკითხვისაჲ, და საშჯელისა და თითოეულისა
მიგებისაჲ; და მღდელნი სრულ-ყვნა მღდელობისა კანონთა დასხმითა
და შჯულის-დებითა და წყალი კლდისაგან აღმოაცენა, რამეთუ კლდ-
ისაჲ მსგავსნი გულნი ცრემლთა მდინარისა აღმოაცენებელ ყვნა. (49rA)

საზრდელი ზეცით უწვმა ერსა, ვითარცა-იგი მან მანანაჲ ის-
რაიტელთა, რომელ არიან სიყუარულისა სწავლანი, რომელნი-იგი
უფროჲს პურისა განამტკიცებენ სულსა მორწმუნეთასა, და მერმე
საღმრთოსა მას და საიდუმლოსა პურსა კადნიერებით ეზიარებიან,
რომელი-იგი წიაღთაგან მამისათა ცხორებად ჩუენდა გარდამოჲდა.

მწყერმარჯილი აღმოგჯცენა ჩუენ მორწმუნეთა, რომელ არს
ქსენებაჲ ღმრთისაჲ, ზეცად აღსლვისა მასწავლელი, და მუნთა მათ
სიკეთეთა განმცდელი, და რაჲთა მოკლედ ვთქუა, რომლისაცა ძუელ-
თა საქმეთაგანისა განთქუმულისა შესწორებაჲ ინებო საქმეთა მამისა
ჩუენისათა, არარაჲთ ჰპოვნე უნაკლულეს ყოვლადვე.

[ზL] მსგავსად ისო ნავესსა იორდანე განაპო, ესე იგი
არს დაჯშულნი ჯელნი მდიდართანი გლახაკთმოწყალებითა აღჭურნა
და საუნჯენი მათნი ქველისმოქმედებითა განახუნა და მორწმუნეთა
კრებულსა არა ქუეყანისა ესე აღთქუმისა ქუეყანაჲ, არამედ ზეცათა
სასუფეველი (342rB) დაუმკვდრა.

[ზM] ვითარცა სამოელ, სიჩჱოდთგან ღმრთისა შეიწირა და
საღმრთოჲსა ჯმისა სმენად ღირს იქმნა.

[ზN] ვითარცა დიდმან ელია, მღდელნი იგი სირცხლისანი
განკიცხნა, და ცეცხლი იგი საცნაური არა ერთგზის, არამედ მრავალ-
გზის სიტყვერსა მას მსხუერპლსა ზედა გარდამოიყვანა და სათ-
ნობათა ცეცხლისა ეტლითა, არა ეთერისა სიმაღლედ, არამედ
ზეცათა სამყაროჲსა ეტლთა მფლობელ იქმნა.

[ზO] ვითარცა ელისე, მრჩობლი იგი მაღლი სულისა წმიდი-

სად მდიდრად შეიწყნარა.

[“ხ”] და ვითარცა წინადასწარმეტყუელნი, ხილვასა და გამოცხადებასა ღმრთისასა მრავალგზის ღირს იქმნა.

[“ხი”] კადნიერ იქმნების სიტყუად უფროდსსაცა მას დე-

დათა ნაშობთასა თანა გამოძიებად დიდისა ამის მამისა ჩუენისა, რომელი-იგი იქმნა შევამდგომელ შჯულისა და მადლისა, რამეთუ მსგავსად მისსა, უდაბნოს მკვდრ იქმნა და სიტყუად ღმრთი-სად იქმნა ამისსა მომართცა, და სინანულისა ქადაგად იწო-და და მისა მიმავალთა ცოდვათა აღსარებად ასწავა.

[“ხი”] ვითარცა პავლე, ჭურმან რჩეულმან ეკლესიისამან, ყოველნივე განსაცდელნი დაითმინნა და თესვად თესლსა მას სარწმუ-ნობისასა მსგავსად მისსა არა მოიწყინა ყოვლადვე, არცა დაშურა.

და რად საჯმარ არს თითოეულად ყოველთა წმიდათა თანა-შეტყუებად სათნოებათა მისთად, რომელთა-იგი ყოველი სოფელი აღუ-ვსიეს, რამეთუ რაჟამს საქმენი წამებდენ, მრავლისმეტყუელებად ნამეტნავ არს და უფროდსა შეურაცხებისა კერძსა მიდრკების სიგრძე სიტყ-უსად, ვითარმცა არა კმა იყენეს სათნოებანი მისნი მისდა შემამკო-ბელად, არამედ სიტყუათა-მიერიმცა შეწევნად ეკმარებოდა.

[“ხი”] ხოლო კეთილ არს, რადთა ვითარცა შესანელებელი რადმე, ესრეთ შევსძინოთ სიტყუასა ჩუენსა, ჟამსა აღსრულებისა მისისასა, მის მიერ ქმნილი საკვრველებად.

რამეთუ ეგულებოდა რად ღმერთშემოსილსა ამას კაცსა აღსლ-ვად ზეცისა სავანეთა, მის თანა მყოფთა მათ ამცნო, რადთა არა დაჰმარხონ იგი მრავალსასყიდლისა სამოსლითა, არამედ უკუეთუ მა-მის მოყუარე ვინმე იყოს და ესევეითარი რადმე მოემზადოს, საქმითმცა ნუ სრულ-ჰყოფს, არამედ, რომელი-იგი მოჰმზადა, ჟამსა მას, რომელ-სა საფლავსა დაიდვას, გლახაკთა მიეცინ იგი.

ხოლო ერთსა ვისმე შერაცხილთაგანსა, მუნ მდგომარესა, სა-მოსელი მრავალსასყიდლისად მოემზადა, და ენება, რადთა საღმრ-

თოდსა მის მოხუცებულისა გუამი მითა წარგრაგნოს. ვინაჲცა, ესმა რად განკანონებაჲ იგი, არად შეჰრაცხა, არამედ უგულუბელს-ყო, და მომზადებულისა მის სამოსლისა გლახაკთა მიცემაჲ არა ინება, არამედ ესრეთ მოიგონა, ვითარმედ, რაოდენის ღირდეს, ეგოდენი საფასე გლახაკთა განუყოს; და არა ხოლო თუ მოიგონა, არამედ უმჯობესადცა შეჰრაცხა.

და მასვე ჟამსა იწყალა იგი ეშმაკისა მიერ ბოროტისა, და ურჩე-ბისა თვისისა მწარენი მჭელეულნი მოისთულნა; ვინაჲცა თავი თვისი

წინაშე სარეცელსა მას წმიდისასა დააგდო და ბოროტად იგუემებოდა და იღრჭენდა კბილთა და პეროოდა. ხოლო სახიერმან მან კაცმან ღმრთისამან ჰრქუა მას, ვითარმედ: „გვთხარ ჩუენ, # კაცო, რად არს მიზეზი ჭირისაჲ (vB) ამის, ანუ რად ბოროტი გიქმნიეს, რომელმან ესევითარსა ამას განსაცდელსა შთაგაგდო?“ ხოლო იგი სიტყუასა მას თანა წმიდისასა აღემართა, და დაფარული იგი გულისსიტყუად თვისი მიუთხრა მას და ურჩებაჲ თვისი გამოუცხადა; და ვითარცა აღიარა, ტკბილმან მან და მოწყალემან მამამან კულად განკურნა იგი და მრთელად და უვნებელად გამოაჩინა ლოცვითა თვისითა და კელთ-დასხმითა, და მერმე ჰრქუა მას: „აღასრულე, ძმაო, აღთქუმაჲ შენი, ვითარ-იგი დაიდევ გონებასა შენსა“.

ესევითარი ნიში აღასრულა დასასრულსა ცხორებისა თვისისასა და მუნ მდგომარენი იგი მრავალთა სწავლათა მიერ შურად სათნობე-თა აღადგინნა; ვითარცა უკუანადსკნელი იგი სწავლად მისი საანჯმ-ნო-ჰყოფს, და მყუდროსა მას ნავთსადგურსა ზეცათა სასუფეველისასა მიიცივალა. (vA)

და შეეძინა საუკუნითგანთა წმიდათა შესაძინელი წმიდაჲ და ღმრთისა საწადელი, და აწ იშუებს იგი საყოფელთა მათ შინა საუკუ-ნეთა, სადა-იგი იხარებენ მკედრობანი ანგელოზთანი და გუნდნი მამათ-მთავართანი და კრებულნი წინაჲსწარმეტყუელთანი; სადა-იგი არიან საყდარნი მოციქულთანი, სადა-იგი არს სუფევაჲ მოწამეთაჲ და ფუ-

ფუნებად მამათად და ბრწყინვალეებად მღდელთმომღუართად და დღესასწაულობად პირშმოთად და კმად წმიდად მერმისა მის ზატკობისად; კეთილთა მათ შინა, რომელთად სურის ანგელოზთა ჭკრობად, და წმიდათა მათ და ღმრთივბრწყინვალეთა ადგილთა მიიწია ნეტარისა და ყოვლადქებულისა მამისა ჩუენისა მრავალნეტარი იგი და უბიწოდ სული.

ხოლო ამასცა ვიტკ, ვითარმედ, რაჟამს-იგი ზეცად აღვიდოდა, წინა-უძლოდეს მას სათნოებანი, რომელნი-იგი ცხორებასა ამას აღესრულნეს, და უჩუენებდეს მას გამოუთქუმელთა მათ და უხილავთა კეთილთა, და ვითარმედ პირველ ყოველთაჲსა წარმოუდგა მას უაღრესი იგი ყოველთა სათნოებათად – სიყუარული, და ესრეთ ჰრქუა: „იხილე, სულო, თუ ვითარნი კეთილნი მოგატყუენ“, და სიტყუასა თანა უჩუენნა მას საშუებელნი იგი უოხჰონნი.

და სიმდაბლემან ჰრქუა: „განიცადე, სასურველო სულო, და მეცა თუ ვითარი ადგილი განსასუენებელი განგიშაადე“. და ეგრეთვე ყოველთა სათნოებათა თითოეულად, რომელთათჳს-იგი, ვიდრეღა ჰორცთა შინა იყო, დაშურა და მრავლითა ოფლითა და შრომითა მოიმუშაკნა, ყოველთავე თითოეულად თჳსნი კეთილნი და მისაგებელნი უჩუენნეს და ღირსი ნეტარებად მიუძღუანეს.

ეჰა, მრავალსაგალობელი ესე და საშურველი მიცვალებად!

ეჰა, არა მოქენე ესე ცრემლთად სიკუდილი!

ეჰა, განყოფად ესე, სასურველისა შეერთებისა მომატყუებელი!

ეჰა, მიცვალებად, არა მომატყუებელი შენანებისად!

ეჰა, შემურვად ესე, უცხოჲ შეჰირვებისაგან და შეწუხებისა და მგლოვარეთა და ჰირისუფალთა! – რამეთუ კეთილთა მათთჳს მისთა, რომელთათჳს-იგი გჰკვრს, მათ მიერვე ნუგეშინის-ცემასა მოვიღებთ.

რამეთუ სხუათა მათ კაცთა შორის, მიზეზ გლოვისა ექმნების სიკუდილი თჳსთა მათთა და საყუარელთა, ხოლო სიკუდილი წმიდათად სიხარულისა და დღესასწაულობისა მომატყუებელ იქმნების,

რამეთუ არა სიკუდი(343rB)ლი არს ესევეთარი იგი, არამედ მიცვალებად და უაღრესისა მიმართ მისლვად.

ესე უკუე ჩუენ მიერ, ვითარცა ძღუენი უღირსი, შემკადრებელითა ენითა, და ვითარცა შესხმად, შეწირულ არს შენდა, მამათა დიდებო და ყოვლისა სოფლისა მოძღუარო, არა თუ ვითარმცა საჯმარ იყო შენდა; და რამეთუ ვითარი დიდებად მოატყუას სიტყუამან, რაჟამს ქებულისა მის ღირსებასა ვერ მისწუდებოდის, და უკუანა კერძო მისსა ვიდოდის, არამედ უფროდსლა სარგებელად მსმენელთა და სოფელსა ამას შინა მყოფთა, რამეთუ დიდად კეთილთა მიმართ აღმძრველ და მაწუეველ ექმნების ღმრთისმოყუარეთა შესხმად და კსენებად წმიდათა და ნებისყოფელთა ღმრთისათაჲ.

ხოლო ამის კელ-ყოფისა და კადნიერებისა მიმართ აღმძრნეს ჩუენ სხუათაცა მრავალთა, და არა ვიტყვ შენთა მათ წარმატებათა და მოძღურებასა და ცხორებასა შენსა, ყოველსა სოფელსა შინა განთქუმულსა, არამედ უფროდსლა საკვრველმან მან კელის-აპყრობამან შენმან და კსნამან, რომელი-იგი აჩუენე სეხნაობითა შენითა პატივ-

ცემულსა ეფრემს ზედა, რომელმან-იგი მოლუაწებისა ამის მიმართ გუაწვა და კელ-გუაყოფია, რომელი-იგი ბარბაროზთა მათგან შვილთა ისმაელისთა წარიტყუენა და თვისისა მამულისაგან მრავალთა ჟამთა განეშორა. და მიერ რად სივლტოლად იჯუმია და თვისსა ქუეყანასა მიჰმართა, და არა უწყოდა, ვიდრე-მცა-ვიდა, შენსა მას საკვრველსა კელის-აპყრობასა მიემთხვა, და გზისათვისცა ეუწყა და სასოებისა თვისისაგან არა ჯუებულ იქმნა, და რაჟამს-იგი თავსა განსაცდელთასა მიიწია და მძვნვარებითა ბარბაროზთაჲთა შეიწრდა და არღარად აკლდა, არამედ სიკუდილი; და ვითარცა სახელი ხოლო შენი მოიკსენა და თქუა, ვითარმედ: „წმიდაო ეფრემ, შემეწიე“, მყის მახე იგი სიკუდილისაჲ უვნებელად წიად-ვლო და შიში შეურაცხ-ყო და ზემთა სასოებისა ცხორებასა მიემთხვა და, მეოხებითა შენითა შეზღუდვილი, თვისად მამულად მოიწია. ვინაჲცა შესხმისა შენისა აღწერად კელი ჩუენი განგჰ-

მარტეთ და არაწმიდათა ბაგეთა მიერ ქებად შენდა კადნიერ ვიქმნენით.

და უკუეთუ არა ფრიად ვუებულ ვართ საწადელისა ჩუენისაგან, სიტყუათა ჩუენთა წარმართებისა მიზეზსა შენ მიგაჩემებთ და შენდად შევჰრაცხთ მადლსა ამას. ხოლო უკუეთუ ფრიად შორს ვიპოვნეთ ღირსებისაგან, ამისიცა მიზეზი შენვე მიგაჩემოთ (დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუად ესე), რამეთუ შენ ყოვლადვე შესხმისაგან ივლტოდე, და ვითარცა-იგი სოფელსა შინა, ეგრეთვე (50rA) შემდგომად სიკუდილისა, სიმდაბლისა სიყუარულითა შემსხმელთა შენთა აბრკოლებ და არა უტევებ შესხმად; გარნა ყოველსავე ზედა ჩუენ თანანადები აღვასრულეთ და გურჩამს, ვითარმედ არა ვიბრალნეთ შენგან, მჯურვალენი ესე მამის მოყუარენი, არამედ ვითარცა შვილთა საყუარელთა, უსრულად მზრახვალთა, ენაბრგუნვილი ესე და ჩჩვლებრი შესხმად მიითუალო. ხოლო შენ, რომელი-ეგე საღმრთოსა მას და ზეცათა საკურთხეველსა წინაშე სდგა და ცხორებისმომცემელსა მას და (vB) ცხოველთა ცხორებასა და ყოველთა არსთა არსად მომყვანებელსა ყოვლადწმიდასა სამებასა ანგელოზთა თანა ჰმსახურებ, მომივსენენ ჩუენ წინაშე მისსა და გვთხოვე ცოდვათა მოტევებად და უოხჰნოდსა მის სასუფეველისა ფუფუნებად, ქრისტე იესუდს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისად არს დიდებად თანადაუსაბამოდთ მამით და ყოვლადწმიდით და ცხოველსყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისაად

შესხმად წმიდისა მამისა ჩუენისა

მელეტი მთამარეპისკოპოსისა

დიდისა ანტიოქ[იისაად]

(318rB) აღმთორძინა ჩუენ რიცხვ მოციქულთაად ახალმან ამან

მოციქულმან, რომელი აღრაცხილ იქმნა მოციქულთა თანა, რამეთუ მიიზიდეს წმიდათა მათ თავისა მიმართ თვისისა მობაძავი იგი მათი, და მოლუაწე – მოლუაწეთა, და ღუაწლმრავალი – ღუაწლმრავალთა, და გვრგვნოსანი – გვრგვნოსანთა, და უბიწოდ სულითა – წმიდათა გულითა, და ქადაგი სიტყვსაჲ – მსახურთა სიტყვსათა. და სანატრელ არს მამად ჩუენი მოციქულთა თანა დამკვდრებისათჳს და ქრისტეს მიმართ მიცვალებისა, ხოლო ჩუენ – საწყალობელ, რამეთუ არა გვტევებს ჩუენ ნატრად დიდებულებასა მამისა ჩუენისასა უჟამოებაჲ ესე სიობლისა ჩუენისაჲ. (27rA)

მისდა უმჯობეს იყო ჳორცთაგან განსლვითა ქრისტეს თანა ყოფად, ხოლო ჩუენდა ბოროტ არს განყოფად მამულისა წინამძღურობისაგან, რამეთუ აჰა ესერა მოწევნულ არს ჟამი განზრახვისაჲ, და განმზრახი დუმს; ბრძოლასა გარე-მოუცავთ ჩუენ, ბრძოლასა მწვალებელთასა, და ერისთავი არა არს; შეპყრობილ არს სენითა ზოგადი გუამი ეკლესიისაჲ და მკურნალსა არა ვჰპოვებთ.

ხედავთა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი? მენება, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, განძლიერებად უძლურებაჲ ჩემი და ამაღლებად სიმაღლესა ამას თანა განსაცდელისასა და აღტევებად ჳმისა რადსმე, ვნებისა ამის შემსგავსებულისა, ვითარცა ყვეს მჳნეთა ამათ (vB) და ჳმითა მაღლითა განსაცდელი მამისაჲ იგლოვეს. არამედ რად-მე ყყო; გინა ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სი(89rC)ტყვსა, რომელი-იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა მძიმითა რადთმე საკრველითა, შეკრულ არს?

ანუ ვითარ აღვადო პირი, უტყუებითა შეპყრობილი?

ვითარ აღუტევო ჳმად, ვნებითა და გოდებითა ძალისაგან თვისისა დაჳსნილი?

ვითარ აღვიხილნე თუალნი სულისანი, განსაცდელისა ამის არმურითა დაზნელებულნი?

ვინმცა განმიზნია წყუდიადი ესე და უკუნი მწუხარებისა ნისლი

და მიჩუნა-მცა კუალად სიწმიდესა შინა ბრწყინვალე იგი ნათელი მშვდობისად, გარნა ვინად მოგუეფინოს ჩუენ შარავანდედი, ვინადთ-გან დაჰჰდა მნათობი ჩუენი?

ეჰა ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ აღმოსავალი მზისთუალსა არღარა მოელის აღმოსლვად! ეჰა, ვითარღა იქმნეს ჩუენდა ადგილსა ამას წინაუკუმო სიტყუანი ჩუენნი და საქმენი, აწ და პირველ ამისსა! რამეთუ პირველ, ვითარღა მექორწინენი, განვსცხრებოდეთ ხოლო აწ, ვითარღა საწყალობელნი, გლოვისა ამისთჳს სულთ-ვითქუამთ. მაშინ – სასძლოდსასა, ხოლო აწ საფლავისასა ვგალობთ.

გაკსოვს განაღა, რაჟამს-იგი სულიერი ქორწილი შეგიმზადეთ თქუენ და კეთილსა მას სიძესა შევაულეთ წმიდად იგი ქალწული და ზითევი სიტყუათად ძალისაებრ ჩუენისა შემოვიდეთ და ზოგს-რამე ვიხარეთ და გახარეთ; ხოლო აწ სიხარული იგი გოდებად გარდაგუეჰცა ჩუენ, და მხიარულებისა იგი სამკაული ძაძად შეგუ-ეცვალა.

და ნუუკუე დუმილი ჯერ-იყო ვინ უწყის, ვნებისა ამისთჳს, და საღმობისა ამის დუმილისა მიერ დაფარვად, რადთამცა არა ვაურ-ვებდით მეთა სიძისათა, რომელთა-ესე არღარა გუაქუს სასძლოდ სამოსელი ბრწყინვალე, არამედ დაშავებულნი [სიტყუანი გლოვისანი, რამეთუ ვინადთგან მიგუედო ჩუენგან სიძე იგი შუენიერი, მეყსეულად] გლოვითა დაშავებულ ვიქმნენით და ვერღარა ძაღ-გვც ჩუეულებისაებრ განბრწყინვებად სიტყუსა ჩუენისა, ვინადთგან შემამკობელი ჩუენი შურმან მიგუჰპარა ჩუენგან.

სავსენი კეთილითა მოვიწინით თქუენდა; შიშუელნი და გლახაკნი უკუნ-ვიქცევით თქუენგან; მართლიად გუეჰყრა ბრწყინვალე იგი ლამ-

პარი თავთა ზედა ჩუენთა, რომელი სივრცითა მით ნათლისა თჳსი-სადთა განანათლებდა სოფელსა, ხოლო აწ დაშრეტილსა უკუნ-ვაქცევთ მას და კუამლად და მტუერად გარდაქცეულსა, ბრწყინ-

ვალეებისა წილ; გუაქუნდა უკუე საუნჯე იგი დიდი კეცის-ჭურითა,
და აწ საუნჯე იგი აღმალდა ჩუენგან, ხოლო კეცის-ჭური იგი,
ცალიერი სიმდიდრისაგან, მომნიჭებელთავე მათთა მიმართ უკუნ-
იქცევის. და რამ-მე თქუან წარმოვლინებულთა, ანუ თუ რამ
მიუგონ მიმჯდელთა!

ეჰა ბოროტი ესე დაქცევამ! ვითარ შორის ნავთსადგურისა სასოებისა
ჩუენისაგან დავინთქენით ანუ თუ ვითარ ბევრეულთა მათ კეთილთა
(vC) მტვრთველი იგი ნავი მყისსა შინა უჩინო იქმნა და ოდესმე მდი-
დარნი ესე შიშულად და უღონოდ დამიტევნა ჩუენ! სადა უკუე არს
აწ ბრწყინვალე იგი აფრამ, სულისა წმიდისა ნიავითა აღსავსე, ანუ
თუ სადა არს (319rB) [საჭე იგი] სულთა ჩუენთად შეუმუსრველი,
რომლისა მიერ სამნაკეცთა მათ ღელვათა წვალებისათა განვჰვლი-
დით! და სადა არს უცვალებელი იგი გონიერებისა ხარისხი, რომ-
ლისა მიერ დამაშურალნი ყოვლითა კრძალულებითა განვისუენებ-
დით! სადა არს კეთილი იგი მენავეთმოდლუარი, რომელი ზეცისა
სავანეთა შეიყვანებდა ნავსა ეკლესიისასა! ანუ თუ მცირე არსა
ჩუენ ზედა მოწევნული ესე ბოროტი? ანუ ამაოდ ნუ ვიტყებთა, და
განვიწირვით? გინა თუ, უფროდს ვერ მივსწუთებით თავსა ამის
ვნებისასა, დაღაცათუ უფროდს აღვამალნეთ სიტყუანი ჩუენნი და
ჰმანი?

გუავასხენით უკუე, ძმანო, გუავასხენით ჩუენ ცრემლნი წყალო-
ბისანი, და რამეთუ, ოდეს-იგი იხარებდით თქუენ სიხარულსა თქუენ-
სა, გეზიარენით ჩუენ; აწ უკუე მომაგეთ ჩუენ ბოროტი ესე ნაცვა-
ლი. სიხარული მოხარულთა თანა მიგეცით ჩუენ; ტირილი მტი-
რალთა თანა მომიზღეთ ჩუენ. (vA)

ცრემლოოდა ოდესმე უცხოთესლი იგი ერი მამათმთავრისა იაკო-
ბისთვს, და უცხოდ იგი განსაცდელი, ვითარცა თვსი, განე-
საკუთრა, რაჟამს-იგი შემდგომად სიკუდილისა ძეთა მისთა ეგვბტით
გამოიყვანეს იგი, და ყოველი იგი ერი უცხოდსა მისთვს განსაცდელისა
უცხოსა შინა ქუეყანასა ოცდაათ დღე და ოცდაათ ღამე იგლოვდა

მის ზედა და მწარედ გოდებდა და ტიროდა. აწ უკუე, ძმანო,
ემსგავსენით უცხოთესლთა მათ, ძმანი ეგე ჩუენნი და ნათესავნი.
ზოგადი იყო მაშინ უცხოთა და თვსთა ტირილი; ზოგადი იყავნ
აწცა, და რამეთუ გლოვადცა ესე და მწუხარებად ზოგადი არს.

ხედავთა ამათ მამათმთავართა? ესე ყოველნი ძენი არიან მამათ-
მთავრისა ჩუენისა იაკობისნი, ყოველნივე აზნაურთაგან შობილნი,
და არავინ არს ამათგანი სტრუქ, არცა განსაგდებელ. და რამეთუ
არცა ეგებოდა მისგან მონებრივისა რადსმე სახისა შემოღებად წარჩინე-
ბულეებასა ზედა სარწმუნოებისასა. და რამეთუ ჩუენიცა ესე მამად
– მამად იყო მამისა თქუენისა და თქუენი. და აჰა ესერა გესმის
ეფრემისთვის და მანასესთვის, თუ ვითარნი და რაბამნი მიუთხრნეს
მამისა თვისისათვის ზეშთა სიტყვსა საკვრველებანი. მომეცით უკუე
მეცა ჳელმწიფებად, რადთა ვიტყოდო ზოგადისა მამისათვის, და რამეთუ
არღარა შეუდგს ამიერთგან ნატრასა მისსა ზღვევად სულიერი და
არცაღა მეშინის მე შურისაგან, და რამეთუ რადღა მიყოს მე ამისსა
უძვრესი!

აწ უკუე გულისჳმა-ყავთ, თუ ვინ არს კაცი ესე. ესე იგი არს
კაცი წარჩინებული და აზნაური, მზისა აღმოსავალისათაგანი, უბრალოდ,
მართალი, ჳეშმარიტი, ღმრთისმსახური, განშორებული ყოვლისაგან
საქმისა ბოროტისა, და რამეთუ არა შურს (90rC) დიდსა იობს,
უკუეთუ სათნოებათა მისთა მიერ მობამავიცა ესე მისი შეიმკოს,
არამედ შური, რომელი-იგი ყოველსავე კეთილსა ეშურების და გან-
იცდის ჩუენსაცა ამას კეთილსა, მიხედნა თუალითა მით მისითა
მწართა, და რომელი-იგი მოჰვლის ყოველსა სოფელსა, მოვლო
ჩუენთვისცა, და განვრცომილითა ბრჳალითა მწუხარებისადათა დატ-
კებნა მხიარულებად ჩუენი. და არა ზროხათა და არვეთა სამწ-
ყსონი განხრწ(vB)ნნა, გარნა თუ ვინმე ეკლესიისა სამწყსოთათვის
საიდუმლოდ გულისჳმა-ყოს სიტყუად ესე, არა უწყი. ხოლო ვი-
თარცა ზემო ვთქუ, არა პირუტყუთა წარწყმედითა გუაენო ჩუენ

შურმან, არცა ვირთა და აქლემთა იავარის-ყოფასა შინა შეაყენა
დაჭირვებად ჩუენი და ზღვევად, არცა წყლულებითა კორცთადათა
ალმო საცნობელთა, არამედ თვთ თავადი იგი თავი მიგუპარა

ჩუენგან და თავისა თანა მიგვხუნა პატიოსანნიცა იგი საცნობელნი
ჩუენნი.

და არღარა არს თუალი, ზეცისა საიდუმლოთა მხედველი, და
არცა ყური, საღმრთოდასა ჳმისა მსმენელი, და არცა ენად – წმიდად
იგი შესაწირავი ჳემმარტებისად. რამეთუ სადა არს ტკბილი იგი
მყუდროებად თუალთა მისთად; სადა არს ბრწყინვალე იგი ღიმილი
ბაგეთა მისთად; სადა არს საწადელი იგი მარჯუენე მისი, რომელი
კურთხევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა თვსთა ჳუარ-
ის-წერთა დაჳბეჳდვიდა!

ამისთვისცა, აჳა ესერა, ვითარცა სახილველსა შინა წარმოვიჩინე-
ბი და წინა-ვპირობ და ვღალადებ განსაცდელისა ამის სიმძიმესა და
ვიტყვ: „გწყალობ შენ, ეკლესიაო და შესაკრებელო მორწმუნეთაო;
გწყალობ შენ და მეღმის შენთვის, ქალაქო ანტიოქიაო, და გწყალობ
შენ ანაზდაითისა ამის შეცვალებისა შენისათვის. ვითარ მოგემარცუა
სამკაული შენი! ვითარ წარპარულ იქმნა სიკეთე შენი! ვითარ მყისსა
შინა დაცვვა ყუავილი შენი! ჳემმარტად „განჳმა თივად და ყუა-
ვილი მისი დასცვვა“. რომელმან-მე თუალმან ბოროტმან და შურ-
მან უკეთურმან დაფრთუნა ეკლესიად შენი, და ვითარი მწუხარე-
ბად, რაბამისა სიხარულისა წილ, მოგატყუა! დაშრტა წყაროდ და
განჳმა მდინარე და კუალად სისხლად გარდაიქცა წყალი.

ეჳა ბავთი ესე ბოროტი და ჳამბავი საზარელი და სახარებად
საგლოელი, რომელი მიესმას ეკლესიასა შენსა! ვინ-მე მიუთხრას
შვილთა შენთა, ვითრმედ დაობლდეს; ვინ-მე აუწყოს სძალსა წმი-
დასა, რომელ არს ეკლესიად, რამეთუ დაქურივდა!

ჳ ბოროტთა ამათ და ძვრთა სიმძიმე; თუ რად წარმოავლინეს და
რაბამი, ანუ თუ აწ ვითარსა შეიწყნარებენ; კიდობანი სიწმიდეთად

წარმოავლინეს და სამარესა შეიწყნარებენ!

კიდობანი იყო, მძანო, კაცი იგი ღმრთისად; კიდობანი, რომელსა ეტვრთნეს თავსა შორის თვსსა საღმრთონი საიდუმლონი. მის შორის მდგომარე იყო ტაკუკი იგი ოქროდსად, სავსე მანანადთა, და სავსე ზეცისა საზრდელითა; (vC) მის შორის იყვნეს ფიცარნი შჯულისანი, ესე იგი არს ფიცარნი გულისანი, დაწერილნი არა მელნითა, არამედ სულითა ღმრთისა ცხოველისადთა, რამეთუ შავი

და წყუდიადი არარად გამოსახულ იყო ყოვლადვე სიწმიდესა შინა უბიწოდა მის გულისა მისისასა. მის შორის მდგომარე იყვნეს ხარისხნი და სუეტნი და სუეტისთავნი და სასაკუმეველე და საკურთხეველი და სასანთლე და სალხინებელი და საბანელნი და კრეტსაბმელნი ბჭეთანი; მის შორის იყო კურთხი მდდელობისად, რომელი ჯელთა შინა მისთა განედლდა, და სხუად, რაოდენიცა რად (28rA) სიწმიდეთაგანი ეტვრთა კარავსა მას და კიდობანსა, ყოველივე იგი კაცსა მას ღმრთისასა თანა ერთბამად შემოკრებულ იყო.(320rB)

ხოლო აწ ამის ყოვლისა წილ რად ვდუმნე და არღარა ვიტყოდი, სინდონნი წმიდანი და ბარისა ნაქსოვნი და ნელსაცხებელთა და მიჰრონთა სიმდიდრე დედაკაცისა მიერ საღმრთოდსა და პატოსნისა, პატივად წმიდისა მის შემზადებულნი, და ჭემმარიტად ექმნეს მას ესე ყოველი საწამებელ და მოსაცსენებელ, რაოდენიცა რად უყო მდდელთმოდღუარსა ამას ღმრთისასა და ალაბასტრი ნელსაცხებლისა მრავალსასყიდლისად თავსა მისსა დაასხა, და დასაფლავად მისსა ყო იგი.

და რად-მე არს ლარნაკსა მას შინა და სამარესა ძუალნი მომკუდარნი და პირველ სიკუდილისაცა მწურთელნი სიკუდილისანი და ამიერ მიცვალებულნი, შესაწუხებელნი იგი, განსაცდელისა ჩუენისა საცსენებელნი.

ეჰა, ვითარიღა ჯმად მიესმეს კუალად ჰრამას, და რაქელ სტიროდის არა შვილთა, არამედ ქმარსა თვსსა და ნუგეშინის-ცემასა არა

მიითუალვიდეს.

უტევით უკუე, ნუგეშინის-მცემელნო, უტევით და ნუ განამრავლებთ ნუგეშინის-ცემასა, რადთა წრტიალად და მძიმედ იგლოოს ქურივმან მან და გულისცმა-ყოს დაჭირვებად ესე, რომელი დაშქირდა მას, დაღაცათუ არა გამოუცდელ არს განშორებასა მისსა ღუაწლთა მათ მიერ მოღუაწისათა და დაჩუეულ მარტოებასა, რამეთუ გაქსოვს განაღა, თუ ვითარ თქუენდა მომართ თქუმულმან მან სიტყუამან ჩუენმან ღუაწლნი იგი მაღლისა მის კაცისანი მიგითხრნა თქუენ, და ვითარმედ, ვითარცა-იგი ყოვლითავე ძალითა და

გულითა და სულითა თვსითა პატივ-სცემდა ყოვლადწმიდასა სამებასა, ეგრეთვე რიცხუთა მათ მისთა მოღუაწებათა მიერ პატივსა მას მისსა დაჰბეჭდა და სამთა განსაცდელთა კუეთებასა ეწყო ძლიერად. და ესე ყოველი ღუაწლი მისი შემდგომითი-შემდგომად გასმიეს და უწყით კეთილად, თუ ვითარ განბრწყინდა პირველსა შინა და თუ ვითარ შეიმკო მეორესა შინა და თუ ვითარ წარემატა მესამესა შინა, და რამეთუ ნამეტნავად შემირაცხიეს თითოეულად წარმოთქუამა მათი, რომელნი-იგი მაშინ ითქუნეს კეთილად.

გარნა ხოლო თუ ამისი წარმოთქუამა არა უჯერო იყოს, ესე იგი არს, რაჟამს-იგი პირველ იხილა მამად ესე (91rC) შვილთა თვსთად ყოვლადწმიდამან ეკლესიამან და განიცადა პირი იგი მისი საწადელი, და ჭემმარიტად ხატად ღმრთისა დაბადებული, იხილა წყაროდ იგი სიყუარულისად და უფსკრული სახიერებისად და მაღლი, განფენილი ბაგეთა მისთად, და მაღალი იგი საზღვარი სიმდაბლისად, და რომლისა უადრესი არღარად იხილვების კაცთა შორის; მშუდი იგი მსგავსად დავითისა და ბრძენი მსგავსად სოლომონისა და ძვრუქსენებელი მსგავსად მოსესსა და უბრალოდ მსგავსად სამოელისსა და წმიდად მსგავსად იოსებისა, და უხილავთა მხილველი მსგავსად დანიელისა და მოშურნე სარწმუნოებისად მსგავსად დიდისა ელიაჲსა, და უდაბნოჲს მოყუარე მსგავსად წინამორბედისა, და

ქალწული ჯორცითა მსგავსად მოწფისა მის საყუარელისა, და შეუორგულელებლითა მით სიყუარულითა მსგავსი და მოზამაჲვი პავლე მოციქულისაჲ.

ესეოდენთა უკუე ამათ კეთილთა მწყობრი იხილა რაჲ შეკრებულად ერთსა სულსა შინა, [vB] იწყლა სანატრელითა მით ტრფიალებითა მისითა, და უბიწოდთა მით სიწმიდითა სიძე იგი თჳსი შეიყუარა. არამედ პირველ სიყუარულითა მისითა განძლომისა, და ვიდრეღა-იგი სურვილითა მისითა ეტყინებოდა, მოღუაწე იგი განსაცდელთა წარიტაცეს; ხოლო იგი დაქურვიდა და დაშთა მხოლოდ. და ერთი იგი იღუწიდა ღმრთისმსახურებისა ოფლთა შინა, ხოლო მეორემან მან შეუგინებლად დაჰმარხა მეუღლებაჲ იგი მისი და სიწმიდე.

და ამას შინა გარდაჲდეს ჟამნი არამცირენი და მერმე მემრუშემან ვინმე ჳელ-ყო დაჰყრობაჲ უხრწნელისა მის სასძლოდსაჲ, არამედ უბიწოდ იგი სძალი არა მიეხო მას, არცა შეიწყნარა და კუალად აღმოიყვანა და კუალად ლტოლვილ იქმნა. და ეგრეთვე მესამედ, ვიდრემდის განაზნია უფალმან წყუდიადი იგი მწვალებელთაჲ და ბრწყინვალებაჲ მშჳდობისაჲ მოჰფინა, და მრავალთა მათ და გრძელთა შრომათაგან განუსუენა.

გარნა კუალად, ვითარცა იხილნეს ურთიერთას და განაზლდა სიყუარული და სიწმიდე და ნუგემინის-ცემაჲ სულიერი, და აღეგზნა სურვილი, მეყსეულად განკუეთა განსუენებაჲ იგი უკუანადსკნელმან ამან განშორებამან, მოვიდა უკუე აქა შემამკობელად სასძლოდსა თქუენისა და არა ჳუებულ იქმნა სწრაფისაგან თჳსისა, არამედ დაადგნა კეთილთა მათ მეუღლეთა კურთხევისა თჳსისა, გვრგვნი. და ემსგავსა თჳსსა მეუფესა, და ვითარცა-იგი მან კანას გალილეაჲსსა, ეგრეთვე აქა მისმან ამან მოზამაჲვმან იგივე ძალნი აღასრულნა, რამეთუ ჰურიებრივნი იგი სარწყულნი, წვალებათა წყლითა აღსავსენი, ღვნითა უხრწნელებისაჲთა აღავსნა და ძალითა მით სარწმუ-

ნოებისადთა ბუნებად იგი მისი შეცვალა.

და მრავალგზის აღვივსნა თქუენ (vC) ტაკუკნი იგი სიბრძნისანი და ტკბილითა მით ჳმითა მისითა მდიდრად გიწდია თქუენ ღვნოდ იგი მადლთად უმურველი. (vA)

მრავალგზის დაგიგო თქუენ სიტყვერი იგი სანუკვარი, რომელი- იგი მან თავადმან აკურთხის და წინამძღუარ ექმნის, ხოლო კეთილნი ესე მო[წა]ფენი მისნი ჳმსახურებდიან ერსა და განუმარტებდიან ნამუსრევსა, და ძალსა სიტყვსასა, და ჩუენ ვიხარებდით და დიდე- ბასა ნათესავისა ჩუენისასა განვითვსებდით.

არამედ, ეჰა, რაბამ კეთილ იყო ვიდრე აქამომდე გზად ესე სიტყვსა ჩუენისად და ეჰა რაბამ სანატრელ იყო, უკუეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მითხრობა ჩუენი.

ხოლო ამიერიტგან რად „მოუწოდეთ დედათა მოტირალთა“, ვითარცა იტყვს იერემია, რამეთუ განსაცდელთა და მწუხარებათა მიერ შეურვებულისა და აღვსებულისა გულისა სხვთა სახითა ნუგე-

შინის-ცემად შეუძლებელ არს, არა თუ ცრემლთა და სულთქუმათა მიერ აღსუბუქნეს.

რამეთუ მაშინდელსა მას განშორებასა ნუგეშინის-ცემად აქუნდა მოქცევისად და სასოებად კუალად აღმოსლვისად, ხოლო აწ უკუა- ნადასკნელითა განშორებითა განგუეშორა ჩუენგან და დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს შორის მისსა და ჩუენსა და ეკლესიისა.

რამეთუ იგი წიადთა შინა აბრაჰამისთა განისუენებს, (321rB) [ხოლო რომელმანმცა მოილო ნა]წუეთი ერთი წყლისად და განაგრილა ენად სალმობიერი და შემწუარი, არა არს; წარჳდა შუენიერებად იგი საწადელო; დადუმნა ჳმად იგი, სავსე სიტკბოებითა; დაიყვნეს ბაგენი იგი ღმრთივბრწყინვალენი; აღფრინდა მადლი იგი, განმაბრძნო- ბელი ჩუენი; მისათხრობელ იქმნა ბედნიერობად იგი და დღე-კეთი- ლობად ჩუენი.

მწუხარე იქმნნეს ოდესმე ისრაიტელნიცა, რაჟამს-იგი აღიტაცა

ზეცად ელია, არამედ ნუგეშინის-სცემდა განშორებასა მას ელისე, ხალენითა მოძღურისადათა შემკობილი, ხოლო აწ საღმობად ესე ზემთა არს კურნებისა, რამეთუ ელია ამაღლდა და ელისე არა დაშთა.

უწყი, რამეთუ არა უმეცარ ხართ სიტყუათა მათ და ჳმათა იერემიასთა, რომელთა-იგი იტყოდა გოდებით მოოჯრებისათჳს იერუს-ალემისა, რამეთუ სხუათა მათ თანა გლოვათა მისთა ესეცა შესძ-ინა და თქუა, ვითარმედ: „გზანი სიონისანი იგლოვიან“. და ესე სიტყუად მაშინ ითქუა მის მიერ, ხოლო აწ აღესრულა, რამეთუ რაჟამს განითქუას ჳამბავი ესე საგლოველი, მაშინ აღივსნენ გზანი და უდაბნონი გოდებითა მგლოვარეთადათა, და სამწყსონი მისნი, შეიწრებულნი მწუხარებითა, ჳმასა მას ნინეველთასა აღუტევებდენ, და უფროდსდა უმეტეს მათსა ტკივნეულ იყვნენ და საწყალობელ, რამეთუ გოდებამან მათმან შიში იგი დაქცევისად დაჳჳსნა. ხოლო ამათ ბოროტთა დაჳსნისა არცა ერთი აქუს სასოებად თჳსთა ამათ გოდებათა მიერ.

ვიცი სხუადცა რამდე გოდებად იერემიასი, შემსგავსებული წიგნ-სა ფსალმუნთასა, რომელი-იგი წარტყუნვისათჳს ისრაიტელთადასა შეჳმზადა, (92rC) რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ძეწნთა ზედა დავჳკი-დენით ორღანონი ჩუენნი“, რამეთუ დუმილისა მიერ თავთა თჳსთა თანა და ორღანონიცა თჳსნი დასაჯნეს. ამას უკუე გოდებასა მეცა განვიჩემებ აწ, რაჟამს ვიხილო შერევნად ესე წვალებისად, რამეთუ ბაბილოვნი „შერევნად“ მოესწავების, და რაჟამს ვიხ-ილნე განსაცდელთა ესე მდინარენი, შერევნისა ამისგან განძვნე-ბულნი, მათვე სიტყუათა ვიტყჳ, რომელთა-იგი ბაბილოვნს წარ-ტყუნულნი იგი იტყოდეს, რომელთა მსგავსად ჩუენცა ვსხედთ მდინარეთა ამათ ზედა წვალებისათა, და მათგან წიაღმყვანებელი ჩუენი არა გუაქუს. და უკუეთუ ძეწნნი სთქუნე, და მათ ზედა – ორღანონი, – ჩემივე არს ესეცა იგავი, რამეთუ ჳემმარიტად

ძეწნთა მიემსგავსა ცხორებად ჩუენი; რამეთუ ძეწნი ხე არს უნაყოფოდ, და, ვინამთგან დაცვა ტკბილი იგი ცხორებისა ჩუენისა უნაყოფი, არა ძეწნი ვიქმნენითა უნაყოფო? – ჰე, ჭეშმარიტად; და უქმად და უძრავად ორდანი იგი სიყუარულისანი შეშათა ზედა დავჰკიდენით.

და კუალად წერილ არს, ვითარმედ: „უკუეთუ დაგივიწყო შენი, იერუსალემ, დავიწყებულ იყავნ მარჯუენეცა ჩემი“.

მომეცით უკუე კელმწიფებად, რამთა მცირედ შევცვალო სიტყუად ესე, რამეთუ არა თუ ჩუენ მარჯუენე, არამედ მარჯუენემან ჩუენ დაგვიწყნა, და ეგრეთვე კუალად ენად მისი თვსსა სასასა აღედრა და გამოსავალნი ჳმისანი დაგვბეჭდნა, რამთა ვერლარა ვისმინოთ ჩუენ (vB) ჳმად იგი მისი ტკბილი, არამედ გვედრები, შემამრვენით მე ცრემლნი ჩემნი და დააცხრვით გოდებად ჩემი, რამეთუ ვაგრძნობ, ვითარმედ უფროდს ჯეროვნისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები.

ვინამცა ჯერ-არს, რამთა ამიერიტგან მოვაქციოთ აფრად სიტყუსა ჩუენისად და საეკლესიონი სიტყუანი აღმოვთქუნეთ, რამეთუ არა მიგუელო ჩუენგან სიძე იგი, არცა წარვიდა ჩუენგან, არამედ შორის ჩუენსა მდგომარე არს, დაღაცათუ ჩუენ არა ვხედავთ მას. და წმიდასა მას შინა წმიდათასა შევიდა მღდელთმთავარი ჩუენი შინაგან კრეტსაბმელისა, სადა-იგი წინამორბედად ჩუენთვს შევიდა ქრისტე, დაღაცათუ დაუტევა კრეტსაბმელი იგი ჳორცთა თვსთად,

არამედ არლარა სახით და იგავით ჳმსახურებს ზეცისათა მათ, არამედ თვთ მას ხატსა საქმეთასა განიცდის, არცალა სარკითა და სახითა, არამედ პირსა ღმრთისასა პირისპირ ხედავს (29rA) და მეოხ არს ჩუენთვს და ერისა უმეცრებათათვს ითხოვს მოტევებასა.

განიძარცუნა უკუე ტყავისა იგი სამოსელნი, და რამეთუ სამოთხისა მკვდრთა არცა თუ ექმარებიან ესევეთარნი ესე სამოსელნი, არამედ იგი სამოსელნი ჳმოსიან მას, რომელნი-იგი სიწმიდითა ცხო-

რებისა თვისისადათა უქსოვნა თავსა თვისსა და მოიხუნა ღმრთისაგან. [ჭემმარიტად], ესევითარისა ამის უ[ბიწომსა კაცი]სა სიკუდილი [პატიოსან] არს წინაშე უფლისა, და [უფროდსდა] არცა თუ სიკ[უდილ] არს, არამედ განხეთქად საკრველთად, ვითარცა (vC) წერილ არს, ვითარმედ: „განჰხეთქენ საკრ[ველნი ჩემნი“. და განტევებულ იქმნა სჯემონ, განთავისუფლდა საკრ[ველისაგან კო]რც-თადასა, საბრჯე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვპტე, რომელ არს ცხორებად ესე ნივთიერი, [და] წიაღვლო არა ზღუად იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუად ამის საწუთროდსად, შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალემი, მთასა ზედა სიბრძნის-მეტყუელებს ღმრთისა თანა, „წარიჰადა ჰამლი სულისადა“, რადთა საღმრთოდთა მით სლვითა გონებისადათა წმიდასა მას ქუეყანასა შინა უნივთოდ იმოთხ-ვიდეს, რომელსა-იგი შინა იხილვების ღმერთი და თვსთა მათ საკუ-თართა ხედავს და განუსუენებს.

ესევითარი ნუგემინის-ცემად გაქუს, მმანო, თქუენ, რომელნი-ეგე ძულათა იოსებისთა ქუეყანასა მას კურთხევისასა აღიყვანებთ. და ისმინეთ, თუ რასა გამცნებს თქუენ პავლე მოციქული და იტყვს, ვითარმედ: „ნუ სწუხთ, ვითარცა-იგი სხუანი, რომელთა არა აქუს სასოებადა“.

არქუთ ერსა მას ანტიოქელთასა და აუწყეთ უწყებად კეთილი; მიუთხართ კნინდა და დაურწმუნებელი იგი საკვრველებად, თუ ვი-თარ, სახედ უფსკრულთა, ერთ იქმნეს ბევრეულნი იგი ერნი, და

ვითარცა ასონი გუამისანი ერთად შეირწყნეს ყოველნი, წარმგზავ-ნასა მას წმიდისა მის გუამისასა, და წინაშე ცხედრისა მისისა, ვი-თარცა ზღუანი ილეღვებოდეს, ვითარ-იგი კეთილმან ამან და ბრწყინ-ვალემან დავით მრავალ[სახედ] და მრავალფერად (322rB) ბევრეულ-თა მათ წესთა თავი თვისი განუყო, უცხოთა ენათა და თვისთა ენათა, და წინაშე გუამისა მისისა განსცხრებოდა, ვითარ ცეცხლისა იგი

მდინარენი, რომელ არს ლამპართა ბრწყინვალეობად, ორკერძო განყოფილნი, აურაცხელნი სიმრავლითა, ვითარცა ზღვსა საქანელნი შემდგომითი-შემდგომად თუალთა მიერ გარდაუწდომელსა მას სივრცესა განაბრწყინებდეს. უთხართ ყოვლისა ამის ერისა გულსმოდგინებად, მოციქულთა თანა მოკარვეობად, და თუ ვითარ სუდარი იგი პირისა მისისად მცველად მორწმუნეთა განიყოფვოდა. შემძინენ ესეცა მითხრობასა მას, თუ ვითარ მწუხარე იქმნა მეფე ვნებისა მისთვის და აღდგა საყდართაგან და ქალაქი ყოველი წარმგზავნასა მას წმიდისასა წინა-უძლოდა და უკუანა შეუდგა, და სიტყუათა ამათ მიერ ურთიერთა ნუგეშინის-ეცით. კეთილად ჰკურნებს სოლომონ ესევითარსა ამას მწუხარებასა და იტყვს, ვითარმედ: „ეცით ღვთაებრივად არეთა“. და ამას იტყვს ჩუენდა მომართ, რომელნი-ესე ვართ მუშაკნი საღმრთოდასა მის ვენაჯისანი.

ეცით უკუე ჩუენისა ამის ღვთისაგან მწუხარეთა, რომელი-ესე არა სიმთრვალისა მოქმედი არს, არამედ მახარებელი გულთადა ურწყობთა მით განზავებითა თვისითა, და სასუმელებითა სიტყუათადა თა უხუებით ისტუმრენით, ვიდრემდის გლოვად ესე კუალად სიხარულად გარდაგუეცეს ჩუენ ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებად ყოვლადწმიდით (93rC) სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

ლექსიკონი

ავაჯი მუსიკა, მელოდია აღთქ. 3

აზნაური თავისუფალი მელ. 4

აიდონი ბულბული ეფრ. 13

ალაბასტრი მელ. 6

ამპარტავანება მედიდურობა, ქედმაღლობა; მომ. I,6
ამპარტავანი ქედმაღალი, მედიდური (გაამაყებული); მომ. I,8
ანაზდაითი უეცარი; მელ. 5
ანგაჰრება მოგების სიყვარული; ალთქ. 4
არმური სიბნელე, ნისლი; მელ. 2; მომ. VI,7
არლა ჯერ არ სისრ. 1
ალთქუმა უწყება, განცხადება; გამოცხადება (საკუთარი თავისა
რადმე); რაობა; შჯული, წესი; აღიარება (რადმე მიჩნევა);
ალთქ. 1,2,4,6; მომ. VI,9
ალკუართული კარგად აღჭურვილი, მსუბუქი, მოძრავი;
მომ. II, 4; III,1; VIII,6
ალმტკმობილი გაღებული; მომ. I,9
ალორმინება გაზრდა, მომატება; მელ.1
ალრაცხვა შერაცხვა (შდრ. საქმე მოც. 1,26
– „თანაალრაცხვა“); მელ. 1
ალსავალი ასასვლელი, საფეხური, კიბე; მომ. IV,1
ალსასრული დასასრული; მომ. VIII,4
ალტევება გაშვება (ხმისა); მელ. 1,9
ალტვრთვამ დატვირთვა (ვისიმე, რისიმე), ტვირთის დადება (ცხენ-
ზე, კაცის ზურგზე); სამ.14
ალვრ-სხმა ალაგმვა სულ.1
ალფქურეული გაფანტული; აწეწილი (თმები) მომ. II,7
ალხუმა აღება (მრ. რ), აკრეფა სისრ. 20
აჩრდილი მომ. 1,1
ახალწნეხილი ახლად დაწურული სამ.2
ახლისმეტყუელებამ ეფრ. 18
ახოვანი ძლიერი, მოსწრაფე მომ. VIII, 3

ახოვნებამ „შეძრწუნებისაგან არა-შეშინებამ“ (სულ.19); სულ. 22; ეფრ. 7
ბავთი უბედური ამბავი მელ. 5

ბალანტი ჩანთა ეფრ. 16

ბარბითი ალთქ. 2

ბასრობად დაცინვა ალთქ. 3; სისრ. 19

ბედნიერობად კეთილდღეობა მელ. 9

ბიწი სიბინძურე, ჭუჭყი მომ. I,7; სისრ.16

ბობლანი დოლი ალთქ. 2

ბომონი წარმართთა სამსხვერპლო, საკურთხეველი სამ. 3,4

ბორობანი ფოთლებშირი (?) (ილ აბულამე); „იყოს იგი, ვითარცა

ხე ბორობანი წყალთა ზედა“ (იერ. 17,8; შდრ. ფს.1,3; ეფრ.

7). ებრ. „მათულ“ – „დარგული“; შდრ.:

„სიუხვე“, „კეთილდღეობა“, „სიჯანსაღე“.

ბოროტი ძნელი, მძიმე, მტანჯველი, სასტიკი, საშინელი, მრისხანე,

ავი მელ.I

ბრძანება განკარგულება, მოწოდება, აღძვრა (რისთვისმე), წაქეზება

ალთქ. 10

გამომცხნელი სისრ. 24. იხ. გამოცხნად.

გამოცხნად განთავისუფლება, გამოსყიდვა სისრ. 11

გამოცუება მოკლება მომ. III,5

გამოცუებული მოკლებული მომ.VI,3

განაღა უსათუოდ, ყველა შემთხვევაში (მელ.2,6); ზუს-

ტად, სწორედ; სავსებით, სრულიად, რა თქმა უნდა; მაინც

ალთქ.7; სულ.27. მაშასადამე სისრ. 11,19,27; სულ 1,4,5; მომ.

II,4,5; რადგანაც (?) მომ.V,I; სულ.27

განზასრებული აბუჩად აგდებული ეფრ.19

განზასრვა ეფრ. 22

განზიცებული მომ. II,7

განზძარვად დაფლეთა მომ. VII,8; VIII,7

განზძარული დახეული, დაფლეთილი სამ. 2

განგონება გააზრება ალთქ.5

განზრახვად ბჭობა, თათბირი, საუბარო რჩევა; სურვილი, გადაწყვე-

ტილება, ჩანაფიქრი მელ. 1

განთვსებული კერძო, განკერძოებული, განცალკევებული, ინდი-

ვიდუალური სამ. 6; სულ. 11,18; ეფრ. 10

განკაფად გაცვეთა, გალევა, დადნობა, დაჭკნობა (სხეულისა), ძალის

გამოცლა მომ. V,8; VIII,7; ეფრ. 12

განკაფული გალეული, დალეული, გაცვეთილი მომ. VIII,6

განკრეხვა გამარცვა აღთქ. 10

განლიგებული პირდაღებული, გაკვირვებული, გაშტერებული მომ.

VII,7; აღთქ.3

განმარჯუებამ წარმატება, კეთილდღეობა მომ. VII,10

განმზრახი ის, ვინც განიზრახავს (იხ. განზრახვად) მელ. 1

განრომა გადარჩენა, განსაცდელისაგან თავის დაღწევა მომ. VI, 8;

ეფრ. 21

განსაცდელი უბედური შემთხვევა მელ. 1,2

განსივებული გასიებული, გაბერილი (მომ. IV,5 განსივებული ტაბლად

– სავსე, მდიდრული სუფრა).

განუცდელი უხილავი მომ. 1,1

განყოფად განშორება მელ. 1

განყოფილებად განსხვავება მომ. VII,7 („სამ-კერძო განყოფილე-

ბად“ – სამ მხრივ განფენილობა სულ. 14

განჩინებამ განწესება, სასჯელის დადება სისრ. 19

განცდა შეხედვა, დათვალიერება მომ. 1,1 (განცდილი

განცხრომა ცეკვა, სიმღერა, მხიარულება „ვითარცა მექორ-

წინენი განვსცხრებოდეთ“ მელ. 2

განცხრომამ ცეკვა, მხიარულება აღთქ. 3

განჭრა ტანჯვა, ტკივილის განცდა, წუხილი, შფოთვა სულ. 9,10

განხუმა (მრ. რ.) გაღება, გახსნა სისრ. 24

გარდამო ზემოდან მომ. 1,1 (მთით-გარდამო მომ. 1,1)

გარდარეული გადამეტებული ეფრ 4,5,15,17; მომ. VII,6

გარდარეულება გადამეტება, დიდი სიმრავლე მომ. IV,1

გარდაცემული აღვსილი; სიუხვის მქონე მომ. III,4; ეფრ. 7

გარნა გარდა, თუ არა; თუმცა; მაგრამ სულ. 2,19; მომ. VII,3;

აღთქ. 8

გება (ჰგებს) მოცდით დაცდა სულ. 13

გლახაკი მომ. V,13

გლოვა მელ. 1 (მგლოვიარენი).

გოდება მოთქმა, ქვითინი მელ. 2,9

გონება 1. აზრი, აზროვნება, შეგნება, ჩანაფიქრი, განზრახვა,

შეხედულება მომ. 1,1. 2. ფიქრი, აზრი

აღთქ. 10; მომ. II,8.

გონებაცთომილება ჭკუაშეშლილობა სამ. 4

გონიერი სულიერი ეფრ 4,22

გონჯი სნეული, ავადმყოფი. იხ. ს ი გ ო ნ ჯ ე.*

* „გ ო ნ ჯ ი ს“ ეს მნიშვნელობა, ვფიქრობთ, გასაღებს იძლევა ძველებური ხალხური რიტუალის – „გ ო ნ ჯ ა ო ბ ი ს“ რაობის დასაზუსტებლად.

„გ ო ნ ჯ ა ო ბ ი ს ა“ და მისი სახესხვაობის – „ლ ა ზ ა რ ო ბ ი ს“ აღწერა და რაობის განსაზღვრის ცდა ქართველ ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა მრავალრიცხოვან ნაშრომებში გვხვდება (მრავალთაგან დავასახელებთ რამდენიმეს: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია; თხზ. I, თბ, 1979,117-118; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართული თეატრის ისტორია, წიგნი პირველი, ხალხური საწყისები, თბ., 1983, 36-39; ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია, შეადგინა ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე მ, თბ., 1970,39; ირ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003, 226-256) მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, ლ ა ზ ა რ ო ბ ა და გ ო ნ ჯ ა ო ბ ა ძველი წარმართული რიტუალის – ტაროსის (დარ-ავდრის) ღვთაების თაყვანისცემის ნაშთია. გვალვისას ამ რიტუალით ღმერთს ცის ნამის მოცემას ევედრებოდნენ, გადაჭარბებული წვიმიანობისას კი – მზის თვალის მოცემასო.

„გონჯა“ (var „გონჯო“) ან „ლაზარე“ ერქვა თოჯინას, რომელსაც ამ

რიტუალის დროს დაატარებდნენ კარდაკარ. ზოგჯერ მის როლს „სახე-გაგონჯავებულო“ (შემურული, გაუშნობელი) ყმაწვილები ან ქალები ასრულებდნენ. მაგრამ რა საჭირო იყო სახის „გაგონჯავება“ ან „შეგონჯავება“? რა კავშირი ჰქონდა ამ საქციელს წვიმის გამოთხოვის რიტუალთან? – ამ კითხვებზე მკვლევრებს დამაჯერებელი პასუხი არ მოეპოვებათ (იხ. ირ. სურგელაძე გვ. 241).

როგორც ირკვევა, ძველად „გონჯი“ სულაც არ ნიშნავდა მ ა ხ ი ნ ჯ ს ა ნ გ ა მ უ რ უ ლ ს, როგორც თანამედროვე ქართულშია, არამედ – ს ნ ე უ ლ ს, ა ვ ა დ მ ყ ო ფ ს (ამ მნიშვნელობითაა იგი ნახმარი გრიგოლ ნოსელის თხზულებათა XI ს-ის ქართულ თარგმანში, რომელიც წინამდებარე კრებულში პირველად ქვეყნდება; ეგვე მნიშვნელობა აქვს მას შენარჩუნებული ზოგიერთ დიალექტში; სახელდობრ, აჭარულსა და მოხეურში). თუ „გონჯაობის“ წარმოშობა XI საუკუნეზე ბევრად გვიანდელი მოვლენა არაა (იმდროინდელი, როცა ამ სიტყვამ მნიშვნელობა იცვალა), რიტუალური თოჯინის ასეთი სახელწოდება თავდაპირველად „გამურულთან“ არავითარ კავშირში არ შეი-

გრემანი იხ. სიგრემნე.

გრძილი ღრძილი მომ. I,9

გვრგვოსანი მელ. 1

ძლებოდა ყოფილიყო. ასევე, „გონჯას“ როლის შემსრულებელი ყმაწვილის ან ქალის შემურვისა და გაუშნობის ჩვეულება – ამ ტერმინის („გონჯის“) მნიშვნელობის შეცვლამდე – სრულიად აუხსნელია. ეს ჩვეულება შეიძლებოდა გაჩენილიყო „გონჯისათვის“ ახალი მნიშვნელობის მინიჭების შემდეგ, ამ მნიშვნელობის თეატრალური გამოსახვის საჭიროების გამო; რაკი „გონჯმ ა“ „მახინჯის“, „უშნოს“, „ჭუჭყიანის“ მნიშვნელობა შეიძინა, „გონჯას“ როლის შემსრულებელიც უსათუოდ უნდა „გაეგონჯავებინათ“ (გაემურათ), რათა მისი ამგვარი სახელწოდება გაემართლებინათ. თავდაპირველად კი, როგორც ვთქვით, „გონჯას“ გამურულთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონოდა, რადგან ეს სიტყვა „ს ნ ე უ ლ ს“ ნიშნავდა.

რომელი ს ნ ე უ ლ ი უნდა ეგულისხმათ რიტუალის დამდგენთ „ცის

ნამის“ მომცემელად, გვალვით გაფიცებული ქვეყნის დამარწყულებლად? – ასეთად შეიძლება მიჩნეულიყო ს ნ ე უ ლ ი ლ ა ზ ა რ ე, რომელიც სახარების ერთ იგავშია მოხსენიებული (ლუკა 16, 19-31), და რომლის წყლულებს ძალნი ლომნიან (ლუკა 16, 21) [აქვე, სახელების იგივეობის გამო, შესაძლოა, გარკვეული როლი ეთამაშა სახარებაში მოხსენიებული სხვა ლაზარეს (ქრისტეს მეგობრის) სწეულებასა და სიკვდილს (იოვანე 11,14)]; სიკვდილის შემდეგ ლაზარე აბრაჰამის წიაღში ხვდება, ხოლო მდიდარი კაცი, რომლის ნასუფრალითაც ლაზარე იკვებებოდა – ჯოჯოხეთში. ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩავარდნილი უგულისხმო მდიდარი ევედრება მამა აბრაჰამს, გამოუგზავნოს თავის წიაღში განსვენებული მართალი ლაზარე, რათა მან „დააწოს მწუერვალთი თითისა მისისაჲ წყალსა“, და გაუგრილოს ენა (ლუკა 16,24). ამ ეპიზოდის მიხედვით, გ ო ნ ჯ ი (სწეული) ლ ა ზ ა რ ე გრილი წყლის მიმცემად (აქედან კი – წვიმის მომყვანადაც) შეიძლება გადავიხედოთ გვალვის დაცხრობის მიზნით გამართულ რიტუალში. მამასადამე, გ ო ნ ჯ ა ო ბ ა სახარების ამ იგავით შთაგონებული მისტერია უნდა იყოს, რასაც მოწმობს გ ო ნ ჯ ა ო ბ ი ს პარალელური სახელწოდება – ლ ა ზ ა რ ო ბ ა – დაბეჯითებითი მითითება გონჯ, ანუ სწეულ ლაზარეზე.

სასურველი ამინდის გამოთხოვის რიტუალები, შესაძლოა, წარმართობის დროსაც ჰქონდათ ჩვეულებად საქართველოში, მაგრამ ლ ა ზ ა რ ო ბ ა ანუ გ ო ნ ჯ ა ო ბ ა - აშკარად ქრისტიანული წარმოშობის მისტერიაა (ქრისტიანული წარმოშობის რიტუალები სხვაც არაერთია შემორჩენილი: ალილოობა, ლამპრობა, დიდება, გარეგნობა და სხვ.). ლაზარობაში „ქრისტიანობის გავლენა“ გვიანდელი შენამატი კი არ უნდა იყოს, როგორც ვარაუდობს ზოგიერთი ავტორი (ი. სურგულაძე, გვ. 229, 241), არამედ – მისი საწყისი და საფუძველი (ამ საკითხს სხვაგან უფრო დაწვრილებით შევხებით).

გუამი სხეული (ადამიანისა) მელ. 1

გუამოვნება პიროვნება სამ. 5,6

გუემა ცემა სისრ. 19

გულის-თქუმა 1 სურვილი, მისწრაფება, წადილი

მომ. II, 6; III, 5; IV, 2; სულ. 19, 28, 31. იხ. წადილი. 2. კმაყოფილება, ტკბობა, სიხარული მომ. IV, 9-10

გულისსიტყუად მოსაზრება, განსჯა, აწონ-დაწონა მომ. I, 8
გულისწმის-ყოფა მიხვედრა, გაგება მომ. VIII, 1
გულსავსე იმედიანი, დარწმუნებული, დაჯერებული სულ. 22; სისრ. 28
დაბრყვლება დაჩლუნგება მომ. IV, 11
დაბძარვა დაფლეთა აღთქ. 3
დაგება შერიგება სისრ. 10, 25
დალაღად თმა, კულული მომ. I, 9
დალტობა დასველება სულ. 1
დამწიებული განაცრისფრებული მომ. VII, 8
დანახეთქი ნაპრაღი, უფსკრული მელ. 9 (ლუკა 16, 26)
დანგი წვრილი ფული სამ. 3
დაუგებელი შეურიგებელი სისრ. 6
დაუდგრომელი ცვალებადი მომ. VIII, 1
დაუშრეტელი ჩაუქრობელი მომ. III, 2
დაყენება აკრძალვა, შეჩერება; დაბრკოლება, ხელის შეშლა
სამ. 2, 16; მომ. V, 4
დაყოფა დახშვა, ჩაკეტვა მომ. VII, 10
დაშრეტა ჩაქრობა სამ. 4; სულ. 27, 28
დაშრეტილი ჩამქრალი მელ. 3
დაცინა დაზარება სისრ. 19, 24
დაწესებული განწესებული, დადგენილი მომ. VIII, 1.
იხ. წესი
დაწუხვა დახუჭვა სულ. 5
დაჭირვება გაჭირვება, შეწუხება; უსიამოვნება; ზარალი, დან-
აკარგი, ზიანი, დანაკლისი მომ. III, 1, 5, 10; VII, 8;
მელ. 6
დახრწევად ხელის შეშლა, დაშლა (დაუშალა, აუკრძალა); დაბ-
რკოლება, მოწყვეტა (რისგანმე): სამ. 15; ეფრ. 13
დაცსნა დაშლა; დამტვრევა; მოსპობა სისრ. 14

დაქსნილი დავრდომილთ დარღვეული, კუტი; დაუძღურებული სისრ. 15

დევენულება დევნა მომ. 1,1

დიდებულება (აქ: ბედნიერება) მელ. 1

დრკუდ მრუდე სისრ. 18

დუმილი დადუმება, გაჩუმება მელ. 1

დუხჭირი უშნო, მახინჯი, ცუდი მომ. V,7; ალთქ. 2,6

დღეკეთილობად ბედნიერება, კეთილდღეობა მელ. 9

დღითიდღე ყოველდღე სისრ. 18

დღითი-დღედი დღიური, ყოველდღიური ალთქ. 1; სისრ. 17

ეზგური მზირი, ჯამუში, მოთვალთვალე, მზვერავი (იხ საეზგუროდ)

ევლოგია კურთხევა ევრ. 18

ერისთავი მხედართმთავარი მელ. 1

ესოდენ ამდენად, ამ ზომით, ამ ხარისხით ალთქ. 1

ექსორია-ქმნა განდევნა მომ. IV,7; ევრ. 16

ექსორია-ყოფა განდევნა მომ. VII,11

ექსორიობა განდევნილობა, დევნილება მომ. III,1; ევრ. 16

ეშვ გარეული ღორი, ტახი მომ. III,7; III,8

ვითარმცა თითქოს ევრ. 24

ვინამ საიდან სისრ. 14

ვინამცა ამრიგად, ამიტომაც; მაშასადამე; აშკარაა, რა თქმა უნდა

ალთქ. 10; მომ.V,1; სისრ. 5,18; ევრ. 24; სისრ. 24,25

ზატევი პასექი; დღესასწაული (I კორ. 5,7) სისრ. 3,11,12

ზატეკობად დღესასწაულობა ევრ. 25

ზეზი ძვირფასი ქსოვილი მომ. I,8

ზითევი საქორწინო ძღვენი; მშობელთა საჩუქარი სასძლოსათვის

მელ. 2

ზოგადი საერთო მელ. 1; სისრ.20

ზოგს-რამდე ერთმხრივ (მეორე მხრივ); ნაწილობრივ

მელ. 2; სისრ. 19

ზღვევად ზარალი მომ. III,1; V,3; სისრ. 19

თავსაკიდური კიდის (კუთხის) ქვა სისრ. 17

თანა-დამკვდრება მელ. 1

თანამკვდრობა მომ. 1,1

თანამოკარვეობა მელ. 11

თანამორბედი თანამორბენალი მომ.VIII,3

თანანადები 1. ვალდებულება, ვალი, მოვალეობა, დანაკისრები

აღთქ. 1; ეფრ.27; 2. სავალდებულო სისრ. 2,24

თანანერგი თანაშეზრდილი, ურთიერთშერწყმული, ბუნებით შეკავ-

შირებული მომ. I,6

თანა-შესწორება შედარება სულ. 12

თანაშეტყუება შედარება; შესაბამისობის, შესატყვისობის წარ-

მოჩენა მომ. VII,1; ეფრ. 24

თანა-შექუსვა შეზრდა, შეერთება, დანათესავება, თანაზიარობა

მომ.VIII,5

თანაშექუსული შეერთებული მომ. VIII,5

თანა-წარსლვა გვერდის ავლა სულ. 30

თანაწარუვალი აუცილებელი აღთქ. 5; მომ. III,10; სისრ. 4

თანა-წარედომა გვერდის ავლა, აცდენა მომ.III,8; ეფრ. 21

თბე ცომი სისრ. 26

თეატრომ მომ. I,10; აღთქ. 3

თელგმა გამონაყოფი, გამონაჟონი (სითხე)

მომ. IV,1; VI,6; VIII,6

თითოსახე (თვთოსახე) მრავალფეროვანი სულ. 11,29; ეფრ. 20

თორნე ფარი, საომარი აღჭურვილობა სულ. 2

თვთმოპოვნებული თვითმარქვია, ნამალადევი სამ. 3

თვთმფლობელი დამოუკიდებელი, თავისუფალი სულ. 25; მომ. III,8;

VI,11

თვთმფლობელობა სრული თავისუფლება, დამოუკიდებლობა

მომ.III,7; VIII,8; ეფრ. 4

თვითოსახე იხ. თ ი თ ო ს ა ხ ე.

თვსებად ნათესაობა, საერთო წარმომავლობა, ერთობა

მომ. I,1; სისრ. 24

თხიერი ტიკი სამ. 2

იგავი გადატანითი ნათქვამი, ალეგორია, სიმბოლო

სისრ.16,28

იფქლი ხორბალი სულ. 22

კადრება გაბედვა სულ. 22

კაპანი ვიწრო გზა (ილ. აბულ.); უფსკრული (ზ. სარჯ.) ეგრ. 2

კარაული სახედარი სამ. 14,15

კერძი მხარე სისრ. 7

კერძოდ 1. ნაწილი სამ. 7, 16; სულ. 8,19. 2. მხარე სულ. 22; მომ. II, 5

კიდობანი ყუთი, სკივრი მელ. 5

კიცვ კვიცი სულ. 1 სამ. 16

კიცხევა დაცინვა სისრ. 19; ეგრ. 23

კინლა ძლივს, კინლამ სულ. 4; მელ. 11; სამ. 16; მომ.VI,8,9; VII,4;

ეგრ. 22

კოკა წყლის დიდი ჭურჭელი მომ. IV,6

კოწოლი თმა, კულული მომ. I,9. იხ. წინამოდ

კოხლიო მოლუსკი, ლოკოკინა მომ.VIII,5

კრულეზად ბორკილებში ყოფნა სისრ. 19

კულად-გება უკან დაბრუნება, აღდგენა ძველი მდგომარეობისა

სულ. 31,32

კუერთხი მელ. 6

ლალვა დავა ეგრ. 8

ლახუარი შუბი სისრ. 19

ლიქნად მლიქვნელობა მომ. III,8

ლმობა ტკივილი, შეწუხება, ტანჯვა მომ. VII,10; სულ. 1

ლმობილი მტკივანი მომ. V,8

ლმობიერად მომ. V,I2

ლოცვა თხოვნა შეწევნისა, ვედრება, მოწოდება (ჰლოცავნ მომ. I,2)

ლტობა, დალტობა დასველება სულ.1

მამული მამისეული, მამობრივი მომ. VII,3; მელ. 1

მარჯუე კეთილმოწყობილი, მოსახმარებლად მოხერხებული სამ. 3

მარჯუენითი სასიკეთო მომ. VII,10

მალნარი მაღალი ტყე მომ. III,8: VII,5

მაცილობელი მოდავე, მოწინააღმდეგე სულ. 6

მგოსნობად დაკვრა (მუსიკალური საკრავისა) აღთქ. 3

მდაბალი მომ. 1, 1

მდევერი დღიური; დროებითი, წარმავალი მომ.VII,3

მებომირი გზაჯვარედინი სამ. 3

მებრ სწორედ, სახელდობრ, ზუსტად ეფრ. 2; მომ. VII,6; აღთქ. 7

მედგარი ზარმაცი, მცონარა მომ. II,4

მზისთუალი მელ. 2

მთხრებლი ორმო, ხარო მომ. VIII,3,7

მიმოდყოფილი დანაწევრებული, გაყოფილი, მიმოფანტული მომ. V,3

მიმომორბედი წინ და უკან მორბენალი მომ. VII,5

მიმოსი მსახიობი მომ. I,10

მიმოქცევადი მომ.VIII,I

მისაგებელი სამაგიერო, საზღაური სისრ. 20

მინოტავროდ სისრ. 6

მიჩემება მიკუთვნება სულ. 11,21

მიცვალება მელ. 1

მიძღუანება მირთმევა, შეთავაზება სისრ. 1

მკოდოვი მდაბალი წარმოშობისა, „შეურაცხთაგანი“, გლახაკი

სისრ. 2

მკსინვარე მრისხანე ეფრ. 20

მკურნალთმოძღვარი მომ. IV,1

მკურნალი ექიმი მელ. 1

მღევანი მსგავსი, შესაბამისი მომ. VII,1,3,4

მოზაძავი იმავე ცხოვრების წესის მქონე; მსგავსი; მიმზაძველი
მელ. 1; სისრ. 17

მოგონებად გაფიქრება, გააზრება; მოფიქრება ალთქ. 4;
მომ. III,6; VI,4; VII,3; სულ. 13,14; ეგრ. 24

მოგონებად ცნება, გააზრება ალთქ. 5

მოკრძალვა დაცვა, შენახვა ეგრ. 21

მომატყუებელი მომ. VI,6; VIII,8; ეგრ. 26; იხ. მ ო ტ ყ უ ე ბ ა

მომღერალი მოცეკვავე ალთქ. 3

მოპოვნებად მისაკუთრება, თავისი თავისათვის რაიმეს მიწერა ეგრ. 18

მოპოვნებული შეძენილი; მოჩვენებითი, უსაფუძვლოდ მისაკუთრე-
ბული მომ. VII,10; ალთქ. 3,4; სისრ. 6

მორბედი მორბენალი მომ. I,9; VIII,3,5

მოსაგებელი ჯილდო, გასამრჯელო მომ. VIII,4

მოსთულება მოსავლის აღება, რთვლობა ეგრ. 14

მოსწავება მინიშნება მომ. VIII,3

მოტყუება შემთხვევა, დამართნა (შეემთხვა, დაემართა; მოეტყუა –
შეემთხვა) სულ. 19,21,31; სამ. 13; მომ. III,5; V,7; ეგრ. 4,20,25,26;
სისრ. 7,16

მოუგონებელი გონებისათვის მიუწვდომელი მომ. VI,3,6; სისრ.13

მოუზავებელი შეურიგებელი, მოურიგებელი, შეუთავსებელი სისრ.
17,22

მოქალაქობად მოღვაწეობა, საზოგადოებრივი საქმიანობა სისრ. I,24

მოქენე რაიმე საჭიროების მქონე; მთხოვნელი მომ. II,4; V,7;
სულ. 13,29,31; ეგრ. 26

მოღუაწე მებრძოლი, ასკეტი მელ. 1; მომ. VIII,5

მოღუაწებად 1. ზრუნვა, მზრუნველობა. 2

ბრძოლა მომ. VIII,4 იხ. ღ უ ა წ ლ ი.

მოშურნე მგზნებარე მოსწრაფე, გულმოდგინე, თავგამოდებული
მელ. 7

მოცალეზამ მომ. IV,10

მოძღუარი მასწავლებელი ეფრ. 6

მოძღურეზამ სწავლება სისრ. 1

მოწლე მზრუნველი, გულშემატკივარი მომ. V,4

მოწლეზამ გულშემატკივროზა, თანალმოზა, თანაგრძნოზა; სხვისი
ტკივილის გაზიარეზა სამ. 8

მოჯუეზა მოკლება სულ. 19

მსახური მელ. 1

მსხემი უცხო, მწირი ეფრ. 17

მულროვზა ბლავილი მომ. III, 8

მულტიომეზლაპრეოზა მარჩიელოზა ეფრ. 18

მღერამ თამაში აღთქ. 3; მომ. III,8

მშვნვიეროზამ სულ. 20

მცბიერი ვერაგი სისრ. 6

მცნეზა ბრძანეზა, იძულება, თხოვნა, დავალება, რჩევა
აღთქ. 10

მძლავრი მოძალადე, ტირანი მომ. III,7: VIII, 3,4

მწვალეზელი ერეტიკოსი, სექტანტი მელ.1

მწიროზა უცხოეზაში ცხოვრეზა სამ. 10

მწულილი წვრილი (ფული) სამ. 3

მჭელეული პეშვი, მუჭა; ძნა, კონა მომ. V,12;
ეფრ.24

მჭელი მუჭა მომ. VII,2

მხოლოდშობილი ერთადერთი შვილი სისრ. 3,14,22; სამ. 7,12,14

მჯდომი მოწინააღმდეგე სისრ. 7

მჯნე აქ: კეთილშობილი, ზნემაღალი, აღმატებული მელ. 1

ნავლეი ნაღველი, ნაღვლის ბუშტ-მტკივანი
მომ. VIII,6

ნავლიანი ჭკუამეშლილი მომ. II,7

ნატრა (ჰნატრის) ვისიმე მიჩნევა ნეტარად, სანატრელად (ე. ი.

ბედნიერად) მელ. 1; მომ. 1,1

ნაწლევი შინაგანი ორგანოები (გადატ. მშობლიური გრძნობა) მომ.

VII,8; სამ.15; სულ. 10

ნაწუეთი წვეთი მელ. 9

ნება თავისუფალი არჩევანი, პირადი გადაწყვეტილება, განზრახვა,

მისწრაფება, სურვილი, ლტოლვა ალთქ.

10; მომ.VIII,4; ალთქ. 10

ნიში ნიშანი, სასწაული სისრ. 20

ნიჭი საჩუქარი, ჯილდო; წყალობა, მადლი მომ. VIII, 1,2;

სისრ. 2

ნოტიობა სისველე სამ. 2

ნუუკუე იქნებ, ეგებ; ნუთუ: ვაითუ მომ. II,1; სისრ. 4,11

ორღანო მელ. 9

ოტება განდევნა მომ. VII,11; ეგრ. 16

ოქროგანრჩუნვილი მოოქრული მომ. I,9; ეგრ. 3

ოცნებად მოჩვენება, მოლანდება სულ. 27; ეგრ. 19

ობრა ჟღერა მომ. VII,5; სულ. 12

პაპი პაპა ეგრ. 4

პატივი დაფასება, ღირსება მომ.VIII,2; წარჩინება, დიდება,

წოდება, პოსტი მომ. VIII,4; სისრ. 2

პატიჟი სასჯელი სულ. 25

პატიოსნებად პატივი, დიდებულება, პატივცემულობა

ალთქ. 1

პევშუ პეშვი მომ. VII,2

პერული ქაფი მომ. I,10; II,7; VII,8; სულ. 5

პეროვა ქაფის (დუჟის) გადმოდენა ეგრ. 25

პირად-პირადი მრავალფეროვანი სამ. 1

პირი 1. აზრი, შინაარსი სამ. 19; 2 მიზანი სისრ. 1

პირმშოდ პირველი, დამწყები სისრ. 18,19,22-24; პირველსახე

მომ. I,4; პირმშოდ ხატი სისრ. 3,19,20

რაბამ როგორ, რარიგ მომ. I,9; VIII,4

რაბამი როგორი, რამდენად დიდი მომ. I,1; II,8; III,2; V,4;

VI,3; VII,3,4; VIII,8; მელ. 4

რადთურთით სავსებით, სრულიად მომ. III,7

რეცა თითქოს, თითქოსდა, ვითომ სულ. 2,12,19; სამ. 15; უფრ 18-19

რვალი სპილენძი სულ. 13; სისრ. 5

რკინობად ჭიდაობა სამ. 11

რწმუნება ჩაბარება, მიბარება მომ. V,5

საანჯმნო-ყოფა ჩვენება, მითითება, გამომჟღავნება, გამოვლენა, გამო-

ამკარავება მომ. VIII,2,3,5,8; ეფრ. 1,17,25; სისრ, 14,28.

განმარტება, ახსნა, უწყება მომ. VIII,3. მინიშნება

მომ. VIII,5

საბასრობელი დასაცინი სულ. 30

საბრალობელი დასადანაშაულებელი (საბრალობელ-ქმნა

მომ. I,5; IV,5)

საგონებელი მოჩვენებითი სისრ. 5

საეგუროდ ამალღებული ადგილი, სათვალთვალო, საჯამუმო პუნქტი;

საგუმავო მომ. I,1; VI,I

საზომი ზომა აღთქ. 1

საზღვარი განსაზღვრა, ტერმინი აღთქ. 6

სათნობად სისრულე სიკეთისა; აღთქ. 1; მომ. IV,9

საიდუმლოდ დაფარული გამოთქმა; სახე ალეგორია, სიმბოლო;

იგავი მომ. V,5; VI,2; VIII,I;

ეფრ. 1.

საკიცხელი დასაცინი სულ. 30

საკუთრება მიკუთვნება, ნათესაობა მომ. VIII,3

სალმობაჲ 1. ტკივილი, სენი, ტანჯვა, ნაღველი, ვაება,

მომ. III,8; IV,6; VI,8; VII,5,7,9; სულ. 10,27; ეგრ. 20;

2 ტკივილი (აქ: ჭრილობა, შემუსვრილობა)

მელ. 9 3. მწუხარება მომ. VIII,7

სალმობიერი მტკივანი მომ. VII,10; მელ. 9

სალხინებელი განსაწმენდელი სისრ. 3,12 (შდრ.

ჰრომ. 3, 25)

სამაროვანი სასაფლაო მომ. I,9

სამე კი; თურმე იქნებ მომ. VI,4; VIII,8; აღთქ. 7; სულ. 5,6

სამღერელი სათამაშო ასპარეზი; თეატრი აღთქ. 4;

მომ. I,10; II,2; VII,4

სამშჷუალი ლურსმანი სისრ. 19

სამშჷავრო სასამართლო სისრ. 19

სამჭედური ანკესი ეგრ. 10

სანატრელი მელ. 1

სანუკვარი 1. მდიდრული ნადიმი, უხვი მასპინძლობა

მელ. 8; 2. ნუგბარი საჭმელი აღთქ. 4; მომ. III,9

საოლაგი მომ. VII,8

სართული ჭერი, სახურავი სულ. 5,6

სარკინობელი საჭიდაო მოედანი მომ. VII,4

სასოებაჲ იმედი, მოლოდინი მომ. 1,1; VIII,4

სასყიდელი საფასური (აქ: ჯილდო) მომ. VIII,2; ფასი;

გამოსასყიდი სისრ. 11

საცნაური 1. გონიერი, გონებით სახილველი და მისაწვდომი, სულიერი

მომ. II,1; ეგრ. 23; 2. ნაცნობი, ცნობილი, გასაგები,

მისახვედრი, მისაწვდომი, აშკარა მომ. II,1,2; III,2,6; V,4,6;

VI,3; სულ. 10; აღთქ 9; სისრ. 4; მომ. I,3. სისრ. 2,4,5.

საცნაურ-მყოფელი გამომაჩენელი მომ. VII,6

საცნაურ-ქმნა მიხვედრა, წარმოდგენა მომ. IV,13

საცნაურ-ყოფა გამოაშკარავება, გამომჟღავნება მომ. VII,10; სულ. 7;
ეფრ. 9

საცნაურ-ქმნილი ნაჩვენები, მითითებული, წარმოჩენილი, გამომჟღავ-
ნებული, გამოაშკარავებული მომ. I,4; სულ. 13

საცნობელი საგრძნობელი; გრძნობის ორგანო
მომ. VIII,5; მელ. 4; მომ. II,1,2; VII,8; VIII,5;
მელ. 4; სულ. 3,5,8-10,17,20,25-27,30.

საძნაური ძნელი, მძიმე, მტკივნეული მომ. VIII,4,6.
ძნელი, საძნელო აღთქ. 9,10; მომ. VII,9; სულ.
16,17

საწადელი სასურველი, ძვირფასი, საყვარელი აღთქ. 11

საწყალობელი საბრალო მელ. 1

სახელისმოდგამებამ თანამოსახელობა სისრ. 10

სახიერებამ სიკეთე, სათნოება მომ. I,3;
აღთქ. 5

სახიერი სათნო, კეთილი, კეთილშობილი სისრ.1; ეფრ. 17

სახიობამ მსახიობობა; ჯამბაზობა მომ. VII,4

სახისმეტყუელებამ ალეგორია, სიმბოლო, საიდუმლო; საიდუმლო
სახის (ალეგორიის) გაშიფრვა მომ. II,3., III,7; VI,5; სისრ. 4,15

საჯამრობელი ფეხსაცმელი მომ. I,9 იხ. ჯამლი.

საჯუმილი ცეცხლი სული 26; მომ. VIII,7; სამ. 13

სენი ავადმყოფობა, სისუსტე, უძლურება, ტკივილი
მელ. 1

სერი ვახშამი სამ. 3

სეხნამ თანამოსახელე მომ. II,2: აღთქ. 4,5; სისრ. 2,9

სეხნაობამ თანამოსახელობა აღთქ. 5; სისრ. 4,30;
ეფრ. 26

სიბორგილე შემლილობა, ჭკუაზე შერყეულობა მომ.
IV,10; სისრ. 6

სიბოროტე მომ. 1,1

სიგონჯე სნეულება, ავადმყოფობა მომ. III,1; სულ. 31

სიგრემნე ემხიანობა, ელვარება (?), შეფერილობა მომ. I,4,9

სიკეთე მშვენიერება სისრ. 19: სამ. 11

სიკნინე სიმცირე მომ. II,8; VII,1

სიმედგრე აქ: ქედმაღლობა (გაფუყულობა) მომ. I,8

სინდონი თხელი ქსოვილი; სუდარა მელ. 6;

სისრ. 16

სიობლე ობლობა მელ. 1

სიორძილი ზრდა, წარმატება სისრ. 21

სირი ბედურა მელ. 11

სიყმილი შიმშილი მომ. VIII,7

სიჩქურე უაზრო შრომა, ამაო გარჯა მომ. IV,6.

მონაჩმახი, უაზრობა, სისულელე მომ. IV,6

სიჩჩოება ჩვილობა, ბავშვობის ასაკი სულ. 32

სიჩჩოდ ჩვილობა ეგრ. 5

სიცოფე ჭკუაშემლილობა სულ. 6

სიწმიდე კურთხევა, განწმედა სისრ. 11.

სიწყლტოდ სიგლუვე, სინაზე სამ. 2

სოლინარი მილი სულ. 13

სრბად სირბილი მომ. II,4; VIII,3; ეგრ. 1

სტომაქმორყუნილი მომ. IV,1

სტრუკი უკანონო შვილი, ბუში; უცხოელი; ცრუ, ყალბი

მელ. 4

სჯნიდისი სისრ. 1,16

სუდარი მელ. 11

სულგრძელება მოთმინება, მომთმენობა სისრ. 20

სულთქუმა კვნესა, ქვითინი სულთ-ვითქუამთ

მელ. 2

სული სუნთქვა, შებერვა სულ. 12
სწორად თანაბრად მომ. VII,11
სწორება თანასწორობა მომ. IV,3; VII,4
სწორი თანასწორი, თანაბარი მომ. VIII,2; სისრ. 20; სულ. 1,3;
სამ. 1,5
სჯა განსჯა, შეფასება მომ. VII,8; ეფრ. 3
ტაბაცობა თამაში ალთქ. 3
ტაკუკი 1. ღვინის სამისი მომ. IV,6; მელ. 8. 2.
ჭურჭელი, ქილა 0Td"1/0C ბ მელ.5
ტაძარი სასახლე, სამკვიდრებელი სისრ. 25
ტკივნეული მელ. 9
ტომითი სისრ. 10
ტომისმეტყულება გენეალოგიის შედგენა მომ. I,8
ტყება ქვითინი, მოთქმა მელ. 3
ტყუელვამ ტაშისცემა მომ. VII,10; ალთქ. 3
უაღრესი უკეთესი, უმეტესი, აღმატებული სამ.1
უბადრუკება უბედურება მომ. I,3;
II,7; III,7; VII,2; სისრ.15
უბადრუკი უბედური მომ. I,5; III,1; VI,10; VII,10;
უბედური; მძიმე, საშინელი მომ. I,6
უბიწო წმიდა, უმწიკვლო სისრ. 1; მელ. 1
უბიწო სულითა
უბრალო უდანაშაულო სისრ. 20
უგბილი ურცხვი ეფრ. 17
უგუაროდ უვარგისი, უხამსი სისრ. 19
უვნებლობამ აღუშფოთებლობა: დაუზიანებლობა მომ. I,5;
III,7
უკუნი ბნელი მელ. 2
უკუნ-ქცევა უკან მიბრუნება მელ. 2
ულმოხელი უტკივარი მომ. III,2

ულმობელობა უტკივარობა მომ. III,2; 2. სისასტიკე მომ. III,7

უმრწემესი უმცროსი სამ. 3,6,16

უმრწემესობა უმცროსობა სამ. 10

უმჯობესი უკეთესი, აღმატებული მელ. 1

უნდო მცირე, უმნიშვნელო; უვარგისი მომ. VII, 1,3

უნდობა სიმცირე, უმნიშვნელობა; უვარგისობა მომ. II,8

უოხჭნო დაუსრულებელი სულ. 25,26,29,30; ეგრ. 4,25,27

უჟამობა უდროობა, დროის შეუფერებლობა მელ. 1

ურაკპარაკი ქუჩა, თავშეყრის ადგილი სამ. 3 (მათე 6,5)

ურგები (= ცარიელი, ღრუ) მომ. 1,1

ურგება შეწუხება მელ. 2

ურვეული შეწუხებული მომ. VII. 10

ურიდად მოურიდებლად თამამად სულ. 3

ურნატი (// ორნატი) ხნული სულ. 23; მომ. II,3

ურჩხი სიცარიელე, სიღრუე მომ. IV,1

უსახურება უკეთურება მომ. VII,11

უსწორო არათანაბარი, უთანასწორო სამ. 7

უტყუველი უტყუარი სისრ. 5

უფროდს უფროსი, უმეტესი, აღმატებული სამ. 3

უქცველი შეუცვლელი, უცვალელებელი სისრ. 17

უშუერება სიმახინჯე სულ. 31; მომ. II,7; VII, 7,8; ალთქ. 3

უშუერი უმნო, მახინჯი, არამშვენიერი მომ. II,7; ალთქ.7; სისრ.

14,19

უცილობელი უდაო მომ. VI,4

უცნაური უცნობი, შეუცნობელი მომ. III,6

უცნება ეგრ. 15. იხ. ოცნება.

უცხო-ყოფა მომ. VIII, 3,4,7

უძლურება სისუსტე, ავადმყოფობა მელ. 1

უჭმო უჭმელი, უმაღო მომ. IV,1

უხილავი მომ. 1,1

უხრწნელებად სიწმიდე, ხელუხლებლობა, დაუზიანებლობა

მომ. I,5. იხ. შეუხებელი.

ფატარი დამპალი (ფუტურო) ალთქ. 9

ფიცხელი სასტიკი ეგრ. 20

ფოლოცი ვიწრო ქუჩა, შესახვევი სამ. 3

ფრთუნა მელ. 5

ქადაგება უწყება ეგრ. 16

ქადაგი ქადაგი სიტყვსად მელ. 1

ქიაჲ მაიმუნი ალთქ. 3-5.

ქცევადი ცვალებადი, მიმოქცევადი მომ. VIII,2: სისრ. 17,31

ქცეულებად ცვალებადობა სისრ. 31-32

ღელე დაბლობი, ღრმული მომ. 1,1

ღირღოვანი კლდოვანი, ოღროჩოღრო სისრ.18

ღმრთისმსახურებაჲ ალთქ. 1

ღონიერობაჲ სიადვილე, ხელსაყრელი შემთხვევა ალთქ. 1

ღუარძლი სარეველა სულ. 22; მომ. II,3

ღუაწლი ბრძოლა მომ.VIII,1,5; მელ. 6;

მომ. VIII,5

ღუაწლისდამდებელი ბრძოლის მომწყობი, წარმმართველი; მსაჯული

მომ. VIII,5,9 („ღუაწლთა დამდებელი“ – მომ.VIII,6)

ღუერფი გროვა, ზვინი მომ. I,9

ყენება ხელის შეშლა, აკრძალვა ალთქ. 3

ყოვლადვე სავსებით, სრულიად სულ. 14

შარავანდელი მნათობის ბრწყინვა მელ. 2

შეგზობაჲ მოხარშვა ეგრ. 11

შევედრება მინდობა, მიზარება, ჩაზარება, შეფარება მომ. VIII, 3

შემსგავსება შესაბამისობის დამყარება სისრ. 6

შემსგავსებული (აქ: შესარაცხი: მელ. 9); შესაფერისი;

შესაბამისი სულ. 8,9; მომ. V,2; VI,11; VII,3; ალთქ. 3

შემურვა კეთილსურნელების (მირონის) ცხება ევრ. 17,26; სამ. 13

შენაწევრება შეერთება, მიერთება სისრ. 17

შენაწევრებული სისრ. 21

შენდობად ნებართვა სისრ. 31; სამ. 13

შეპყრობა დაუფლება მელ. 1

შერევნად აქ: შფოთი, მღელვარება მელ. 9

შესაკუთრება შეთვისება, დამოყვრება, დანათესავება, დაახლოება,
გაშინაურება სულ. 29; სისრ. 30

შესაძინელი სარგებელი; შენაძენი, მოგება ალთქ. 2;
სულ. 18

შესულებაჲ ჭკუაშემლილობა სამ. 15

შესწორებაჲ შედარება მომ. II,7; III,7; ალთქ. 8; ევრ. 23

შესწორებული გათანაბრებული მომ. VII, 1

შეტყუებაჲ შესატყვისობა, შესაბამისობა ალთქ. 4; სისრ. 26

შეუზავებელი შეურეველი სისრ. 6

შეუმსგავსებელი შეუფერებელი სულ. 5, 22

შეუხებელი მიუწვდომელი (სისრ.10).
(მომ. I,7) იხ. უხრწნელებაჲ.

შეყოფა შეერთება, დამოყვრება სულ. 16,29; სისრ. 18,25,26

შეყოფილი შეერთებული, შერწყმული მომ. II,8; სისრ. 8,20; სამ. 6

შეცვალება შეცვლა სამ. 4

შინა-განმხედვარი მოძულე, მოღალატე, ორგული მომ. VII,7

შორის-შემოღება (შორის-შემოხუმა) შემოტანა (სასაუბრო თე-
მის და სხვ.) სულ. 20; სამ. 5

შუენიერებაჲ სილამაზე მომ. I,3

შჯულის-დებაჲ კანონმდებლობა მომ. VIII,1

ჩაბალახი მეომრის თავსაბურავი მომ. VII,5

ჩაფხუტი მეომრის თავსაბურავი; მუზარადი მომ. VII,5

ჩინებული მოწვეული, მოწოდებული, შერჩეული მომ. VIII,5

ცალიერი ცარიელი სულ. 11,12

ცილობა დავა, კამათი სულ. 4,7; სამ. 5

ცნობად აზროვნება, შეგნება სისრ. 18

ცოფი შეშლილი, შლეგი, გიჟი სულ. 4,7,23

ცუდადმზუაობრება ამაო, უსაფუძვლო სიამაყე აღთქ. 4

ცხენკაცი სისრ. 5

ძალი მნიშვნელობა, აზრი, არსი, შინაარსი მომ. VIII,4;

სულ. 11, 12; სისრ 2,4,13

ძამად უხეში ქსოვილი; ტომარა (დაბ.42,25; 44,2)

მელ. 2

ძეწნი ტირიფი მელ. 9,10

ძნელოანი (ძნელოვანი) მიუდგომელი, მიუწვდომელი მომ. III,7

ძნიად ძნელად მომ. VI,8

წადილი მომ. IV,4 იხ. გულის-თქუმად.

წამალი სამხატვრო საღებავი სისრ. 19

წამება დამოწმება ეფრ. 16

წამის-ყოფად მინიშნება სისრ. 9

წარყვნა ბოდვა, როშვა სისრ. 5

წარმართება ხელის მომართვა, გამარჯვება სისრ. 1,9

წარმატება მომატება, ზრდა სამ. 11

წარტყუნვა დატყვევება მელ. 9

წარჯდომა წასვლა, გარდასვლა, დაღუპვა, გაქრობა; გასწრება

მელ. 9; მომ. V,9

წევნად მიწევნა, დაწევა მომ. VIII,8

წევნული მომ. VIII, 3 იხ. წევნად.

წესი წესრიგი, თანმიმდევრობა მომ. VIII,1; სისრ. 5

წესიერებად მომ. II,1; VI,5; სულ. 8; აღთქ. 6; სისრ. 17

წიალი მკერდი მელ. 9

წინა-განწყობა შებრძოლება მომ. II,6; VII,6,12; სისრ. 23; ეგრ. 20

წინამოდ კულული (თმისა) მომ. I,8 იხ. კოწოლი.

წინამძღურობა მელ. 1

წინაუკუმო 1. პირიქით, პირუკუ, უკულმა მელ. 2. 2 საწინააღმდეგო,
მოპირდაპირე (მხარე) მომ. I,3.

წინა-ყოფა წარმოდგენა, წინ გადაშლა (ვისთვისმე რისამე), გამოფენა,
მირთმევა; შეთავაზება მომ. II,6; VI,3,6; VIII,2;

სულ. 11,13; ეგრ. 3

წრტიალი მკვეთრი, მწვავე, გამჭოლი (ტკივილი): მახვილი, მრის-
ხანე, მძვინვარე მომ. V,8; VIII,71, მელ. 6

წუთლა ჯერ, ჯერჯერობით, ჯერ კიდევ სულ. 1-3,13; მომი III,1;

VI,8; VII,9

წულილი თხელი, წვრილი სამ. 1

წელტუმ (// წელტომ) ტიტველი. მოსწორებული (კლდე) მომ. VI,1

წელული დაჭრილი მომ. IV,6

წყობა ბრძოლა მომ. II,4

წყუდიადი ღრმა მელ. 1; ბნელი მომ. III,5,6

ჭენება ლანძღვა მომ. V,12

ჭირვეული გაჭირვებული, ჭირში მყოფი მომ. V,3

ჭიქნაური ძვირფასი ქსოვილი (აბრეშუმი?) მომ. I,8

ჭვრობა ჭვრეტა, ყურება ეგრ. 25

ჭუვილი მწუხარება, სევდა, სიმძიმე სულ. 1,19

ხალენი ტყავი (ცხვრისა ან თხისა), მოსასხამი მელ. 9

ხარისხი საფეხური მომ. II,1

ხარკი გადასახადი ალთქ. 1

ხედვა შეხედვა, ჭვრეტა, დანახვა, დაკვირვება, დათვალიერება;

გააზრება, განჭვრეტა, მჭვრეტელობა (გონებით ხედვა)

მომ. I,I-2; IV,7

ხენეში უკეთური, უვარგისი ეგრ. 10

ხუეტა სხეულის დაგლა, დაფლეთა მომ. II,4; VIII,7

ხუმარი კომიკოსი მსახიობი მომ. I,10

ხუმრობა სახიობა, თეატრალური წარმოდგენა მომ. I,10

ჯამლი ფეხსაცმელი, სანდალი მომ. I,9;

მელ. 11

ჯდომამ წინააღმდეგობა მომ. III,7; სისრ. 7

ხლდომა ხტომა მომ. III,8

ჯნარცჯ ორმო, თხრილი სულ. 24

ჯვმირი ეფრ. 1

ჯუებული მოკლებული, შემცირებული ეფრ. 3,27; მომ. V,3

ჯუებულ-ყოფა მოკლება, დაკლება მელ. 8

ჯუმევა ხმარება სულ. 20; სისრ. 19

ჯურვება მალალი ტემპერატურა (სხეულისა) სულ. 10

ჯაბანი მშიშარა, ლაჩარი სულ. 13

ჯერკული უკეთური სულ. 22,23

ჯეჯლი ჯეჯილი სულ. 22,23

ჯმნამ გამიჯვნა, ჩამოშორება მომ. III,2; ეფრ. 9; სისრ. 7,30

ჯმნული გამიჯნული, განცალკევებული სულ. 4 (აქ: დაზღვეული).

ჯამბავი მელ. 9

ჯანი ბებია ეფრ. 4

ჯოროლი შუბი მომ. VII, 5